გიორგი კვინიკაძე

გეოეკონომიკის საფუძვლები

I და II ნაწილი

სახელმძღვანელო/კონსპექტი

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ

მეცნიერებათა ფაკულტეტის

სტუდენტებისათვის

თბილისი 2017

გიორგი კვინიკაძე

გეოეკონომიკის საფუძვლები

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ

სოციალურ და პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტის

სტუდენტებისათვის

ვერსია 1.02

1/09/2016

შენიშვნა:

წინამდებარე ვერსია წარმოადგენს სახელმძღვანელოს არასრულ ვარიანტს.

მისი გამოყენება განსაზღვრულია მხოლოდ 2016-2017 აკადემიური წლის განმავლობაში "გეოეკონომიკის საფუძვლების" შემსწავლელ სტუდენტთა მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე.

სახელმძღვანელოს ან მისი ცალკეული ნაწილების ყველა სხვა მიზნით გამოყენების სურვილის შემთხვევაში დაუკავშირდით ავტორს: ***Giorgi.kvinikadze@tsu.ge***

Giorgi kvinikadze

Basics of Geo-economics

Manual for the students of the
Faculty of Social and Political Studies,
Tbilisi State University

Version 1.02

1/09/2016

შინაარსი

ლექცია I

ა) შესავალი ლექცია -გაცნობა. საორგანიზაციო საკითხები. კურსის მიზნისა და ამოცანების გაცნობა.
ბ) მსოფლიოს გეოეკონომიკური ტრანსფორმაციის ზოგადი კონტურები

ლექცია II

გეოეკონომიკის ძირითადი ცნებები

ლექცია III

გეოეკონომიკური აზრის ევოლუცია

3.1 ფრიდრიხ ლისტი გეოეკონომიკის დიდი წინაპარი

3,2 გეოეკონომიკური აზრის ევოლუცია ფრიც რერიგიდან დღემდე

3.3 გეოეკონომიკური აზრის საწყისები საქართველოში

ლექცია IV

ბიპოლარულობის პერიოდის გეოეკონომიკა

4.1 ჯორჯ ქენანის „გეოეკონომიკა“

4.2 სსრკ დაშლა გეოეკონომიკური სტრატეგიის 5 ვექტორის კონტექსტში

4.3 აშშ გეოეკონომიკური სტრატეგია ცივი ომის პერიოდში

ლექცია V

პოსტბიპოლარული გეოეკონომიკა

***5**.1 გეოპოლიტიკური იდეების დევალვაცია*

5.2 ედვარდ ლუტვაკი- გეოეკონომიკის დამკვდრება

5.3 ედვარდ ლუტვაკი და მისი გეოეკონომიკური ლოგიკა მსოფლიო გეოეკონომიკური ბალანსის კონტექსტში

ლექცია VI

მსოფლიოს ძირითადი გეოეკონომიკური სკოლები,

6.1 გეოეკონომიკის ძირითადი სკოლები და მათი კონცეფციები

6.2 თეორიული და გამოყენებითი გეოეკონომიკის მეთოდები

6.3 გეოეკონონიკის განვითარების პრობლემები

ლექცია VII

გავლილი მასალის შეჯამება მზადება შუალედური გამოცდისათვის

ლექცია VIII

გეოეკონომიკის ინსტრუმენტები

8.1 კორპორაცია

8.2 ბაზრებზე შეღწევა

8.3 საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები

8.4 მაკროეკონომიკური ინსტრუმენტები

8.5 ფინანსური ბაზრები

ლექცია IX (გაგრძელება)

გეოეკონომიკის ინსტრუმენტები

9.1საგარეო პოლიტიკა

9.2 მიგრაციული პოლიტიკა

9.3სამხედრო ძლიერება

9.4 სპეცსამსახურები

9.5 კრიმინალი

ლექცია X

გეოეკონომიკური სივრცის განვითარების თეორიული და გამოყენებითი პრობლემები

10.1 სივრცის იდეების განვითარება ეკონომიკურ მეცნიერებაში

10.2 გეოეკონომიკური სივრცის ძირითადი მახასიათებლები

10.3 გლობალური ეკონომიკური სივრცის ასიმეტრულობის გეოეკონომიკური მოდელი

ლექცია XI

გეოეკონომიკა ტურბოკაპიტალიზმის პირობებში

11.1 სახელისუფლებო ბიუროკრატია

11.2 სახელმწიფო რეგულაციები ეკონომიკაში

11.3 ორი თეორიის დაპირისპირება

ლექცია XII

გეოეკონომიკური ომები

12.1 გეოეკონომიკური ომების არსი

12.2 გეოეკონომიკური ომები ისტორიულ რაკუსში

12.3.გეოეკონომიკური ომის მეთოდოლოგია და მეთოდები

ლექცია XIII

გეოეკონომიკური ომები (გაგრძელება)

13.1ეკონომიკური სანქციები- ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა

13.2 ომი და ეკონომიკა

13,3 გეოეკონომიკური ომის წარმოების ახალი ფორმები

ლექცია XIV

სახელმწიფოს გეოეკონომიკური უსაფრთხოება

14.1 გეოეკონომიკური უსაფრთხოების არსი

14.2 გეოეკონომიკური უსაფრთხოების დოქტრინები

14.3 გეოეკონომიკური უსაფრთხოების თეორიები

14.4 პატარა სახელმწიფოს გეოეკონომიკური უსაერთხოება

ლექცია XV

სამხრეთი კავკასიის გეოეკონომიკური გეოეკონომიკური პრობლემები

15.1 ცენტრალური კავკასია,როგორც სატრანსპორტო-ენერგეტიკული ჰაბი

15.2საერთაშორისო ფაქტორები ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში

15.3 ეკონომიკის გრამატიკა და კონფლიქტის ლოგიკა სამხრეთ კავკასიაში

15.4 სამხრეთი კავკასია- გეოპოლიტიკის ეკონომიზაცია თუ გეოეკონომიკის პოლიტიზაცია?

I ლექცია

შესავალი

ბ) მსოფლიოს გეოეკონომიკური ტრანსფორმაციის ზოგადი კონტურები

XX საუკუნის განმავლობაში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარეობდა რადიკალური ტრანსფორმაციული პროცესები. ამ პერიოდში არც „საბჭოთა“ და მოგვიანებით არც დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, იდეოლოგიური თუ სხვა მიზეზით ქართველ მეცნიერებს არ შეეძლოთ ან, უბრალოდ არ ჰქონდათ იმის უნარი, რომ ეს პროცესები საკუთარი თეორიული წარმოდგენებისა და ჰიპოთეზების დამუშავებისათვის გამოეყენებინათ. ვფიქრობ, ეს პრობლემა დღემდე აქტუალურია, ვინაიდან ჯერჯერობით ვერ ხერხდება ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესების სრულყოფილი შეფასება. “საბჭოთა საქართველოში“ ასევე ვერ მოხერხდა ხელისუფლებისა და ინტელექტუალების (განსაკუთრებით საზოგადოებრივ მეცნიერებებში) დაახლოება, რაც მეცნიერების მეთოდოლოგიასა და მიმდინარე პროცესების გააზრებაში აისახა. რეალურად ხელისუფლებას შეეძლო რადიკალური ცვლილებები გაეტარებინა სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკის სფეროებში, მაგრამ საკუთარი მოქმედებების რეფლექსაციის და მისი შემდგომი კორექტირებისათვის არ გააჩნდა შესაბამისი ინტელექტუალური რესურსები და კადრები.

დასავლეთში, განსაკუთრებით კი აშშ-ში, პროცესები სხვაგვარად განვითარდა (განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან). აშშ-ის აქტიური საერთაშორისო პოლიტიკის შედეგად, ამერიკელი ინტელექტუალების და პრაქტიკოსების განკარგულებაში აღმოჩნდა ცალკეული ქვეყნებისა და მთელი რიგი რეგიონების სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის ტექნოლოგიების ფართო ექსპერიმენტული პოლიგონი. შეიძლება ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომიდან მოყოლებული აშშ-ში ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, როცა სახელისუფლებო ელიტები ინტელექტუალებთან კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე წავიდნენ.

აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით დღეს ხდება აქტუალური, ვინაიდან მსოფლიო სისტემა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციის რეჟიმშია და მოითხოვს მიმდინარე პროცესების მეცნიერულ ახსნას, ანალიზსს და ადეკვატური დეფინიციების დამკვიდრებას ახალი მოცემულობის ფიქსაციისათვის. მხედველობაში მაქვს გლობალიზაციის პროცესით ინიცირებული მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები. ამ მოცემულობაში კარდინალურ ცვლილებებს საჭიროებს სახელმწიფო მართვის სისტემა, რომლის ძირითადი ღერძი ეკონომიკაზე ზემოქმედების იმ ახალი მეთოდების და ინსტრუმენტების ძიებასა და გამოყენებაზე გადის, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტურ საკითხებთან.

იმისათვის, რომ გაერკვნენ საერთაშორისო ურთიერთობების მუდმივად ცვალებად ხასიათში, დღეს ანალიტიკოსები ფსონს გეოპოლიტიკასა და გეოეკონომიკაზე დებენ. როგორც ცნობილია, გეოპოლიტიკა XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა იმ ევროპელი მოაზროვნეებისა და დიპლომატების წყალობით, რომლებსაც ტერიტორიებზე კონტროლის პრობლემები და უცხოეთში საკუთარი ქვეყნების ძლიერების იმპლემენტაცია აინტერესებდათ. XX საუკუნის განმავლობაში, გეოპოლიტიკური უპირატესობის საბაზო აქტორების (ტერიტორია, მოსახლეობა, შეიარაღებული ძალები და ა.შ.) შესწავლა სახელმწიფოთა შედარებითი ძლიერების ანალიზში ძირითადი მიმართულება იყო. თუმცა, ტრადიციულ გეოპოლიტიკაში ყოველთვის „აქტიურად მონაწილეობდა“ ეკონომიკური სეგმენტი, რაც აშკარად ჩანს გეოპოლიტიკის კლასიკოსთა შრომებში.

მაგალითად, გეოეკონომიკის (თანამედროვე გაგებით) ელემენტები გეოპოლიტიკაში ამ უკანასკნელის აღმოცენებისთანავე ჩნდება. ეკონომიკური რეალიების შესწავლის მნიშვნელობას ხაზი აქვს გასმული გეოპოლიტიკის ფუძემდებელთა შრომებში. ასე მაგალითად, რუდოლფ ჩელენი (მან პირველად გამოიყენა ტერმინი „გეოპოლიტიკა“) ეკონომიკას განიხილავდა, ახალი პოლიტიკური მეცნიერების ხუთ შემადგენელს შორის (გეოპოლიტიკა, ეკოპოლიტიკა, დემოპოლიტიკა, სოციოპოლიტიკა, კრატოპოლიტიკა). გეოპოლიტიკის გარდა, ყველა დანარჩენი დისციპლინა იმ სახით, როგორც ეს რ.ჩელენს აქვს შემოთავაზებული, არ შექმნილა, თუმცა მათი შესწავლა მოხდა სხვა მეცნიერული მიმართულებების ჩარჩოებში. რ. ჩელენმა პრაქტიკულად ივარაუდა გეოეკონომიკის

აღმოცენება, რომელიც მის შრომებში ფიგურირებს როგორც „ეკოპოლიტიკა“, რაშიც ავტორი გულისხმობდა სახელმწიფოს შესწავლას მისი ეკონომიკური ძლიერების კონტექსტში. დღეს ეს ტერმინი სხვა მნიშვნელობით გამოიყენება, რამდენადაც პრეფიქსი „ეკო“ არა ეკონომიკასთან, არამედ ეკოლოგიასთან ასოცირდება. რ. ჩელენმა აგრეთვე ჩამოაყალიბა ავტარქიის კანონი, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ ბალანსი ორ უკიდურესობას შორის. ამ კანონის ეკონომიკური არსი იმაში მდგომარეობს, რომ წარმოება სახელმწიფოში არ უნდა იყოს არც მხოლოდ აგრარული, არც მხოლოდ ინდუსტრიული. უკიდურესობის შემთხვევაში ის (სახელმწიფო) საჭიროებს მშვიდობიან ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში. მაგრამ თუ სახელმწიფოს საჭიროებს მშვიდობას, მას ახალი ტერიტორიების დასაპყრობად ან ნედლეულის წყაროებისათვის, არ ძალუძს ომის წარმოება, მაშინ „ღია კარების“ სისტემა იცვლება „ინტერესთა დახურული სფეროს“ სისტემით (Kjellén,1917).

ეკონომიკას დიდი ადგილი უჭირავს გეოპოლიტიკის კლასიკოს ალფრედ მეჰენის შრომებში. ა. მეჰენი ცნობილია, როგორც „საზღვაო ცივილიზაციის“ აპოლოგეტი და საზღვაო ძლიერების კონცეფციის ავტორი. საზღვაო ცივილიზაცია ა. მეჰენის მიხედვით-ეს არის ვაჭრობის ცივილიზაცია. მისი განვითარება განპირობებულია სამი შემადგენელი ელემენტით: საქონლის წარმოება და მისი შემდგომი გაცვლა საზღვაო გადაზიდვებით, როგორც გაცვლების განხორციელების საშუალება და კოლონიების არსებობით, რომლებიც აფართოებენ გაცვლებისა და გადაზიდვების არეალს. საზღვაო ძლიერება, თავის მხრივ, ეფუძნება სამ კომპონენტს: სამხედრო ფლოტს, სავაჭრო ფლოტს და სამხედრო-საზღვაო ბაზებს. სავაჭრო ფლოტის სიძლიერე წარმოადგენს სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების გასაღებს, რამდენადაც ეს ნიშნავს კონტროლს სავაჭრო და სატრანსპორტო დინებებზე (Mahan,1890). სწორედ პოლიტიკურ-ეკონომიკური სარჩული უდევს საფუძვლად გერმანელი გეოპოლიტიკოსის კარლ ჰაუსჰოფერის გაოპოლიტიკურ კონცეფციას. რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მთავარი მამოძრავებელი ძალაა სასიცოცხლო სივრცის გაფართოება (იგულისხმება სამხედრო ძალით). აფართოებს რა სასიცოცხლო სივრცეს სახელმწიფო უზრუნველყოფს დიდ ეკონომიკურ ავტარქიას და აღარაა დამოკიდებელი მეზობელ სახელმწიფოებზე (Haushofer, 1928). გეოპოლიტიკის სხვა კლასიკოსთა შრომებში მსგავსი მაგალითების პოვნა ნამდვილად არ წარმოადგენს დიდ სირთულეს.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ტრადიციულ გეოპოლიტიკაში სხვა სახელმწიფოებზე ეკონომიკური უპირატესობის მოპოვებას სამხედრო-სტრატეგიული პრიორიტეტები ჩრდილავდა. კონფლიქტის ლოგიკა ხშირად აიძულებს ისტორიულ მტრებს ითანამშრომლონ ერთმანეთთან სხვა საფრთხის წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც ეკონომიკური ლოგიკა თითქმის ყოველთვის ალიანსებს შიგნითაც იწვევს შეჯიბრს მის წევრებს შორის. რაც შეეხება სახელმწიფოების შიგნით მიმდინარე პროცესებს, ისტორიის მანძილზე სახელმწიფოს ყველაზე ძლიერ გამაერთიანებელ ფაქტორად სამხედრო საფრთხე ან კონფლიქტი გვევლინებოდა და არა ქვეყნის გარედან მომდინარე ეკონომიკური შოკები.

თუმცა, XIX საუკუნის დასაწყისში აღნიშნული საკითხისადმი მიდგომა გარკვეულად შეიცვალა და ეკონომიკურმა პრობლემატიკამ გააქტიურება დაიწყო. ეს საკითხები ყველზე უფრო გამოკვეთილად ფრიდრიხ ლისტს აქვს მოცემული თავის ნაშრომებში. გერმანელი ეკონომისტი გეორგ ფრიდრიხ ლისტი, ნაშრომის „პოლიტიკური ეკონომიის ეროვნული სისტემა“ (List,1841) შექმნის გამო, გეოეკონომიკის „დიდ წინაპრად“ მოიხსენიება. მისი შეხედულებები გარკვეული თვალსაზრისით, დღესაც აქტუალურია, რაც საშუალებას გვაძლევს ერთგვარი პარალელი გავავლოთ „გეოეკონომიკის“ მაშინდელ (შეიძლება ითქვას, საწყის) და თანამედროვე გააზრებაში.

ფ. ლისტის XIX საუკუნის ეკონომიკურ-პოლიტიკურ ანალიზს დღევანდელი გეოეკონომიკის ისტორიულ-გეოეკონომიკურ პრეცედენტად განვიხილავ, ვინაიდან ის თანამედროვე გეოეკონომიკური პრობლემების ერთგვარი ისტორიული კოქტეილია, რომელიც კარგად ეხმიანება (თავისი დადებითი და უარყოფითი ფორმებით) დღევანდელობას. საერთოდ, მიმაჩნია, რომ ფ. ლისტის პირადი ცხოვრების და მისი შრომების შესწავლის გარეშე უაღრესად რთულია გაიგო გეოეკონომიკის ფუძემდებლის-ედვარდ ნიკოლაე ლუტვაკის ახლებური გეოეკონომიკური აზროვნების წესი და, მით უმეტეს, სიღრმისეულად გაერკვე თანამედროვე გეოეკონომიკაში.

ფ. ლისტი დაიბადა 1789 წელს, გერმანიის ქალაქ რეინტლინგენში. სწავლობდა ლათინურ სკოლაში, შემდგომ ჩაბარა სახელმწიფო გამოცდა და საქმიანობას შეუდგა ვიუტემბერგში სახელმწიფო მოხელის რანგში. შეუერთდა რა მაშინდელ ლიბერალურ მიმდინარეობას სამთავრობო სფეროებში, ის დაინიშნა ტუბინგენის სკოლის საზოგადოებრივ

მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორად. ლიბერალური და კონსტიტუციური იდეებით შთაგონებულმა ფ.ლისტმა დაწერა ბროშურა: „ მოქალაქეობრიობა და სახელმწიფო პრაქტიკა ვიუტემბერგში“ (Die Staatskunde und Staatspraxis Würtembergs“,1818). 1819 წელს გიოტინგენის ვაჭრების თხოვნით მან დაწერა მემორანდუმი შიდა საბაჟო გდასახადების გაუქმების შესახებ და იმავდროულად ვაჭრებს მოუწოდა შეექმნათ სავაჭრო-სამრეწველო კავშირი, რომლის საქმეების წარმოებაც თავის თავზე აიღო. აღნიშნულმა ფაქტმა მის მიმართ უარყოფითად განაწყო მთავრობა, რის გამოც ის იძულებული გახდა თანამდებობიდან გადამდგარიყო.

1820 წელს ფ.ლისტი არჩეულ იქნა ვიუტემბერგის დეპუტატთა პალატის წევრად. პეტიციის შედგენის გამო, რომელშიც მოთხოვნილი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის გაფართოება, სასამართლოს და ადმინისტრაციის რეფორმირება, მის წინააღმდეგ აღძრულ იქნა სისხლის სამართლებრივი დევნა. ფ.ლისტს ჩამოერთვა დეპუტატის წოდება და მიესაჯა 10 თვით პატიმრობა. მაგრამ ის გაიქცა. 1824 წელს ფ.ლისტი დაბრუნდა და მაშინვე ჩასვეს ციხეში, საიდანაც 1825 წელს გაანთავისუფლეს იმ პირობით, რომ ის დატოვებდა ქვეყანას. ის გაემგზავრა აშშ-ში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა, ვიდრე სრულიად შემთხვევით არ აღმოაჩინა ქვანახშირით მდიდარი საბადოები. ამ პერიოდში მან დაწერა ორი ბროშურა პროტექციონიზმის და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც შემდგომ მისი თეორიის საფუძველი გახდა. ბროშურის სახელწოდებაა „ამერიკის ეკონომიკის კონტურები“ (Outlines of American economy,1827).

1830-იან წლებში ფ.ლისტი ბრუნდება გერმანიაში აშშ-ის კონსულის რანგში. სამი წლის შემდეგ ის გამოსცემს ბროშურას საქსონიაში სარკინიგზო ხაზის სარგებლიანობის შესახებ და პირადად ეწევა ამ იდეის პროპაგანდას. მისი ძალისხმევით აშენდა ლაიფციგის და დრეზდენის დამაკავშირებელი სარკინიგზო ხაზი. მან სწორედ ამ ფაქტს მიუძღვნა 1838 წელს გამოცემული ბროშურა: „გერმანიის ეროვნული სატრანსპორტო სისტემა“ (Das deutsche National transport system). მისი კაპიტალური ნაშრომი „პოლიტიკური ეკონომიის ეროვნული სისტემა“ (The National System of Political Economy) 1841 წელს გამოქვეყნდა, რომელიც იმდროინდელ ბესტსელერად იქცა. ეს ნაშრომი 3 ჯერ იქნა გამოცემული და მრავალ ენაზეა თარგმნილი. ამის შემდგომ ფ.ლისტის ცხოვრებაში ყველაზე რთული პერიოდი დადგა. ფინანსური რესურსები მას თითქმის ამოეწურა, ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუუარესდა.

იმის შანსი, რომ სახელმწიფო სამსახურში დაიწყებდა მუშაობას, აღარ არსებობდა, მისი იდეების რეალიზაცია ვერ ხორციელდებოდა. ამ მდგომარეობაში მყოფმა, როგორც ვარაუდობენ, 1846 წელ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ფ. ლისტი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსი და კრიტიკოსია, მაგრამ პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი არასოდეს ყოფილა. ის მხოლოდ სახელმწიფო მართვის პრაქტიკის კათედრის პროფესორი იყო.

ყველაზე უფრო საინტერესოდ მოვლენები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ განვითარდა, როცა გამოიკვეთა თანამედროვე გეოეკონომიკის კონტურები. ამ დროს უკვე დაიწყო „კონფლიქტის ლოგიკის“ „კომერციის გრამატიკასთან“ ურთიერთმიმართებაზე აგებული მოდელების გამოყენება. ამ თვალსაზრისით, ისეთი ცნებები, როგორიცაა: სავაჭრო ბალანსი, სავალუტო რეზერვები, უცხოური ინვესტიციები, კონკურენტუნარიანობა, ეკონომიკური სანქციები, ეკონომიკური ბლოკადა და ა.შ., თანდათანობით ძალთა ბალანსის მნიშვნელოვანი დეტერმინანტები ხდებოდნენ მსოფლიოში.

მაგალითად, საბჭოთა კავშირში ტერმინი „გეოეკონომიკა“ საერთოდ არ არსებობდა. მისი ანალოგი იყო „ეკონომიკური გეოგრაფია“, უფრო მოგვიანებით კი „რეგიონული ეკონომიკა“. იმის მიუხედავად, რომ გარეგნულად ეს ტერმინები ძალიან გვანან ტერმინ „გეოეკონომიკას“, მათ არა მხოლოდ განსხვავებული გენეზისი, არამედ განსხვავებული მიზნებიც აქვთ. ეკონომიკური გეოგრაფია ტერიტორიულ ეკონომიკურ პრობლემებს იკვლევდა ერთგანზომილებიან ჩაკეტილ გეოგრაფიულ სივრცეში, რომელიც უმეტესად იზოლირებული იყო მსოფლიო ბაზრისაგან. ეკონომიკურ გეოგრაფიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სივრცობრივ კომბინაციებს ეკონომიკაში (ეკონომიკური დარაიონების და საწარმოო-ტერიტორიული კომპლექსების თეორიები). XX საუკუნის მეორე ნახევარში კი ჩამოყალიბდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის ფორმირების ტენდენცია. რეგიონული ეკონომიკა კი იყენებდა მწარმოებელ ძალთა განლაგების თეორიას რეგულირებადი და გეგმიური ეკონომიკის პირობებში. ამჟამად, გეოეკონომიკის პრობლემების შესწავლა დინამიკურად ცვლად მრავალგანზომილებიან სივრცესა და გეოგრაფიულ გარემოში, საზოგადოებრივი გეოგრაფიის და ეკონომიკური მეცნიერების პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს. რაც შეეხება გეოპოლიტიკას, ის საბჭოთა

იმპერიაში ოფიციალურად იყო აკრძალული, როგორც სამეცნიერო დისციპლინა (თუმცა, მე შორს ვარ იმ აზრისაგან, რომ გეოპოლიტიკა მეცნიერული დისციპლინაა), მაგრამ ის მაინც არსებობდა პრაქტიკაში, რომელიც იმპერიის ხელისუფლების მიერ რეალიზდებოდა.

სწორედ ამ პერიოდში დაიწყო მსოფლიოს უპრეცედენტო გადანაწილების პროცესი. კერძოდ, ჩამოყალიბდა ეკონომიკური გავლენის ზონები, რითაც მოხდა მსოფლიოს პოლიტიკური რუკის გადაფარვა ეკონომიკური საზღვრებით. ამიტომ, სახელმწიფოს პოზიცია დღეს შეიძლება განვსაზღვროთ მაჩვენებელთა სისტემის ორი ჯგუფით: „ეკონომიკური პოტენციალი“ (ხელმისაწვდომობა ყველა ეკონომიკურ რესურსზე) და „ეკონომიკური ჩართულობის ინტენსივობა“ (ეკონომიკის სუბიექტების გავლენის ხარისხი, მათი ავტორიტეტი მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში). ეს მოცემულობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფაქტობრივად მიმდინარეობს გეოპოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესი, რომელიც გლობალიზაციის მიმდინარე პროცესის საფუძველი ხდება.

გლობალიზაციის პროცესი გეოეკონომიკისათვის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების პროცესია, რომელიც მიმდინარეობს ინოვაციური ეკონომიკურ-პოლიტიკური სტრატეგიების გამოყენების თანხლებით. ამ მოცემულობაში ეკონომიკური ძლიერება (ან/და ლიდერობა) მიიღწევა სტრატეგიული მართვის გლობალურ, ზესახელმწიფოებრივ, სახელმწიფოებრივ და ტრანსნაციონალური კორპორაციების (ფირმების) დონეებზე. ფორმალურად გლობალიზაციამ კონკურენცია ზესახელმწიფოებრივ დონეზე გაიყვანა. გეოეკონომისტის პოზიციიდან თანამედროვე გლობალიზაციის შინაარსია ის, რომ სამრეწველო პროდუქცია გლობალურ გაცვლებში (მსგავსად აგრარული პროდუქციისა ინდუსტრიალიზაციის პერიოდში) ნაკლებ მნიშვნელოვანი ხდება ეკონომიკური ღირებულების შექმნის თვალსაზრისით.

ჩემ მიერ შემოთავაზებული ხედვის შესაბამისად, გლობალიზაციის ორგანიზაციის ძალზედ ზოგადი გეოეკონომიკური სქემა შემდეგნაირად შეიძლება გავიაზროთ: ზემოდან ქვემოთ-მაღალი და უნიკალური ტექნოლოგიების ნაკადები, რაც იძლევა ჭარბ დამატებით ღირებულებას (ზემოგება); ქვემოდან ზემოთ-ნედლეულის და პროდუქტის ნაკადები შედარებით დაბალ ფასებში.

გეოპოლიტიკისაგან განსხვავებით, როცა სახელმწიფოს გაფართოება ხდებოდა სხვა ქვეყნების ტერიტორიების მიტაცების ხარჯზე, გეოეკონომიკა სხვა ლოგიკას მისდევს. ამ უკანასკნელის არსი ისაა, რომ თანამედროვე განვითარებული სახელმწიფოების გეოეკონომიკური ლოგიკა მიზნად არ ისახავს უცხო სახელმწიფოების ტერიტორიების მიერთებას. იგი აქცენტს სახელმწიფოს ეკონომიკურ ძლიერებაზე აკეთებს, რომელსაც ის აღწევს ტექნოლოგიური უპირატესობის გზით, რითაც აფართოებს საკუთარ ეკონომიკურ და არა პოლიტიკურ საზღვრებს. დღეს გეოპოლიტიკურისაგან განსხვავებით, გეოეკონომიკური სივრცის გაფართოება ტრადიციული სამხედრო მეთოდებით უკვე უპერსპექტივო ხდება (თუ რატომ, ამის მიზეზებზე უფრო დეტალურად ქვემოთ ვისაუბრებ).

ნეოლოგიზმი „გეოეკონომიკა“ თავისი წარმოშობით ამერიკული პროდუქტია და სწორედ ზემოთ აღნიშნული პროცესების ახსნას ემსახურება.

სამეცნიერო წრეებში გავრცელებულია მცდარი მოსაზრება იმის შესახებ, თუ ვინ იხმარა პირველად ტერმინი გეოეკონომიკა და ხშირად მას შეცდომით ე. ლუტვაკს მიაწერენ. დაზუსტებისათვის აღვნიშნავ, რომ ნეოლოგიზმი ,,გეოეკონომიკა'' პირველად ამერიკელმა მეცნიერმა (გეოგრაფმა) ჯორჯ რენერმა (Renner,1942) გამოიყენა 1942 წელს (სწორედ ამ წელს დაიბადა ე. ლუტვაკი), ხოლო ე. ლუტვაკმა ამ ცნების არსი და მნიშვნელობა განმარტა 1990 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში: „გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკისაკენ: კონფლიქტის ლოგიკა და კომერციის გრამატიკა“ („From Geopolitics to Geo-Economics: Logic of Conflict, Grammar of Commerce“), რითაც ეს ტერმინი საბოლოოდ დაამკვიდრა. თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება აღნიშნული ნეოლოგიზმის სხვა განსაზღვრებები, ისეთები, როგორიცაა: გეოპოლიტიკური ეკონომიკა, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომია, პოლიტიკურ-ეკონომიკური გეოგრაფია. ვფიქრობ, დღევანდელი გეოეკონომიკის განვითარების დონიდან გამომდინარე, ვერც ერთი მათგანი გარდა ტერმინ "გეოეკონომიკისა" სრულად ვერ აღწერს იმ მოცემულობას, რომელშიც ფუნქციონირებს და დაუსრულებელი ტრანსფორმაციის რეჟიმში იმყოფება თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური სისტემა (კვინიკაძე, 2014).

გეოეკონომიკა გაჩნდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მსოფლიოში არ არსებობდა მოდალობის (რეალობასთან შესაბამისობის) იერარქია. მაგალითად, ეკონომიკური ძლიერება ადვილად გადაილახებოდა სამხედრო ძალის გამოყენებით. ამჟამად, ეს თანდათან შეუძლებელი ხდება. მაგალითად, დღეს სრული ნონსენსია საავტომობილო ბაზარზე კონკურენციის პრობლემა გადაიჭრას საავიაციო დარტყმის შედეგად იმ ბორანის ჩაძირვით, რომელსაც გადააქვს ავტომობილები. აღნიშნული იმაზე მიანიშნებს, რომ შეიარაღებული ძალები თანდათან კარგავენ იმ როლს, რომელსაც ის თამაშობდა გეოპოლიტიკის დომინირების ეპოქაში. გარდა ამისა, თანამედროვე პირობებში გეოპოლიტიკის ტრადიციული დეფინიცია ტრანსფორმაციას განიცდის და ახალ აზრობრივ დატვირთვას იძენს. კერძოდ, გაფართოვდა მისი საბაზო კატეგორიის-სივრცის ფენომენის არსი. პრეფიქსი „გეო“ თანამედროვე გეოპოლიტიკური პრობლემების კონტექსტში უკვე ნაკლებად კავშირდება სივრცის კატეგორიასთან.

იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი სახელმწიფოს ხელში აგრესიული გეოპოლიტიკა კვლავ რჩება გავლენის მოპოვების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად, მისი მიზნები ზოგადად მაინც იცვლება – ტერიტორიების დაპყრობის და შენარჩუნების ნაცვლად ეკონომიკური სივრცის გაფართოება და მასზე კონტროლის დამყარება გაცილებით აქტუალური ხდება. შედეგად, გეოპოლიტიკა უკვე აღარ არის სტრატეგიული დაგეგმვის ადეკვატური საფუძველი (დღეისათვის, კლასიკური გაგებით, აქტიურ გეოპოლიტიკურ სივრცედ შეიძლება ჩაითვალოს პაკისტანი-ავღანეთი-შუა აზია, ახლო აღმოსავლეთი-კავკასია და აღმოსავლეთი ევროპა), ვინაიდან აღნიშნულ რეგიონებში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესები სულ უფრო მეტად ამჟღავნებენ გეოეკონომიკურ მიზნებს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ დღეს სამხედრო მეთოდებით ტერიტორიის გაფართოება არა მარტო დანაშაულებრივი და მცდარი პოლიტიკური ხედვაა, არამედ უპერსპექტივოა სუფთა პრაგმატული თვალსაზრისით, ვინაიდან თანამედროვე გეოეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა წარსულის ხერხებით ეწინააღმდეგება დროის მოთხოვნებს. მაგალითად, თანამედროვე გეოეკონომიკურმა მოთხოვნებმა წაშალა საზღვრები ევროკავშირის ქვეყნებს შორის და განაპირობა მჭიდრო ეკონომიკური ინტეგრაცია, რის შედეგად შესაძლებელი გახდა მისი ინტეგრირებული განვითარება. კლასიკურ გეოპოლიტიკას ვერდიქტი სწორედ ევროპულმა ინტეგრაციამ გამოუტანა, როცა მის ტერიტორიაზე გეოპოლიტიკამ დაკარგა მისი ძირითადი

სტრუქტურული წინამძღვრები: მკაცრად ფიქსირებული ეროვნული საზღვრების არსებობა, სადავო ტერიტორიული საკითხების გადაჭრა სამხედრო ძალის გამოყენებით, ეთნიკური კონფლიქტები, რესურსებზე კონტროლის მოპოვება სამხედრო გზით და ა.შ. თუ წარსულში ევროპა მუდმივი გეოპოლიტიკური დაპირისპირებების არენას წარმოადგენდა, დღეს ძნელად წარმოსადგენია, რომ ევროკავშირის შიგნით ტერიტორიული პრეტენზიების გამო მასში შემავალმა სახელმწიფოებმა გამოიყენონ სამხედრო ძალა (ბოლო ევროპული ომები ჯერ იუგოსლავიის და შემდგომ უკრაინის დაშლის მცდელობის შედეგად განვითარებული კონფლიქტებია, რომელიც არ შეხებია მაშინდელ ევროკავშირის, და მით უმეტეს, ნატოს წევრ ქვეყნებს). აღნიშნულ ნიადაგზე ვითარების ესკალაცია გაერთიანებულ ევროპაში შეუძლებელია იმიტომაც, რომ ამ რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები დაბალანსებულია გაერთიანებული ევროპის საერთო პოლიტიკური და ეკონომიკური ინსტიტუტებით. თუმცა, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო რომ, როგორც გასული წლების მოვლენებმა ცხადყო (მაგალითად, რუსეთის მოქმედებები მისი მეზობელი სახელმწიფოების მიმართ, ე.წ. ისლამური სახელმწიფოს შექმნის მცდელობა), გეოპოლიტიკა ფეხდაფეხ მიყვება გეოეკონომიკას და აქტიურად ერთვება მიმდინარე პროცესებში, განსაკუთრებით მაშინ, როცა მისი იგნორირება ხდება.

თანამედროვე ინტეგრირებული ეკონომიკური ბლოკები, ცალკეული სახელმწიფოები და ტრანსნაციონალური კორპორაციები საკუთარი ეკონომიკური მიზნის მიღწევისათვის ხშირად ურთიერთშეთანხმებით იყენებენ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ტექნოლოგიურ, ხანდახან სამხედრო სტრატეგიების და ინსტრუმენტების ფართო არსენალს. მათი გამოყენების მიზანია გლობალური ეკონომიკის ხელსაყრელი სექტორების მოპოვება - შენარჩუნება ან/და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი სტრატეგიული ტერიტორიების სამხედრო ძალის გამოყენებით დაპყრობა და მისი შემდგომი კონტროლი. ეს მოცემულობა იმაზე მიანიშნებს, რომ მსოფლიო შედის ეკონომიკური დაპირისპირების ეპოქაში, რომელშიც მოქმედებს კანონები, რომელიც ვერ ჯდება თავისუფალ კონკურენციაზე დაფუძნებულ კლასიკურ ეკონომიკურ კონცეფციებში და აი, რატომ: კლასიკური ეკონომიკური თეორია ამოდის იქიდან, რომ ბაზარზე ერთმანეთთან კონკურენციაში არიან კერძო ფირმები, კომპანიები და ა.შ. რეალობა დღეს სხვაა-ეკონომიკურ კონკურენციაში მონაწილეობენ არა მხოლოდ ფირმები ან კომპანიები, არამედ სახელმწიფოებიც. ეს უკანასკნელნი კი იყენებენ

საკუთარი შესაძლებლობების ფართო არსენალს, დაწყებული საბაჟო გადასახადიდან, დამთავრებული სპეცსამსახურების ან/და შეიარაღებული ძალების მიერ წარმოებული ოპერაციებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკური პროცესების მართვა უკვე ზერთულ ხასიათს იძენს.

ის ინტერესი, რომელსაც დასავლეთში გეოეკონომიკის მიმართ იჩენენ, გლობალური ეკონომიკის სტრუქტურასა და მის მექანიზმებში მომხდარ ცვლილებებს უკავშირდება. მეორე მხრივ, ინტერესი გამოწვეულია ეკონომიკის ბერკეტების როლის ზრდით, სამხედროსთან შედარებით. მაგალითად, სახელმწიფოთა ძლიერება და საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საწარმოთა კონკურენტუნარიანობაზე, ვიდრე მის ტერიტორიის ფართობსა და მოსახლეობის რაოდენობაზე; ქვეყნის შიდა ლეგიტიმაცია დამოკიდებული ხდება იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს ქვეყანა ფეხი აუწყოს გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებს; ქვეყნის უნარზე, უზრუნველყოს სოციალური სამართლიანობა რესურსების გადანაწილების გზით და რამდენად შეუძლია მყარი სოციალური ერთობის ფორმირება ქვეყნის შიგნით (რომელსაც მეტ-ნაკლები წარმატებით ჯერჯერობით მხოლოდ სკანდინავიის ქვეყნები თუ ახარხებენ) და ა.შ.

ამდენად, სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური დაპირისპირება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი ხდება. სწორედ აქ „ერთვება“ გეოეკონომიკა, რომელიც სერიოზულ ყურადღებას უნდა იმსახურებდეს პოლიტიკური ისტებლიშმენტის მხრიდან. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკურად მოწყვლადი ქვეყნებისათვის, რომელთა საგარეო და საშინაო პოლიტიკაში გეოეკონომიკური ფაქტორის კომპეტენტურად გამოყენების გარეშე მათ ძალიან გაუჭირდებათ ფეხზე დადგომა, ვინაიდან მსოფლიო ბაზრებზე მიმდინარე მწვავე კონკურენცია სახელმწიფოს ეკონომიკურ სუბიექტებს ინოვაციების შექმნის, დანერგვის და განვითარების მოთხოვნებს უყენებს. ეს სუბიექტები ორიენტირებულნი უნდა იყვნენ არა იმდენად ბაზრის დღევანდელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, რამდენადაც მის მომავალ მოთხოვნილებებზე, რისთვისაც წინასწარ უნდა შექმნან შესაბამისი ტექნოლოგიები, რომლის განხორციელების რესურსი მსგავს ქვეყნებში ცოტას თუ გააჩნია. მაგალითად, ისეთი ქვეყნის მომავალი როგორიც საქართველოა, დიდად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სწორად იქნება გამოყენებული დასავლეთის ეკონომიკურ-ტექნოლოგიური მხარდაჭერა. ქვეყნის

ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციის განმსაზღვრელი იქნება ის, თუ რამდენად სწრაფად და ეფექტურად მოახერხებს ქვეყნის ხელისუფლება გაზარდოს ქვეყნის ჩართულობა არა მხოლოდ რეგიონულ, არამედ გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში; რამდენად შეძლებს ქვეყნის სახელისუფლებო აპარატი იმის გაცნობიერებას, თუ რას წარმოადგენს გეოეკონომიკა, რა ინსტრუმენტებს და მეთოდებს ფლობს იგი; როგორ უნდა გამოვიყენოთ ისინი და როგორი შედეგი გვინდა მივიღოთ. აუცილებელია, ერთი მხრივ, იმის ცოდნა, თუ რა გამოწვევებს შეეჯახება საქართველო მომავალი ეკონომიკური განვითარების გზაზე და რა სახის ეკონომიკური ბერკეტები შეიძლება გამოიყენონ ჩვენ წინააღმდეგ. მეორე მხრივ, საჭიროა ზუსტად განვსაზღვროთ, თუ რა შესაძლებლობები გაგვაჩნია ამ გამოწვევების გასამკლავებლად.

ამგვარ მოცემულობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება განათლების სწორი სტრატეგიის არჩევას, რომლის ძირითადი ამოცანა უნდა მდგომარეობდეს არა მხოლოდ ბიუროკრატიის ინფორმირებულობაში (თუმცა ესეც მნიშვნელოვანია), არამედ მათთვის იმ უნარების გამომუშავებაში, რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში არსებული პრობლემების გადასაჭრელად. პრინციპულად მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ დღეს გეოეკონომიკის სფეროში წარმოებული კვლევები ყველაზე უფრო აქტუალური ხდება თუნდაც იმიტომ, რომ მოვაღწიოთ ქვეყნის შედარებით სტაბილურ ეკონომიკურ განვითარებას, რაც თავის მხრივ, ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტიაცაა (იმ შემთხვევის გარდა, თუ არ მოხდება სამხედრო ძალის გამოყენება ქვეყნის წინააღმდეგ). ეკონომიკური უსაფრთხოება კი მაშინ მიიღწევა, თუ ქვეყანას ექნება სწორი ეკონომიკური პოლიტიკა, რაც პატარა ქვეყნისათვის, უპირველეს ყოვლისა, მდგომარეობს „საერთაშორისო ვაჭრობის სისტემაში ხელსაყრელი პოზიციების დაკავებაში“ - აღნიშნავს ცნობილი ქართველი მეცნიერი, ბ-ნი ალექსანდრე რონდელი.

სრულად ვეთანხმები რა აღნიშნულ მოსაზრებას, ჩემ მხრივ გეოეკონომიკის პოზიციიდან შევეცდები დავაკონკრეტო თუ რატომაა რელევანტური ეს მოსაზრება.

ჯერ ერთი, ამის მიზეზი ისაა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების გეოპოლიტიკურმა სეგმენტმა დაკარგა თავისი ადეკვატურობა გეოეკონომიკური სტრატეგიების წინაშე. აღნიშნული მეტამორფოზა მით უმეტეს კანონზომიერია, თუ გავითვალისწინებთ მის ღრმა კულტურულ-ფენომენოლოგიურ საფუძვლებს. მაგალითად, საზოგადოებრივი განვითარების აგრარულ მოდელს ტრადიციულად შეესატყვისებოდა ექსპანსიის სამხედრო-პოლიტიკური,

ინდუსტრიულს - ტექნიკურ-ეკონომიკური, პოსტინდუსტრიულს - ინფორმაციულ-ჰუმანიტარული მეთოდი. ამ მოდელთა ცვლილების კვალობაზე ხდება არა მხოლოდ პოლიტიკის ინსტრუმენტების განახლება, არამედ გადაიხედება მათი მასშტაბებიც. მაგალითად, წარმოების აგრარული მოდელისათვის დამახასიათებელია ეროვნული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიების ათვისება (მიტაცება), ინდუსტრიულისათვის-ექსპანსიის რეგიონული ორიენტაცია, პოსტინდუსტრიულისათვის - გლობალური სივრცის ფორმატი.

აღნიშული მოსაზრების რელევანტობას ამყარებს ის ფაქტი, რომ თანამედროვე ეკონომიკური სივრცისათვის დამახასიათებელია გლობალური ხელმისაწვდომობა, გახსნილობა, ინფორმაციისა და ინოვაციების სწრაფი გავრცელება, ფინანსების ვირტუალიზაცია, უკონტროლობა და ა.შ. ეს მოცემულობა პატარა სახელმწიფოების ხელისუფალთა მხრიდან მოითხოვს პოლიტიკურ-ეკონომიკური სტრატეგიის პრიორიტეტების განსაზღვრას, რათა ქვეყანამ მძაფრი კონკურენციის პირობებში შეძლოს საკუთარი პოზიციის (სახელმწიფოს, მისი ეკონომიკის სუბიექტების იდენტობა ბაზარზე; ის, თუ როგორ სურთ ამ აქტორებს, რომ ბაზარი და მათი კონკურენტები ხედავდნენ მათ ბრენდს, პროდუქტს ან მომსახურებას) გაძლიერება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გლობალური ეკონომიკური განვითარება დეტერმინირებულია ტრანსნაციონალურ კაპიტალთან მსოფლიო ეკონომიკის დაქვემდებარებით და ეროვნული ეკონომიკური სისტემების ერთმანეთთან კონკურენციით. აშკარაა, რომ ეს პროცესები, განსაკუთრებით პატარა ქვეყნებში, ძლიერ გავლენას ახდენს ისეთ კატეგორიაზე, როგორიცაა „სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა“ და „სუვერენიტეტი“.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ის, რომ ეკონომიკური სისტემის მართვის კონსტრუირება ითვალისწინებს ეროვნული ინფრასტრუქტურის და ინსტიტუტების განვითარებას. ამ მოცემულობაში ეკონომიკური გლობალიზაცია გვთავაზობს ორ ალტერნატივას: ან გახსნილი, ან/და დახურული ეკონომიკა. გეოეკონომისტები უპირატესობას პირველ მათგანს ვანიჭებთ, რომელიც პატარა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის გაცილებით მეტ გარანტიებს ფლობს, ვიდრე მეორე. საქმე ისაა, რომ დახურული (ავტარქიული) ეკონომიკა სოციალურ-პოლიტიკური რისკების მაღალი დონით გამოირჩევა და ადრე თუ გვიან ის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვისაც საფრთხედ

გადაიქცევა. ამრიგად, საგარეო პოლიტიკაში ეროვნული ინტერესების დაცვისათვის მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ საქმე გვაქვს ახალ მსოფლიოსთან, სადაც ეკონომიკური ინტერესები ხშირად პრევალირებს ტრადიციულ სამხედრო იმპერატივებზე.

ის მოცემულობა, რომლის მომსწრენიც დღესდღეობით ჩვენ ვართ, ანუ, როცა მიმდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობების ტრანსფორმაციის დაუსრულებელი პროცესი, სახელმწიფოს მოქმედებებს ეკონომიკის ტრანსნაციონალურ აქტორებთან სინერგიაში ყველაზე კარგად გეოეკონომიკა განსაზღვრავს. სწორედ ეს ნეოლოგიზმი ხსნის სახელმწიფოს მიერ კონფლიქტის ლოგიკისა და ეკონომიკური მეთოდების ერთდროულად გამოყენებას, ანუ, როგორც კარლ ფონ კლაუზევიცი იტყოდა, „ომის ლოგიკას კომერციის ელემენტებით“.

ყველა ზემოთ აღნიშნულ საკითხზე არაერთი შესანიშნავი წიგნი თუ სტატია აქვს გამოქვეყნებული მსოფლიოში აღიარებულ, სამეცნიერო წრეებში კარგად ცნობილ ამერიკელ მეცნიერს სამხედრო და ეკონომიკური სტრატეგიების სფეროში, გეოეკონომისტს და პოლიტიკოსს, პროფესორ ედვარდ ლუტვაკს. ეს ავტორი ქართველ მეცნიერთა ძალზე ვიწრო წრისათვისაა ცნობილი (უფრო ანტიკური ხანის სპეციალისტების ვიწრო ჯგუფი თუ იცნობს) და არა ფართო საზოგადოებისათვის. მსოფლიოში ე. ლუტვაკი მოიხსენიება ისეთი ცნობილი ინტელექტუალების გვერდით, როგორებიც არიან: ზბიგნევ ბჟეჟინსკი, ნოამ ჩომსკი, მაიკლ უოლცერი და ა.შ.

ე. ლუტვაკი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერი და სტრატეგია, რომელიც სამართლიანად ითვლება გეოეკონომიკის ფუძემდებლად. სწორედ მან შეძლო ეს ახალგაზრდა ცოდნის დარგი ერთ–ერთ ყველაზე უფრო პერსპექტიულ მიმართულებად ექცია XXI საუკუნის სოციალურ მეცნიერებებში.

ე. ლუტვაკის შესახებ პირველად შევიტყვე, როცა ამ ორი ათეული წლის წინ წავიკითხე მისი ორი ნაშრომი: “გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკისაკენ. კონფლიქტების ლოგიკა და კომერციის გრამატიკა” და „ტურბოკაპიტალიზმი: გამარჯვებულები და დამარცხებულები გლობალურ ეკონომიკაში“. ამ ნაშრომებში ავტორი წარმოსდგება, როგორც ფართო და ნათელი სტრატეგიული აზროვნების მქონე მეცნიერი. მის მიერ მსოფლიოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სიტუაცია მარტივად არის გადმოცემული, არგუმენტირებული, დამაჯერებელია და, იმავდროულად, არაორდინარული აზროვნებითაც გამოირჩევა.

ფართოა ავტორის მიერ კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდების არსენალი, რომელიც მოიცავს: სტრატეგიის ელემენტებს, სოციალურ პროექტირებას და კომპლექსურ ჰუმანიტარულ კვლევებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია არის ის, რომ ე. ლუტვაკი თავის ნაშრომებში შესანიშნავად ახერხებს სამხედრო, სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდების შეთანაწყობას, რომელიც მოითხოვს ფართო ერუდიციას და პროცესების არსის სწორად გააზრებას. პრობლემის გლობალურად შესწავლისათვის ე. ლუტვაკი ვირტუოზულად ახდენს ისტორიის (ფიქსირებული სოციალური ქცევა, რომელიც საერთოა საზოგადოებისთვის და იმავდროულად, სპეციფიკურია კონკრეტულ დროში), გეოგრაფიის (ყველა სოციალურ ქცევას გააჩნია თავისი ადგილმდებარეობა), განათლების (შესაძლო ქცევა) და ფილოსოფიის (ცნობიერების საზღვრები ანუ, როგორ აღიქმება მსოფლიო) ერთგვარ სინთეზს.

წინამდებარე ნაშრომში შევეცადე მკითხველისათვის მოკლედ გამეცნო გეოეკონომიკის განვითარების ევოლუცია და მისი დღევანდელი მდგომარეობა. შეძლებისდაგვარად გამეანალიზებინა ე. ლუტვაკის შეხედულებები თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ წესრიგთან დაკავშირებით. მინდა ავღნიშნო, რომ საკითხის განხილვისას არ ვეხები სამხედრო სტრატეგიის იმ საკითხებს, რომელიც უშუალო კავშირში არაა გეოეკონომიკასთან. შესაბამისი დარგის სპეციალისტები ამას უკეთ გააკეთებენ (ამ მხრივ, მისასალმებელია, რომ 2007 წელს ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა ე. ლუტვაკის შესანიშნავი წიგნი: "ომისა და მშვიდობის სტრატეგია"). ე. ლუტვაკის გეოეკონომიკური შეხედულებების წარმოსაჩენად განვიხილავ მეცნიერის იმ შრომებს, რომლებიც გეოეკონომიკის პრობლემატიკას ყველაზე უკეთ წარმოაჩენს. თუმცა, მანამდე ინტერესმოკლებული არ იქნება გევეცნოთ ამ უჩვეულო და არაორდინარული აზროვნების მქონე ადამიანის მოკლე ბიოგრაფიას.

პროფესორი ედვარდ ლუტვაკი დაიბადა ებრაულ ოჯახში, ქალაქ არდეში (რუმინეთი), 1942 წელს. დაწყებითი სკოლა დაამთავრა პალერმოში (სიცილია), 1964 წლამდე სწავლობდა ლონდონის ეკონომიკის სკოლაში. ლონდონში, პარიზსა და იერუსალიმში მუშაობის შემდეგ, 1972 წელს გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში და სწავლა განაგრძო ჯონ ჰოპკინზის უნივერსიტეტში, სადაც 1975 წელს მიიღო დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. თავისი მეცნიერული კარიერის მანძილზე ის იყო ისეთი ავტორიტეტული გამოცემების სარედაქციო საბჭოს წევრი, როგორებიცაა : "The Journal of Strategic Studies"; "The European Journal of International Affairs" და "The Washington Quarterly". წლების მანძილზე მუშაობდა აშშ-ს

თავდაცვის სამინისტროს, ეროვნული უშიშროების საბჭოს, სახელმწიფო დეპარტამენტის, აშშ-ს ფლოტის შტაბის, აშშ-ის არმიისა და საჰაერო ძალების კონსულტანტად; იყო ნატოს ქვეყნების თავდაცვის სამინისტროების მრჩეველი და აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს "ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების შემსწავლელი ჯგუფის" წევრი. კონსულტანტის რანგში თანამშრომლობდა იაპონიის ფინანსთა სამინისტროს ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ინსტიტუტთან; მუშაობდა პრეზიდენტ რონალდ რეიგანის მრჩევლად; სრულყოფილად ფლობს ივრითს, ინგლისურ, იტალიურ, ფრანგულ და ესპანურ ენებს. ე. ლუტვაკს გააჩნია სამხედრო და ეკონომიკური ხასიათის ომების წარმართვის დიდი გამოცდილება. ის ყოველთვის იყო კომუნიზმთან ბრძოლის ავანგარდში და უშუალოდ მონაწილეობდა რამდენიმე ოპერაციაში საბჭოთა სპეცსამსახურების წინააღმდეგ.

მისი სპეციალიზაციის მეორე სფეროა გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა. ამ სფეროებში ის მსოფლიო მასშტაბით წამყვანი ექსპერტია. განსაკუთრებთ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მან დაამუშავა სახელმწიფოების (როგორც მცირე, ასევე ზესახელმწიფოების და იმპერიების) მოწყობისა და ფუნქციონირების კომპლექსური ანალიზის განსაკუთრებული მეთოდიკა. ყველაზე უფრო კონცენტრირებულად მისი მეთოდოლოგიური ხედვები მოცემულია წიგნებში: „სახელმწიფო გადატრიალება: პრაქტიკული სახელმძღვანელო" (Coup d'État: A Practical Handbook, 1968); "რომის იმპერიის დიადი სტრატეგიები" (The Grand Strategy of the Roman Empire,1976); "ამერიკის ოცნება საფრთხეშია" (The Endangered American Dream,1993); "ტურბოკაპიტალიზმი: გამარჯვებულები და დამარცხებულები გლობალურ ეკონომიკაში" (Turbo capitalism: winners and loosers in the global economy, 1999); „სტრატეგია: ომისა და მშვიდობის ლოგიკა" (The Strategy: Logic of War and Peace,2001); დასახელებული წიგნები ითარგმნა ჩინურ, ფრანგულ, გერმანულ, ებრაულ, იტალიურ, ესტონურ, თურქულ, ქართულ ენებზე.

ე. ლუტვაკის კარიერულ აღმასვლას ხელი შეუწყო მისმა პირველმა წიგნმა - "სახელმწიფო გადატრიალება: პრაქტიკული სახელმძღვანელო", რომელიც მან 26 წლის ასაკში დაწერა, როცა ლონდონის ეკონომიკის სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდა. იმ პერიოდში ეს წიგნი მრავალ ენაზე ითარგმნა და ბევრჯერ გამოიცა (სხვათა შორის, კანადელმა კინემატოგრაფისტებმა წიგნის მიხედვით იმავე სახელწოდების მხატვრული ფილმიც კი გადაიღეს). წიგნის ღირსება ისაა, რომ მასში დიდი სკურპულოზულობით და

სიღრმისეულადაა გამოკვლეული სახელმწიფო გადატრიალების სტრატეგიის, დაგეგმვის და განხორციელების პროცესები, რაც ახალი კურსდამთავრებული სტუდენტისაგან სრულიად მოულოდნელი რამ იყო. ამასთან, წიგნი გამოვიდა 1968 წელს, როცა მსოფლიოში, ემანუელ ვალერშტაინის სიტყვებით რომ ვთქვათ, "მიმდინარეობდა მსოფლიო რევოლუცია". წიგნისადმი ინტერესი კი იმით იყო გამოწვეული, რომ მასში ბევრი არაორდინარული აზრია გამოთქმული. მაგალითად, სახელმწიფო გადატრიალების მიზეზები, მისი კავშირი სახელმწიფოს ბიუროკრატიულ აპარატთან, გადატრიალების შემდგომი ეტაპები, რომლის ანალიზის დროს ავტორმა პირველმა გამოიყენა ნეოლოგიზმი-"ტურბოკაპიტალიზმი".

ე. ლუტვაკი აშშ-ის რამდენიმე პრეზიდენტის მრჩეველი იყო. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა მისი თანამშრომლობა რ. რეიგანთან, როცა ე. ლუტვაკმა პირდაპირ თუ ირიბად, მაგრამ რეალურად მიიღო მონაწილეობა იმ დროის სერიოზული გეოპოლიტიკური ამოცანების და მასშტაბური პროექტების რეალიზაციაში. ამჟამად, ედვარდ ნიკოლაე ლუტვაკი მუშაობს ვაშინგტონში სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრში უფროსი მრჩევლის პოზიციაზე და ამერიკის რესპუბლიკური პარტიის მხარდამჭერია.

დასასრულ უნდა შევნიშნო, რომ გეოეკონომიკის საკითხებზე ავტორი ბევრ საყურადღებო მოსაზრებას და იდეას გამოთქვამს. თუმცა ზოგიერთ მათგანს მე (ალბათ მკითხველიც) შეიძლება ბოლომდე არ დავეთანხმო. ამის მიუხედავად, იმედს ვიტოვებ, რომ ქვემდებარე ნაშრომის წაკითხვის შემდგომ მკითხველი აუცილებლად გააკეთებს დასკვნას, რომ ამ მეცნიერისაგან ბევრი ისეთი რამის სწავლა შეიძლება, რაც ჩვენი ქვეყნის მომავალი განვითარების სწორი კურსის არჩევაში დაგვეხმარება.

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ თანამედროვე გეოეკონომიკის არსში, სასარგებლოა განვიხილოთ მისი განვითარების მეტად საინტერესო ევოლუციური გზა, სადაც აღმოვაჩენთ, რომ ეს, ერთი შეხედვით, ცოდნის ახალი დარგი სულაც არ არის ცარიელ ადგილზე აღმოცენებული, რომ მისი ფორმირების კონტურები გაცილებით ადრე იკვეთება.

II ლექცია

გეოეკონომიკის ძირითადი ცნებები

გეოეკონომიკა, რომლის საფუძვლებსაც ქვემოთ შევისწავლით, მულტიდისციპლინარული მეცნიერებაა და ცალკეული მეცნიერებების მიერ დამუშავებულ კონცეფტუალურ სქემებსა და ტერმინოლოგიურ აპარატს იყენებს. ეს უკანასკნელი კი დიდი მრავალფეროვნებით და ტერმინთა სიმრავლით გამოირჩევა. ზოგადად, ამა თუ იმ ტერმინის დამკვიდრება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ზუსტად ასახავს იგი მიმდინარე ცვლილებას ან კონკრეტულ მოვლენას. ახალი ტერმინი, უპირველეს ყოვლისა, ახალი სიტუაციის კვლევისთვისაა საჭირო.

ჩვენს შემთხვევაში ტერმინ „გეოეკონომიკის“ მეცნიერულ გრუნვაში დამკვიდრება უკავშირდება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩევლის, სამხედრო ისტორიის და სტრატეგიის სპეციალისტის პროფესორ ედვარდ ლუტვაკის სახელს.

ტერმინის არსს ზედმიწევნით ზუსტად ხსნის მისი ორი ნაშრომის სათაური: “გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკისაკენ. კონფლიქტების ლოგიკა და ვაჭრობის გრამატიკა“ და „ამერიკის ოცნება საფრთხეშია: როგორ არ უნდა დავუშვათ ამერიკის გადაქცევა მესამე სამყაროს ქვეყნად და როგორ გავიმარჯვოთ გეოეკონომიკურ ბრძოლაში ეკონომიკური უპირატესობის მოპოვებისათვის“. ამ სფეროში მომუშავე მეცნიერთათვის სრულიად ნათელია გეოეკონომიკისა და გეოპოლიტიკის გენეტიკური და აზრობრივი „ნათესაობა“. ამდენად, ეს ტემინი ზუსტად აღწერს იმ სიტუაციას, როცა მიმდინარეობს გეოპოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესი და ძლიერების ცენტრი ინაცვლებს სამხედრო-პოლიტიკურიდან, ეკონომიკურ სფეროში. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება გეოეკონომიკური აზროვნების განვითარებას, რომელიც წარმოადგენს გეოეკონომიკური ტექნოლოგიების დამუშავების უნარს. გეოეკონომიკური ტექნოლოგიების სწორად გამოყენება (საკრედიტო დარტყმები, ემბარგო, საბანკო ინფრასტრუქტურის და ფინანსური ბირჟების გამოყენება) კი უკავშირდება სწორი გეოეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური მიზნების მიღწევას და კონფლიქტების თავიდან აცილებას მსოფლიო ბაზარზე, გეოეკონომიკური ტექნოლოგიების დახმარებით. სახელმწიფოს გეოეკონომიკური სტრატეგია მდგომარეობს ეკონომიკის ჩართულობის მაღალი დონის მიღწევაში გლობალურ ეკონომიკურ პროცესებში. გეოეკონომიკური სტრატეგიაში ასევე მოიაზრება ქვეყნის საგარეო ეკონომიკური მიმართულებების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ეროვნული (ან კოლექტიური) უსაფრთხოების დოქტრინის განუყოფელ ნაწილს.

ამ ტიპის სტრატეგიის გამოყენებით ქვეყნები ცდილობენ თავიდან აიცილონ გეოეკონომიკური ომები. გეოეკონომიკური ომი (ხშირად მას დაუსრულებელ ომებს უწოდებენ-გ.კ.) ეს არის ბრძოლა სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე ხელსაყრელი რეგიონული პოზიციების (ნედლეულის და გასაღების ბაზრები, სატრანსპორტო დერეფნები და ა.შ) დასაკავებლად მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში, რომლის რეალიზაციის პროცესში, მოწინააღმდეგის მიმართ, ფართოდ გამოიყენება ეკონომიკური ემბარგო და ბლოკადა. საქმე გვაქვს ახალი ტიპის კონფლიქტთან, რომლის დროსაც ხდება ეკონომიკის სხვადასხვა სუბიექტების ინტერესთა შეჯახება მსოფლიო ბაზარზე ხელსაყრელი მდგომარეობის მოპოვების მიზნით. კონფლიქტის ამ სახეობას ხშირად გეოეკონომიკური კოლიზიის სახელითაც მოიხსენიებენ. იმისათვის, რომ ქვეყანამ მოიპოვოს გარკვეული ეკონომიკური უპირატესობა, ამისათვის მნიშვნელოვანია ის თუ როგორი გეოეკონომიკური მდგომარეობა მდებარეობა აქვს ამა თუ იმ ეკონომიკურ სუბიექტს. გეოეკონომიკურ მდებარეობაში მოიაზრება კონკრეტული ეკონომიკური სუბიექტის მდებარეობა საქონლის, მომსახურების, კაპიტალის და ძირითადი კომუნიკაციების მიმართ.

გეოეკონომიკაში მნიშვნელოვანი ცნებაა განვითარების ინოვაციური მოდელი, რომელიც ეფუძნება ისეთ გეოეკონომიკურ ტექნოლოგიებს, რომელიც ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნას გლობალური ბაზრისათვის. გეოეკონომიკურ კონკურენციაში იქმნება სიტუაცია, როცა მასში მონაწილე ერთ–ერთი მხარე უკანონოდ ესხმის თავს მეორე მონაწილეს (საკრედიტო დარტყმები, უკანონოდ შემოღებული ემბარგო, საბანკო ინფრასტრუქტურის და ფინანსური ბირჟების მოშლა) ამ დროს მიყენებული ზარალის ანაზღაურებას გეოეკონომიკური კონტრიბუცია ჰქვია.

ინფორმაციული და სხვა სახის კომუნიკაციების განვითარება გარკვეულად ზღუდავს გეოგრაფიული ფაქტორის როლს საერთაშორისო ურთიერთობებში. ახალი გეოგრაფია ყალიბდება ახალი ტრანსნაციონალური მოთამაშეების ფორმირების შედეგად. ეს პროცესი იწვევს რეგიონალიზაციის პროცესის და დიდი სივრცეების ახალი კონსტრუქციების შექმნის მოთხოვნილების პროვოცირებას. ხდება საერთაშორისო ურთიერთობების ერთგვარი ტრანსფორმაცია, რომლის დროსაც იცვლება სახელმწიფოთაშორისი მართვის სისტემის აგების ტრადიციული პრინციპი. იქმნება მსოფლიო ჩრდილოეთი (კარგად განვითარებული გეოეკონომიკური სტრუქტურებით) და ღრმა სამხრეთი (ძალზედ სუსტი გეოეკონომიკური სტრუქტურებით), რომელთა შორის გარდამავალ მდებარეობას იკავებს პოსტსაბჭოთა

სივრცე. გეოეკონომიკურ ძალთა ამგვარ სივრცობრივ ორგანიზაციას მსოფლიოს გეოეკონომიკურ არქიტექტურას უწოდებენ. ამ არქიტექტურის ჩარჩოებში ყალიბდება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ეროვნული ეკონომიკების, ზესახელმწიფოებრივი ეკონომიკური გაერთიანებების, ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და ფინანსური ცენტრების ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან გლობალურ გეოეკონომიკურ სივრცეს. ეს სივრცე დიდი უთანაბრობით ხასიათდება. კერძოდ, მასში კარგად იკვეთება ე.წ. „გეოეკონომიკური უდაბნოები", რომლებიც წარმოადგენენ მსოფლიოს ეკონომიკური და ტექნოლოგიური ცენტრების ანტიპოდებს. ეს ტერიტორიები ხასიათდება ეკონომიკური საქმიანობის აქტიურობის დაცემით, წარმოების შემცირებით, სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქრურის განუვითარებლობით. აქ ხდება კრიმინალური ეკონომიკის აღმოცენება და ფართოდაა ფეხგადგმული კორუფცია.

თანამედროვე გეოეკონომიკური სივრცისათვის დამახასიათებელია ისეთი მოვლენა როგორიცაა დისოციალური რეგიონალიზმი რომლის ძირითადი ნიშანია ტერიტორიული განცალკევებისაკენ სწრაფვა. იგი ძალიან ახლოა ისეთ ტერმინებთან, როგორიცაა ტერიტორიული იდენტურობა, ლოკალიზმი, რეგიონული ავტონომია და ა.შ. უნდა შევნიშნო, რომ ამ ტიპის რეგიონალიზმი ძალზედ ხშირად საერთაშორისო ტერორიზმის და სეპარატიმის მაპროვოცირებელი ხდება. შედეგად ყალიბდება მოცემულობა, როცა სახელმწიფოები მიისწრაფიან პოლიტიკურ–ეკონომიკური განცალკევებისაკენ და იზოლირებული ეკონომიკური სისტემის შექმნისაკენ. ასეთი პროცესი კი ავტარქიის სახელითაა ცნობილი.

თანამედროვე გეოეკონომიკურ სივრცეში, არცთუ იშვიათად, სახელმწიფოები მიმართავენ ეკონომიკური ბერკეტების უკანონო გამოყენებას სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ, მათი ტერიტორიების დაპყრობის, პოლიტიკური სისტემის შეცვლის ან ეკონომიკური დასუსტების მიზნით. სახელმწიფოთა ასეთი მოქმედებები განიხილება როგორც გეოეკონომიკური აგრესია. ცხადია, ასეთ შემთხვევებში სახელმწიფოების მიზანია უზრუნველყონ საკუთარი უსაფრთხოება, პირველ რიგში კი გეოეკონომიკური. გეოეკონომიკური უსაფრთხოება არის ეკონომიკის მდგომარეობა, როცა მას შეუძლია დამოუკიდებლად უზრუნველყოს სახელმწიფოს სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება, სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის აუცილებელი დონის შენარჩუნება და ეროვნული ეკონომიკის სუბიექტთა კონკურენტუნარიანობის დონის

ამაღლება ეკონომიკური კონკურენციის პირობებში. სახელმწიფოთა გეოეკონომიკურ უსაფრთხოებას სერიოზულ პრობლემას უქმნის ჩრდილოვანი ეკონომიკური ურთიერთობები. ამ უკანასკნელში ხდება გადასახადებიდან თავის არიდება, თვითდასაქმება და კრიმინალური ეკონომიკის არსებობა. ზოგადად ჩრდილოვანი ეკონომიკა ორიენტირებულია ისეთი მოგების მიღებისაკენ, როცა არ იხდება გადასახადები. ტერიტორიები რომლებიც ვერ ან არ კონტროლდება სახელმწიფოების მიერ კრიმინალური ეკონომიკის პოლუსების სახელითაა ცნობილი.

ბევრ განვითარებულ ქვეყანაში შექმნილია დაზვერვის ინსტიტუტები, რომლებიც ემსახურებიან მათ გეოეკონომიკურ უსაფრთხოებას. თანამედროვე გეოეკონომიკური დაზვერვა ეს არის ინფორმაციული ქსელის სისტემა, რომელსაც გააჩნია იმ ინფორმაციის მოძიება–დამუშავების, გავრცელებისა და ეფექტურად გამოყენების უნარი, რომელიც საჭიროა ქვეყნის ეკონომიკის სუბიექტებისა და მთლიანად ეკონომიკური სისტემის ეფექტურად მართვისათვის კონკურენტულ გარემოში პოზიციების გაუმჯობესებისათვის.

იმდენად, რამდენადაც გეოეკონომიკა თავისი არსით მულტიდისციპლინარული ხასიათისაა, მასში ფართოდ გამოიყენება მომიჯნავე მეცნიერებების, უპირველეს ყოვლისა კი გეოპოლიტიკის, ეკონომიკური გეოგრაფიის და ეკონომიკური მეცნიერების ტერმინოლოგიური აპარატი. გეოეკონომიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გეოგრაფიულ ფაქტორს, რომელიც წარმოადგენს ტრადიციული გეოპოლიტიკის ერთ–ერთ ფუნდამენტურ ცნებას. გეოპოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესში ეს ფაქტორი უკვე აღარაა გადამწყვეტი (სამხედრო–პოლიტიკური თვალსაზრისით). ამჟამად, ყალიბდება ახალი გეოგრაფიული სივრცე, რომელიც წარმოადგენს დედამიწის კომუნიკაციური სივრცის გეოგრაფიულ ინტერპრეტაციას (მასში გამოყოფენ გეოპოლიტიკურ, გეოეკონომიკური და გეოცივილიზაციურ სივრცეებს), სადაც აქტიურად მიმდინარეობს დეტერიტორიალიზაციის პროცესი. ეს უკანასკნელი გეოფილოსოფიის ერთ–ერთი ძირითადი ცნებაა და ნიშნავს დედამიწის სივრცის ათვისებას და ადგილგანვითარების საზღვრებიდან გასვლას. სწორედ ამ სივრცეში მიმდინარეობს საქმიანი გარიგებები ინფორმაციული ქსელების დახმარებით,რომელიც ელექტრონული კომერციის სახელითაა ცნობილი.

გარიგების ერთ-ერთი სახეა ბარტერული ვაჭრობა,რომელიც არის ერთი სახეობის საქონლის ან მომსახურების ნატურალური გაცვლა სხვა საქონელზე ან მომსახურებაზე. მთლიანი ეროვნული შემოსავალი კი წარმოადგენს გეოეკონომიკის მთავარ

მაკროეკონომიკურ ინდიკატორს და ასახავს პრინციპს: „წარმოებულია ის, რაც გაყიდულია“. რაც შეეხება მთლიან ეროვნულ პროდუქტს იგი წარმოადგენს იმ ყველა მზა საქონლისა და მომსახურების საერთო საბაზრო ღირებულებას, რომელიც ქვეყანამ ერთი წლის განმავლობაში.

ქვეყნების გეოეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია საგარეო სავაჭრო დეფიციტი, რომელიც იქმნება მაშინ, როცა ქვეყნის სასაქონლო იმპორტი აღემატება მის ექსპორტს. ხშირად ბევრი ქვეყანა იხრჩობა საგარეო ვალით, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყანას აქვს უცხოელი მოქალაქეების, ფირმების და ფინანსური ინსტიტუტების ვალი. ამ სიტუაციიდან გამოსვლისათვის ხშირად სახელმწიფოები ქმნიან თავისუფალი ეკონომიკური ზონებს, რომელიც-არის ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, რომელშიც, ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიასთან შედარებით, ეკონომიკური რეგულირების გამარტივებული რეჟიმი მოქმედებს. თავისუფალი ეკონომიკური ზონა შესაძლებელია შეიქმნას არა მხოლოდ ტერიტორიული, არამედ დარგობრივი პრინციპითაც, ანუ შეღავათიანი ეკონომიკური რეჟიმი გარკვეული სახის სამეწარმეო საქმიანობებს დაუწესდეს. გამარტივებული ეკონომიკური რეჟიმი შეიძლება გულისხმობდეს საბაჟო, სავაჭრო, წარმოების და სხვა გამარტივებული წესების არსებობას. შესაბამისად, არსებობს თავისუფალი საბაჟო ზონები, თავისუფალი სავაჭრო ზონები, თავისუფალი სამრეწველო–საწარმოო ზონები, თავისუფალი სამეცნიერო-ტექნიკური ზონები,თავისუფალი მომსახურების ზონები.

საფონდო ბირჟა წარმოადგენს ორგანიზებული ბაზარს, რომელიც მისი წევრი ფინანსური ინსტიტუტების მეშვეობით უზრუნველყოფს სავაჭრო სისტემაში დაშვებულ ფასიან ქაღალდებზე ვაჭრობისა და დადებული გარიგებების შესრულების ორგანიზებას, დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად. ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას. საფონდო ბირჟა, როგორც საჯარო ვაჭრობის ინსტიტუტი, ხელს უწყობს ინვესტიციების მოზიდვას ფასიანი ქაღალდების საჯარო განთავსების და მათი მიმოქცევის ორგანიზების გზით.

თავისუფალი პორტი (porto franco), ნიშნავს პორტს ან ტერიტორიას, სადაც ქვეყნის იურისდიქცია შერბილებულია. ხშირად აქ ეკონომიკური შეღავათებიც მოქმედებს. ადრეულ თავისუფალ პორტებს (მაგალითად ჰონკონგი) პოლიტიკური ავტონომიაც კი ჰქონდათ. დღეს

თავისუფალი პორტის ყველაზე გავრცელებული ფორმაა საბაჟო პუნქტების მიმდებარე ზონები. ასეთი ზონების უმეტესობას საერთაშორისო აეროპორტი ემსახურება. თავისუფალი ვაჭრობა ქვეყნებს შორის საქონლისა და მომსახურების დაუბრკოლებელ გაცვლას ნიშნავს და ეს ტერმინი გამოიყენება ეკონომიკურ პოლიტიკაში ამგვარი ვაჭრობის გაზრდის მომხრეთა-ლიბერალების მიერ.

თავისუფალი ვაჭრობა, როგორც კონცეფცია ეკონომიკასა და სახელმწიფო მმართველობაში მოიცავს:

-საერთაშორისო ვაჭრობას საქონლით ტარიფების (იმპორტზე გადასახადები) ან სხვა ბარიერების (ქვოტები იმპორტზე) გარეშე ;

-საერთაშორისო ვაჭრობა მომსახურეობაზე ტარიფებისა და სავაჭრო ბარიერების გარეშე ;

-მუშახელის თავისუფალი მოძრაობა ქვეყნებს შორის ;

-კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება ქვეყნებს შორის ;

-ვაჭრობისთვის ხელისშემშლელი პოლიტიკის არარსებობა (გდასახადების, სუბსიდიების რეგულირება ან შემზღუდავი კანონები), რომელიც ადგილობრივ ფირმებსა ან საწარმოებებს უცხოელ კონკურენტებთან მიმართებაში უპირატესობას ანიჭებს ;

მთავრობის მიერ საკუთრების უფლებათა დაცვა ზემოთხსენებული პირობების განსამტკიცებლად.

ნეოლიბერალიზმი პოლიტიკურ-ეკონომიკურ ფილოსოფია, რომელიც უარყოფს სახელმწიფოს ჩარევას (ინტერვენციას) ადგილობრივ ეკონომიკაში. ის ყურადღებას ამახვილებს თავისუფალ საბაზრო მეთოდებზე, საწარმოთა ფუქციონირებაში ნაკლებ შეზღუდვებსა და საკუთრების უფლებებზე.

ტრანსნაციონალური კომპანია (კორპორაცია) — კომპანია, რომელიც რამდენიმე ქვეყანაში ფლობს საწარმოო ქვედანაყოფებს ან მინიმუმ ორ ქვეყანაში მაინც აწარმოებს მომსახურებას. ზოგიერთ ვრცელ ტრანსნაციონალურ კომპანიას ბიუჯეტი მრავალ ქვეყანაზე მეტი აქვს. ამგვარ კომპანიებს ძლიერი გავლენა აქვს საერთაშორისო ურთიერთობებზე და ადგილობრივ ეკონომიკებზე. ეს კომპანიები ეკონომიკური გლობალიზაციის მნიშვნელოვან

აგენტებს წარმოადგენენ. ამჟამად, ვითარდება ტრანსნაციონალური კორპორაციის ახალი ფორმა - "გლობალურად ინტეგრირებული საწარმო".

ბრეტონ-ვუდსის სისტემა (Bretton Woods System) — ფულადი ურთიერთობებისა და სავაჭრო ანგარიშგებების საერთაშორისო სისტემაა, რომელიც ბრეტონ–ვუდსის კონფერენციაზე მიიღეს 1944 წლის 1-22 ივლისს). სახელწოდება მომდინარეობს აშშ–ის შტატ ნიუ–ჰემპშიურის კურორტ ბრეტონ–ვუდსიდან. ამ სისტემამ საფუძველი ჩაუყარა ისეთ ორგანიზაციებს, როგორიცაა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD) და საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF). დოლარი გახდა საერთაშორისო ფულის ერთ-ერთი სახეობა, ოქროსთან ერთად. სისტემის მთავარი შემოქმედი და იდეოლოგი გახლდათ ჯონ მეინარდ კეინსი. სისტემის ფარგლებში აშკარად გამოკვეთილი იყო აშშ-ს, როგორც მსოფლიო ეკონომიკის ლიდერის როლი, რადგან მთელი ვალუტების დოლარზე მიბმა მას მრავალ უპირატესობებს აძლევდა. სისტემამ იარსება 70-იან წლებამდე, სანამ თვითონ აშშ არ გამოვიდა სისტემის წინააღმდეგ და უკვე იამაიკის კონფერენციიდან ქვეყნები შეთანხმდნენ საკუთარი ვალუტების მეტნაკლებად ცურვაზე ერთმანეთის მიმართ.

III ლექცია

გეოეკონომიკური აზრის ევოლუცია

3.1 ფრიდრიხ ლისტი გეოეკონომიკის დიდი წინაპარი

3,2 გეოეკონომიკური აზრის ევოლუცია ფრიც რერიგიდან დღემდე

3.3 გეოეკონომიკური აზრის საწყისები საქართველოში

3.1 ფრიდრიხ ლისტი გეოეკონომიკის დიდი წინაპარი

იმის მიუხედავად, რომ გეოეკონომიკა შედარებით ცოდნის ახალი დარგია, დაკვირვებები სივრცის, ეკონომიკის, ისტორიის და პოლიტიკის ურთიერთ- კავშირების შესახებ გვხვდება XIX-XX საუკუნეში მოღვაწე მრავალი მეცნიერის შრომებში. როგორც მისი სახელწოდებიდან ჩანს, ეს მიმართულება სწავლობს homo economics-ს და სივრცეს შორის ურთიერთობას, უფრო

კონკრეტულად კი, სივრცითი ფაქტორების გავლენას საქონლის წარმოება - განაწილების სფეროზე და სივრცის გამოყენებას ეკონომიკური საქმიანობისათვის. ეს ფაქტი საშუალებას იძლევა ვამტკიცოთ, რომ წარსულში ბევრი მეცნიერი ქვეცნობიერად აწარმოებდა გეოეკონომიკური ხასიათის კვლევებს, ვინაიდან "გეოეკონომიკა" არა ამ სახელწოდებით, მაგრამ ყოველთვის წარმოადგენდა საერთაშორისო ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს.

ჩვენთვის უკვე ნაცნობი ფ.ლისტი ამგვარი მკვლევარის საუკეთესო მაგალითია, რომელმაც თავისი ნაშრომებით გეოეკონომიკის ჩამოყალიბებისათვის საუკეთესო გზა შექმნა. მეცნიერი გვთავაზობს არა „თეორიულად მართებულ“ აბსტრაქტულ რეცეპტებს, არამედ კონკრეტული პრობლემების გადაჭრის პრაქტიკულ გზებს. ფ. ლისტის შრომები პრაქტიკაზე ორიენტირებულია და, იმავდროულად, ღრმა სისტემურ ხასიათს ატარებს. ეს არ არის ადამ სმითის, დავიდ რიკარდოს, გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელის ან კარლ მარქსის აბსტრაქტულ-დოგმატური სისტემურობა.

თეორია შეიძლება ლოგიკურად არაწინააღმდეგობრივი, დასრულებული, მაგრამ პრაქტიკაში გამოუსადეგარი იყოს. ასეთია ფ. ლისტის, როგორც თეორეტიკოსის, ხედვა. ის აკრიტიკებს ა. სმითს ისე, რომ არ ეხება მისი თეორიის კონცეპტუალურ სტრუქტურას. ამ კრიტიკის გამო მას კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მოწინააღმდეგედ მიიჩნევენ. სინამდვილეში ეს ასე არ არის. ფ. ლისტი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის არა მოწინააღმდეგედ, უფრო მის რეფორმატორად გვევლინება. ეს სხვადასხვა რამ არის. მას უბრალოდ სურდა შეევსო ის ხარვეზი, რომელიც არსებობდა კლასიკოსთა თეორიებში (თუმცა, ერთადერთი კლასიკოსი, რომელსაც ფ. ლისტი არ აღიარებდა, იყო თომას მალთუსი. მის „ხალხთმოსახლეობის კანონს“ ის ამაზრზენს უწოდებდა). კლასიკოსთა შრომებში ეს ხარვეზი, უპირველეს ყოვლისა, იმაში გამოვლინდა, რომ პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსები საკუთარ თეორიებს უნივერსალურად თვლიდნენ და არ ითვალისწინებდნენ ცალკეული ქვეყნების განვითარების ნიუანსებს.

ფ. ლისტი პირდაპირ საუბრობს პრაქტიკაზე, რომელსაც ემსახურება თეორია. ის შემოქმედია, რაც მის ნაშრომებს პუბლიცისტურ მიმზიდველობას ანიჭებს. მსგავსი რამ ნაკლებად თუ გვხვდება მაღალი რანგის ეკონომისტთა შრომებში. მაგალითად, დავები პროტექციონისტებს და თავისუფალი ვაჭრობის მომხრეებს შორის ეკონომიკურ მეცნიერებაში დიდი ხანია მიმდინარეობს. ის ალბათ მუდმივად გაგრძელდება, რადგან ის ინტერესთა დაპირისპირებაა. თავისუფალი ვაჭრობის

მომხრეები ამტკიცებენ, რომ მათი შეხედულებები ჭეშმარიტების ბოლო ინსტანციაა, რომ პროტექციონიზმს მივყავართ ეკონომიკის სტაგნაციამდე, ხოლო თავისუფალ ვაჭრობას მის აყვავებამდე. სინამდვილეში ამ კითხვაზე სხვადასხვა პასუხია, რომელიც დამოკიდებულია კონკრეტულ გარემოებებზე. გარკვეულ პირობებში შეიძლება უპირატესობა მივანიჭოთ თავისუფალ ვაჭრობას, სხვა პირობებში კი - ეროვნული მეწარმის დაცვას. ყოველ შემთხვევაში ამ პირობებიდან აბსტრაგირება საკითხის განხილვას მის პრაქტიკულ მნიშვნელობას აკარგვინებს.

ქადაგებანი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ XIX საუკუნეში ისეთივე ძლიერად ჟღერდა, როგორც დღეს. დ. რიკარდომ შეძლო თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობის დამტკიცება. სხვადასხვა ქვეყნაში განსხვავებული პროპორცია არსებობს გარკვეული სახეობის პროდუქციის წარმოებაზე. დავუშვათ, აშშ-ში ერთი კომპიუტერის წარმოება ერთი ტონა ნავთობის წარმოებაზე დანახარჯის ეკვივალენტურია, ხოლო რუსეთში დანახარჯი უტოლდება სამ ტონა ნავთობზე დანახარჯს. ამ შემთხვევაში თუ რუსეთი მთელ ძალისხმევას მოახმარს ნავთობის მოპოვებას, ის სამჯერ მეტს გამოიმუშავებს, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ დაიწყებს კომპიუტერების წარმოებას. ამდენად, თითოეული ქვეყნის ეკონომიკისათვის ხელსაყრელია აწარმოოს ის პროდუქცია, რომელზეც მეორე ქვეყანასთან შედარებით ნაკლებს დახარჯავს. შედარებითი უპირატესობის ეს თეორია კარგადაა ცნობილი, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდები. დ. რიკარდოს მთავრი აღმოჩენა იმაში მდგომარეობს, რომ თავისუფალი ვაჭრობის პირობებში სპეციალიზაცია ქვეყნებს აძლევს მაქსიმუმის მიღების შანსს, რომელიც მას შეუძლია მიიღოს არსებული ეკონომიკური სიტუაციიდან. პროტექციონიზმი კი არღვევს ამ სიტუაციას და, შესაბამისად, ქვეყნები იღებენ იმაზე ნაკლებს, რაც მათ შეუძლიათ მიიღონ. აღნიშნულიდან გამომდინარე, თითოეული ქვეყნისათვის თავისუფალი ვაჭრობა არის მაქსიმალური მოგების მთავარი პირობა. ის დღესაც წარმოადგენს ფრიტრედერთა (ვაჭრობის თავისუფლებასა და სახელმწიფოს ჩაურევლობას კერძო მეწარმეთა საქმიანობაში) მთავარ, და ერთი შეხედვით, უტყუარ არგუმენტს. თუმცა, ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს ერთი გარემოება. კერძოდ, დ. რიკარდო ამტკიცებს, რომ ვაჭრობის თავისუფლება ყველასათვის ხელსაყრელია შექმნილ ეკონომიკურ პირობებში. ფ. ლისტის მოღვაწეობის პერიოდში ეს პირობები ასეთი იყო: XIX საუკუნეში სამრეწველო წარმოების ტექნოლოგიური დონე ინგლისში უფრო მაღალია, ვიდრე გერმანიაში ან საფრანგეთში. ამ უკანასკნელთათვის ხელსაყრელია აწარმოონ ხორბლი და გაანადგურონ საკუთარი მრეწველობა. ყიდიან რა ხორბალს, მის სანაცვლოდ

ინგლისიდან იღებენ იმაზე მეტ სამრეწველო პროდუქციას, ვიდრე მათ შეუძლიათ მისი წარმოება. ეს პირდაპირი სარგებელია, მაგრამ ამ პირდაპირმა სარგებელმა ისინი შეიძლება მუდმივი ჩამორჩენილობისათვის გაწიროს და, აი რატომ: ცნობილია, რომ ფ. ლისტის მოღვაწეობის პერიოდში გერმანია და საფრანგეთი ინგლისს სამრეწველო განვითარების დონით ოცი წლით მაინც ჩამორჩებოდნენ. თავისუფალი ვაჭრობის პირობებში კი ეს ჩამორჩენა სამუდამო იქნებოდა. ეკონომიკურ მეცნიერებაში ფ. ლისტმა პირველად გაახმოვანა იდეა, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ეკონომიკური გადაწყვეტილება უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ მოკლევადიანი ეფექტიანობის, არამედ მისი ხანგრძლივი და ირიბი შედეგების თვალსაზრისითაც. მოგვიანებით ალფრედ მარშალმა ამ ირიბ შედეგებს „ირიბი ეკონომია" (External economies) უწოდა (Marshall, 1920). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ლიონელ ჩარლზ რობინსი წერს: „ა. მარშალამდე დიდი ხნით ადრე მსგავსი ეფექტები ფ. ლისტის იმ კვლევების ფოკუსში იმყოფებოდა, რომელიც ეხებოდა მწარმოებელი ძალების განვითარების საკითხებს... მის თეზისში არის ჭეშმარიტების მარცვალი: "კონკრეტულ ისტორიულ პირობებში მრეწველობის გარკვეული დარგის სტიმულირებამ შეიძლება გამოიწვიოს საწარმოო პოტენციალის ზრდა, რომელიც არ იზომება მხოლოდ კონკრეტული პროდუქციის ღირებულებით ან კაპიტალის ზრდით" (Robbins,1968,116).

ამ პერიოდში სხვადასხვა ქვეყნაში თავისუფალი ვაჭრობის მხარდამჭერები უფრო მეტად აქტიურობდენ. მაგალითად, გერმანიაში ფრიტრედერობას მხარს უჭერდა პრუსიის იუნკერობა (მიწისმფლობელები), რომლებიც საკუთარი ხორბლის ექსპორტს იაფი ინგლისური სამრეწველო პროდუქციის სანაცვლოდ აწარმოებდნენ, ხოლო პროტექციონიზმის მომხრედ მრეწველები გამოდიოდნენ. ამ მოცემულობაში ფ. ლისტმა გაბედულად გაილაშქრა მიწათმფლობელთა წინააღმდეგ. ის ამტკიცებდა, რომ მხოლოდ პროტექციონიზმს შეუძლია არა მარტო გერმანიის ჩამორჩენილობის დაძლევა, არამედ ისეთ სახელმწიფოსთან კონკურენციაში გამარჯვებაც, როგორიც ინგლისია.

ფ. ლისტის იდეები მეტნაკლებად მისაღებია ყველა ჩამორჩენილი ქვეყნისათვის. ამ ქვეყნებისათვის მიუღებელი ხდება ის დოგმატური თეორიული სქემები, რომელთაც მათ სთავაზობენ მსოფლიო ეკონომიკის ლიდერები. ამ ტიპის ქვეყნებს განვითარებისათვის სჭირდებათ სპეციალური ღონისძიებების სისტემა, სადაც ერთ-ერთი აუცილებლად პროტექციონიზმია.

ფ. ლისტის იდეებმა დასაბუთება პოვა პრაქტიკაშიც. მაგალითად, სწორედ პროტექციონიზმის წყალობით გერმანიამ XIX საუკუნის ბოლოს და XX-ის დასაწყისში სერიოზული ეკონომიკური ნახტომის განხორციელება შეძლო. სწორედ პროტექციონიზმს უნდა უმადლოდეს იაპონია, რომ მან შეძლო ეკონომიკური საოცრების რეალიზება, რითაც იაპონიის ეკონომიკამ მნიშვნელოვნად გაიმყარა საკუთარი პოზიციები მსოფლიოში. როცა ეწევი და ასწრებ უკვე ხდები თავისუფალი ვაჭრობის მომხრე. დღეს იგივე გერმანია, საფრანგეთი და ნაწილობრივ იაპონია უკვე ასეთი იდეოლოგიის მატარებელნი არიან, აღარაფერს ვამბობ ინგლისზე.

კაპიტალის ბუნება, როგორც ცნობილია, კოსმოპოლიტურია, ვინაიდან მისთვის სულერთია სად და როგორ მიიღებს მოგებას. მთავარია, რაც შეიძლება მეტი მოგება იყოს. თუ არის მოგება, მაშინ სულერთია კოტრდება თუ, პირიქით ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის ქვეყანა. თუ, ვთქვათ, ეკონომიკური გაკოტრების რეჟიმში მყოფი ქვეყნის ხელისუფლებაში ერთდროულად ექვსი წარმომადგენელია, უცებ აღმოჩნდება, რომ ისინი მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების სიაში არიან მოხვედრილნი. ეს კი ნიშნავს, რომ მმართველ ელიტას აწყობს არსებული სიტუაცია. ქვეყნის გაკოტრება არ აწყობს მხოლოდ საშუალო კლასს, რომელიც ამ სიტუაციაში ყველაზე მეტად ზარალდება. ამ დროს სასურველია მოიძებნოს ისეთი გამოსავალი, როცა საზოგადოების ყველა ფენა მეტ-ნაკლებად კმაყოფილი დარჩება. ბუნებრივია, რომ, თუ მსოფლიო ეკონომიკის ლიდერები მდიდრდებიან (როგორც უკვე აღინიშნა, ფ. ლისტის მოღვაწეობის პერიდში ასეთი ლიდერი ინგლისია, ხოლო გერმანია ღარიბ სახელმწიფოდ რჩება), მაშინ ეს ხდება ღარიბი ქვეყნის ხარჯზე.

ფ. ლისტი ა. სმითს აკრიტიკებს არა არსებითად თეორიის გამო, არამედ მიუთითებს, რომ მისი თეორია კოსმოპოლიტურია, რომ ის პრინციპში არ ინტერესდება სივრცობრივი რეალიებით (გეოგრაფიით), ანუ არ ითვალისწინებს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების ეროვნულ თავისებურებებს. ქვეყნებისათვის დოგმატური, საერთო ეკონომიკური კანონების თავსმოხვევა საბოლოო ჯამში ხელსაყრელია ყველაზე უკეთ განვითარებული ქვეყნისათვის (ამ შემთხვევაში, ა. სმითის მშობლიური ინგლისისათვის). აღნიშნულის საპირისპიროდ ფ. ლისტმა ახალი პრაქტიკული მოთხოვნა წაუყენა კლასიკურ პოლიტეკონომიურ მეცნიერებას. კერძოდ, ის თვლის, რომ ეკონომიკური თეორიები არ შეიძლება იყოს უნივერსალური (ცხოვრების სქემისაგან მოწყვეტილი), არამედ ის არის კონკრეტულ-ისტორიული მეცნიერება კონკრეტული ინტერესების

და კონკრეტული პრაქტიკის შესახებ.

საინტერესოა ასევე ის ფაქტი, რომ ფ. ლისტის კვლევები ეფუძნება ერის ბუნებას, რომელიც შუამავალ რგოლს წარმოადგენს პიროვნებასა და კაცობრიობას შორის. ის უპირისპირებს ქვეყნის ტერიტორიაზე განთავსებული ცალკეული სუბიექტების ეკონომიკურ ინტერესებს ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ინტერესებს და გვთავაზობს მათი უზრუნველყოფის ოპტიმალურ საშუალებებს. ნაციონალიზმს ხშირად აქვს არა ეკონომიკური, არამედ ბიოლოგიური (ბიოლოგიური ნაციონალიზმი - კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ადამიანის ბუნების ახსნა მხოლოდ მისი ბიოლოგიური საწყისით ხდება) ბუნება, რომელიც ფ. ლისტისათვის სრულიად უცხო და მიუღებელია. ამ კონცეფციის წარმომადგენლები ცდილობენ საზღვარი გაავლონ საზოგადოების ცალკეულ ფენებს შორის „ეროვნული“ ნიშნით. ბიოლოგიური ნაციონალიზმი ანაწევრებს ქვეყანას და ერთმანეთთან აპირისპირებს მის მოსახლეობას, ყალიბდება სოციალური აპარტეიდი (რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ნიშნით გამორჩეულ მოქალაქეებისათვის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების აღკვეთა), რთულდება ეკონომიკური ურთიერთობები. აღნიშნულის საპირისპიროდ, ფ. ლისტი გვთავაზობს „ეკონომიკური ნაციონალიზმის“ ცნებას (ეკონომიკური კონცეფცია, რომელიც ქვეყნის შიდა ეკონომიკის შენარჩუნება-გდარჩენას ქადაგებს), რომელიც, მისი აზრით, ახდენს ერის კონსოლიდაციას საერთო ეკონომიკური ინტერესების გარშემო და, იმავდროულად, შლის ბიოლოგიურ და კულტურულ გამყოფებს (ამ საკითხს უფრო დეტალურად ოდნავ ქვემოთ შევეხები).

ვინაიდან ფ. ლისტი ჩამორჩენილი ქვეყნების ერთგვარი ქომაგია, ის ქმნის დამწევი განვითარების თეორიას. ეს არის იმის მიზეზი, რომ დამწევი განვითარების (Catching up development) ქვეყნებისათვის (დამწევი განვითარება ზოგადად მსოფლიო ავანგარდის ქვეყნებისაგან იმ ქვეყნების ტექნოლოგიურ-ეკონომიკური და სოციალური ჩამორჩენის დაძლევას გულისხმობს, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ისტორიული პროცესის რაღაც ეტაპზე განუვითარებელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ... თუმცა, ზოგიერთ დამწევი განვითარების ქვეყანებში მათი დაჩქარებული ინდუსტრიალიზაცია ტოტალიტარული რეჟიმების - კომუნიზმისა და ფაშიზმის ჩამოყალიბებით დამთავრდა. მექვაბიშვილი, 2012,25-26) ფ. ლისტი აქტუალურია, ისევე როგორც ა. სმითი და დ.

რიკარდო მსოფლიო ეკონომიკის ლიდერი ქვეყნებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნე, ფ. ლისტი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ქვეყნები განვითარების სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან. ამიტომ თავისუფალი ვაჭრობა, იმის მიუხედავად, რომ უზრუნველყოფს რაღაც აბსტრაქტულ ხანმოკლე სარგებელს მთლიანად მსოფლიო ეკონომიკისათვის, იმავდროულად, ხელს უშლის დამწევი ქვეყნების საწარმოო ძალთა განვითარებას. დ. რიკარდოს „ გაცვლითი ღირებულების“ საპირწონედ ფ. ლისტი ქმნის საგარეო ვაჭრობის საკუთარ თეორიას, რომელსაც ის „ საწარმოო ძალთა“ თეორიას უწოდებს. ფ.ლისტი საწარმოო ძალებში მოიაზრებს საზოგადოებრივი პირობების ერთობლიობას, რომლის გარეშე შეუძლებელია „ერის სიმდიდრის“ შექმნა (ამ აზრით, ფ. ლისტი გაცილებით ღრმა ანალიტიკოსად გვევლინება, ვიდრე კ. მარქსი, რომელიც საწარმოო ძალებში მხოლოდ შრომის იარაღების და საშუალებების სამუშაო ძალასთან შერწყმის ერთობლიობას ხედავდა).

საწარმოო ძალები, ფ. ლისტის გაგებით, ერის სიმდიდრის წყაროა. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მის განვითარებაზე და არა ხანმოკლე ეკონომიკურ სარგებელზე. ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია იმ დარგების განვითარება, სადაც დანახარჯები ჯერ კიდევ მაღალია, ვიდრე უცხოეთში. განავითარო და მოახდინო ინვესტირება, ეს არის დანახარჯების შემცირების ერთადერთი გზა პერსპექტივაში. ღირებულებების ეს დანაკარგი შეიძლება აღვიქვათ, როგორც ერის „სამრეწველო აღზრდის“ ფასი.

მაგალითად, ფ. ლისტისათვის მრეწველობის განვითარება წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ქვაკუთხედს. ის მუდმივად მიუთითებს, რომ ერი, რომელიც მხოლოდ სოფლის მეურნეობითაა დაკავებული, იმ ადამიანს გავს, რომელსაც სამუშაოს შესრულებისათვის მხოლოდ ერთი ხელი აქვს. სწორედ ამიტომ მიიჩნევს ერის სამრეწველო აღზრდას მისი ეკონომიკური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად. ე.წ. „სამრეწველო აღზრდა“, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ინდივიდის პირადი ეგოისტური ინტერესის იგნორირებას ახდენს ერის გადარჩენისა და შენარჩუნებისათვის. ერის რიგმა თაობებმა საკუთარი კეთილდღეობა მსხვერპლად უნდა გაიღონ იმისათვის, რომ ქვეყნის საწარმოო ძალები სწრაფად და ეფექტურად განვითარდნენ. ამასთან, უპირატესობა უნდა მიეცეს წარმოების ისეთი დარგების განვითარებას, რომლებიც კონკურენტუნარიანები არ

არიან უცხო ქვეყნების შესაბამის დარგებთან შედარებით. აღნიშნულის გარდა, მრეწველობის ზრდის ფიქსირებისათვის ის გვთავაზობს აღმზრდელობითი პროტექციონიზმის გამოყენებას (ეს უკანასკნელი წარმოადგენს სახელმწიფოს ღონისძიებათა სისტემას, რომელიც ეროვნულ მრეწველობას უცხოური კონკურენციისაგან იცავს მანამ, სანამ ის არ დადგება ფეხზე და არ გახდება კონკურენტუნარიანი ქვეყნის ფარგლებს გარეთ).

ამ შემთხვევაში მიზანი სწორადაა ფორმულირებული - ერის „სამრეწველო აღზრდა", ჩამორჩენის დაძლევა და დიდი მოგების მოტანა მომავალში (List, 1841). ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გარკვეული აზრით, ფ.ლისტი ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემების ანალიზის ფუძემდებლადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

ფ. ლისტი ამტკიცებს, რომ ნაციის ჭეშმარიტი სიმდიდრე და კეთილდღეობა განპირობებულია არა გაცვლითი ფასეულობის რაოდენობით, არამედ საწარმოო ძალების განვითარების ხარისხით. ამასთან, მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკური ძლიერება. პოლიტიკოსების ამოცანაა გააერთიანონ, ცივილიზებული გახადონ ერები, უზრუნველყონ მათი არსებობა და მდგრადობა. ერის „სამრეწველო აღზრდა" კი მატერიალური ფასეულობების უშუალო წარმოებაზე უფრო მნიშვნელოვანია (List, 1841).

პროტექციონიზმი ფ. ლისტისათვის ამ მიზნის მიღწევას ემსახურება. საწარმოო ძალთა განვითარებისათვის საჭიროა ინვესტიციების მოზიდვა. მაგრამ აქ ჩნდება კითხვა, როგორ მოხდება მათი იმ დარგებში მოზიდვა, რომლებიც ვერ უძლებენ ძლიერი სახელმწიფოს (ფ.ლისტის შემთხვევაში ასეთი სახელმწიფო ინგლისია) კონკურენციას? როდისაა ერი უფრო მდიდარი და ძლიერი, რაც უფრო მეტ სამრეწველო პროდუქციის ექსპორტს ეწევა, რაც უფრო მეტი ნედლეულის იმპორტს ახორციელებს და რაც მეტ ტროპიკულ პროდუქტებს მოიხმარს თუ მაშინ, როცა საკუთარი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად ქვეყანა სპეციალიზდება საწვავის და ნედლეულის ექსპორტზე. ფ. ლისტის აზრით, ამ უკანასკნელს მივყავართ მუდმივი ჩამორჩენილობისა და სიღატაკისაკენ. მაშასადამე, საჭიროა საპირისპირო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას (List, 1841).

ამდენად, ფ. ლისტმა პირველმა მიანიშნა საბაზრო მოდელის შესატყვისობაზე კონკრეტულ ისტორიულ გარემოებასთან, რითაც მთელი პრობლემატიკა სამეცნიერო სფეროდან კონკრეტული

პოლიტიკის ტერიტორიაზე გადაიყვანა. მან საკითხი შემდეგნაირად დასვა: ჩვენ არ უნდა ვწყვეტდეთ „ბაზარი თუ ბაზრის გარეშე“, „ვაჭრობის თავისუფლება თუ თავისუფლების უქონლობა“. ჩვენ უნდა გავარკვიოთ ის, თუ რა გზით უნდა განვავითაროთ საბაზრო ურთიერთობები კონკრეტულ ქვეყანაში ისე, რომ ბაზრის განვითარების თვალსაზრისით უფრო განვითარებულ სამყაროსთან კონტაქტისას არ დაიკარგოს პოლიტიკური ძლიერება, ეკონომიკური სუვერენიტეტი, ეროვნული დამოუკიდებლობა. ამ ურთულეს საკითხს ფ. ლისტმა თვითონვე გასცა პასუხი. ეს პასუხი იყო ავტარქია (ვებსტერის ლექსიკონის მიხედვით ეს არის თვითკმარი და დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის ჩამოყალიბების პოლიტიკა. (ob: www.merriam-webster.com). მისი აზრით, ქვეყნის ეკონომიკის წარმატებით განვითარებისათვის სახელმწიფო და ერი უნდა ფლობდეს მაქსიმალურად შესაძლო ტერიტორიას, რომელიც გაერთიანებულია საერთო ეკონომიკური სტრუქტურით. მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი ეკონომიკური სუვერენიტეტის საწყისი ფაზის მიღწევა. ამ მიზნის მისაღწევად ის გამოვიდა წინადადებით, რომ მომხდარიყო ავსტრიის, გერმანული სამეფო-სამთავროების და პრუსიის გაერთიანება „ერთ საბაჟო“ კავშირში, რომლის ჩარჩოებშიც ინტენსიურად განვითარდებოდა ინტეგრაციული პროცესები და საბაზრო ურთიერთობები. ამასთან, ის დაჟინებით მოითხოვდა, რომ თავისუფალ ვაჭრობაზე შეზღუდვები კავშირის შიგნით მინიმალური ყოფილიყო ან სრულიად გაუქმებულიყო. ექსპორტის საკითხი უკიდურესად ლიბერალიზირებული და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებთან შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მოყვანილი, ხოლო იმპორტი, პირიქით, საბაჟო კავშირში შემავალი ქვეყნების სტრატეგიულ ინტერესებს უნდა დაქვემდებარებოდა (List, 1837).

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ფ. ლისტი ცნობილია, როგორც „ეკონომიკური ნაციონალიზმის“ ფუძემდებელი. მისი თეორიის მიხედვით კი ყველა ცივილიზებული ერი მჭიდრო საერთაშორისო ინტეგრაციისაკენ ისწრაფვის. ის წერს: „ამჟამად უკვე დარწმუნებით შეიძლება იმის განჭვრეტა, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, სატრანსპორტო მიმოსვლის გაუმჯობესების კვალობაზე, მაღალი ცივილიზაციის ხალხები თავისი მატერიალური და გონებრივი ურთიერთობებით ისევე მჭიდროდ იქნებიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, როგორც ასი წლის წინათ ინგლისის სხვადასხვა საგრაფო“ (Лист, 2005,117). მაშინ ჩნდება კითხვა, რაში მდგომარეობს ფ. ლისტის ნაციონალიზმი? თუ „ნაციონალიზმის“ ცნებას ამ სიტყვის კლასიკური გაგებით აღვიქვამთ, მაშინ სხვადასხვა ერის ურთიერთკავშირების გაძლიერება სულაც არ მეტყველებს მის ნაციონალისტურ ხასიათზე. ვფიქრობ, მთავარი აქ ისაა, თუ როგორ განვითარდება ეს ურთიერთკავშირები, ვინ მოიგებს და ვინ

წააგებს მისგან.

გარკვეული აზრით, ფ. ლისტს შეიძლება გეოეკონომიკის წინასწარმეტყველიც კი ვუწოდოთ. მის მიერ დასმული საკითხები ეკონომიკის გლობალიზაციის ეპოქაში ნაწილობრივ რეალიზდება. მაგალითად, ის წერს: "რაც უფრო ვითარდება მრეწველობა, მით უფრო თანაბრად ხდება მისი განაწილება დედამიწაზე და მით უფრო შემცირდება ომში სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობა" (Лист, 2005,118).

ამდენად, ფ. ლისტის აზრით, სამრეწველო განვითარების პროცესში ერების ეკონომიკურ განვითარებაში დისპროპორციების აღმოფხვრამ ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოებს შორის მშვიდობის დამყარებას. მართლაც, მსოფლიოში დღეს არსებული უსაფრთხოების სისტემა შესაძლებელი გახდა მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს შორის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეების დაახლოებით, რამაც პოტენციური გლობალური ომი საყოველთაო თვითმკვლელობად, ფაქტობრივად, უაზრობად აქცია. ცენტრალური საკითხი, რომელსაც ფ. ლისტი აყენებს, არის ის, თუ როგორი საერთაშორისო ინტეგრაციისაკენ წავა მსოფლიო - გლობალურ სისტემისკენ, სადაც სისტემას ყავს ერთი მმართველი (ანუ მაშინდელი ბრიტანეთი), თუ თანაბარუფლებიანი ერების სისტემისაკენ? დღეს ამ პრობლემის აქცენტი რამდენადმე შეცვლილია (ბრიტანეთის ადგილი აშშ-მა დაიკავა), თუმცა პრობლემა დარჩა.

რაც შეეხება ფ. ლისტის სხვა იდეების შემოწმებას ისტორიულ- გეოეკონომიკურ განვითარებასთან მიმართებაში, აქ საინტერესოა შემდეგი დეტალი. კერძოდ, როცა ფ.ლისტი ამუშავებდა ეროვნული ეკონომიკის განვითარების საკუთარ კონცეფციას, მაშინ თანამედროვე მსოფლიოს გეოეკონომიკური ლიდერები (აშშ, გერმანია, იაპონია) მხოლოდ იწყებდნენ ეკონომიკურ აღმასვლას. მოდით აქ დავსვათ მთავარი კითხვა- მათი აღმასვლა ა.სმითის და დ. რიკარდოს (აბსოლუტური და შედარებითი უპირატესობის ექსპლუატაციის ხარჯზე) თუ ფ. ლისტის (კომპლექსური განვითარების ხარჯზე) მიხედვით განხორციელდა? ეკონომიკური ისტორია მოწმობს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ინდუსტრიულ განვითარებაზე გადასვლა დაგვიანებით მოხდა (ინგლისთან შედარებით), მათ ლიდერებში გადაინაცვლეს არა სპეციალიზაციის, არამედ კომპლექსური განვითარების ხარჯზე.

XIX საუკუნის ბოლო მესამედში მაშინდელ ლიდერ ქვეყნებს (უპირველეს ყოვლისა, ინგლისი და საფრანგეთი) ძალიან მიუახლოვდა ახალი ლიდერი გერმანია. ამ ქვეყანაში ძლიერი განვითარება პოვა მაღალი დამატებითი ღირებულების მქონე დარგებმა, რომლებიც

ჩამოყალიბდნენ სახელმწიფოების აქტიური მხარდაჭერით. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დაჩქარებულმა ეკონომიკურმა განვითარებამ გამოიწვია დარგთაშორისი ბალანსის დარღვევა, რაც ცალსახად წარმოადგენდა იმ მსხვერპლს, რომელიც საზოგადოებამ გაიღო ცივილიზაციის სიკეთეებზე ხელმისაწვდომობისათვის.

კონფლიქტი თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკასა და სოციალურ-ეკონომიკური აღორძინების ეროვნულ ინტერესებს შორის ძალიან კარგად ჩანს იაპონიის მაგალითზე. იაპონიაში ტოკუგავას სეგუნატის რეჟიმის კრახი მეტწილად იმან განაპირობა, რომ 1850-იან წლებში ამერიკული და ინგლისური წარმოების იაფი სამრეწველო პროდუქციის შესატანად იაპონიამ იძულებით გააღო ქვეყანა, რამაც დაბალი საბაჟო ტარიფების პირობებში გამოიწვია ქალაქის ხელოსნების და მეწარმეების მასობრივი გაკოტრება, რასაც მოყვა რევოლუცია და ხელისუფლების სათავეში მეიძის რეჟიმი მოვიდა. განახლებულმა იაპონიის სახელმწიფომ 1868-1912 წლებში, ერთი მხრივ, მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა ძაიბუცუსთან (ასე ეწოდებოდა ზოგადად იაპონიის წამყვან ბიზნესკონგლომერატებს), რომელიც უზარმაზარ საოჯახო ბიზნესიმპერიას წარმოადგენდა და, ფაქტობრივად განკარგავდა იაპონიის ეკონომიკას (ჰეივუდი, 2004); მეორე მხრივ, საბიუჯეტო რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი იაპონიის მთავრობამ მიმართა მძიმე მრეწველობის განვითარებაზე, რამაც უკვე XX საუკუნის დასაწყისში საბოლოო ჯამში უზრუნველყო იაპონიის ეკონომიკის შედარებით მაღალი კონკურენტუნარიანობა.

რაღაც ძალიან მსგავსი ხდებოდა 1860-იან წლებში გერმანიაში, მისი გაერთიანების შემდგომ. მთავრობის პატრონტაჟით, ფაქტობრივად, 20 წელიწადში, ამ ქვეყანაში ინდუსტრიის მთელი რიგი დარგები აღმოცენდნენ. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ორივე ქვეყანა გადავიდა ეკონომიკური განვითარების ა.სმითის და დ. რიკარდოს მოდელზე. ვფიქრობ, ამის მიზეზი უნდა ყოფილიყო არა ის, რომ ამ ქვეყნებმა უარი თქვეს ეკონომიკის რეგულირების ძველ მეთოდებზე, არამედ ის, რომ მათ უბრალოდ ფიზიკურად არ გააჩნდათ ეკონომიკის ბევრი დარგი (განსაკუთრებით იაპონიას). ომის შემდგომი კრიზისის დაძლევისთანავე გერმანიაც და იაპონიაც ნელ-ნელა უბრუნდებოდნენ კომპლექსური განვითარების პოლიტიკას. მაგალითად, ცნობილია, რომ 1970-1980-იან წლებში იაპონიის მთავრობამ დიდი ინვესტიცია განახორციელა ნედლეულის წარმოების განვითარებასა და ნახევარფაბრიკატების გამოშვებისათვის საკუთარ საზღვრებს მიღმა, რაც, მთლიანად თუ არა, მნიშვნელოვანწილად ჯდება კომპლექსური განვითარების სტრატეგიის ჩარჩოებში. არ უნდა დაგვავიწყდეს ასევე, ერთი მხრივ, აშშ-ის დიდი წვლილი იაპონიის და

დასავლეთ გერმანიის ეკონომიკების განვითარებაში. ასევე ის ფაქტი, რომ ომის შემდგომ წლებში მსოფლიო ბაზარზე შედარებით დაბალი კონკურენცია იყო.

აშშ-ის ეკონომიკის ისტორია ფ. ლისტის იდეების შემოწმების თვალსაზრისით ყველაზე უფრო საინტერესოა, რამდენადაც 1865 წლამდე ფაქტობრივად არსებობდა ორი „ამერიკა“ (Латов, 2004). ჩრდილოეთის შტატები ეკონომიკას ანვითარებდნენ ფ. ლისტის თეორიის მიხედვით, სამხრეთის შტატები დ. რიკარდოსა და ა. სმითის თეორიის საფუძველზე ვითარდებოდნენ, სპეციალიზდებოდნენ რა სოფლის მეურნეობაზე, კონკრეტულად კი ბამბის წარმოებაზე. რამდენადაც ქვეყანა პოლიტიკურად ერთიანი იყო, ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის მუდმივად მიმდინარეობდა დაპირისპირება საბაჟო ტარიფებთან დაკავშირებით: სამხრეთი მოითხოვდა თავისუფალ ვაჭრობას, ხოლო ჩრდილოეთი - პროტექციონისტურ დაცვას. დიდი ხნის განმავლობაში ჩრდილოეთის შტატების პოლიტიკოსები ცდილობდნენ პროტექციონისტული კანონების მიღებას. ნაპოლეონის ომების შემდგომ აშშ-მა დაიწყო თავისი მრეწველობის დაცვა ბრიტანეთისაგან, მაღალი პროტექციონისტული ტარიფების შემოღებით. 1832 წელს პირველად გაჩნდა ამერიკელი ერის გახლეჩვის რეალური საფრთხე: სამხრეთი კოროლინის შტატის მთავრობამ თავის მთელ ტერიტორიაზე გააუქმა პროტექციონისტული ტარიფები და დაიმუქრა, რომ, თუ მთავრობა მიმართავდა იძულებით ზომებს, ეს შტატი გავიდოდა კავშირის შემადგენლობიდან. ეს კონფლიქტი დროებით ჩაცხრა, როცა პრეზიდენტი ენდრიუ ჯექსონი (ის სამხრეთ კოროლინაში იყო დაბადებული) დათანხმდა ტარიფების დაწევას. ფ. ლისტი ამ მოვლენების და აშშ-ის ირგვლივ გამართული დებატების დროს აშშ მოღვაწეობდა და ამ ქვეყნის გამოცდილებამ ის დაარწმუნა საკუთარი შეხედულებების მართებულობაში. კერძოდ, ეროვნული მრეწველობის სახელმწიფო მხარდაჭერის აუცილებლობაში. ფ. ლისტი მიანიშნებდა, რომ, როცა აშშ-ის კონგრესი დაბლა სწევდა იმპორტის გადასახადს, ეს ამერიკის საზოგადოებისათვის ნიშნავდა ეროვნული წარმოების შემცირებას ყველა დარგში, ასევე ეცემოდა სასოფლო პროდუქციის და მიწის ფასი, რამდენადაც სოფლის მეურნეობაში კონკურენცია ძლიერდებოდა (List, 1837).

ამ დროს ეკონომიკის კლასიკოსები თვლიდნენ, რომ ჩრდილოეთი ამერიკა გამოირჩევა მიწების სიუხვით და ნაყოფიერების მაღალი დონით, ამიტომ სოფლის მეურნეობა მისი სპეციალიზაციის სფერო უნდა ყოფილიყო. თუმცა, თვით პრაქტიკამ უარყო ეს მტკიცებულებები. კერძოდ, 1860-იან წლებში შეიქმნა სიტუაცია, როცა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის კომპრომისის მიღწევის არანაირი შანსი აღარ არსებობდა. რადიკალმა დემოკრატებმა აბრაამ

ლინკოლნის ადმინისტრაციიდან საბაჟო ტარიფის დონე კვლავ გაზარდეს (ეს მოხდა 1861 წლის მარტში). სწორედ ამ დროს იწყება სამოქალაქო ომი აშშ (1861-1865წწ.). ეს ომი, რომელიც ჩრდილოეთის ინდუსტრიულ და სამხრეთის მონათმფლობელურ შტატებს შორის გაჩაღდა, წარმოადგენდა ომს არა იმდენად მონობის წინააღმდეგ (რასაც მოითხოვდნენ ჩრდილოელები), რამდენადაც ეს იყო ბრძოლა პროტექციონისტული ბარიერების გაუქმებისათვის (რასაც ითხოვდნენ სამხრეთელები). ომის შედეგი კი ის გახდა, რომ აშშ-მა ტარიფები საკმაოდ გაზარდა, რომელიც ომის შემდგომაც მოქმედებდა, რამდენადაც ამ ომში ჩრდილოელმა პროტექციონისტებმა გაიმარჯვეს სამხრეთელ ფრეტრედერებზე. თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკაზე აშშ გადავიდა მხოლოდ XX საუკუნეში, როცა ის დაეწია და გაასწრო დიდ ბრიტანეთს.

როგორც დავინახეთ, ახალი ლიდერი ქვეყნების ეკონომიკური ისტორია მათი განვითარების საწყის ეტაპზე გარკვეულწილად ადასტურებს ფ. ლისტის და არა მისი ოპონენტების პოზიციას.

უნდა შევნიშნო, რომ საბჭოთა საქართველოში ამ მეცნიერს ჯეროვანი ადგილი ვერ მოეძებნა. საქმე აქ იდეოლოგიაშია. მაგალითად, იმის მიუხედავად, რომ კარლ მარქსი არ დავობდა ფ. ლისტთან (რომლის მიზეზი იყო ის, რომ ეს უკანასკნელი არ ეხებოდა ექსპლუატაციის, დამატებითი ღირებულების და სხვა, მათგან წარმოებულ საკითხებს, ვინაიდან ის იკვლევდა წარმოების გაზრდის საკითხებს იმის მიუხედავად თუ როგორ მოხდებოდა შემდგომ ნაწარმის განაწილება). იგი ფ. ენგელსთან ერთად, როგორც ცნობილია, აგიტაციას უწევდნენ ფრეტრედერობას, ანუ გარკვეული აზრით მაინც მის წინააღმდეგ გამოდიოდენ. აღნიშნულმა საბჭოთა პოლიტიკური ეკონომიის სპეციალისტებს გაუჩინა მიზეზი მიენიშნებინათ მის სიმპათიებზე აზნაურებისა და მონარქის მიმართ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კი „გაახსენდათ“, რომ ეს მეცნიერი ყბადაღებული „ლებენსრაუმის“ (სასიცოცხლო სივრცის) თეორიის წინამორბედიც იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომ, როცა ჩვენი ქვეყანა დაადგა განვითარების დამწევ მოდელს, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც მის მიმართ დიდი ინტრესი გამოიკვეთა, საქართველოში პოპულარული მაინც ვერ გახდა (ამ ფაქტის ახსნა მე მხოლოდ მეცნიერული პროვინციალიზმის არსებობით შემიძლია). დღეს ეს მეცნიერი ლაკმუსის ქაღალდივითაა. მისდამი დამოკიდებულებით შეიძლება განვსაზღვროთ, თუ რა ან ვის ინტერესებს იცავს ესა თუ ის ეკონომისტი, გეოგრაფი, პოლიტიკოსი, პუბლიცისტი და ა.შ.

3,2 გეოეკონომიკური აზრის ევოლუცია ფრიც რერიგიდან დღემდე

რაც შეეხება გეოეკონომიკური აზრის განვითარებას შემდგომ პერიოდში, აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ თანამედროვე გაგებით „გეოეკონომიკის“ კონცეფცია XX საუკუნის დასაწყისში პირველად გაახმოვანა გერმანელმა მეცნიერმა, ისტორიკოსმა ფრიც რერიგმა, ნაშრომში „ლუბეკის ბაზარი“ (Rörig, 1922).

ძირითადი აქცენტები: მეცნიერი გეოპოლიტიკაში ეკონომიკურ ფაქტორს განიხილავდა, როგორც ცენტრალურს. მისი აზრით, მსოფლიო ეკონომიკაში ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ სად არიან განლაგებულნი მსოფლიო ბირჟის და საინფორმაციო ცენტრები, სადაა კონცენტრირებული მძლავრი წარმოება.

ფ. რერიგის იდეების შემდგომი არტიკულაცია მოახდინეს ფრანგმა მეცნიერებმა - ჯერ ფერნან ბროდელმა, შემდგომ კი ჟაკ ატალიმ და პასკალ ლორომ.

ფერნან ბროდელი, თავისი ნაშრომების: „ისტორია და სოციოლოგია“ (Braudel, 1980), „ცივილიზაცია და კაპიტალიზმი“ (Braudel, 1982) გამო, თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ ისტორიკოს-გეოეკონომისტად. მან პრაქტიკულად პირველმა ჩამოაყალიბა გეოეკონომიკის ეკონომიკურ-გეოგრაფიული წინამძღვრები.

ძირითადი აქცენტები: იგი თავის შრომებში მუდმივად უსვამს ხაზს ეკონომიკის, სივრცისა და დროის უწყვეტ კავშირს. ახალი დროის დადგომასთან ერთად - აღნიშნავდა ფ. ბროდელი - ეკონომიკის დომინანტობა სულ უფრო წონადი ხდება. ეკონომიკა არის ორიენტირი, ანგრევს წონასწორობას, ზემოქმედებს სხვა წესრიგზე. იგი უზომოდ აძლიერებს უთანაბრობას, კეტავს ტერიტორიებს სიღარიბეში ან სიმდიდრეში.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ აშშ-მა მოახდინა გერმანული „სასიცოცხლო სივრცის“ (Haushofer, 1924) გეოპოლიტიკური დოქტრინის ჩანაცვლება „სასიცოცხლო ინტერესების ზონის“ კონცეფციით. ამ კონცეფციის მიხედვით მსოფლიო ლიდერობა მიიღწევა ეკონომიკური ძლიერების გზით. კონცეფციაში აშკარად გამოიკვეთა გეოპოლიტიკის და გეოეკონომიკის დაახლოების ნიშნები. თუ საბჭოთა კავშირსა და გერმანიაში გეოპოლიტიკა პრევალირებდა გეოეკონომიკაზე, აშშ სიტუაცია ამ უკანასკნელის სასარგებლოდ შეიცვალა. ასეთი ცვლილების შედეგი ცნობილია -

ბერლინის კედლის დაცემის შემდეგ „რკინის ფარდის“ აღმოსავლეთით მოქცეული სოციალისტური ეკონომიკა ხუხულასავით დაინგრა. შემდგომ კი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე შეიქმნა მსოფლიოში უდიდესი გეოეკონომიკური უდაბნო, ხოლო აშშ გადაიქცა მსოფლიოს ჰეგემონ სახელმწიფოდ. „სასიცოცხლო ინტერესების ზონის“ კონცეფციის საფუძველი გახდა ახალი სტრატეგია, რომელიც ეკონომიკური ინტერესებით ამართლებდა და დღესაც ამართლებს აშშ-ის ყოფნას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

ამდენად, აშშ-ში საფუძველი ჩაეყარა ახალ გეოპოლიტიკას, რომელშიც პრეველირებს არა პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური ინტერესები. ფაქტობრივად, ეს არის კონცეფცია, სადაც დასაბუთებულია მსოფლიო ლიდერობის მიღწევა გეოეკონომიკური ომის (Geoeconomic War) გზით, რომელშიც ძალზედ ზოგადად, მოიაზრება საფუძვლიანად მოფიქრებული ეკონომიკური კონკურენტი ძალის ნეიტრალიზაციის ან/და ძირის გამოთხრის სტრატეგია ეკონომიკური ინსტრუმენტების (ამ საკითხებს უფრო დეტალურად შემდგომ თავებში განვიხილავ) გამოყენებით.

ტექნიკური პროგრესი მსოფლიო კომუნიკაციების განვითარებაში (განსაკუთრებით საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტში) ხელს უწყობს ამერიკული მონოპოლიების გავლენის სფეროების გაფართოებას. აშშ-ის გეოეკონომიკური კონცეფცია ხდება დასავლელი პოლიტოლოგების, ეკონომისტების და ეკონომ-გეოგრაფების მეცნიერული მსოფლმხედველობის იდეოლოგიური საფუძველი. ამ თვალსაზრისით, დასავლური აზროვნების მთავარი დასაყრდენი გახდა ჰარვარდის უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის სკოლა, რომელიც საფუძვლიანად სწავლობდა და დღესაც წარმატებით იკვლევს გლობალური ეკონომიკისა და კაპიტალიზმის ბუნების საკითხებს. ამ მხრივ, სხვადასხვა ავტორის მიერ მრავალი საყურადღებო ნაშრომია შექმნილი. ვინაიდან ყველას ჩამოთვლა გამიჭირდება, მოკლედ განვიხილავ მხოლოდ რამდენიმეს, რომლებიც ყველაზე ახლოსაა გეოეკონომიკურ პრობლემატიკასთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორ ჯონ ქენეთ გელბრაითის (ამერიკული ეკონომიკური აზრის ერთ-ერთი პატრიარქი) ნაშრომები: „ეკონომიკური მეცნიერების ისტორია: „წარსული როგორც მომავალი“ (Galbraith, 1987) და „სამართლიანი საზოგადოება“ (Galbraith, 1996).

ძირითადი აქცენტები: დასავლეთის საზოგადოების ტრიუმფს ხსნის ამ საზოგადოების ცხოვრების ხარისხის გაცილებით მაღალი სტანდარტებით. ახალი საუკუნის უმნიშვნელოვანეს

ამოცანად მიიჩნევს აგრესიული ნაციონალიზმის გადალახვას.

პროფესორ მარშალ გოლდმანის (გლობალური პრობლემების სფეროში მომუშავე მეცნიერი და სოვეტოლოგი) ნაშრომთაგან განსაკუთრებით ავღნიშნავ: „საბჭოთა ეკონომიკა: მითი და რეალობა“ (Goldman, 1976), „რას შეეჯახა პერესტროიკა“ (Goldman, 1991) და „წარმატებული შანსი: რატომაა ასეთი ძნელი ეკონომიკური რეფორმა რუსეთში“ (Goldman, 1996).

ძირითადი აქცენტები: მ. გოლდმანი ტექნოლოგიებს მიიჩნევს მომავლის ყველაზე არსებითი ცვლილებების წყაროდ. მას სრულიად დასაშვებად მიაჩნია ის აზრი, რომ ზოგიერთი ქვეყანა კვლავ დაუბრუნდეს საზოგადოების კომუნისტურ მოდელს. მისი აზრით, თავისი არსებობის პირველ ათწლეულებში საბჭოთა მოდელმა აჩვენა ცენტრალიზებული გეგმიური ეკონომიკური განვითარების ეფექტურობა, ღარიბი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის განხორციელდა კაპიტალის აკუმულირების სტრატეგია, რომელიც, თავის მხრივ, დაეფუძნა რესურსების მობილიზაციას. საბჭოთა კავშირმა დაიწყო შედარებით იაფი პროდუქტების წარმოება, მაგრამ, როგორც შემდგომ გამოჩნდა, ტექნიკური პროგრესის პირობებში გიგანტური საწარმოები, რომლებიც ამ პროდუქტს აწარმოებდნენ არაკონკურენტუნარიანები აღმოჩნდნენ უცხოეთის ბაზრებზე. არაეფექტური ეკონომიკის და სამხედრო შეიარაღების ერთობლივი ტვირთის ტარება კომუნისტური რეჟიმისათვის სასიკვდილო აღმოჩნდა.

ამერიკელი პოლიტოლოგს, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორ სემიუელ ჰანთინგთონის კალამს ეკუთვნის დიდი მოცულობის ნაშრომი „ცივილიზაციათა შეჯახება და ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება“ (Huntington, 1996).

ძირითადი აქცენტები: ს. ჰანთინგთონი ამტკიცებს, რომ „დასავლეთი უნიკალურია, მაგრამ არა უნივერსალური“. იძლევა მომავლის პროგნოზს, რომლის მიხედვითაც შემდეგი მსოფლიო ომი (თუ ასეთი რამ მოხდება) იქნება ომი ცივილიზაციათა შორის. გამოყოფს აშშ-ის როლს მსოფლიოს მომავალ წესრიგში და მიუთითებს, რომ აშშ-ის ლიდერობის შენარჩუნება ამერიკელებისათვის და, საერთოდ დედამიწაზე საერთაშორისო წესრიგისათვის წარმოადგენს კეთილდღეობისა და უსაფრთხოების, თავისუფლებისა და დემოკრატიის, ღია ეკონომიკის განვითარების აუცილებელ პირობას. განიხილავს რა მსოფლიოში მიმდინარე კონკრეტულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებს, მიანიშნებს ეკონომიკური და, იმავდროიულად, პოლიტიკური რეგიონული კავშირების

ფორმირების ტენდენციაზე, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ამა თუ იმ ცივილიზაციისადმი კუთვნილება.

რბილი ძალის (Soft Power) კონცეფციის ავტორია ამერიკელი მეცნიერი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი ჯოზეფ სამუელ ნაი უმცროსი. მისი შრომებიდან აღსანიშნავია: „რბილი ძალა - მსოფლიო პოლიტიკაში მიზნის მიღწევის საშუალება“ (Nye, 2004) და „ძლიერების მომავალი“ (Nye, 2011).

ძირითადი აქცენტები: „უხეში ძალის“ თეორიისაგან განსხვავებით, რომელიც იძულებისა და ზეწოლის მექანიზმებს იყენებს, „რბილი ძალის“ თეორია სასურველი მიზნის მისაღწევად თანამშრომლობისა და მიმზიდველობის მექანიზმებს ეფუძნება და იდეოლოგიურ - ინტელექტუალურ, მათ შორის ეკონომიკურ, რესურსებს ანიჭებს უპირატესობას. ჯ.ს. ნაის აზრით, რბილი ძალა არის „უნარი, მიაღწიო შედეგს არა ძალდატანების, არამედ დარწმუნებისა და მიმზიდველობის მეშვეობით". „რბილი ძალა" სწორედაც რომ მიმზიდველი ძალაა. მის მიმზიდველობას სხვადასხვა რანგის ფაქტორი და მახასიათებელი განაპირობებს, უმთავრესად კი ღირებულების სისტემათა თანხვედრა, ისე, როგორც ამ ღირებულებების განხორციელების პროცესში თანაზიარობის განცდა.

საერთაშორისო ბესტსელერად იქცა იოშიჰირო ფრენსის ფუკუიამას ნაშრომები: „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი“ (Fukuyama, 1992) და „ნდობა: სოციალური სიკეთისმკეთებლები და კეთილდღეობის შექმნა“ (Fukuyama, 1995). მიუხედავად მათი პოპულარობისა, ჩემი აზრით, პირველი ნაშრომის დიდი ნაწილი უფრო სასურველის რეალურად გასაღების მცდელობაა, ვიდრე რეალობის ობიექტურად შეფასება.

ძირითადი აქცენტები: ი.ო. ფუკუიამა ცდილობს დააამტკიცოს, რომ კაცობრიობა ცხოვრობს პარარერულად მიმდინარე ორი რევოლუციის პირობებში - ინფორმაციულ ტექნოლოგიურსა და ბიოტექნოლოგიურში. ამ ორიდან იგი უპირატესობას ბიოტექნოლოგიურ რევოლუციას ანიჭებს, როცა შესაძლებელი გახდება ადამიანის გენომის კონტროლი და ჩვენი საკუთარი ბუნებით მანიპულირება. ასევე იძლევა უნივერსალური ისტორიის ორ, ერთმანეთის შემავსებელ ნარკვევს, რომელიც, ავტორის აზრით, მოწმობს ადამიანის ევოლუციის ლოგიკურ დასასრულსა და ლიბერალური დემოკრატიის გამარჯვებას. ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკური განვითარების

იმპერატივებზედ. ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საზოგადოება, რომელიც მიისწრაფვის კეთილდღეობისაკენ ან, უბრალოდ იცავს თავს ტექნოლოგიურად ძლიერი სახელმწიფოებისაგან, იძულებულია დაადგეს მოდერნიზაციის იმავე გზას. იმის მიუხედავად, რომ ეკონომიკის კომუნისტური დაგეგმვა ცენტრიდან თითქოს გვთავაზობს დასავლური ინდუსტრიალიზაციის ალტერნატიულ გზას, ეს მოდელი სრულიად არაადეკვატური გამოდგა პოსტინდუსტრიული ეკონომიკის პირობებში. ამდენად, მარქსის დებულების საპირისპიროდ, ეკონომიკური განვითარების ლოგიკას მივყავართ სოციალიზმის კრახამდე და ლიბერალიზმის ტრიუმფამდე.

ცნობილი ამერიკელი მეცნიერ-ეკონომისტის - პიტერ ფერდინანდ დრაკერის ნაშრომები: „ახალი რეალიები“ (Drucker, 1989) და „პოსტკაპიტალისტური საზოგადოება“ (Drucker, 1993) ასევე გახდნენ ბესტსელერები.

ძირითადი აქცენტები: პ. დრაკერი განვითარებული ქვეყნების მთავარ უპირატესობად ამ ქვეყნებში გონებრივი შრომით დაკავებულ მაღალკვალიფიციური მუშაკების დიდ რაოდენობას მიიჩნევს. უმაღლესი განათლების ხელშეწყობის და სამეცნიერო კვლევების ფინანსირებისადმი უყურადღებობა, რომელიც ტიპურია პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის, ავტორს დიდი საფრთხის მატარებლად მიაჩნია არა მარტო ამ ქვეყნების მომავლისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვისაც.

გლობალური ეკონომიკის პრობლემების კვლევაში ერთ-ერთი წამყვანი ამერიკელი მეცნიერია ლესტერ კარლ თუროუ, რომლის ბოლო ნაშრომები აშკარად გამოკვეთილ გეოეკონომიკურ ხასიათს ატარებს. ასეთი რიგის ნაშრომებს განეკუთვნება: „პირისპირ: მომავალი ეკონომიკური ბრძოლა იაპონიას, ევროპასა და ამერიკას შორის“ (Thurow, 1992) და „კაპიტალიზმის მომავალი“ (Thurow, 1995).

ძირითადი აქცენტები: ეს მეცნიერი თვლის, რომ, თუ XIX საუკუნეში ლოკალური ეკონომიკური სისტემები შეიცვალა ეროვნული ეკონომიკებით, XX საუკუნის მიწურულს ეროვნულ ეკონომიკებს ცვლის გლობალური ეკონომიკა. შემოსავლები დამოკიდებული გახდება იმაზე, თუ რამდენად იქნებიან ინტეგრირებული ქვეყნების ეკონომიკები ახალ გლობალურ ეკონომიკაში. ლ.კ. თუროუ XXI საუკუნის სტრატეგიულ რესურსად მოიაზრებს ცოდნას და ადამიანის უნარს, თუ რამდენად სწორად გამოიყენებს მას.

1970-ანი წლების ბოლოს ერთ-ერთი პირველი გეოეკონომიკური შეფერილობის კონცეფცია შექმნა ამერიკელმა სოციოლოგმა იმანუილ ვალერშტაინმა, რომლის ნაშრომმა „მსოფლ - სისტემების თეორია“ (Wallerstein, 1979) დიდი რეზონანსი გამოიწვია მთელ მსოფლიოში. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ მისი მსოფლ-სისტემური მიდგომა შორსაა თანამედროვე გეოეკონომიკის პრინციპებისაგან.

ძირითადი აქცენტები: ე. ვალერშტაინმა წამოაყენა ახალი მეცნიერული პარადიგმა - კაცობრიობის განვითარება ეკონომიკური საქმიანობის სივრცობრივი გააზრების და ეკონომიკური ურთიერთკავშირების კონტექსტში. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ე. ვალერშტაინის კონცეფციის საფუძველს უფრო ეკონომიკურ-გეოგრაფიული, ვიდრე გეოეკონომიკური ლოგიკა განაპირობებს.

ეკონომიკური პროცესების თანამედროვე გეოპოლიტიკური შედეგების პირველი სერიოზული გახმოვანება მაშინ მოხდა, როცა გამოიცა ცნობილი ამერიკელი მეცნიერის პოლ კენედის მეტად საინტერესო ნაშრომი „დიდ სახელმწიფოთა აღმავლობა და დაცემა“ (Kennedy, 1987).

ძირითადი აქცენტები: ნაშრომში ხაზგასმულია, რომ მსოფლიო სამხედრო - ძალის ბალანსში ძირითადი ძვრები მოჰყვა საწარმოო ბალანსში მომხდარ ცვლილებებს, რომ საერთაშორისო სისტემაში სხვადასხვა იმპერიისა და სახელმწიფოს აღზევება და დაცემა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა მოცულობის მატერიალურ რესურსებს ფლობდნენ ისინი.

გეოეკონომიკის მეორე მნიშვნელოვანი გახმოვანება მოხდა ედვარდ ნიკოლაე ლუტვაკის ზემოთ აღნიშნულ ესეში: „გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკისაკენ: კონფლიქტის ლოგიკა და კომერციის გრამატიკა“ (Luttwak, 1990).

ძირითადი აქცენტები: ე.ნ. ლუტვაკი აღნიშნავს, რომ ვაჭრობის მეთოდები ავიწროებენ სამხედრო მეთოდებს. სახელმწიფოები, როგორც სივრცობრივი ობიექტები არ გაქრებიან, მაგრამ გადაეწყობიან გეოეკონომიკაზე, რათა მოახდინონ მათი შესუსტებული გეოპოლიტიკური როლის კომპენსაცია. მეცნიერის აზრით, გეოეკონომიკა საუკეთესო ტერმინია იმ კომპლექსური პროცესის აღწერისათვის, რომელსაც კონფლიქტის ლოგიკა და კომერციის გრამატიკა ჰქვია.

გეოეკონომიკის ამერიკელ მკვლევართა შორის გამოირჩევა ეკონომ-გეოგრაფი ენდრიუ ლეიშონი. ფრიად საყურადღებოა მისი ნაშრომი „ალტერნატიული ეკონომიკური სივრცეები“

(Leyshon, 2003).

ძირითადი აქცენტები: ე. ლეიშონი ამტკიცებს, რომ გეოეკონომიკური თეორია მოიცავს მრავალ განსხვავებულ ელემენტს და გამოყოფს მათ შორის სამ ყველაზე რელევანტურს. ესენია: 1. სახელმწიფოს როლის გააზრება ეკონომიკური ნეოლიბერალიზმის ჩარჩოებში. 2.საერთაშორისო ურთიერთობების „საყოველთაო მარკეტიზაცია“, სადაც გეოპოლიტიკური ინტერესები ყოველგვარ აზრს კარგავს. 3.იმ მრავალი „ეკონომიკების სამყაროს“ არსებობა, რომლებიც მოქცეულნი არიან ეროვნულ საზღვრებში.

თანამედროვე გეოეკონომიკის აქტუალურ საკითხებს განიხილავს უილიამ ნესტერი ნაშრომში „საერთაშორისო ურთიერთობები: გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური კონფლიქტი და თანამშრომლობა“ (Nester, 1995).

ძირითადი აქცენტები: ეს მეცნიერი ამტკიცებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში გეოეკონომიკა დომინანტი ხდება. შემოიტანა რიგი ტერმინოლოგიური სიახლეები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერების განვითარებისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია გეოეკონომიკაში უკვე კარგად დამკვიდრებული ისეთი ტერმინები როგორიცაა: გეოეკონომიკური კონფლიქტი, გეოეკონომიკური თანამშრომლობა, გეოეკონომიკური ძალა, გეოეკონომიკური ბალანსი.

რაც შეეხება ევროპას, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ზემოთ აღნიშნული ფრანგი მეცნიერი ჟაკ ატალი. გეოეკონომიკური თვალსაზრისით მეტად საინტერესოა მისი ნაშრომი „ჰორიზონტის ხაზები“ (Attali, 1990).

ძირითადი აქცენტები: მისი ნაშრომი წარმოადგენს მუნდიალისტური გეოპოლიტიკის განსაკუთრებულ ვერსიას, რომელიც პრიორიტეტად განიხილავს არა კულტურულ, იდეოლოგიურ, ეთნიკურ, რელიგიურ და ა.შ ფაქტორებს, არამედ სივრცესთან ეკონომიკური რეალობის ურთიერთობას - კავშირს. მისი აზრით, „გეოეკონომიკისათვის“ არ არის მთავარი, როგორი ერი ცხოვრობს რომელიმე ადგილზე, როგორია მისი ისტორია, კულტურული ტრადიციები და ა.შ. მნიშვნელოვანია ის თუ სად არის განლაგებული მსოფლიო ფინანსური ცენტრები, სასარგებლო წიაღისეული, ინფორმაციული ცენტრები, მსხვილი საწარმოები. ჟ. ატალი გეოეკონომიკური მიდგომების საფუძველზე გამოყოფს სამ მთავარ რეგიონს (აშშ, ევროპა, იაპონია), რომლებიც, მისი

აზრით, მსოფლიოს ახალი ეკონომიკური ცენტრები გახდებიან.

სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს ასევე ფრანგი მეცნიერ პასკალ ლოროს ნაშრომი: „შესავალი გეოეკონომიკაში“ (Lorot, 1999).

ძირითადი აქცენტები: ამ მეცნიერის აზრით, გეოეკონომიკა შეისწავლის და აანალიზებს გარკვეულ პოლიტიკურ პირობებში სახელმწიფოთა მიერ არჩეულ ეკონომიკურ (განსაკუთრებით, სავაჭრო) სტრატეგიებს, რომლებიც მიმრთულია: ა) საკუთარი ეკონომიკის ან მისი ცალკეული სექტორის დასაცავად; ბ) მსოფლიო ბაზრის გარკვეული სეგმენტის დაპყრობისა თუ გაკონტროლებისკენ; გ) ტექნოლოგიების შესაძენად ნაციონალური ეროვნული საწარმოების დასახმარებლად.

პიტერ დიკენი ინგლისელი ეკონომ-გეოგრაფია (გლობალიზაციის საკითხებზე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო ციტირებადი ავტორი), რომელიც მსოფლიოს გეოეკონომიკური ტრანსფორმაციის პრობლემების ერთ-ერთი საუკეთესო მკვლევარია. მის მრავალ ნაშრომთაგან აღვნიშნავ: „ახალ გეოეკონომიკას“ (Dicken, 1998).

ძირითადი აქცენტები: ავტორი გეოეკონომიკურ პრობლემატიკას განიხილავს ნაკადების კონცეფციის კონტექსტში. ამასთან, გეოეკონომიკური პროცესების შესწავლისას აქცენტს აკეთებს მის სივრცობრივ შემადგენელზე.

იტალიაში გეოეკონომიკის ფუძემდებლად ითვლება კორპუსის გენერალი კარლო ჯანი და პაოლო სავონა, რომლებიც ნაშრომს: „გეოეკონომიკა: ინსტრუმენტები, სტრატეგია და ტაქტიკა“ (Jean, 1991) აგებენ გეოპოლიტიკურ მოდელებზე.

ძირითადი აქცენტები: სახელმწიფოს (როგორც ერის ინტეგრაციის ინსტიტუტის) მთავარ საფრთხედ, ეროვნული ეკონომიკური საზღვრების მოშლის პირობებში, იტალიელი ავტორები მიიჩნევენ არა ღარიბთა სოციალურ ამბოხს, არამედ კაპიტალის მისწრაფებას „მდიდართა ბუნტისაკენ“ (თანამედროვე ევროპული სეპარატიზმი ამის მკაფიო მაგალითია). ასეთი ბუნტი კი ეროვნული კონსოლიდაციის შესუსტების საფუძველი ხდება, იმ ეკონომიკურად წარმატებულ ქვეყნებსა და რეგიონებში, რომლებიც სულ უფრო ნაკლებად ეყრდნობიან სახელმწიფოთა მხარდაჭერას. მათი აზრით, საჭიროა ეროვნული სახელმწიფოს განმტკიცება (ფაქტიურად

საუბრობენ ეროვნული სახელმწიფოს რენაციონალიზაციაზე), რომელსაც სერიოზულ პრობლემებს უქმნის „მტაცებლურ ქალაქები“ და მზარდი გეოეკონომიკური იმპერიები (ევროკავშირის მსგავსი). რამდენადაც ახალი ტექნოლოგიები ამცირებენ მოთხოვნილებას სამუშაო ძალაზე, იტალიელი გეოეკონომისტები მთავრობებისათვის ვერ ხედავენ სხვა გამოსავალს, თუ არა ის, რომ მათ უარი თქვან სოციალურ გარანტიებზე საზოგადოების ქვედა ფენების (ღარიბთა) მიმართ, რათა ინტენსიურად შეუწყონ ხელი კაპიტალს და ეროვნულ ტერიტორიაზე შექმნან სიმდიდრე ნაკლები სოციალური დანახარჯებით.

1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან გეოეკონომიკა მკვიდრდება რუსეთში, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ერნესტ კოჩეტოვმა, პროფესორმა (ის რუსეთის ეკონომიკის სამინისტროს განყოფილების გამგე და რუსეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის აკადემიის კურსდამთავრებულია). აღსანიშნავია მისი ნაშრომი: „გეოეკონომიკა: მსოფლიო ეკონომიკური სივრცის ათვისება“ (Кочетов, 1999).

ძირითადი აქცენტები: მსოფლიო ეკონომიკური სივრცის კვლევაზე, როგორც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თავისებურ სინთეზზე. „რუსული გეოეკონომიკა“ ფორმირების საწყის ეტაპზე ორიენტირებულია ორ მიმართულებაზე : ა) შეიმუშაოს ის ხერხები და სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს რუსეთის ავტონომიური ბაზრის ფორმირებას და ბ) ხელში ჩაიგდოს და გააკონტროლოს „ახლო საზღვარგარეთის“ ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ასევე წარმატებით ვითარდება ეს დისციპლინა უკრაინაში (ვლადიმერ დერგაჩოვი), რომლის ნაშრომი: „გეოეკონომიკა - თანამედროვე გეოპოლიტიკა“ (Дергачев, 2002) „ძალიან ჰგავს“ კოჩეტოვისეულ გეოეკონომიკას.

გეოეკონომიკური ხასიათის კვლევები აქტიურად მიმდინარეობს ჩვენს მეზობელ სომხეთსა (იგორ მურადიანი, 1997) და აზერბაიჯანში (ელდარ ისმაილოვი, 2007,2012). აღსანიშნავია, რომ ჩვენი მეზობლების გეოეკონომიკური ინტერესები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც დღევანდელ მოცემულობაში ნამდვილად არ არის გასაკვირი.

3.3 გეოეკონომიკური აზრის საწყისები საქართველოში

საქართველოში გეოეკონომიკური ხასიათის კვლევების გამოჩენა „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდს

(უფრო კონკრეტულად კი, 1990-ანი წლების მეორე ნახევარი) უკავშირდება. ამ მხრივ, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილმა და მოქმედმა მეცნიერებმა შესანიშნავი ბაზა შექმნეს საქართველოში გეოეკონომიკური კვლევების შემდგომი განვითარებისათვის. ამ კუთხით აღსანიშნავია: არჩილ გეგეშიძის ნაშრომი „გეოპოლიტიკა“,1997; ალექსანდრე რონდელის „პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“, 2003; რას ნიშნავს ძლიერი ქვეყანა, (2014); ვლადიმერ პაპავას: „ცენტრალური კავკაზია: გეოპოლიტეკონომიური ნარკვევი“, 2009; ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკის თავისებურებანი, 2007; „ეკონომიკური ურთიერთობანი ცენტრალურ კავკასიაში“, 2007; ცენტრალური ევრაზია: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება (თანაავტორი ელდარ ისმაილოვი), 2012; „რეგიონული რკინიგზა ცენტრალურ კავკასიაში და საქართველოს ეკონომიკური ინტერესები“ (თანაავტორი ვახტანგ ჭარაია), 2014; თეიმურაზ ბერიძის „ცენტრალური კავკასია და საქართველოს ეკონომიკა“ (თანაავტორები ელდარ ისმაილოვი და ვლადიმერ პაპავა), 2004; მერაბ კაკულიას „ეკონომიკური ზრდის შენელება საქართველოში: პოლიტეკონომიური ასპექტი, 2013; კახაბერ კაციტაძის „გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში“, 2001; კახა გიგოლაშვილის და სერგი კაპანაძის „ევროკავშირის პოლიტიკა: მიმდინარე საკითხები“, 2007; მალხაზ მაცაბერიძის „ბიზნესი და პოლიტიკა საქართველოში“ 2006; ნიკა ჩიტაძის “გეოპოლიტიკა“ 2011; ციცინო ძოწენიძის „საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის ეკონომიკური პრობლემები და პერსპექტივები“, 2013 და მრავალი სხვა ნაშრომი, რომელთა ავტორებს ბოდიშს ვუხდი, რომ ყველას ჩამოთვლა ნამდვილად გამიჭირდება მიზეზთა გამო.

გეოეკონომიკურ კვლევებში აქტიურად არიან ჩართული ქართველი გეოგრაფები. აღსანიშნავია რევაზ გაჩეჩილაძის ნაშრომები: “საქართველო მსოფლიო კონტექსტში”, 2013 და “ჩემი XX საუკუნე”, 2011; ზურაბ დავითაშვილის „გლობალიზაცია და ნაციონალიზმი“, 2003; ვალერიან მელიქიძის „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“, 2006. და მრავალი სხვა ნაშრომი, რომელთა ავტორებს ბოდიშს ვუხდი, რომ ყველას ჩამოთვლა ნამდვილად გამიჭირდება მიზეზთა გამო.

ამდენად, ცივი ომის პერიოდში და მანამდეც მსოფლიო განვითარებაში გეოპოლიტიკა განპირობებული იყო არა ეკონომიკური, არამედ იდეოლოგიური ფაქტორით. შემთხვევითი არაა, რომ გეოეკონომიკა ჩამოყალიბდა სწორედ იმ დროს, როცა „ცივი ომი“ მიუახლოვდა თავის დასასრულს, რომლის შემდგომაც სახელმწიფოთა შორის ახალი კონკურენციული ერა დაიწყო.

კლასიკური გეოპოლიტიკა ჯერ არსად არ გამქრალა. ამიტომ, განვითარების დღევანდელ ეტაპზე გეოეკონომიკის არსი ორგვარად შეიძლება განვსაზღვროთ - როგორც ეკონომიკური პროცესების გეოპოლიტიკური შედეგი და როგორც გეოპოლიტიკური პროცესების ეკონომიკური შედეგები. ხატოვნად თუ ვიტყვით, ცნობილი გამოთქმა „ვაჭრობა მიჰყვება დროშას“ არის გეოპოლიტიკის ეკონომიკური შედეგი, ხოლო „დროშა მიჰყვება ვაჭრობას“ წარმოადგენს ეკონომიკური პროცესების გეოპოლიტიკურ შედეგს (Baru, 2012,2).

გეოეკონომიკის თეორიული წინამძღვრების ზოგადი ანალიზიც კარგად გვიჩვენებს, რომ მასში აქცენტები სივრცისა და ეკონომიკის კავშირების კვლევაზე კეთდება. ეს კავშირები ვლინდებოდა მაშინ, როცა პოლიტიკა გარკვეულ ამოცანებს აყენებდა და ითვალისწინებდა ეკონომიკურ ინტერესებს. თავის მხრივ, ეკონომიკა პოლიტიკას აწვდიდა იმ ფინანსურ, ტექნოლოგიურ და სამრეწველო რესურსებს, რომელიც აუცილებელი იყო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ამასთან, ეკონომიკური სანქციების და ემბარგოს სახით, პოლიტიკა ეკონომიკას იყენებდა როგორც გარკვეული სახის იარაღს. ყველაფერი ეს ადრეც ხდებოდა, თუმცა ტერმინ გეოეკონომიკის დამკვიდრება მყისიერად არ მომხდარა. თუ რატომ, ამისათვის სასარგებლოა განვიხილოთ ის ისტორიული სივრცე რომელშიც დაიხვეწა და ზუსტად შემოიხაზა გეოეკონომიკის ფუნქციონირების არეალი. ამ კუთხით საუკეთესო მაგალითად მივიჩნევ გასული საუკუნის მეორე ნახევარს. უფრო კონკრეტულად კი 80-იან წლებს. ეს არის პერიოდი როცა აშშ-ის სწორმა ეკონომიკურმა სტრატეგიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა უდიდესი იმპერიის დაშლაში და მეორეს მხრივ, სათავე დაუდო თანამედროვე გეოეკონომიკის ფორმირებას.

IV ლექცია.

ბიპოლარულობის პერიოდის გეოეკონომიკა

4.1 ჯორჯ ქენანის „გეოეკონომიკა“

4.2 სსრკ დაშლა გეოეკონომიკური სტრატეგიის 5 ვექტორის კონტექსტში

4.3 აშშ გეოეკონომიკური სტრატეგის ცივი ომის პერიოდში

4.1 ჯორჯ ქენანის „გეოეკონომიკა“

„გეოეკონომიკის“ ცნება ჯერ კიდევ ახალია და არცთუ ხშირად გამოიყენება ქართულ მეცნიერულ სივრცეში. ქართველი მკითხველისათვის ეს ტერმინი ბუნდოვანია და ამ სფეროში მომუშავე მეცნიერებს შორის სერიოზული პოლემიკა მიმდინარეობს ცოდნის ამ ახალი დარგის ადგილსა და როლზე თანამედროვე საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში. გეოეკონომიკის საყოველთაოდ მიღებული განმარტება ჯერჯერობით არ არსებობს და ალბათ კარგა ხანს არც იქნება (Kvinikadze, Pkhakadze, 2012,49). ტერმინის თანამედროვე არსის გარკვევისათვის სასარგებლოა ისევ მივმართოთ ისტორიას და განვიხილოთ მისი პრაქტიკაში რეალიზების ისტორიული პირობების სპეციფიკა.

როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომისშემდგომმა შეთანხმებებმა, რომლებიც მიღებულ იქნა იალტის (1945 წლის 4-11 თებერვალი) და პოტსდამის (1945 წლის 17 ივლისი - 2 აგვისტო, 1945) შეხვედრებზე, მნიშვნელოვნად შეცვალა საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურაც და დინამიკაც. ორ, შედარებით კოჰერენტულ ბლოკს შორის დაიწყო დაპირისპირება, რომელმაც 40 წელზე მეტხანს გასტანა. ამ პერიოდის განმავლობაში საერთაშორისო პოლიტიკური ძალები გაერთიანდნენ აშშ-ის და საბჭოთა კავშირის ირგვლივ. ამ პერიოდის ძირითადი გეოეკონომიკური ნიშნებია: 1. ბირთვული იარაღის „ურთიერთშეკავების ფაქტორად“ გადაქცევა, რადგან ორივე მხარემ შეიგნო, რომ ახალი მსოფლიო ომის დაწყება თავად მისთვისაც მომაკვდინებელი იქნებოდა; 2. გამალებული შეიარაღება, სულ უფრო მაღალი დონის შეტევითი და თავდაცვითი სამხედრო სისტემების შექმნა; 3. ეკონომიკასა და პოლიტიკაში მოხდა თავისუფალი ვაჭრობის და ლიბერალური დემოკრატიის იდეების კონფლიქტი ეტატიზმის და ავტორიტარიზმის იდეებს შორის. აშშ და საბჭოთა კავშირი კონფლიქტის მთავარი მონაწილენი იყვნენ. თუმცა, კონფლიქტი მწვავედ განვითარდა იმ ქვეყნებშიც, რომლებიც ამ ორი მოდელის ცალკეული აქტორების ერთმანეთთან შეთანაწყობისაკენ მიისწრაფოდნენ, ანუ ერთნი ცდილობდნენ გარკვეული ნაზავის მიღებას ლიბერალური დემოკრატიით და სახელმწიფო კაპიტალიზმით (მაგალითად, ინდოეთი), ხოლო მეორენი - თავისუფალი მეწარმეობით და სამხედრო ან/და ერთპარტიული მმართველობით (მაგალითად, „აზიის ვეფხვები“, ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა). მსოფლიო შევიდა „ცივი ომის“ ფაზაში. აქვე შევნიშნავ, რომ ტერმინი „ცივი ომი“

მიეწერება ცნობილ ბრიტანელ მწერალსა და პუბლიცისტ ჯორჯ ორუელს. მან „ცივი ომი“ ახსენა ესეში „თქვენ და ატომური ბომბი“. მასში იგულისხმა ის მუდმივი ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და იდეოლოგიური ვითარება, რაც აშშ-ს, მის მოკავშირეებსა და საბჭოთა კავშირსა და მის მოკავშირეებს შორის ჩამოყალიბდა (Orwell, 1945).

„ცივ ომში" აშშ-ის და საბჭოთა კავშირის დაპირისპირება მიმდინარეობდა რა ბირთვული იარაღის გამოყენების შიშის ატმოსფეროში, ამ ორი ზესახელმწიფოს სამხედრო შეჯახება ორივე მხარისათვის დაუშვებლად მიიჩნეოდა. ამ ფაქტორის გამო „ცივი ომის“ არსს ორი სისტემის ეკონომიკური და პოლიტიკური დაპირისპირება წარმოადგენდა, რომელიც გარკვეულწილად იყო „ომი ქანცის გაწყვეტამდე“. გამალებული შეიარაღება, სისტემათა შეჯიბრი სამხედრო და პოლიტიკური გავლენის სფეროებისათვის დეტალურადაა შესწავლილი, მაგრამ იმ პარადოქსული ეკონომიკური სვლების მეცნიერული ანალიზი, რომელსაც აშშ იყენებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ არასრულყოფილია.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ საერთაშორისო ურთიერთობებში გეოეკონომიკური მიდგომის ლიდერი აშშ გახდა. ანტიჰიტლერული სამოკავშირეო კოალიციის ფონზე დაიბადა „ერთიანი მსოფლიოს“ ახალი გეოეკონომიკური დოქტრინა (თანამედროვე გაგებით), რომლის ავტორები იყვნენ ამერიკელი დიპლომატები: ჯორჯ ფროსთ ქენანი და უილიამ ქლეიითონი. მათ დაამუშავეს „შეკავების კონცეფციის“ ის ძირითადი დებულებები, რომელიც სხვა ასპექტებთან ერთად ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის ჩართვას ახალ მსოფლიო წესრიგში (Kennan,1947). ჯ. ქენანის (ის იმ დროს აშშ-ის ელჩის მოადგილე იყო საბჭოთა კავშირში) აქტიური მონაწილეობით დამუშავებულ ე.წ. მარშალის გეგმაში, რომლის ოფიციალური სახელწოდება იყო „ევროპის აღორძინების პროგრამა“ (European Recovery Program-ERP- აშშ-ის ადმინისტრაციამ ე.წ. მარშალის გეგმის ფარგლებში ევროპის ქვეყნების აღორძინებისთვის 13 მილიარდ დოლარამდე გამოყო, რაც მაშინდელი კურსით უზარმაზარი თანხა იყო), გათვალისწინებული იყო ეკონომიკური დახმარების გამოყოფა საბჭოთა კავშირისათვის, რასაც ხელი უნდა შეეწყო ამ ქვეყნის მეტი ეკონომიკური გახსნილობის და საგაზრო ურთიერთობის განვითარებისათვის. გეოპოლიტიკური ამბიციებით შეპყრობილმა იმდროინდელმა საბჭოთა იმპერიის მმართველმა ელიტამ მაშინ უარი თქვა ამ პროგრამაში მონაწილეობაზე. ამ უარით საბჭოთა კავშირმა დაუშვა დიდი სტრატეგიული შეცდომა, როცა მომავალი სტრატეგია წარმართა „წარმოების სწორხაზოვანი ლოგიკით“ და არა

„სტრატეგიის პარადოქსული ლოგიკით“. შედეგი კარგადაა ცნობილი.

ჯ. ქენანის თეზისის ძირითადი გეოეკონომიკური ხასიათი იმაში მდგომარეობდა, რომ მან ამერიკის უსაფრთხოებისათვის მსოფლიოს ოთხი სტრატეგიული ცენტრის (ბრიტანეთი, გერმანია, იაპონია, საბჭოთა კავშირი) გამოყოფას საფუძვლად ომის წარმოებისათვის საჭირო სამრეწველო პოტენციალის არსებობა დაუდო.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეკონომიკური ძლიერების გეოპოლიტიკამ უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა „ცივი ომის“ პერიოდში. აღნიშნული გეოეკონომიკური სტრატეგია დაედო საფუძვლად ახალი „სასიცოცხლო ინტერესებების ზონის“ თეორიას. ჯ. ფ. ქენანი ფიქრობდა, რომ ეკონომიკური კონკურენცია არის არა ომი, არმედ ის არის ინტერესებისათვის ურთიერთმეტოქეობა.

თუ უფრო ღრმად წავალთ ისტორიაში, ამ თეორიის ფუძემდებლებად შეიძლება მოვიაზროთ არა ჯ. ქენანი, არამედ გერმანელი გეორგ ფრიდრიხ ლისტი (List,1904) და ამერიკელი ეკონომისტი ალექსანდრე ჰამილტონი (Hamilton,1929). მათ ძირითადი აქცენტი იმაზე გააკეთეს, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს თავის წარმოებას, რათა შეინარჩუნოს საკუთარი ხელისუფლება. თავის მხრივ, დანიელი ეკონომისტის, ელი ფილიპ ჰაქშერის (Heckscher,1922) და ინგლისელი დიპლომატის, ედვარდ ჰალეტ კარის (Carr,1939) აზრით, სახელმწიფომ საკუთარი ეკონომიკური ძლიერება უნდა გამოიყენოს იმისათვის, რომ გააერთიანოს და იბატონოს იმ სისტემაში, რომელიც მოქცეულია მისი გავლენის სფეროში. ჯოზეფ შუმპეტერის „გეოეკონომიკა“ კი ამტკიცებდა, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ხელისუფლების სტრუქტურული ცვლილებების ყველაზე უფრო დინამიკურ წყაროს ინოვაციები წარმოადგენს (Schumpeter,1939)

ამ თეორიული აზრის წარმატებით განვითარების მიუხედავად, რეალობა აჩვენებს, რომ თანამედროვე მსოფლიო განვითარების ახსნა მხოლოდ ეკონომიკის ან ფინანსების პოზიციებიდან არ შეიძლება. თუმცა, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში გეოეკონომიკის დომინანტობა გეოპოლიტიკაზე ჩემში ეჭვს არ იწვევს. ქვემოთ ამის მრავალი მაგალითი მაქვს მოყვანილი. მანამდე კი მკითხველისათვის ალბათ საინტერესო იქნება მცირე ამონარიდი ე.ნ. ლუტვაკის ინტერვიუდან, რომელშიც ის სამხედრო სტრატეგის და გეოეკონომისტის პოზიციებიდან აფასებს ჯ. ქენანის მოღვაწეობას. ერთი, რაც ქენანს ყველაზე კარგად ესმოდა იყო

ის, რომ საერთო ჯამში სტალინთან დიალოგი შეუძლებელია. ეს ფაქტი სრულიად არ გამორიცხავდა კონტაქტებს ტაქტიკურ დონეზე. 1944 წლიდან მოყოლებული, მოკავშირეები უკვე აღარ ახდენდნენ სტალინის იდეალიზებას, მაგრამ მათ შემორჩათ სტალინთან ნორმალური დიპლომატიური დიალოგის შესაძლებლობის ილუზია. დასავლეთის პოლიტიკური წრეების ცნობიერება გამსჭვალული იყო ანგლოსაქსური შტამპებით, რომელიც სრულიად უცხო იყო რუსული ტრადიციებისა და სტალინის რეჟიმისათვის. ქენანისათვის დამახასიათებელი იყო სნობიზმი, რომელმაც ბრძოლის ტექნიკის თვალსაზრისით ხშირად დააზარალა. 1950-იანი წლების დასაწყისში მისი კარიერა დაღმა დაეშვა. მას ძალზედ ზედაპირული წარმოდგენა ჰქონდა საგარეო პოლიტიკაში სამხედრო ფაქტორის როლზე. ავიღოთ თუნდაც მისი მოსაზრება გამალებული შეიარაღების შესახებ. ეს მოსაზრებები მთლიანად ჯდებოდა კლიშეში, რომ მილიტარიზაცია ეკონომიკურად დამღუპველია, სტრატეგიულად უაზრო და პოლიტიკურად საშიშია, რომელსაც თავისთავად შესწევს ომის პროვოცირების უნარი. ის, რაც მან ვერ გაიგო (რაც მაშინაც და დროთა განმავლობაში კიდევ უფრო ცხადი გახდა), იყო ის, რომ თერმობირთვულ ერაში გამალებული შეიარაღება ზესახელმწიფოთა მეტოქეობის შედარებით უწყინარ ფორმად გადაიქცა, რომლებმაც ზემძლავრი იარაღის ხელმისაწვდომობის გამო დაკარგეს საკუთარი გეოპოლიტიკური დავების გადაჭრის შესაძლებლობა ომისა და ტერიტორიების მიტაცების გზით. მილიტარიზაცია, როგორ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, „ცივი ომის“ პერიოდში დაძაბულობის განმუხტვის საშუალებას წარმოადგენდა. თუ ადრე, როცა მასშტაბური ომის პროვოცირება რეალური იყო, კიდევ შეიძლებოდა გამალებულ შეიარაღებაში დესტაბილიზაციის ფაქტორის დანახვა. იმ ეპოქაში, როცა ბირთვულ სახელმწიფოთა პირდაპირი სამხედრო შეჯახება უაზრო გახდა, მან დაკარგა თავისი მავნე ზეგავლენა. უფრო მეტიც, ადრე ომში მხოლოდ გამარჯვება ან დამარცხება განსაზღვრავდა მოცემული სახელმწიფოს მანევრის თავისუფლებას და მის ადგილს მსოფლიო რეიტინგებში. ამჟამად, ძალთა ბალანსში და გამალებულ შეიარაღებაში დიპლომატიური წონის საზომი ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობის ხარისხი ხდება. გამალებული შეიარაღება, როგორც კონფრონტაციის პრევენციის და როგორც უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრის საშუალება, უჯობესია გამოყენებულ იქნეს ომის პრევენციისათვის. ჯ. ქენანმა, რომელიც იმყოფებოდა სტერეოტიპების ტყვეობაში, ვერ დაინახა გამალებული შეიარაღების, როგორც საერთაშორისო სტაბილურობის ფაქტორის მნიშვნელობა. მას შემდეგ, რაც ნ. ხრუჩოვმა წაგო კუბის კრიზისი, მან დაიწყო იარაღის მასობრივი წარმოება, რომლიც მძიმე ტვირთად დააწვა

საბჭოთა იმპერიას და რომელმაც საბოლოო ჯამში დიდი როლი ითამაშა საბჭოთა სისტემის ჩამოშლაში ისე, რომ აშშ-ის მხრიდან ერთი გასროლაც არ ყოფილა... 1970-იან წლებში აშშ-ის ისტებლიშმენტის მსოფლმხედველობა, რომელიც ჩამოყალიბდა ვიეტნამში განცდილი დამარცხების კვალობაზე, კიდევ ერთ ისეთ დოგმას შეიცავდა, რომელსაც ჯ. ქენანიც იზიარებდა. ეს იყო დოგმა, რომლის მიხედვითაც არსებობდა ამერიკის სტრატეგიული ინტერესების რაღაც ოპტიმალური, ერთხელ და სამუდამოდ მიცემული პერიმეტრი: ის რაც პერიმეტრის შიგნითაა - ექვემდებარება დაცვას, რაც გარეთაა - დასაშვებია მსხვერპლის გაღებისათვის. ქვეყნების დახარისხებას მარჯვნივ-მარცხნივ, რომელიც შეიძლება დამოკიდებული იყოს მათი მოსახლეობის რასობრივ-ეთნიკურ შემადგენლობაზე ან ეკონომიკურ ძლიერებაზე, მნიშვნელობა არ აქვს. ამ შემთხვევაში მთავარია მხოლოდ ის, რომ შიდა პერიმეტრში ქვეყნების შეყვანის ან მათი მარგინალიზაციის კრიტერიუმები აპრიორი ფიქსირდება და არა იმ ცვალებადი ძალთა ბალანსის დინამიკის ფონზე, რომელიც ყალიბდება მსოფლიო ზესახელმწიფოთა დაპირისპირებისას. ეს თანაფარდობა ის ერთადერთი კრიტერიუმია, რომელიც უნდა გამოიყენოს აშშ-მა მაშინ, როცა წყვეტს საკითხს, თუ ვინ უნდა დაიცვას აგრესიისაგან. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაიცვას, წინა ხაზზე, თუ შორიდან, უკვე სამხედრო-სტრატეგიული კონკრეტიკაა... ამ კონტექსტში ჯ. ქენანს უნდა სცოდნოდა, რა დაემართა სამხრეთ კორეას. პენტაგონის გათვლებით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველ წლებში სამხრეთი კორეა გაყვანილ იქნა აშშ-ის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესების სფეროდან (ანუ ვერ მოხვდა შიდა პერიმეტრში). იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ასეთ მოქმედებას ჰქონდა თავისი საფუძველი. ეს იყო ღარიბი ქვეყანა, ჰყავდა საშინელი მტერი ჩრდილოეთი კორეის სახით. რაც მთავარია, ის აზიის კონტინენტის (აზია კონტინენტად მიიჩნევა ევროპაში, ლათინურ ამერიკაში, აღმოსავლეთ აზიაში) ნაწილს წარმოადგენდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მისი დაცვა უნდა მომხდარიყო სახმელეთო და არა საზღვაო ან საჰაერო ძალებით, რომლითაც ძლიერი იყო აშშ. ეს ყველაფერი უკავშირდებოდა დიდ რისკებს და ნაკლებ სარგებელს. სხვა საქმე იყო კუნძულოვანი იაპონია, ფილიპინები, ტაივანი და ა.შ. 1959 წლის 25 ივნისს, როცა ჩრდილოეთ კორეის ჯარებმა გადაკვეთეს სამხრეთ კორეასთან გამყოფი ხაზი, პენტაგონი თითქოს გამოფხიზლდა და მისი უწინდელი გათვლები კვამლივით გაიფანტა. ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ობიექტურად სამხრეთ კორეის მდგომარეობაში არაფერი შეცვლილა იმის გარდა, რომ ჩრდილოეთიდან მომდინარე საფრთხე შეიცვალა ფაქტობრივ: ამერიკის არმიის დახმარების გარეშე ის როგორც ადრე, კვლავ დარჩებოდა ღარიბ, მოწყვლად

ქვეყნად. მხოლოდ საომარი მოქმედებების დაწყებისას გაახსენდათ ვაშინგტონში, რომ ამერიკა წყნაროკეანური ზესახელმწიფოა; რომ კორეა ერთადერთი კონტინენტური დასაყრდენია აზიასა და კალიფორნიას შორის (ჰავაი და მიკრონეზიის კუნძულები მხედველობაში არ მიიღება) და თუ კორეა უბრძოლველად ჩაბარდებოდა, იაპონია ოკუპაციური რეჟიმის დასრულების შემდგომ ამერიკის ბანაკში დიდხანს არ დარჩებოდა. ეს ომი ამერიკას დიდი ადამიანური და მატერიალური რესურსების ფასად დაუჯდა, მაშინ, როცა საერთოდ შეეძლო მისი თავიდან აცილება, თუ თავის დროზე ღიად და მტკიცედ განაცხადებდა, რომ ის დაიცავდა სამხრეთ კორეას. მე მჯერა, რომ ჯ. ქენანი მართალი იყო დიპლომატიის ნაწილში, მაგრამ ძალიან ცდებოდა სამხედრო სტრატეგიაში (golos-ameriki.ru,2005,06.15).

აღნიშნულ პერიოდში გეოპოლიტიკა კომპრომეტირებული აღმოჩნდა იმის გამო, რომ მან მოახდინა აგრესიის წახალისება. ამ მოცემულობაში აუცილებელი გახდა ძველი თეორიების გადახედვა ახალი რეალიების გათვალისწინებით. რასაც შეეცადა კიდეც გეოეკონომიკა, რომელმაც თავისებურად ჩამოაყალიბა გეოპოლიტიკის ორი ძირითადი საკითხი. კერძოდ, რას წარმოადგენს ძლიერება (ეს ცნება შეიძლება განვსაზღვროთ როგორც რესურსების, შესაძლებლობებისა და გავლენის ხარისხი) და სად და როგორ მატერიალიზდება ის. გასული საუკუნის მიწურულს მას დაემატა კიდევ ერთი. კერძოდ, გამოიკვეთა დიდი ინტერესი ძლიერებას, სივრცესა და ეკონომიკას შორის კავშირების შესწავლისადმი, რაც ნიშნავდა გეოეკონომიკის მოდაში შემოსვლას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნებისმიერი მოდა თავისი ეპოქის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშნის ამსახველია.

4.2 სსრკ დაშლა გეოეკონომიკური სტრატეგიის 5 ვექტორის კონტექსტში

ე.ლუტვაკი განასხვავებს „წარმოების სწორხაზობრივ ლოგიკას“, „სტრატეგიის პარადოქსული ლოგიკისაგან“. პირველი ლოგიკით - საწარმოო და კომერციული საქმიანობისას, როგორც წესი საქმე გვაქვს პასიურ და არასულიერ საგანთან ან/და რეალურ ან პოტენციურ პარტნიორთან, რომელიც დაინტერესებულია იმით, რომ საქმიანი ურთიერთობა დასრულდეს კონსტრუქციული შედეგით. მეორე ლოგიკით-სამხედრო ომში ჩვენს წინაშეა მოწინააღმდეგე, რომელსაც გააჩნია მოქმედების თავისუფლება და სულაც არ არის დაინტერესებული იმით, რომ საპირისპირო მხარისათვის პროცესი დასრულდეს პოზიტიური შედეგით. საომარი მოქმედებების დროს არავის არ აქვს მითითება იყოს კონსტრუქციული, პირიქით, ეშმაკობა და მოტყუება ამ დროს გადაქცეულია

მამაცობად, ხოლო არალოგიკურმა, არასტანდარტულმა და პარადოქსული მოქმედების უნარმა შეიძლება მოიტანოს იმაზე მეტი სარგებელი, ვიდრე ყველაზე ჭკვიანურად და გონივრულად გადადგმულმა ნაბიჯებმა (Luttwak,2001).

ამოთ აღნიშნული სიტაციის არაპირდაპირი ახსნა მოცემულია ე. ლუტვაკის ნაშრომში „ბიზანტიის იმპერიის სტრატეგია“ (Luttwak,2009). ნაშრომში იკვეთება სტრატეგიის შემადგენელი ხუთი ვექტორი, რომლის საშუალებითაც შეიძლება გაანალიზდეს დიდი იმპერიის შექმნის, არსებობის და დაშლის პროცესი.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია „იმპერიის ტერიტორიის ოპტიმალური ზომა“, რომლის მიხედვითაც, თუ ქვეყანა ძალიან პატარაა, მას არ შეუძლია საკმარისი რესურსების მობილიზება იმისათვის, რომ გახდეს გეოპოლიტიკური არენის ღირსეული მოთამაშე. იმპერიას, თუ მან თავისი კონტროლის ქვეშ მოაქცია განსაკუთრებით დიდი ტერიტორია, რაღაც მომენტში უჭირს თავისი სამფლობელოების ეფექტური მართვა. მაგალითად, რომი იძულებული გახდა უარი ეთქვა თავისი პროვინციების ნაწილზე - ადრე მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებზე (ბრიტანია), რამდენადაც მას არ შეეძლო მათი ეფექტური მართვა. ამის გარდა ამ ქვეყნების შენარჩუნება მოითხოვდა, რომ იქ მუდმივად ყოფილიყო მნიშვნელოვანი სამხედრო კონტიგენტი.

მეორე - „ოპტიმალური სირთულის“ მიხედვით, იმპერიის განკარგულებაში არსებული ადმინისტრაციული სისტემა საკმაოდ კომპლექსური და, იმავდროულად, დიფერენცირებული უნდა იყოს იმისათვის, რომ შეეძლოს იმპერიის სამფლობელოების მართვა. თუ იმპერიის სოციალურ-პოლიტიკური, გეოგრაფიული, ეთნიკური და კულტურული მოწყობა აღმოჩნდება რთული, თუ კოლონიები აღმოჩნდებიან საკმაოდ მრავალფეროვანნი, მაშინ ამ ტერიტორიის ეკონომიკური მართვა რაღაც მომენტიდან შეუძლებელი გახდება, ვინაიდან მის მართვას მრავალრიცხოვანი ბიუროკრატია დასჭირდება. ეს ყველაფერი კი მიგვიყვანს ადმინისტრაციის შენახვის ხარჯების სწრაფ ზრდასთან, რომელიც ადრე თუ გვიან გაასწრებს იმპერიის შემოსავლებს, რაც იმპერიის დასუსტების პირველი სიმპტომი გახდება.

მესამე ვექტორს შეიძლება ვუწოდოთ „ცენტრისკენული მიზიდულობა“. ე. ლუტვაკის მიხედვით, რაც უფრო მდიდარია იმპერია, მით უფრო კომფორტული და უსაფრთხოა მასში ცხოვრება. ამით ის უფრო მიმზიდველი ხდება მძარცველებისა და დამპყრობთათვის. მაგალითად,

რომის და ბიზანტიის იმპერიები საკმაოდ მიმზიდველი აღმოჩნდნენ მომთაბარეებისა და ბარბაროსებისათვის. თანამედროვე ამერიკა (აშშ) ასევე ძალზედ მიმზიდველია მექსიკელი ნარკომოვაჭრეებისათვის, შრომითი მიგრანტებისათვის, დევნილებისათვის, მდიდრულად და უსაფრთხოდ ცხოვრების მოყვარულთათვის. სწორედ ამიტომაა, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია მნიშვნელოვან ხარჯებს იღებს უკანონო მიგრაციის რეგულირებისათვის და ამერიკა-მექსიკის საზღვრის კონტროლისათვის. ანალოგიურ სიძნელეებს აწყდებიან ევროკავშირის მაღალგანვითარებული ქვეყნებიც განსაკუთრებით აფრიკის კონტინენტიდან. დღეს ხმელთაშუა ზღვა (ჩრდილოეთი აფრიკის სანაპიროებიდან ევროპისაკენ) არალეგალი მიგრანტების მუდმივი გადაადგილების მარშრუტია. არსებული დისბალანსი სიმდიდრესა და სიღარიბეს, ველურობასა და ცივილიზებულობას შორის აიძულებს იმპერიებს მუდმივად გაზარდონ თანხები საზღვრის დაცვისათვის. თუმცა, იმპერიები იშლება არა მხოლოდ პირდაპირი აგრესიით ან ბარბაროსთა პერიოდული თარეშით, არამედ ის იშლება სახელისუფლებო ელიტების კოროზიით.

გეოპოლიტიკური თამაშების მიმდინარეობისას „მანევრისათვის აუცილებელი სივრცის არსებობის ეკონომიკური ასპექტი“, ესაა მეოთხე ვექტორი, რომლის მიხედვითაც იმპერიამ თავის მოქალაქეებს მუდმივად უნდა უმტკიცოს თავისი არსებობის აუცილებლობა, გაამართლოს გადასახადების აკრეფის და უდიდესი ბიუროკრატიული აპარატის შენახვის აუცილებლობა. ამ მიზეზით იმპერიების ხელისუფალნი ცდილობენ ფინანსური რესურსების მობილიზებას არა მხოლოდ საკუთარ მოსახლეობაში გადასახადების გაზრდით, არამედ სხვა ქვეყნებში არსებულ რესურსებზე კონტროლის დამყარების გზითაც. ეს შეიძლება იყოს საბაჟო გადასახადები, გადასახადები საკუთარი გზით სარგებლობისათვის, ასევე იმ ქვეყნებიდან მიღებული კონტრიბუციით, რომლებიც არ შედიან იმპერიის შემადგენლობაში.

მეხუთე ვექტორი იგივე სახელწოდებისაა რაც მეოთხე, მხოლოდ იგი მოიცავს არა ეკონომიკურ, არამედ სამხედრო ასპექტს - „მანევრისათვის აუცილებელი სივრცის არსებობის სამხედრო ასპექტი“, რომლის თანახმად, ნებისმიერ იმპერიაში პერიოდულად აღმოცენდება საკუთარი საზღვრის დაცვის უზრუნველყოფის დამატებითი შესაძლებლობების ძიების აუცილებლობა. რაც უფრო დიდია იმპერია, მით უფრო დიდია მისი საზღვრების სიგრძე და მით მეტი მეზობელი შეიძლება დაიმუქროს მის ტერიტორიაზე შეჭრით. ისეთი ძლიერი არმიის შენახვა, რომელსაც შეეძლება მოიგერიოს იმპერიის ტერიტორიის ექსპანსიის ყველა შესაძლო საფრთხე,

ძალიან ძვირია და პრაქტიკულად შეუძლებელი. ამიტომ იმპერიები იძულებული ხდებიან იპოვონ დროებითი ან მუდმივი ეკონომიკური მოკავშირეები. მაგალითად, დღესაც ამ სფეროში მომუშავე რუს მეცნიერთა დიდი ნაწილის (Кочетов,1997; Кочетов,2006; Цымбурский,1993; Неклесса,1999; Дугин,2014; Иноземцев,1999; და ა.შ.) შეხედულებებში ჭარბობს ხაზობრივი ლოგიკა, რომლის მიხედვითაც რუსეთი, როგორც ისტორიის სუბიექტი უპირისპირდება აშშ, ევროპას, და ზოგადად დასავლეთს. ეს მოძველებული შეხედულებაა, ვინაიდან გეოეკონომიკური თვალსაზრისთ რუსეთმა დიდი ხანია დაკარგა ის პოზიციები, რომელიც გააჩნდა საბჭოთა კავშირს. იგი უკვე აღარაა მსოფლიოს ზესახელმწიფო. მის ადგილს ჩინეთი იკავებს. ე.ნ. ლუტვაკის აზრით, ბიპოლარულ მსოფლიოში ყველა კონფლიქტი განიხილებოდა აშშ-ის და საბჭოთა კავშირის კონტექსტში. ამჟამად, ამ კონფლიქტმა გადაინაცვლა აშშ-ის და ჩინეთის დაპირისპირებაში (Luttwak,2012). ამ მხრივ უკეთესად გამოიყურება აშშ-ის გეოსტრატეგიული მოქმედება მსოფლიო არენაზე. ერაყის ბოლო ომის დამთავრების შემდგომ აშშ-მა განაცხადა, რომ ამჟამად ის მზადაა სტრატეგიულად მხარი დაუჭიროს მხოლოდ ერთ სამხედრო მოქმედებების თეატრს - წყნაროკეანურს. ფაქტობრივად ეს ნიშნავს იმას, რომ ამ მომენტიდან ჩინეთი აშშ-ის მთავარი მოწინააღმდეგეა. მეორე მხრივ, კი, აშშ-მა მიანიშნა, რომ მას არ სურს ყველგან ომი და, შესაბამისად, რესურსების ხარჯვა. დღეს აშშ იბრძვის მთელ მსოფლიოში, მაშინ, როცა ჩინეთი აკვირდება და აანალიზებს მის მოქმედებას. გასაგებია, რომ ამ მოცემულობაში აშშ-ს კარგად ესმის, რომ, თუ ასე გაგრძელდება, ჩინეთი სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის, ამიტომ ის ეძებს რესურსებს და ეს რესურსები მას ნამდვილად გააჩნია. მაგალითად, აშშ-მა მოახერხა ჩინეთის წინააღმდეგ საკმაოდ ძლიერი კოალიციის შექმნა, სადაც გაერთიანდნენ: ინდოეთი, ვიეტნამი, ტაივანი, სამხრეთი კორეა და, რაც მთავარია, იაპონია. ჩამოთვლილი ქვეყნები სერიოზულად უფრთხიან ჩინეთის ექსპანსიას და ძლიერი მეზობლის წინააღმდეგ აშშ-ის გარშემო ერთიანდებიან. ამ სიტუაციაში რუსეთი დამოუკიდებელი მოთამაშე ნამდვილად არაა, ის მხოლოდ სუსტი რგოლია, რომლის მხარდაჭერის მიპოვებას ცდილობს როგორც აშშ, ასევე ჩინეთიც. ამ ლოგიკით აშშ იმით არის დაინტერესებული, რომ რუსეთმა მინიმუმ ნეიტრალიტეტი დაიცვას (ვფიქრობ, სწორედ ამას ემსახურებოდა გადატვირთვის პოლიტიკა, რომელიც აშშ-მა შესთავაზა რუსეთს), მაგრამ, როგორც ჩანს რუსეთმა უკვე გააკეთა არჩევანი ჩინეთის სასარგებლოდ, რაც გეოეკონომიკის პოზიციიდან რუსეთისათვის სტრატეგიული შეცდომაა და, აი, რატომ: ჯერ ერთი, ჩინეთი რუსეთს ვერ შეუცვლის დანარჩენ, თანამედროვე ტექნოლოგიებით საკმაოდ ძლიერ პოსტინდუსტრიულ მსოფლიოს; მეორე მხრივ, რუსეთს კარგად

უნდა ესმოდეს, რომ ჩინეთი არ ყიდულობს მზა პროდუქციას. ის მხოლოდ ნედლეულისა და სამეცნიერო პროდუქციის მყიდველია. ფაქტობრივად, ამ მიმართულებით მზა პროდუქციის გასაღების ბაზარი რუსეთს დაეხურება. ჩინეთის მხარდაჭერის გამო ის სერიოზულად გაიფუჭებს ურთიერთობას ჩინეთის წინააღმდეგ გაერთიანებული კოალიციის ქვეყნებთან. ამის მაგალითები უკვე გვაქვს. მაგალითად, ინდოეთმა უარი თქვა რუსული იარაღის შესყიდვაზე, ვიეტნამი ატომურ ენერგეტიკაში იაპონიასთან თანამშრომლობაზე გადადის და ა.შ ამ სიტუაციაში რუსეთმა გეოეკონომიკური თვალსაზრისით კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა. მაგალითად, რა მიიღო რუსეთმა საქართველოსა და უკრაინაში განხორციელებული აგრესიით? მხოლოდ სანქციები და რესურსების ხარჯვა. ეს სიტუაცია ყველაზე მეტად ჩინეთს აწყობს, ვიდრე აშშ-ს. რაც შეეხება რუსეთს, არსებული მოცემულობა მას არ უნდა აწყობდეს, ვინაიდან ამ ქვეყნის ჩინეთისაკენ საბოლოოდ მიბრუნება მას გეოეკონომიკურ პერსპექტივას მოუსპობს. კერძოდ, სიტუაციის ამ სცენარით განვითარების შეთმხვევაში, რუსეთი კიდევ დიდხანს დარჩება სანედლეულო და არა ინოვაციურ, მაღალი ტექნოლოგიების მქონე სახელმწიფოდ.

გარდა აღნიშნულისა, იმპერიის გარშემო არსებულ გეოპოლიტიკურ სივრცეში უნდა იმყოფებოდნენ სხვა მოთამაშეები, რათა იმპერიას ჰქონდეს მანევრირებისათვის აუცილებელი სივრცე. ამასთან, შეძლოს სხვადასხვა პარტიებისა და კომბინაციების ისეთი გათამაშება, რომელიც საშუალებას მისცემს შექმნას ძალთა იმგვარი ბალანსი, რომლის დროსაც მისი ტერიტორიული მთლიანობის საფრთხეები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი. როგორც ე. ლუტვაკი აღნიშნავს, ბიზანტია ყოველთვის ითვლებოდა დიპლომატიური ინტრიგების ოსტატად, დროულად დებდა და აუქმებდა სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებს ისე, რომ მისი მეზობლებს რაც შეიძლება ხშირად ეომათ ერთმანეთთან და იმპერიის საზღვრების დარღვის დრო და სურვილი არ ჰქონოდათ (Luttwak,2009). ამ კონცეფციების მართებულობა პრაქტიკაში საბჭოთა იმპერიამ ნათლად ცხადყო. მაგალითად, თუ აღნიშნულ სტრატეგიას გავაანალიზებთ გამოყოფილი ვექტორების მიხედვით, საბჭოთა კავშირმა დაარღვია თითქმის ყველა სტრატეგიული პუნქტი, რომელიც საშუალებას აძლევს იმპერიას შეინარჩუნოს ძლიერება და, შესაბამისად, სიცოცხლისუნარიანობა. ისეთი უზარმაზარი და მრავალფეროვანი ტერიტორიული კონგლომერატის მართვა, როგორიც ე.წ. „სოციალისტური ბანაკის თანამეგობრობა“ იყო, უკიდურესად რთული გამოდგა. ის დანახარჯები, რომელსაც იმპერია იღებდა ამ ერთობის შესანარჩუნებლად, აღემატებოდა მისგან მიღებულ

ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ სარგებელს. მეორე მხრივ, აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის მხრიდან კონტროლის დამყარებამ, მის წინააღმდეგ განაწყო არა მხოლოდ აშშ და დიდი ბრიტანეთი (რომლებიც ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს ხედავდნენ მათ დროებით მოკავშირეში მომავალ გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეს), არამედ დასავლეთი ევროპის ბევრი სახელმწიფოც, რომლებიც საკმაოდ დააშინა მათ მეზობლად ასეთი ძლიერი იმპერიის ფორმირებამ. აქ კი ამოქმედდა სტრატეგიის პარადოქსული ლოგიკა: როცა იმპერიამ გადაკვეთა გეოპოლიტიკური წარმატების წითელი ხაზი - პოტენციური პარტნიორები გაერთიანდნენ მტრულ ალიანსში. საბჭოთა კავშირმა დაამყარა რა კონტროლი აღმოსავლეთ ევროპაზე, ძირი გამოუთხარა საკუთარ ავტორიტეტს, რომელიც მან მოიპოვა ფაშიზმთან ბრძოლის დროს. მესამე მხრივ, საბჭოთა კავშირმა გეოპოლიტიკური მანევრისათვის დაკარგა სივრცე. თუ იმპერია დატოვებდა მის მიერ განთავისუფლებულ ქვეყნებს დამოუკიდებლებად, ამით ის მათთან პარტნიორული უთიერთობის აწყობის შანსს შეინარჩუნებდა. ამით ის დაზოგავდა ეკონომიკურ რესურსებს და არ დაკარგავდა იდეოლოგიურ და დიპლომატიურ ქულებს გეოპოლიტიკურ თამაშებში. თუ აშშ შეეცდებოდა ერთპიროვნული სამხედრო კონტროლი დაემყარებინა ამ სახელმწიფოების ტერიტორიებზე, მაშინ ის იძულებული იქნებოდა ეზრუნა ამ ომისგან გაპარტახებული ქვეყნების ეკონომიკების აღდგენაზეც; ასევე ჩაეხშო ის კომუნისტური და ნაციონალისტური მოძრაობები, რომელთა წარმომადგენლებმაც ევროპის მოსახლეობის თვალში გარკვეული ავტორიტეტი მოიპოვეს ომის წლებში, როცა ისინი დაუპირისპირდნენ ფაშისტურ რეჟიმს და მონაწილეობდნენ წინააღმდეგობის მოძრაობებში. ე. ლუტვაკის სტრატეგიის მიხედვით, საბჭოთა კავშირისათვის უჯობესი იქნებოდა გარკვეული ეკონომიკური კონტრიბუცია მიეღო დამარცხებული ქვეყნებიდან (მხედველობაშია ქვეყნები, რომლებიც ომის დროს გერმანიის მოკავშირეები იყვნენ), ვიდრე თავისი კონტროლის ქვეშ მოექცია ისინი. მეოთხე მხრივ, საბჭოთა იმპერიამ დაკარგა ასევე ევროპაში პოლიტიკური მანევრის შესაძლებლობა, რაც იმაში გამოიხატა, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები უკვე აღარ წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ მოთამაშეებს, ხოლო დასავლეთი ევროპის ქვეყნები, რომლებიც შეაშინა აღმოსავლელი მეზობლის ზედმეტად გაძლიერებამ, გაცილებით დიდად გახდნენ დამოკიდებულები აშშ-ზე. რამაც მსოფლიოს პოლარიზაციის პროვოცირება მოახდინა. მეხუთე მხრივ, საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა მიეღო ეს გამოწვევა, იმ პირობებში, როცა მისი ეკონომიკურ-ტექნოლოგიური რესურსები არ იყო ისეთი მოცულობითი, როგორსაც ფლობდა ომისაგან არცთუ ძლიერ დაზარალებული აშშ და მის მიერ შექმნილი ალიანსის ქვეყნები. ფაშიზმზე

გამარჯვების შემდგომ აშშ მზად იყო მეორე, არცთუ ნაკლებ ბოროტებასთან - კომუნიზმთან საბრძოლველად. ისტორია მოწმობს, რომ ამ ქვეყანამ დიდ ბრიტანეთთან ერთად შეძლო ამ ახალ დაპირისპირებაში ჩაეთრია საბჭოთა კავშირი, რომელშიც საბოლოო გამარჯვება დასავლეთის ალიანსის ქვეყნება მოიპოვეს.

ამდენად, ის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური სარგებელი (საკუთარი ტერიტორიის „სტრატეგიული სიღრმის“ გაზრდა და ა.შ.), რომელიც შეეძლო მიეღო საბჭოთა იმპერიას მის კონტროლქვეშ მოქცეული სივრციდან, გაცილებით მცირე აღმოჩნდა იმ ფინანსურ, რესურსულ, იდეოლოგიურ და პოლიტიკურ დანახარჯებთან, რომელიც მან გაწია ამ ქვეყნებზე კონტროლის შესანარჩუნებლად. სრულიად ვიზიარებ მოსაზრებას, რომ, თუ ომის შემდგომ პერიოდში აშშ რეალურ ომს დაიწყებდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ეს უკანასკნელი ნამდვილად ვერ შეძლებდა საკუთარი მიზნებისათვის გამოეყენებინა აღმოსავლეთი ევროპის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი. ამ ქვეყნების მოსახლეობა შეძლებდა არ დაეშვა უფროსი „პარტნიორი“ მათ საკუთრებაში არსებულ იმ რესურსებთან, რომელიც აუცილებელია ომის წარმოებისათვის, ხოლო ომის პირობებში წარმოქმნილი წინააღმდეგობის ჩახშობის ძალა ისეთ ძლიერ მოწინააღმდეგესთან, როგორიც აშშ-ია, უბრალოდ არ აღმოაჩნდებოდა.

4.3 აშშ გეოეკონომიკური სტრატეგია ცივი ომის პერიოდში

ჯერ კიდევ 1980-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა ე. ლუტვაკის ნაშრომი: „საბჭოთა კავშირის სტრატეგია“ (Luttwak,1984), სადაც შესწავლილი და გაანალიზებულია საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მართვის ძლიერი და სუსტი მხარეები, რომელიც საბჭოთა იმპერიის დაშლისათვის შემდგომ კარგად გამოიყენა აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა და მისმა ინტელექტუალების ჯგუფმა.

ცივი ომის განმავლობაში სტრატეგიის განვითარების კულმინაციას სწორედ რ. რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდი (1981-1989) წარმოადგენდა. ამ დროს აშშ-მა შეიმუშავა და განახორციელა სსრკ-ის დაშლის სისტემური სტრატეგია. ამ სტრატეგიით რ. რეიგანის ადმინისტრაციამ საბჭოთა კავშირს დაარტყა ყველაზე მტკივნეულ ადგილებში. ასეთი ადგილები

იყო: ეკონომიკა, სამხედრო სამრეწველო კომპლექსი, ქვეყნის ეთნიკური სიჭრელე და სახელისუფლებო ბიუროკრატიული აპარატი. მე ამ შემთხვევაში ყურადღებას გეოეკონომიკურ ფაქტორზე შევაჩერებ.

პრეზიდენტის პოსტის დაკავებისთანავე (1981 წლის 20 იანვარი), რ. რეიგანმა გაახმოვანა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიზნები და წამოაყენა ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც დაეფუძნა ეკონომიკას, სამხედრო-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სფეროებს და ძირითადად აისახა თეთრი სახლის სამ დოკუმენტში; 1981 წელს მისი არტიკულაცია მოხდა „ეკონომიკური აღორძინების პროგრამაში“, ხოლო 1982 წელს „პრეზიდენტის ეკონომიკურ მოხსენებაში“ (Blanchard,1987). ეს დოკუმენტები დაეფუძნა სეის თეორიას, რომელსაც ეკონომიკურ ლიტერატურაში ბაზრის კანონსაც უწოდებენ (ეს არის თეორია, რომლის მიხედვითაც მიმდინარე შემოსავლები ვერ იქნება მოხმარების განმსაზღვრელი დომინირებადი ფაქტორი, რომ „მიწოდება წარმოშობს შესაბამის მოთხოვნას“. ეს თეორია კლასიკური ეკონომიკური თეორიის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს). ამ თეორიის საფუძველზე ჩამოყალიბდა 4 ძირითადი სამოქმედო პრინციპი, რომელიც შემდგომ „რეიგანომიკის“ სახელით გახდა ცნობილი. ეს პრინციპები იყო: სახელმწიფო ხარჯების შემცირება, ფედერალური საშემოსავლო გადასახადების შემცირება, სახელმწიფო რეგულაციების შემცირება და ფულის მასის მიწოდებაზე კონტროლის გამკაცრება ინფლაციის შემცირების მიზნით (Niskanen,1992).

მკითხველისთვის ალბათ საინტერესო იქნება ე. ლუტვაკის მოგონებებიდან მცირედი ამონარიდი, სადაც ის იხსენებს რ. რეიგანთან მუშაობის წლებს. ამ მოგონებების არსი, უ. ჩერჩილის ცნობილი გამოთქმის პერიფრაზირება რომ მოვახდინო, იმაში მდგომარეობს, რომ „ამერიკელმა ინტელექტუალებმა მოახერხეს მათ წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტა, ხოლო საბჭოთა კავშირში არ აღმოჩნდნენ გენიოსები, რომ თავიდან აეცილებინათ ეს პრობლემები“. ამ ჩემეულ პერიფრაზში მთავარი ისაა, რომ აშშ-მა შეძლო შეექმნა მოაზროვნე ადამიანების კრიტიკული მასა, რომელიც გეოეკონომიკური სტრატეგიის წარმატების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა. მაგალითად, ე. ლუტვაკი წერს: „ ... რ. რეიგანის თანამოაზრე, საქმიანი და ცხოვრებაში წარმატებული ადამიანი იყო, რომლებსაც კავშირი არ ჰქონდათ მთავრობის საქმიანობასთან. არცერთი მათგანი (ჩვენგანი) არ ისწრაფოდა მთავრობაში მოხვედრას, არ ჰქონდათ კარიერული მიზნები, არ მუშაობდნენ არც ფულისათვის და არც პრესტიჟისათვის. მათ ისედაც ჰქონდათ

ყველაფერი, მათ შორის მდგომარეობა საზოგადოებაში. ამასთან, არცერთ მათგანს პოლიტიკური სფეროს მიღმა არ გააჩნდა პირადი ამბიცია. ისინი ერთად შეიკრიბნენ საერთო საქმისათვის. ჩვენი ერთობლივი პროექტი რამდენიმე კვირის შეხვედრების შედეგად დაიბადა, რომელიც 1980 წელს არჩევნებამდე პერიოდში შედგა. საქმის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ბოლო მოგვეღო საბჭოთა ეპოქის არსებობისათვის.

ეროვნული უსაფრთხოების გუნდის შემადგენლობაში წამყვანი ფიგურები იყვნენ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველი უილიამ კლარკი (William Clark), მაშინდელი მრჩეველი და შემდგომ იუსტიციის მინისტრი ედ მიზი (Ed Meese) და ცენტრალური სადაზვერო სამმართველოს (ცსს) მაშინდელი მეთაური ბილ გეისი (Bill Casey). შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ამ ჯგუფის მიერ შემუშავებულმა გეგმამ წარმატებით იმუშავა (forbes, 4/04/,2014). როგორც თეთრი სახლის გასაიდუმლოებული დოკუმენტებიდან NSDD 32 , NSDD 75 და NSDD-166 (ორიგინალი იხ.: http://fas.org/irp/offdocs/nsdd/) ირკვევა, რ. რეიგანის ადმინისტრაციამ მიმართა ეკონომიკურ ზეწოლას საბჭოთა კავშირის დესტაბილიზაციის მიზნით. მარტივად რომ ვთქვათ, მათი გეგმა მდგომარეობდა საბჭოთა კავშირის გაკოტრებაში. შემდეგ ე. ლუტვაკი აღნიშნავს : "... საბჭოთა კავშირი იყო ბოროტების იმპერია, ამიტომ ის უნდა დაგვემარცხებინა და ბოლო მოგვეღო მისი არსებობისათვის. მეორე ამოცანა, რომელიც ჩვენ დავისახეთ მიზნად, აშშ-ის ეკონომიკის ლიბერალიზაცია და ეკონომიკის სტიმულირებისათვის წინადადებების მომზადება იყო, რაც ითვალისწინებდა გადასახადების დაწევას. ეს ნაბიჯი სტიმულს მისცემდა როგორც დასაქმების ზრდას, ასევე გაზრდიდა ბიზნესის შესაძლებლობებს. ამდენად, რ. რეიგანის გუნდი, როგორც მე ეს უკვე ვთქვი, თავის ამოცანას ხედავდა საბჭოთა კავშირის ეპოქის დასრულებაში, მისი ძლიერების საფუძვლების სისტემატურ ძირის გამოთხრაში, რასაკვირველია, მშვიდობიანი მეთოდებით, ვინაიდან ამ ამოცანის სამხედრო მეთოდებით გადაჭრისათვის სივრცე უბრალოდ არ არსებობდა. სამაგიეროდ, არსებობდა ამოცანის ტექნოლოგიური გადაჭრის საკმაოდ ფართო არეალი, რომელიც სერიოზული კრიტიკის ქვეშ მოექცა. მისი წინააღმდეგი იყო თითქმის მთელი სახელმწიფო დეპარტამენტი და პენტაგონის დიდი ნაწილი. პენტაგონი განსაკუთრებით ტექნოლოგიური გეგმის წინააღმდეგ გამოდიოდა. საქმე ის იყო, რომ გეგმა ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის ჩართვას აშშ-ან ტექნოლოგიურ დაპირისპირებაში, რაც იმას ნიშნავდა, რომ არ მოხდებოდა შეიარაღების ძველი სახეების შემდგომი სრულყოფა. მათ ჩაანაცვლებდა სრულიად ახალი იარაღი. სამხედროებს არ სჭირდებოდათ იარაღის

ახალი სახეობები, მათ უნდოდათ სრულყოფილი ტანკები არმიისათვის, გამანადგურებლები საჰაერო ძალებისათვის და ავიამზიდები ფლოტისათვის. ყველას სურდა ჰქონოდა თითქმის მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ჩვეულებრივი სახეობის იარაღი, მხოლოდ გაუმჯობესებული, ელეგანტური და რაც შეიძლება დიდი რაოდენობით. სამხედროებს არ სჭირდებოდათ არავითარი „ვარსკვლავური ომები“, რომელზეც ისინი უბრალოდ იცინოდნენ. სინამდვილეში კი ეს იყო მაკროელექტრონიკის და ინოვაციების გამოყენება ყველაფერში, იქნებოდა ეს მაღალი სიზუსტის იარაღი თუ მისი მსგავსი სხვა რამ. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ თანხების დახარჯვას ისეთ რამეზე, როგორიც არის ელექტრონული ომი, ზემაღალი სიზუსტის დამიზნება, მოწინავე რადარები და სახმელეთო ტექნოლოგიები“... კითხვაზე, შეიძლება თუ არა რეიგანის გუნდს ვუწოდოთ ცივი ომის აგრესიული ჯარისკაცები? ე.ნ.ლუტვაკი პასუხობს, რომ ჩვენი ამოცანა არ იყო აგრესიის გამოვლენა. უნდა გვახსოვდეს, რომ 1948 წლიდან რ. რეიგანის მმართველობის პერიოდამდე, აგრესიის გამოვლენა ნიშნავდა შეიარაღების გაზრდისაკენ სწრაფვას და ომის პერსპექტივისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას. რ. რეიგანის საგარეო პოლიტიკის წამყვანი თეორეტიკოსი პოლიტიკურ საკითხებში, აშშ-ის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ფრედ ჩარლზ იკლი (აშშ სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების გამოჩენილი მეცნიერი, დემოკრატიის მხარდამჭერი ეროვნული ფონდის თავმჯდომარე, სამხედრო ექსპერტი. კონკრეტულად მისი ინტერესების სფეროს წარმოადგენდა თავდაცვა, საგარეო პოლიტიკა, ბირთვული სტრატეგია და ტექნოლოგიების როლი მსოფლიო წესრიგში) იყო, რომელმაც ნაშრომიც კი დაწერა ბირთვული ომის შესახებ (ფ. იკლის ნაშრომებიდან აღვნიშნავ: “ომის გავლენა ქალაქის ეკოლოგიის განადგურებაში“ (Ikle,1952) და „ბირთვული დაბომბვის სოციალური და ფიზიკური ეფექტის შედარება“ (Ikle,1954), სადაც მკითხველებს კატეგორიული ფორმით განუმარტა ის ფაქტი, რომ ბირთვული იარაღის გამოყენება ნონსენსია. მე თვითონ კი, ამბობს ე.ნ. ლუტვაკი, მეორე ნომერი ვიყავი საგარეო პოლიტიკის საკითხების ჯგუფში, რომელსაც აშშ-ის საერთაშორისო სტრატეგიის ახალი ორიენტირები უნდა მოემზადებინა. ამ ჯგუფს ეწოდებოდა საგარეო პოლიტიკის საკითხებში დროებითი საკონსულტაციო საბჭო (Interim Foreign Policy Advisory Board). ახალი კურსის თეორიული დასაბუთებისათვის, მე დავწერე სტატია სათაურით „პოსტ-ბირთვული ერა“ (Luttwak,1985,5-15) კითხვაზე, თუ როგორ დაახასიათებთ რ. რეიგანის პოლიტიკის ინტელექტუალურ საფუძვლებს, ე. ლუტვაკი პასუხობს: უპირველეს ყოვლისა ამ ჯგუფის წევრები იყვნენ ინტელექტუალები და ანალიტიკოსები. მათ შექმნეს მსოფლიო მოწყობის საკუთარი თეორიები. ეს იყო ძლიერი თეორიები, რომლებსაც კიდევ

ერთხელ შეგახსენებთ. პირველი მათგანის მიხედვით, შესაძლებელი იყო ამერიკის ეკონომიკის გადატვირთვა, გადასახადების შემცირების გზით. მეორე თეორია ეხებოდა საგარეო პოლიტიკას. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ შეიძლება წავსულიყავით მესამე გზით-არც თანაარსებობა და არც ომი. იყო კიდევ მესამე თეორია, რომელიც ითვალისწინებდა იმპერიის ძლიერების შერყევას, მის დასუსტებას, შემდგომ კი საბჭოთა კავშირის (და არა რუსეთის) იდეოლოგიურ განადგურებას. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ რ. რეიგანი, რომელსაც სულაც არ თვლიდნენ ინტელექტუალურ პრეზიდენტად, ინტელექტუალების გარდა არავის ენდობოდა. ის არ ენდობოდა არც სახელმწიფო დეპარტამენტის ჩინოვნიკებს, არც სამხედროებს, რომლებიც, მისი აზრით, მთლიანად იმყოფებოდნენ კოლექტიური ფანტაზიის ტყვეობაში. ის ასევე არ ენდობოდა ეკონომისტთა და ბანკირთა ტრადიციულ შეხედულებებს. წყარო: ინტერვიუ ე. ლუტვაკთან. (Terra America,2012). სტრატეგიის მეორე ეკონომიკური შემადგენელი მიმართული იყო სსრკ-ის ფინანსურ-ეკონომიკური ძლიერების დასუსტებისაკენ, რომლის რეალიზაციის დროს გამოყენებულ იქნა გეოეკონომიკური მეთოდები. კერძოდ, აშშ-მა შეამცირა იმ მყარი ვალუტის შემოდინება, რომელსაც საბჭოთა იმპერია იღებდა უცხოურ ბაზრებზე ნახშირწყალბადის რესურსების გაყიდვით. აღნიშნული შესაძლებელი გახდა ამ რესურსზე ფასების დაწევით. მეორე მხრივ, აშშ-მა უკიდურესად შეზღუდა მაღალტექნოლოგიური საქონლისა და მაღალი ტექნოლოგიების მიწოდება, რომელზეც სსრკ-ში ძალზედ დიდი მოთხოვნა იყო. კერძოდ, ამ უკანასკნელის წინააღმდეგ ამოქმედდა მრავალმხრივი საექსპორტო კონტროლის საკოორდინაციო კომიტეტის (Coordinating Committee for Multilateral Export Controls) შეზღუდვები (ეს კომიტეტი შეიქმნა ჯერ კიდევ 1949 წელს სსრკ-ის და ვარშავის ბლოკის ქვეყნებში მაღალტექნოლოგიური საქონლის ექსპორტზე კონტროლის მიზნით და უფრო მეტად ცნობილია CoCom-ის სახელწოდებით). მაგალითად, ცივი ომის პერიოდში CoCom-მა დაამუშავა და განახორციელა ვარშავის ქვეყნების „კონტროლირებადი ტექნოლოგიური ჩამორჩენის“ სტრატეგია. ბერლინის კედლისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომაც "CoCom" აგრძელებდა არსებობას. ამ ორგანიზაციის ლიკვიდაცია მოხდა 1994 წელს, მაგრამ მის შემცვლელად მოგვევლინა ვასენაარის ხელშეკრულება, რამაც დასავლეთის ქვეყნებიდან გაცილებით ეფექტურად შეზღუდა სამხედრო და ორმაგი დანიშნულების (ერთდროულად სამხედრო და სამოქალაქო) ტექნოლოგიების მიწოდება არასასურველი ქვეყნებისათვის. ამ ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები იყვნენ: აშშ, კანადა, ავსტრალია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, დანია, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საბერძნეთი, იტალია, ლუქსემბურგი,

ნიდერლანდები, ნორვეგია, პორტუგალია, ესპანეთი და თურქეთი. მათ გარდა, ამ ორგანიზაციასთან ექსპორტის საკითხებზე თანამშრომლობდნენ: ავსტრია, ფინეთი, ირლანდია, ახალი ზელანდია, შვედეთი და შვეიცარია.

ორგანიზაციის მიზნების რეალიზაცია შესაძლებელი იყო მხოლოდ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის პირობებში. 1982 წლის 19 იანვარს გაიმართა CoCom-ის საიდუმლო შეხვედრა, სადაც აშშ-მა გაახმოვანა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ეკონომიკურ ღონისძიებათა პაკეტი. უპირველეს ყოვლისა, ეს მოსკოვისათვის სტრატეგიული ტექნოლოგიების (ახალი თაობის კომპიუტერები, ელექტრონული მოწყობილობები, ნახევარგამტარები, მეტალურგიული ტექნოლოგიები) მიყიდვას კრძალავდა. ამის გარდა, იზღუდებოდა დასავლეთის კონპანიების მიერ საბჭოთა ბლოკის ქვეყნების ტერიტორიაზე სამრეწველო საწარმოების მშენებლობა. მეორე მხრივ, აშშ-ის წინადადებით ყველა კონტრაქტი, რომელიც 100 მილიონ დოლარს აღემატებოდა, ავტომატურად უნდა წარდგენილიყო CoCom-ში, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული საიდუმლო ტექნოლოგიების შესაძლო გადაცემა. აღნიშნული მოსკოვთან დადებულ ყველა ევროპულ სავაჭრო შეთანხმებაზე, ვაშინგტონს ფაქტობრივად ვეტოს დადების უფლებას აძლევდა. მესამე მხრივ, შეიქმნა იმ ტექნოლოგიებისა და საქონლის მკაცრად გასაიდუმლოებული სია, რომლებიც ემბარგოს დაექვემდებარნენ. რა თქმა უნდა, ყველა ევროპული ქვეყანა მყისიერად არ დათანხმებულა ამ წინადადებებს, მაგრამ ამერიკელებმა მაინც მოახერხეს ყველა იდეის გატანა და მისი შემდგომი რეალიზაცია.

ამ დროს ტექნოლოგიების საკითხი ძალზედ მწვავედ იდგა იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირმა დაიწყო უდიდესი გაზსადენის - „ურენგოი-6“-ის მშენებლობა, რომლითაც საბჭოთა კავშირის გაზსადენი უნდა მიერთებოდა დასავლეთ გერმანიის გაზის სისტემას, რომელიც შემდეგ საფრანგეთის და იტალიის გაზის სიტემებთან ერთდებოდა.

საბჭოთა კავშირისათვის ეს იყო უმნიშვნელოვანესი პროექტი. მშენებლობის ხარჯების ზრდა და შეფერხება ამერიკელებისათვის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო, რომლის რეალიზება არც ისე მარტივი ჩანდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ევროპა ძალიან იყო დაინტერესებული ამ მშენებლობით. საქმე ამ შემთხვევაში არა იმდენად გაზში იყო, რამდენადაც მის ფასში. მოსკოვის მიერ შეთავაზებულ იქნა უპრეცედენტო პირობები - ფიქსირებული ფასები 25 წლით. ამის სანაცვლოდ საბჭოთა ხელისუფლება იმედოვნებდა დასავლეთის ბანკების მონაწილეობაზე

მოწყობილობების შესყიდვასა და თვით მშენებლობის პროცესში. ამასთან, დასავლეთის საწარმოებმა გაზის მიწოდების სანაცვლოდ მოსკოვს შესთავაზეს მაღალი კლასის მოწყობილობები. მსგავსი ეკონომიკური იდილია, რასაკვირველია, არ შედიოდა ვაშინგტონის ინტერესებში. თუმცა, უნდა ითქვას, რომ აშშ-მა მოახერხა არა მხოლოდ პრობლემის დაძლევა, არამედ სერიოზული საფრთხე შეუქმნა საბჭოთა კავშირის მთელ ეკონომიკურ კომპლექსს, ვინაიდან გაზსადენზე მომხდარი ძლიერი აფეთქების გამო საბჭოთა კავშირის ზარალმა 1 ტრილიონი დოლარი შეადგინა, რის გამოც მან უარი თქვა მშენებლობის გაგრძელებაზე (Reed,2004).

1981 წლის 29 დეკემბერს ვაშინგტონმა ოფიციალურად გამოუცხადა ემბარგო საბჭოთა გაზსადენის მშენებლობას (ზუსტად 16 დღის შემდეგ პოლონეთში სამხედრო მდგომარეობის შემოღებიდან). ამ გადაწყვეტილებამ დარტყმა მიაყენა აშშ-ის 60-მდე კომპანიას. ასევე შეაჩერა გაზის საბადოების საძიებო სამუშაოები სახალინზე იაპონიის მონაწილეობით. უკვე 1982 წელს ამ სტრატეგიას შეუერთდნენ CoCom-ის ქვეყნებიც, 1986 წლისათვის კი ტექნოლოგიურმა ბლოკადამ თავის პიკს მიაღწია.

მთლიანობაში სავაჭრო-ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ფინანსური სანქციებით გასული საუკუნის 1980-იან წლებში აშშ თავის მოკავშირეებთან ერთად, სსრკ-ის ეკონომიკას ყოველწლიურად იმდენ ზარალს აყენებდა, რაც მატერიალურ ეკვივალენტში თითქმის 2,5 ჯერ მეტი იყო, იმ ზარალთან შედარებით, რომელიც სსრკ-მა განიცადა მეორე მსოფლიო ომის შდეგად.

პარალელურად, ვაშინგტონი ამზადებდა გაცილებით ძლიერ დარტყმას სხვა მიმართულებითაც. ეს იყო ვაშინგტონის მიერ მიზანმიმართული პოლიტიკის გატარება სსრკ-ში მყარი ვალუტის შედინების მკვეთრად შემცირების მიზნით, რასაც ახორციელებდა ნავთობზე ფასების პერმანენტული შემცირების გზით (საუდის არაბეთთან მჭიდრო თანამშრომლობით). მეორე მხრივ კი ამცირებდა საბჭოთა გაზის მიწოდებას დასავლეთის ქვეყნებში. საქმე ისაა, რომ ამ პერიოდში სსრკ-ში უცხოეთიდან შედინებული მყარი ვალუტის 60-80% მოდიოდა ნავთობის ექსპორტზე. ამდენად, სსრკ-ის შემოსავლების ფორმირება ძლიერ იყო დამოკიდებული მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზარზე არსებულ მდგომარეობაზე.

მაგალითად, გასული საუკუნის 70-იან წლებში, როცა ნავთობის ფასმა თავის პიკს მიაღწია, სსრკ-ში მყარი ვალუტის შემოდინება გაიზარდა 272%-ით, ამასთან, ექპორტი გაზრდილი იყო მხოლოდ

22%-ით. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ამ პერიოდში მსოფლიო ბაზარზე ბარელი ნავთობის ფასის აწევა მხოლოდ ერთი დოლარით საბჭოთა კავშირს ყოველწლიურად დამატებით მილიარდ დოლარს აძლევდა. 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან კი საუდის არაბეთმა გახსნა თავისი ჭაბურღილები და პირდაპირ წალეკა ნავთობის მსოფლიო ბაზარი. თუ 1985 წლამდე საუდის არაბეთი ყოველდღიურად მოიპოვებდა 2 მილიონ ბარელ ნავთობს, უკვე 1985 წლის დასაწყისში ეს ციფრი 6-ს, იმავე წლის ბოლოს 9-ს, ხოლო 1986 წელს 10 მილიონ ბარელს გაუტოლდა. საბჭოთა ექსტენსიური ეკონომიკური სისტემის პირობებში სიტუაცია კატასტროფის ტოლფასი იყო. დაიწყო ნავთობზე ფასების სწრაფი ვარდნა. 1985 წელს ეს მაჩვენებელი ნარჩუნდებოდა 30$-ის ფარგლებში, რამდენიმე თვის შემდეგ კი მან 12$ შეადგინა (აქაც და შემდეგაც მონაცემები აღებულია: Crude oil prices 1861 – 2008). პროცესი ამით არ დამთავრებულა. 1985 წელს საუდის არაბეთმა კიდევ უფრო შეამცირა ნავთობის ფასი. რითაც მან ერთი მხრივ, გააკოტრა აშშ-ის უმსხვილესი კომპანია Synfuels Corporation-ი (ეს კომპანია ალტერნატიული- ბიოსაწვავის შექმნის უახლეს ტექნოლოგიებზე მუშაობდა) და მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირი. ამის შემდეგ სრულიად ნათელი გახდა ეკონომიკური იარაღის გამოყენების ეფექტურობა გეოპოლიტიკურ მოწინააღმდეგეზე. ამ პერიოდიდან გეოპოლიტიკური პრობლემების გადაჭრა ეკონომიკური მეთოდებით საკმაოდ ეფექტური სტრატეგია ხდება და მისი გამოყენება დღესაც წარმატებით გრძელდება. ამდენად, სსრკ ყოველწლიურად მხოლოდ ნავთობიდან კარგავდა 10 მილიარდ დოლარს, რაც საექსპორტო ოპერაციებიდან მიღებული მყარი ვალუტის ნახევარს შეადგენდა. ამ მოცემულობაში სსრკ-ის ხელისუფლებამ გადადგა საკმაოდ საეჭვო ნაბიჯი. კერძოდ, მან გაორმაგა ოქროს გაყიდვები. მაგრამ აქაც დაასწრო აშშ-მა, რომელმაც მოახდინა დოლარის ხელოვნური გაიაფება, რაც სსრკ-ს კიდევ 2 მილიონ დოლარს აკარგვინებდა წელიწადში. საბჭოთა ეკონომიკის ექსტენსიური ორგანიზაციის პირობებში ასეთი მდგომარეობა კატასტროფის ტოლფასი იყო (Terra America,2012).

წიგნში „საბჭოთა კავშირის სტრატეგია“ ე. ლუტვაკი აღნიშნავს, რომ მისი გათვლებით სსრკ-ის მთლიანი შიდა პროდექტის დაახლოებით 15% იხარჯებოდა შეიარაღებული ძალების შენახვაზე (მაშინდელი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის და მილიციის ჩაუთვლელად), კიდევ 14% იხარჯებოდა კუბის და მისი მსგავსი იდიოზური ქვეყნების დახმარებებზე. მთლიანად საბჭოთა იმპერიის შენახვისათვის იხარჯებოდა მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარი. ამ პერიოდში დასავლეთის ქვეყნების ანალოგიური მაჩვენებელი 4-6%-ს შეადგენდა. თუმცა, ე. ლუტვაკი თვლის, რომ სამხედრო ძლიერებაში საკუთარი მთლიანი შიდა პროდუქტის კონვერტაციის უნარით სსრკ

უფრო ეფექტური იყო, ვიდრე ნატო, იმის მიუხედავად, რომ ამ უკანასკნელში შემავალი ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 5-ჯერ უფრო მეტი იყო. საბჭოთა კავშირზე გამარჯვება მასზე თავსმოხვეულ გამალებულ შეიარაღებაში ჩაბმით საკმაოდ ძნელი იქნებოდა, მაგრამ მასზე გამარჯვების მოპოვება დიდი სტრატეგიის დონეზე შესაძლებელი აღმოჩნდა (Luttwak,1984).

კიდევ ერთი მსხვილი ეკონომიკური ოპერაცია, რომელიც დაგეგმა აშშ-მა, მდგომარეობდა შემდეგში: მან დაიწყო სსრკ-ის მიმართ მეგობრულად განწყობილი ქვეყნების შევიწროვება. გარდა სოციალისტური ბლოკის ქვეყნებისა, სსრკ აფართოებდა თავის ყოფნას აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და აზიაში. საბჭოთა გავლენის ქვეშ მყოფი ამ უზარმაზარი სივრცის მიმართ აშშ აწარმოებდა ეკონომიკური ხასიათის საომარ მოქმედებას. ყველაფერი მიმდინარეობდა სტანდარტული სქემით. იმ ქვეყნებს, რომლებსაც საკმაოდ დიდი საგარეო ვალი ჰქონდათ, აშშ სთავაზობდა სტაბილიზაციის პროგრამას, რომლის დროსაც მოვალის წამყვანი ინსტიტუტები ექცეოდნენ დასავლური კაპიტალის კონტროლის ქვეშ. ეს კი მტკივნეულ და ძლიერ დარტყმას აყენებდა სსრკ-ის ეკონომიკას. თუმცა, არსებობდა სსრკ-ის დაშლის სხვა ფაქტორებიც, რომლებიც არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ეკონომიკურ საკითხებთანაა დაკავშირებული. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ხელისუფლების ცენტრალიზაციას და მთავრობის არაკომპეტენტურობას ეკონომიკის საკითხებში. ეს უკანასკნელი იმაში გამოიხატა, რომ ქვეყანაში ყოველდღიური მომხმარების საქონელზე გაჩნდა მწვავე დეფიციტი, ცალკეული კოლონიების (ე.წ მოკავშირე რესპუბლიკების) ცხოვრების დონეებში წარმოიქმნა დიდი დისპროპორციები, გაჩნდა სოციალისტური ეკონომიკისადმი უნდობლობა, დემოგრაფიულად და მენტალურად დაბერებული აღმოჩნდა სახელისუფლებო აპარატი, ავღანეთში დაწყებულმა ომმა შთანთქა დიდი მატერიალური და ფინანსური რესურსები, საბჭოთა კოლონიებში დაიწყო და თანდათან გაძლიერდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ამდენად, „ცივ ომში“ საბჭოთა კავშირის დამარცხების ძირითადი მიზეზი იყო არა ის, რომ მას არ ჰქონდა გამალებულ შეიარაღებასთან გამკლავების უნარი, არამედ ის, რომ მაშინდელ საბჭოთა ლიდერებს არ აღმოაჩნდათ ის, რასაც ე. ლუტვაკი „სტრატეგიის პარადოქსალურ ლოგიკას უწოდებს“. ამ კონტექსტში, სხვათა შორის, თავის დროზე, ე. ლუტვაკი ვიეტნამში წარმოებული ომის მიმდინარეობისას, მკაცრად აკრიტიკებდა პენტაგონის სტრატეგიას. მიუთითებდა, რომ აშშ სამხედრო ინფრასტრუქტურის ორგანიზაციის და საომარი მოქმედებების წარმართვისას

ნაკლებად იყენებდა „წარმოების სწორხაზობრივ ლოგიკას“.

მაგალითად, თუ საბჭოთა კავშირის სტრატეგიას განვიხილავთ იმ წარმოდგენების კონტექსტში, ისაც ე. ლუტვაკი განიხილავს თავის წიგნებში, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ საბჭოთა კავშირი „ცივ ხელმძღვანელობდა „წარმოების სწორხაზოვანი ლოგიკით“ მაშინ, როცა აშშ მოქმედებდა ეგიის პარადოქსული ლოგიკით. რაც იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი მიისწრაფოდა იქითკენ, ოციალიზმი აეშენებინა და დაემკვიდრებინა რაც შეიძლება ბევრ ქვეყანაში. საბჭოთა კავშირი ნომიულ თანხებს ხარჯავდა სამხედრო შეიარაღებაზე. ფორმალურად – იდეოლოგიური, რეალურად ოპოლიტიკური ინტერესებიდაან გამომდინარე. ამ იმპერიამ თავის თავზე აიღო აფრიკაში, აზიასა თინურ ამერიკაში „სოციალისტური ორიენტაციის“ დიქტატორების რჩენა, რომელთა შენახვა ასევე ჯდებოდა. აშშ კი ორიენტირებული იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სამხედრო-პოლიტიკური ების შექმნაზე და იმ რეგიონების დესტაბილიზაციაზე, სადაც ხელისუფლებაში შეიძლება ბჭოთა ძალა მოსულიყო. ამ შემთხვევაში ამერიკელები გაცილებით პრაგმატულად მოქმედებდნენ: ცალკეულ ქვეყნებში აწყობდნენ გადატრიალებებს ან მიმართავდნენ ისეთ ხერხებს, რომ ჭიფოთა ხელისუფლებაში მოსულიყო მათ კონტროლს დაქვემდებარებული მთავრობები ან ჭიფოს ლიდერები. აღნიშნულს ჰქონდა თავისი მიზეზი, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ ჭიფო გადატრიალების ორგანიზება ნაკლებ ხარჯებს მოითხოვდა, ვიდრე რევოლუციური ობების მხარდაჭერა. საბჭოთა კავშირი კი გამარჯვების შემთხვევაში ამ ქვეყნების ეკონომიკის ნიზაციაში დამატებით თანხებს ხარჯავდა. ამრიგად, დასავლეთის ეკონომიკური სანქციების დიდი ის მიუხედავად, მათი მიჩნევა სსრკ-ის დაშლის ერთადერთ მიზეზად, ვფიქრობ, არაობიექტური საბჭოთა იმპერიამ რიგი ფაქტორების ზემოქმედებით შიგნიდანაც განიცადა რღვევა. როგორც ი განხილული მაგალითებიდან ჩანს, ეკონომიკური ომი, რომელსაც ეწოდა აშშ საბჭოთა ბოროტების მდეგ, უზარმაზარი იმპერიის დაშლის ერთ-ერთ მთავარ და არა გადამწყვეტ ფაქტორად შეიძლება იოთ

მაგალითად, საბჭოთა იმპერიის კრახის საკითხები, ჩემი აზრით, საინტერესოდ აქვს განხილული კონომისტ ეგორ გაიდარს. იგი წერს, რომ საბჭოთა იმპერია დაიშალა არა გარე მტრისაგან ბული დარტყმების შედეგად, არამედ გაიხრწნა შიგნიდან. მისმა ეკონომიკამ არა მხოლოდ ვერ საბჭოთა ადამიანის შეყვანა სამომხმარებლო საზოგადოებაში, არამედ მისი გამოკვებაც კი ვერ ხა. საბჭოთა გამოცდილება მოწმობს, რომ განვითარების იმპერიულ გზას კატასტროფამდე

ართ. ე. გაიდარი პოსტსაბჭოთა რუსეთს ადარებს ვაიმარის რესპუბლიკას. გერმანიაში იმპერიის Მწიფო სიმბოლიკა აღსდგა იმპერიის დაშლიდან 8 წლის შემდეგ (1926 წ.), ხოლო რუსეთში 9 წლის ; (2000 წ.). რუსეთისათვის პოსტიმპერიული სინდრომი მჭიდროდაა დაკავშირებული Იტარიზმის სინდრომთან. მეცნიერი თვლის, რომ საბჭოთა ავტორიტარული სისტემა მიდიოდა ანადგურებისაკენ. თავისი არსებობის ბოლო წლებში იგი ვერ პასუხობდა იმდროინდელ ᲔᲕᲔᲑს, არსებითად გადაეჭრა დაგროვილი პრობლემები. Ჯერ კიდევ სტალინის დროს პრობლემების Რა ხდებოდა იმ ადამიანთა და სოციალური (ეთნიკური) Ჯგუფების ფიზიკური ლიკვიდაციის Ბით, რომლებიც პრობლემებს ახმოვანებდნენ. ე. გაიდარი თვლის, რომ საბჭოთა იმპერია დაინგრა Ოლოდ დეფექტური ეკონომიკური ფუნდამენტის გამო, არამედ იმის გამოც, რომ იმპერიამ ვერ Ხა საკმარისი თანხა ხორბლის იმპორტის მხარდასაჭერად, ნავთობზე ფასების მკვეთრად ვარდნის Რებლად მმართველი ბიუროკრატიის გასაცრად დაბალი ინტელექტუალური დონის პირობებში. Არი ყურადღებას ამახვილებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ, როცა არ არის დემოკრატია და არის Იტარიზმი, მაშინ სისტემის თვითგანადგურების ალბათობა მკვეთრად იზრდება (Гайдар,2006).

Ამდენად, „ცივი ომის“ გეოეკონომიკამ დახვეწა ის გეოეკონომკური სტრატეგიები და ტაქტიკა, რომელიც საფუძვლად დაედო პოსტბიპოლარული სამყაროს გეოეკონომიკურ პოლიტიკას.

V. ლექცია

პოსტბიპოლარული გეოეკონომიკა

4.1 გეოპოლიტიკური იდეების დევალვაცია

4.2 ედვარდ ლუტვაკი-გეოეკონომიკის დამკვდრება

4.3 ედვარდ ლუტვაკი და მისი გეოეკონომიკური ლოგიკა მსოფლიო გეოეკონომიკური ბალანსის კონტექსტში

4.1 გეოპოლიტიკური იდეების დევალვაცია

XX საუკუნის მიწურულს დასავლეთის სამეცნიერო სივრცეში გაჩნდა კვლევის ისეთი მეთოდოლოგიის დამუშავების მოთხოვნილება, რომელიც ფაქტებს შორის ურთიერთქმედებას იმგვარ კონტექსტში განიხილავდა, როცა ზოგიერთი მათგანი არ არის ინტეგრირებული და არც შეიძლება ინტეგრირებულნი იყვნენ ეკონომიკურ პარადიგმაში, ხოლო მეორენი არ არიან ინტეგრირებულნი, და არც შეიძლება ინტეგრირებულნი იქნან პოლიტიკურ პარადიგმაში. აღნიშნული პრობლემის შემდგომმა კვლევებმა გააჩინა გეოეკონომიკის თანამედროვე კონცეფცია, რომელიც ფორმულირებულ იქნა ე. ლუტვაკის მიერ (Luttwak,1990).

კონცეფციის აღმოცენება განაპირობა იმ სიტუაციამ, რომელიც ამ პერიოდში ჩამოყალიბდა. კერძოდ, საბჭოთა კავშირის დაშლას მსოფლიო არენაზე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალთა გადაჯგუფება მოჰყვა; გაიზარდა არასახელმწიფოებრივი ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა და მათი როლი; ჩამოყალიბდა ახალი თაობის კონფლიქტები (გეოეკონომიკური ომები); უსწრაფესად განვითარდა კომუნიკაციები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები; ეკონომიკურმა გლობალიზაციამ შეცვალა ტრადიციული წარმოდგენები სუვერენიტეტისა და სახელმწიფოს საზღვრების შესახებ; დღეს მეტწილად საქმე გვაქვს „ვირტუალურ“ და „მობილურ“ სივრცესთან, რომლის საზღვრები უწყვეტ რეჟიმში გადაადგილდება. ამ გზით ხდება სივრცის „განთავისუფლება“ ტერიტორიული საზღვრებიდან და ტრადიციული გეოპოლიტიკის ფიზიკური მახასიათებლებიდან; აშშ დარჩა ერთადერთ ზესახელმწიფოდ, ანუ დადგა ერთპოლარულობის მომენტი და ჩამოყალიბდა მოცემულობა, რომლის წინააღმდეგაც ყოველთვის გამოდიოდნენ „ძალთა ბალანსის” დოქტრინის მომხრეები (Krauthammer, 1990/1991).

თანამედროვე პერიოდის ფუნდამენტური განსხვავება წინა თავში განხილულ ისტორიის მონაკვეთთან შედარებით ისაა, რომ სახელმწიფოები დღეს გაცილებით აგრესიულ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებენ და მუდმივად ითვალისწინებენ ეროვნულ ინტერესებს. ზემოთ აღნიშნულ მიზეზთა გამო, სამხედრო ძალის გამოყენების ფაქტები XX საუკუნის მეორე ნახევრიდან შემცირდა და დღეს პოლიტიკური ლიდერები ეკონომიკურ ძლიერებას სუვერენიტეტის განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევენ. ამ მოცემულობაში სახელმწიფოები ატარებენ ისეთ სამრეწველო და კომერციულ პოლიტიკას, რომელიც კონკურენტუნარიანი უპირატესობის მოპოვების საშუალებას იძლევა. ამჟამად, მსგავსი პოლიტიკის წარმოება თითქმის მთავარ გეოეკონომიკურ სტრატეგიად ითვლება. ამ სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში კი იყენებენ საშუალებებს, რომელსაც ე.ნ. ლუტვაკი „გეოეკონომიკურ იარაღს“ უწოდებს.

შეგვიძლია კი აქედან გამომდინარე ვივარაუდოთ, რომ მსოფლიო რეგრესირდება მერკანტილიზმის ახალ ეპოქაში? რა თქმა უნდა, არა. საქმე იმაშია, რომ მერკანტილიზმის მთავარ მიზანს ქვეყანაში შემოტანილი დოვლათის ფულადი კაპიტალის სახით დაგროვება წარმოადგენს, ხოლო გეოეკონომიკა კი მოწოდებულია შექმნას დასაქმების საუკეთესო პირობები მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის (Luttwak,1990). ამასთან, წარსულში კომერციული უთანხმოება შეიძლებოდა სამხედრო კონფრონტაციებში გადაზრდილიყო, რაც ხშირ შემთხვევაში ომით მთავრდებოდა. მერკანტილიზმი წარმოადგენდა სუბორდინირებულ მოდალობას, სადაც ორმხრივ დაპირისპირებაში წაგებულის მხრიდან სამხედრო მეთოდებით პასუხის გაცემა იყო მიღებული (Luttwak,1990).

კითხვაზე, რატომ აღმოცენდა გეოეკონომიკა, როგორც ახალი ცოდნის დარგი, სწორედ XX საუკუნის ბოლოს, ფრანგი მეცნიერი მორო დე ფარჟი ასახელებს სამ მიზეზს: „1. ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერება და ნაკადების შექმნა; 2. „რკინის ფარდის“ დაშვება და კომუნისტური ექსპერიმენტების კრახი; 3. მსოფლიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცეში ახალი მოთამაშეების გაჩენა“ (Моро Дефарж, 1996,104, 105). მოკლედ განვიხილოდ თითოეული მათგანი.

1.ტელეკომუნიკაციების განვითარებამ და ნაკადების ინტენსიფიკაციამ, კერძოდ, “არამატერიალურმა” დინებებმა (ინფორმაციის ნაკადები, კაპიტალის გადაადგილება) შექმნა

მოცემულობა, სადაც სივრცე და დრო ადრინდელივით უკვე აღარ თამაშობს გადამწყვეტ როლს.

2. XX ს. განმალობაში დიდი იდეოლოგიური კონფლიქტები (ლიბერალიზმს, ფაშიზმსა და კომუნიზმს შორის 1918-დან 1945 წლამდე, ლიბერალურ დემოკრატიასა და კომუნიზმს შორის მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან 1989 წლამდე) ხელს უწყობდნენ იმას, რომ პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ელემენტები (შეიარაღებული ძალები, ბირთვული არსენალი და მათი მატარებელი) გადაქცეულიყვნენ სახელმწიფოს ძლიერების უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად. XXI ს. დასაწყისში იმის თქმა, თითქოს იდეოლოგიური ხასიათის კონფლიქტებმა დასრულებული სახე მიიღო, არ შეიძლება. კვლავ რჩება დასავლეთის მორალური ფასეულობის მატარებელთა შეჯახების რისკი განსაკუთრებით რუსულ ნეოიმპერიალიზმთან, ისლამურ - ფუნდამენტალიზმთან, ჩინურ „კომუნიზმთან“, ისევე როგორც დემოკრატიის პრინციპების დამცველებსა და ნაციონალისტებს შორის.

3. სუვერენული სახელმწიფოები არასოდეს ყოფილან ერთადერთი მოთამაშეები. ყველა დროში ცალკეული პიროვნებები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოძრაობები, არასახელმწიფოებრივი ინსტიტუტები (თუნდაც ეკლესია) ასევე ახდენდნენ გავლენას საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათზე. შემდგომ მათ დაემატა მძლავრი ტრანსნაციონალირი კომპანიები და ბანკები, რომლებიც გლობალური ეკონომიკის ერთგვარ ლოკომოტივებად იქცნენ და უკვე სერიოზულ გავლენას ახდენენ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებებზე (ციტ:კვინიკაძე,2008,118).

ზოგადად, პოსტბიპოლარული მსოფლიო დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს შორის გამოვყოფ: 1. სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავების პროცესს სხვადასხვა სფეროებში; 2. ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის წამყვანი დარგების ორიენტაციას არა მხოლოდ და არა იმდენად ეროვნულ, რამდენადაც გლობალურ ბაზრებზე; 3. ქვეყნების უმეტესობა საკუთარ მომავალს და გადარჩენას უკავშირებს გლობალურ ტექნოლოგიურ-ეკონომიკურ შეჯიბრში გამარჯვების უნარს.

თანამედროვეობის მნიშვნელოვანი თავისებურება ისიცაა, რომ მიმდინარეობს სახელმწიფოთა დიდი რაოდენობის ინტეგრაცია ერთიან გეოეკონომიკურ სისტემაში. თუმცა,

განვითარების დონეების მიხედვით მათ შორის შესამჩნევი განსხვავებები შეინიშნება. ისინი ერთდროულად წარმოადგენენ როგორც პოზიტიურ, ასვე ნეგატიურ ფაქტორებს. ეს კი იმით დასტურდება, რომ ხდება წარმოების გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში, ვინაიდან მათ შორის არსებობს განსხვავება სამუშაო ძალის ღირებულებასა და სოციალური დაცვის დონეებში (National Bureau of Economic Reserch, 2002). იმავდროულად, სახელმწიფო და სახელმწიფო საზღვრები არსებობას განაგრძობენ. სახელმწიფოები იტოვებენ უფლებას კანონმდებლობით არეგულირონ საზღვრების რეჟიმი. ვიდრე იარსებებს სუვერენული სახელმწიფო, დარჩება საზღვრებიც, თუნდაც მათი გადაკვეთა არ იყოს დაკავშირებული მნიშვნელოვან სიძნელეებთან (ევროპული ინტეგრაციის პრაქტიკა აღნიშნულს ადასტურებს).

1950-იანი წლებიდან მოყოლებული, ევროპის თანამეგობრობა დაკავებულია თავისი საერთო საზღვრის მოწყობით, რაც გამოიხატა ერთიან საბაჟო ტარიფებში ევროკავშირის მასშტაბით. ევროკავშირი გულისხმობს ერთიანი ევროპული საზღვრის ფორმირებას (The Treaty of Maastricht,1992). თუმცა, გლობალურ ეკონომიკურ ინტეგრაციას და ერთიანი ბაზრის იდეოლოგიას ჯერჯერობით არ ძალუძს საზღვრების წაშლა იმ სფეროებში, სადაც პოლიტიკა და ეკონომიკა ჯერჯერობით უძლურია. მხედველობაში მაქვს კულტურული და რელიგიური საზღვრები (კვინიკაძე,2008). ამ შემთხვევაში ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ როგორ უნდა შეეთავსოს ერთმანეთს ბაზრის, თავისუფლების და დემოკრატიის უნივერსალური პრინციპები სოციალური, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების თვითმყოფადობას? ეს ერთ-ერთი იმ კითხვათაგანია, რომელსაც პასუხი უნდა გასცეს გეოეკონომიკამ.

ეს უკანასკნელი ძლიერების ცნებას საერთაშორისო ნაკადებზე კონტროლის დამყარებასთან აიგივებს. გეოეკონომიკური ძლიერება მომდინარეობს უნარიდან, შექმნა საერთაშორისო ქსელი (სავაჭრო გზები, ინფორმაციის ან გამოსახულების გადაცემის არხები), გამოიყენო იგი და მიიღო მისგან მოგება. ამასთან, ძლიერებას ფლობს ის, ვისაც საერთაშორისო ქსელში სტრატეგიული მდებარეობა უჭირავს და ფლობს თავისი უპირატესობის მაქსიმალურად გამოყენების ტალანტს. სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება (რომელიც საშუალებას იძლევა თავს მოახვიოს საკუთარი ნება, დაემუქროს და მიაყენოს დარტყმა სამხედრო ძალის გამოყენებით) განსხვავდება იმ ძლიერებისაგან, რომელსაც იძლევა საერთაშორისო ნაკადებზე კონტროლი (ეკონომიკური ზეწოლა, მეტოქის გადმობირება და ა.შ.). ამასთან, სამხედრო-პოლიტიკურისაგან განსხვავებით,

გეოეკონომიკური ძლიერება საშუალებას იძლევა პრობლემის გადაჭრა მიღწეულ იქნეს შედარებით რბილი მეთოდებით, ცალკეული შემთხვევების გარდა. თუმცა, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ გეოეკონომიკა ამარტივებს ძლიერების ტრადიციულ კრიტერიუმებს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ახალ პირობებში ძლიერება ნიშნავს წესრიგის დამყარების უნარს.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს გეოეკონომიკის აღმოცენების სხვა ვერსიები. მაგალითად, რუს მეცნიერ ერნესტ კოჩეტოვის მიხედვით, გამოყოფილია ის ოთხი ძირითადი პირობა, რომელმაც განაპირობა თანამედროვე მსოფლიოს გეოეკონომიკური პანორამის ფორმირება: 1. გლობალიზაციის პროცესი თანდათანობით შლის საზღვარს საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის; 2. აქტიურად მიმდინარეობს პოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესი; 3. მსოფლიო ეკონომიკური სისტემის დინამიკური ფუნქციონირება აყალიბებს ეკონომიკურ „რეგლამენტს“ - ეროვნული ეკონომიკების ფუნქციონირების წესების ერთობლიობას; 4. მიმდინარეობს ეროვნული ეკონომიკების საგარეო ეკონომიკური კავშირების ისეთი მოდელების შექმნა, რომელიც გავლენას ახდენს ეკონომიკური კავშირების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებაზე (Кочетов,2006).

გეოეკონომიკის ფორმირება - განვითარების ჩამოთვლილ ფაქტორთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესი, რომელსაც განვიხილავ როგორც სახელმწიფოს, ასევე სხვა ეკონომიკურ-ფინანსური სუბიექტების პოლიტიკის ძირეული ცვლილების ერთობლიობას, რომელიც განპირობებულია:

- *პოლიტიკური მიზნების მიღწევაში უპირატესად ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით;*
- *ეკონომიკურ საკითხებში დიპლომატიური კორპუსების კომპეტენტურობის ზრდით.*

გეოეკონომიკის პრობლემებზე მომუშავე მკვლევართა უმრავლესობა თანხმდება, რომ მისი დამკვიდრება პოსტბიპოლარულ მსოფლიოში გამოიწვია გლობალიზაციის პროცესის გააქტიურებამ. სწორედ ამ პროცესმა მოახდინა მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური სივრცის ცვლილების სერიოზული პროვოცირება, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია: ქვეყნებსა და ტრანსნაციონალურ სუბიექტებს შორის აქტიურად მიმდინარე შრომის გლობალურ დანაწილებასთან; ეროვნული ეკონომიკების გასვლასთან

სახელმწიფოს პოლიტიკურ საზღვრებს მიღმა, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკებს შორის გამყოფ ხაზებს ასუსტებს. შედეგად ვიღებთ მოცემულობას, სადაც დრო, სივრცე და ბაზარი რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიასთან პირდაპირ კორელაციაში აღარაა. რაც იმას ნიშნავს, რომ სისტემა - „ბაზარი - სახელმწიფო“ ნაცვლდება სისტემით - „ბევრი სახელმწიფო - ერთი ბაზარი“. ამგვარი სისტემის ძირითადი ნიშნები, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება ეროვნულზე მაღლა საერთაშორისო წესებისა და ეკონომიკური კანონების დაყენებაში. საუბარია არა მხოლოდ იმაზე, რომ იცვლება სუვერენული სახელმწიფოს საზღვრები, არამედ იმაზეც, რომ ხშირად გეოეკონომიკური პროცესები ვითარდება სახელმწიფოს საზღვრებს ზევით ან/და ცალკეული სახელმწიფოების კანონებს მიღმა (გამონაკლისის სახით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ნაკლებად ეხება აშშ–ს, რომელიც, იმის გამო, რომ დოლარი ძირითადი სარეზერვო ვალუტაა, ასამართლებს უცხოურ ფირმებს საკუთარი კანონმდებლობის საფუძველზე, ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც მათი საქმიანობა აშშ–ან საერთოდ არ არის შეხებაში).

სრულიად აშკარაა, რომ “სივრცის“ გეოპოლიტიკა, რომელიც უახლოეს წარსულში მსოფლიო წესრიგის არსს წარმოადგენდა, თანდათან იცვლება გეოეკონომიკით, რაც აჩქარებს სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულების ზრდას. ურთიერთდამოკიდებულება იზრდება არა მხოლოდ იმის გამო, რომ გაიზარდა მსოფლიო ვაჭრობის მოცულობა და ჩამოყალიბდა მძლავრი ტრანსნაციონალური ძალები, არამედ იმიტომაც, რომ საწარმოებს დღეს (ადრინდელთან შედარებით) გაცილებით ადვილად შეუძლიათ გადაიტანონ თავისი საქმიანობა იმ რეგიონებში, სადაც უკეთეს პირობებს სთავაზობენ. ამიტომაა, რომ თანამედროვე პოსტბიპოლარულ მსოფლიოში ბევრი გეოპოლიტიკური კონცეფციის შინაარსი იცვლება. გაჩნდა ტერიტორიებზე კონტროლის ახალი ფორმები, რაც გამოიხატა მარიონეტული მთავრობების შექმნასა და ახალი ეკონომიკური იმპერიალიზმის (ნეოიმპერიალიზმი) ჩამოყალიბებაში.

მსოფლიო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერება, რომელიც დღეს ფასდება არა იმით, თუ რამდენი ჯარისკაცი ჰყავს ან რამდენად დიდია სახელმწიფოს ტერიტორია, არამედ ეკონომიკური ზრდის პარამეტრებით და იმ წარმატებებით, რომელსაც ქვეყანა აღწევს გასაღების ბაზრებზე.

ამდენად, მოხდა გეოპოლიტიკის საფუძვლების ცვლილება - საბუნებისმეტყველო გეოგრაფია და ტრადიციული დეტერმინიზმი ძნელად, მაგრამ მაინც უთმობს ადგილს გეოეკონომიკას.

გეოპოლიტიკაში ახალი იდეების განვითარება უკავშირდება ამერიკელი გეოპოლიტიკოსის (განათლებით გეოგრაფის), საულ კოენის სახელს. მან ნაშრომში „გლობალური გეოპოლიტიკური ცვლილებები „ცივი ომის“ შემდგომ ერაში“ (Cohen,1991), შემოიტანა მსოფლიოს გაცილებით რთული გეოპოლიტიკური სტრუქტურები და წარმოდგენები. მის მიერ გამოყოფილი მსოფლიოს გეოპოლიტიკური ორგანიზაციის სამი დონე გარკვეულად ითვალისწინებს ახალ გეოეკონომიკურ რეალობებს. ამჟამად, არ ჩავეძიები აღნიშნული საკითხის დეტალებს (რომელიც სცილდება ნაშრომის ფორმატს) აღვნიშნავ მხლოდ იმას, რომ ს. კოენს გამოყოფილი აქვს:

- *გეოსტრატეგიული რეგიონები (სავაჭრო-ზღვისპირა და ევრაზიული კონტინენტური);*
- *გეოპოლიტიკური რეგიონი (სავაჭრო-ზღვისპირაში გამოყო 5 ასეთი რეგიონი - ზღვისპირა ევროპა და მაღრიბი, აფრიკა საჰარის სამხრეთით, ჩრდილოეთი ამერიკა და კარიბის აუზი, სამხრეთი ამერიკა, კუნძულოვანი აზია და ოკეანეთი. ორი გეოპოლიტიკური რეგიონი გამოყოფილი იქნა ევრაზიულ-კონტინენტურში. კერძოდ, აღმოსავლეთი აზია, ჰართლენდი და აღმოსავლეთი ევროპა);*
- *ერი-სახელმწიფო.*

როგორც ვხედავთ, ბიპოლარულობის პერიოდის გეოპოლიტიკური კონკურენცია, რომელიც სტრუქტურირდებოდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე, უკვე აღარ არსებობს (Krugman,1991). სწორედ ამიტომ მიიჩნევა, რომ სამხედრო ხელისუფლება დარჩა ორპოლარული, ხოლო ეკონომიკური გახდა მრავალპოლარული (თუმცა, თანამედროვე ეტაპზე განვითარებული მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, პოლ კრუგმანის ამ მოსაზრების სამართლიანობაში პირადად მე ეჭვი მეპარება, ვინაიდან არმიის მოდერნიზაციისაკენ ჩინეთის ძალისხმევა და განსაკუთრებით ძლიერი ფლოტის შექმნისაკენ მისი დაუოკებელი სწრაფვა, საულ სხვა მოცემულობას იძლევა). ამის მიუხედავად ფაქტია, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ერთი მხრივ, შესუსტდა ის პირობები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ეკონომიკურ

მეტოქეობას აშშ-ს, ევროპასა და იაპონიას შორის (ამ პირობებს განსაზღვრავდა ის, რომ, საბჭოთა საფრთხიდან გამომდინარე, ევროპა და იაპონია აშშ-ის სტრატეგიულ გარანტიებს საჭიროებდა), რაც ფაქტობრივად ნიშნავს, რომ მსოფლიო გადავიდა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ახალ რეჟიმში. მეორე მხრივ, მინიმუმამდეა დაყვანილი ის პირობები, რომელიც ხელს უწყობდა სამხედრო სახის კონფლიქტური სიტუაციის შექმნას მესამე სამყაროში, რომლის ინიცირებასაც ორპოლუსიანი მსოფლიო ახდენდა. თუმცა, როგორც უკვე დავრწმუნდით, ორპოლუსიანობის დროს ასეთი სიტუაცია არ გადიოდა გარკვეულ საზღვრებს გარეთ. სხვა შემთხვევაში მას შეეძლო გამოეწვია ორი ზესახელმწიფოს ჩარევა, რომლებიც, თავის მხრივ, უფრთხოდნენ პირდაპირ დაპირისპირებას, რომელიც შეიძლებოდა ბირთვულ დაპირისპირებაში გადაზრდილიყო. ამასთან, თუ ბიპოლარულ მსოფლიოში ეკონომიკა ემსახურებოდა სამხედრო ძალებს, ამჟამად მდგომარეობა საპირისპიროდ შეიცვალა. სამხედრო ძალები არსებობენ არა იმისათვის, რომ დაიცვას სახელმწიფო პირდაპირი თავდასხმისაგან, არამედ უფრო იმიტომ, რომ შეამციროს პოლიტიკური რისკი, რომელიც დაკავშირებულია ინვესტიციებთან და სავაჭრო ურთიერთობებთან, წესრიგის დამყარებასთან და საერთაშორისო სტაბილურობასთან.

ყველაზე მდიდარი და ყველაზე ძლიერი სახელმწიფოები, ბუნებრივია, დაინტერესებულნი არიან „status quo“-ს შენარჩუნებით, ვინაიდან ისინი კარნახობენ თამაშის იმ წესებს, რომლებიც ასახავენ, აფიქსირებენ და ამტკიცებენ არსებულ ძალთა ბალანსს.

საბჭოთა კავშირის დაშლამ ჩიხში მოაქცია ბევრი ამერიკელი სამხედრო სტრატეგი და პოლიტიკოსი. ბოროტების იმპერიასთან საბრძოლველად მობილიზებული იყო მნიშვნელოვანი ფინანსური, ორგანიზაციული, საკადრო და ინტელექტუალური რესურსები. ასე რომ, ამ იმპერიის დაშლამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა თვით აშშ-ის სამხედრო მოსამსახურეებს, სპეცსამსახურებს, ინტელექტუალურ კადრებს. განსაკუთრებით კი მსოფლიოში უძლიერეს აშშ-ის სამხედრო სამრეწველო კომპლექსს, რომელიც ამერიკის ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტი იყო და არის. აშშ-ის სამხედრო სამრეწველო კომპლექსში და სხვა ინსტიტუციებში დასაქმებული მრავალი ადამიანი, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული იყვნენ სსრკ-დან მომავალი საფრთხის ნეიტრალიზებით, პრაქტიკულად უმუშევრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ის კომერციული კომპანიები, რომლებიც

შეკვეთებს იმ სახელმწიფო სტრუქტურებიდან იღებდნენ, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ საბჭოთა იმპერიისგან მომავალი საფრთხეების თავიდან აცილებით. ამ მოცემულობაში პროცესები ორი მიმართულებით განვითარდა. ერთი მხრივ, კომპანიებმა გააჩაღეს მკაცრი კონკურენტული ბრძოლა საბიუჯეტო დაფინანსების მკვეთრად შემცირების გამო. მეორე მხრივ, დაიწყო ლობისტური ჯგუფების კონსოლიდაციის პროცესი ადამიანთა იმ ჯგუფის ინტერესთა დაცვის მიზნით, რომლებიც აღნიშნული საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ.

ამ მოცემულობაში ამერიკელმა სტრატეგებმა დაიწყეს დაგროვილი ცოდნის გამოყენების ახალი სფეროების ძიება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნატოს სამხედრო ოპერაციები იუგოსლავიაში, ერაყში, ავღანეთში, და ა.შ. ეს არის ამერიკის ახალი სტრატეგია. ამერიკელი სამხედროები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მათი გამოყენების ახალი სფეროა იძულებითი მშვიდობის დამყარება აგრესიულად განწყობილ იმ ქვეყნებში, რომლებიც საფრთხეს წარმოადგენენ გლობალური მშვიდობისათვის. ამერიკის არმია დღეს ებრძვის არა ბოროტების იმპერიას, არამედ მსოფლიოში გაბნეულ ავტორიტარიზმის კერებს. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ამერიკელ გადასახადის გადამხდელთა დაყოლიება იმაზე, რომ თავისი ფული გაიღონ რაღაც ეფემერულ უსამართლობასთან ბრძოლისათვის, საკმაოდ ძნელი გახდა, მაშინ ამერიკელმა სტრატეგებმა ძებნა დაუწყეს მასობრივი განადგურების იარაღს (ერაყი), მსოფლიო ტერორიზმის ბუდეს (ავღანეთი) და ბირთვულ იარაღს (ირანი).

4.2 ედვარდ ლუტვაკი-გეოეკონომიკის დამკვდრება

ე. ლუტვაკმა მყისიერი რეაგირება მოახდინა ახალ რეალობაზე. თუ თვალს მივადევნებთ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მის მიერ გამოქვეყნებულ წიგნებს და სტატიებს, ავტორის მიერ გამოთქმული მისაზრებანი სამ დიდ ბლოკში შეიძლება გავაერთიანოდ:

1. სახელმწიფოს სტრატეგიის განვითარების ახალი მიდგომები, მისი ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის ფორმები. ამ ცვლილებების შედეგების ასახვა ხალხის ცხოვრებაზე და საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ფუნქციონირების მომავალი;

2. ომის ახალი ფორმები, რომელიც მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება;

3. საერთაშორისო სიტუაციის ის ახალი კონტურები, რომლებშიც განვითარდება დიდი სტრატეგიის ახალი ფაზა (ძირითადი მოთამაშეები, ძალთა განაწილება, ობიექტური და სუბიექტური პრობლემების კომპლექსი).

როგორც ვხედავთ, ის არ გამოეკიდა წარსულს და დაიწყო საკუთარი ქვეყნისათვის ახალი მიზნისა და სტრატეგიის განსაზღვრაზე ფიქრი. ეს მიზნები ჩამოყალიბებულ იქნა იმ მთავარი პრობლემის ფიქსაციის ლოგიკით, რომელსაც შეეჯახა აშშ ახალ მოცემულობაში: „როგორ შევაჩეროთ აშშ-ის გადაქცევა მესამე სამყაროს ქვეყნად, ანუ როგორ მოვიგოთ გეოპოლიტიკური ომი ეკონომიკური უპირატესობის მოპოვებისათვის“ (Luttwak,1993).

1990-ანი წლების ძირითად ტენდენციას ე. ლუტვაკი განსაზღვრავს, როგორც გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკაზე გადასვლას. ეს პროცესი, მისი აზრით, წარმოადგენს ახალ რეალობას და სახელმწიფოთაშორისი დაპირისპირების ახალ ლოგიკას. მანვე იწინასწარმეტყველა გეოეკონომიკური ომების მოახლოება. ეს წინასწარმეტყველება მართლაც გამართლდა, ვინაიდან უკვე 1990-ანი წლების დასაწყისშივე მსოფლიო შეძრა სავალუტო და სავაჭრო ომების მთელმა სერიამ.

აღნიშნულის მიუხედავად, ე. ლუტვაკის ამ მოსაზრებებს გამოუჩნდნენ ოპონენტები, რომლებმაც მწვავედ გააკრიტიკეს მისი პოზიცია ამერიკის პოტენციურ ეკონომიკურ მეტოქეებთან (ევროპა და იაპონია) დაკავშირებით (Loughlin,1996). რაიმონდ ვერნონი აკრიტიკებდა რა ე. ლუტვაკის სენსაციურ ტონს, მიუთითებდა, რომ მისი მოსაზრებები ძლიერ გადაჭარბებულია და არსებულ მდგომარეობას დამახინჯებულად გადმოსცემს (Vernon,1993/1994).

„ცივი ომის“ დასრულები შემდეგ, ამერიკელი ინტელექტუალების ნაწილმა ყურადღება გაამახვილა საკუთარ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე. აღმოჩნდა, რომ თანამედროვე კაპიტალიზმს არცთუ ცოტა ხარვეზი აქვს (Robin,2001). ეს იყო კიდევ ერთი პრობლემა, რომელზედაც მწვავე რეაგირება მოახდინა ე. ლუტვაკმა თავის ნაშრომებში: „ამერიკის ოცნება საფრთხეშია“ და „ტურბოკაპიტალიზმი“.

ე. ლუტვაკის აზრით, სამხედრო ძლიერებამ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა შეიძინა არა მხოლოდ ჩრდილოეთ-სამხრეთის ურთიერთობებში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ჩრდილოეთ-ჩრდილოეთის ურთიერთობებში, ანუ პოსტინდუსტრიულ და ნაწილობრივ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებს შორის. ე.ნ ლუტვაკის აზრით, ინდუსტრიულ

ქვეყნებს შორის ამჟამინდელი ეკონომიკური შეჯიბრი ადრინდელისაგან იმით განსხვავდება, რომ სახელმწიფოებს უკვე აღარ შეუძლიათ სამხედრო ძალის გამოყენება ეკონომიკური უთანხმოების გადასაწყვეტად. სამხედრო იარაღი ძალზედ დამანგრეველია და ძვირი ჯდება. ყველა მდიდარი ქვეყანა იმყოფება დემოგრაფიულ კრიზისში, რომელიც არ იძლევა ახალგაზრდების სამხედრო ოპერაციებში (განსაკუთრებით სახმელეთო ოპერაციები) მასობრივი ჩართვის შესაძლებლობას. აი, რას წერს აღნიშნულთან დაკავშირებით ე.ნ. ლუტვაკი: "მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების ოჯახებში ოთხი, ხუთი და ექვსი ბავშვის ყოლა ჩვეულებრივი ამბავი იყო, ხოლო რვა ან ცხრა უფრო გავრცელებული იყო, ვიდრე დღეს ერთი, ორი ან სამი ბავშვი. მეორე მხრივ, ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ასევე მაღალი იყო. ადრეულ დროში, როცა ავადმყოფობის შედეგად ოჯახი კარგავდა ერთ ან მეტ ბავშვს, კიდევ ერთი ბავშვის ომში დაკარგვას სულ სხვა აზრი ჰქონდა, ვიდრე დღეს აქვს ამერიკელი ან ევროპელი ოჯახებისათვის, სადაც საშუალოდ 2,2, უფრო ხშირად კი მასზე ნაკლები ბავშვი იბადება" (Luttwak,2001,126).

ცალკე საკითხია ბავშვების ჯანმრთელობის და განათლების დონის პრობლემა. "ერთ მშვენიერ დღეს მარსის მცხოვრებლები რომ ესტუმრონ დედამიწას, ისინი ალბათ მივლენ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ გიჟები ვართ. ჩვენ ვხარჯავთ 900 მილიარდ ამერიკულ დოლარს თავდაცვაზე და 268 მილიარდს სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიებზე. ამავე დროს, განვითარების დახმარება მხოლოდ 68 მილიარდს აღწევს. ჩვენ გვჭირდება დაახლოებით 30 დოლარი ერთ ბავშვზე წლიურად იმისათვის, რომ მივცეთ განათლება ყველა იმ ბავშვს, რომლებიც დღეს სკოლაში არ დადიან, მაგრამ ფული არ არის. ამის ნაცვლად ჩვენ ყოველწლიურად გამოვყოფთ დოლარს ერთ ადამიანზე თავდაცვის ხარჯების სახით. წერს - მსოფლიო ბანკის პრეზიდენტი ჯეიმს ვულფერსონი. 28 ოქტომბერი, 2004 წელი" (ციტ: მელიქიძე, 2006,67).

იმისათვის, რომ კარგად გავიაზროთ გეოეკონომიკის მნიშვნელობა ისე, როგორც ეს ესმის ე. ლუტვაკს, სასარგებლოა მოვახდინოთ მისი შეხედულებების კონსტატაცია იმ პოლიტიკური პოლემიკის ჩარჩოებში, რომელიც მიმდინარეობს აშშ-ში, მსოფლიოში ამერიკის როლზე „ცივი ომის" შემდგომ პერიოდში. კერძოდ, თავს ესხმის რა გეოპოლიტიკას, ე. ლუტვაკი გამოდის იმ ამერიკელთა წინააღმდეგ, რომლებიც მხარს უჭერენ ამერიკა-ევროპის მუდმივ პარტნიორობას სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში; მიუთითებს იმ

გარემოებაზე, რომ ეს პარტნიორობა შეიძლება კომპრომეტირებულ იქნეს პროტექციონისტული პოლიტიკით, რომელიც გახლიჩავს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას და გაამწვავებს კონფლიქტურ სიტუაციას ინტერატლანტურ ეკონომიკაში. ის ასევე მიუთითებს, რომ გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის აუცილებელი ხდება ეკონომიკური მეთოდების მომზადების ანალიზისა და თეორიის გამოყენება ზუსტად ისე, როგორც ამას გეოსტრატეგია იყენებს. თანამედროვე გეოპოლიტიკის მიზანია საკუთარი ქვეყნის სტრუქტურული ან/და კონიუქტურული კონკურენტუნარიანობის გაზრდა მსოფლიო ბაზარზე. ერთი სიტყვით, პოლიტიკა დაიყვანება მერკანტილიზმის იდეებამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ გეოეკონომიკა, გარკვეული აზრით, ანაცვლებს გეოპოლიტიკას. ამ შემთხვევაში სავსებით რეალურია მოსაზრება, რომ გეოეკონომიკა ეფუძნება გეოპოლიტიკის და გეოსტრატეგიის არა მხოლოდ ლოგიკას, არამედ სინტაქსსაც. განსხვავება მდგომარეობს თითოეული საშუალების „გრამატიკის" სპეციფიკაში. თუ გავიხსენებთ კ. კლაუზევიცის მოსწრებულ თეზისს პოლიტიკასა და სტრატეგიას შორის განსხვავებაზე, „გრამატიკა" იცვლება იმიტომ, რომ იგი ასახავს გამოყენებული საშუალების თავისებურებას, სამაგიეროდ, ყველა სხვადასხვა „გრამატიკები" იყენებენ ერთსა და იმავე ლოგიკას (Luttwak,1990).

ე. ლუტვაკის თანახმად, პოსტბიპოლარულ მსოფლიო პირობებში დაპირისპირება ცალკეულ ქვეყნებს შორის არსად არ გამქრალა და მან მხოლოდ ახალი ფორმები შეიძინა. უხეში სამხედრო მეთოდების გამოყენებამ მსოფლიო პოლიტიკის პერიფერიაზე გადაინაცვლა, რითაც რიგი განვითარებული ქვეყნებისათვის იგი აქტუალური აღარაა. ამის მიუხედავად, განვითარებული ქვეყნები კვლავ აგრძელებენ ერთმანეთის მიმართ „სამხედრო მოქმედებებს", იყენებენ რა გეოეკონომიკური მეთოდების ფართო არსენალს. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ მრეწველობისათვის გამოყოფილი ან წახალისებული „საინვესტიციო კაპიტალი", გეოეკონომიკაში შეიარაღებული ძალების ეკვივალენტურია; სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული ახალი პროდუქტების შექმნა და განვითარება, ახალი სამხედრო იარაღის შექმნის ეკვივალენტურია; სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი, უცხო ბაზრებზე შეღწევა ცვლის უცხო ქვეყნებში სამხედრო ბაზების შექმნას და დიპლომატიურ გავლენას და ა.შ.

ე. ლუტვაკი ამტკიცებს რომ, საერთაშორისო ურთიერთობებში კომერციის მეთოდები ანაცვლებენ სამხედრო მეთოდებს, რამდენადაც თავისუფალი კაპიტალის ფაქტორი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საარტილერიო ცეცხლის ძლიერება; სამოქალაქო ინოვაციები

გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე სამხედრო-ტექნიკური ინოვაციები, ხოლო ბაზრებზე შეღწევა ძლიერების გაცილებით დიდი ნიშანია, ვიდრე სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი სამხედრო გარნიზონები და ბაზები (Luttwak,1990).

ყველა საშუალება, იქნება ეს საინვესტიციო კაპიტალი, სამეცნიერო კვლევითი დამუშავებები თუ მარკეტინგი, ყოველდღიურად გამოიყენება კერძო ეკონომიკური სუბიექტების მიერ ეკონომიკური მიზნებისათვის. როცა მათი სტიმულირებისათვის ავანსცენაზე გამოდის სახელმწიფო მაშინ, ეკონომიკა უკან იხევს და ადგილ უთმობს გეოეკონომიკას. ამასთან, სახელმწიფო იყენებს არა მხოლოდ „შეტევით" შეიარაღებას, არამედ ააქტიურებს ეკონომიკური დაპირისპირების ისეთ გავრცელებულ „თავდაცვით" საშუალებებს, როგორიცაა: ტარიფები, ქვოტები, იმპორტის არასატარიფო შეზღუდვა, ეროვნული სავალუტო კურსის დაწევა და ა.შ. ე. ლუტვაკის თანახმად, გეოეკონომიკური ბრძოლის მიზანს წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკაში სასურველი როლის მოპოვება ან/და უკვე მოპოვებულის შენარჩუნება. „ვინც შექმნის თვითმფრინავების, კომპიუტერების, ბიოტექნოლოგიების ახალ თაობებს, ფინანსური მომსახურებას და სხვა პროდუქტების მაღალ დამატებით ღირებულებას (მენეჯერები, ფინანსისტები და ა.შ.), იქნებიან ეს ამერიკელები, ევროპელები თუ აზიელები, გამარჯვებულები შეინარჩუნებენ მაღალანაზღაურებად და მაკონტროლებელ როლს, ხოლო წაგებულებს დარჩებათ მხოლოდ ამწყობი ხაზები, ისიც იმ შემთხვევაში, თუ მათი შიდა ბაზრები მოცულობითი იქნება" (Luttwak,1999,128-129).

ე. ლუტვაკი მოუწოდებს ამერიკელებს, თავი დაანებონ ლიბერალურ ოცნებებს და ქვეყნის გადარჩენისა და მსოფლიოს გეოეკონომიკურ არენაზე წარმატებული ბრძოლისათვის სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის სერიოზული რეფორმირება მოახდინონ.

ეკონომიკის კლასიკოსები ალბათ ძალიან გაოცდებოდნენ იმის გაგებით, რომ მერკანტილიზმი სულაც არ გამქრალა. პირიქით, შეინარჩუნა რა რიგი წამყვანი პრინციპები, ის ხელახლა დაიბადა ნეომერკანტილიზმის სახით. მაგალითად, ცნობილი ეკონომისტი რობერტ იაკობ სამუელსონი თვლის, რომ თანამედროვე ჩინეთი ღია მერკანტილისტურ პოლიტიკას ატარებს, რითაც დიდ ზიანს აყენებს იმ ქვეყნებს, რომლებიც შედარებით ლიბერალურ საგარეო კურსს ატარებენ (Samuelson,2007). აუცილებლად მიმაჩნია განვმარტო,

რომ თანამედროვე გეოეკონომიკასა და ნეომერკანტილიზმს შორის არსებობს რიგი პრინციპული განსხვავება. კერძოდ, თუ ნეომერკანტილიზმი საგარეო ვჭრობას განიხილავს როგორც თამაშს, რომელიც ნულოვანი ჯამით მთავრდება (ერთის მოგება უდრის მეორის დამარცხებას), გეოეკონომიკა უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ერთდროულად მოიგოს ყველა მოთამაშემ და არავითარ შემთხვევაში არ ისახავს მიზნად ზიანი მიაყენოს კონკურენტებს (თუ ეს არ უკავშირდება საკუთარი სარგებლის მიღებას). თუ ნეომერკანტილიზმი მიისწრფვის ოქროს მარაგის მაქსიმიზაციისაკენ, გეოეკონომიკა მიზნად ისახავს უპირატესობის მოპოვებას ცოდნით და კომპეტენციით.

სტატიაში „გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკისაკენ“ ე. ლუტვაკი მსჯელობს სიტუაციაზე, რომელიც ეხება სახელმწიფოს ადმინისტრაციული აპარატის გამოყენებას. მისი აზრით, თეზისი იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ხალხს ეკუთვნის, წარმოადგენს იდეოლოგიურ და ნორმატიულ მტკიცებულებათა რიგს. სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა. იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნეს სახელმწიფოს ადმინისტრაციული ძლიერება, დემოკრატიულ ქვეყნებში სულაც არ არის აუცილებელი მისი სახელისუფლებო ბიუროკრატიული აპარატის ბერკეტების ხელში ჩაგდება (Luttwak,1990).

4.3 ედვარდ ლუტვაკი და მისი გეოეკონომიკური ლოგიკა მსოფლიო გეოეკონომიკური ბალანსის კონტექსტში

თანამედროვე ეკონომიკების და ტექნოლოგიებისა განვითარების დინამიკამ საერთაშორისო არენაზე გააჩინა ისეთი სუბიექტები, რომლებიც სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების საპირწონეები არიან. ეს სუბიექტები აიძულებენ სახელმწიფოს ანგარიში გაუწიონ მათ არსებობას და აქტიურობას. თავის მხრივ, ამ სუბიექტებს გაცნობიერებული აქვთ, რომ სახელმწიფო წარმოადგენს მძლავრ რესურსს და მისი გეოპოლიტიკურად აქტიური ბიუროკრატიის მხარდაჭერის შემთხვევაში გაცილებით მეტის მიღწევაა შესაძლებელი, ვიდრე მისი არარსებობის შემთხვევაში. მძლავრი ტრანსნაციონალური კორპორაციების გამოჩენამ ბიზნესის წარმართვის ახალი მოცემულობა ჩამოაყალიბა. სწორედ ამ პრობლემებსა და შესაძლებლობების კომპლექსზე ამახვილებს ყურადღებას ე.ნ. ლუტვაკი, როცა ხაზს უსვავს იმ გარემოებას, რომ დასავლეთის საზოგადოებები მწვავე

დემოგრაფიულ კრიზისს განიცდიან და მაქსიმალურად ცდილობენ არ გამოიყენონ სამხედრო ძალა. რასაკვირველია, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც საფრთხე ემუქრება მათ სასიცოცხლო ინტერესებს. მათთვის უკვე მიუღებელია არა მარტო საკუთარი, არამედ ის დანაკარგებიც, რომელსაც განიცდის მოწინააღმდეგე. ასეთი დანაკარგები კი პირდაპირ ზემოქმედებას ახდენენ პოლიტიკაზე. პოლიტიკა კი ვალდებულია ეს ყველაფერი გაითვალისწინოს (Luttwak,1990).

ამჟამად, დასავლეთის დახმარება ძირითადად მიმართულია აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კოლონიებისაკენ, რომლებიც ევროპისთვის შედარებით მნიშვნელოვანია, ვიდრე გეოეკონომიკური სამხრეთი. ეს დახმარება ნაწილდება სპეციალურად შექმნილი ევროპული ბანკის მეშვეობით (EBRD), რომელიც დამოუკიდებელია მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდისაგან (Bergstem,1992). უნდა შევნიშნო, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის კოლონიების ეკონომიკური აღმავლობა უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობს და შეიძლება საკმაოდ დიდი დროც დასჭირდეს. ამასთან, დასავლეთს არ შეუძლია სამხრეთისთვის დიდი თანხების გამოყოფა (Roberts,1990). სავსებით შესაძლებელია, რომ სამხრეთისთვის დახმარების ამჟამინდელი დონე შემცირდეს კიდეც. ეს ეხება ისეთ რეგიონებსაც, როგორებიცაა სამხრეთ ხმელთაშუაზღვის ქვეყნები და მექსიკა. აღმოსავლეთ ევროპის იაფი მუშახელის რესურსის ამოწურვის შემდეგ, ევროკავშირი ალბათ იძულებული გახდება მიუბრუნდეს ხმელთაშუაზღვის სამხრეთით მდებარე ქვეყნებს. მომავალში მას მოუწევს გაიხსენოს „ევროაფრიკის“ კონცეფცია, რომელიც ხმელთაშუაზღვის აუზს განიხილავს როგორც ერთიან ეკონომიკურ რეგიონს (Jean, 1995).

აზია, თავის მხრივ, განიცდის სწრაფ აღმავლობას, რომელსაც ამჟამად უკვე სერიოზული ცვლილებები შეაქვს მსოფლიოს გეოეკონომიკურ არქიტექტურაში, რაშიც „მთავარი დამნაშავე“ ჩინეთია. ეს ქვეყანა ფლობს საკმაო ეკონომიკურ და ფინანსურ ძლიერებას. მან აითვისა ახალი გეოპოლიტიკური თამაშების წარმართვის ტაქტიკა, მოახერხა გეოეკონომიკურად აქტიური ბიუროკრატიის ფორმირება. იმავდროულად, დაიწყო არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სამხედრო პოტენციალის გაძლიერება. ე. ლუტვაკის აზრით, ჩინეთი სულ ურო მეტად გადადის აგრესიულ სტრატეგიაზე საერთაშორისო პოლიტიკაში. მას უკვე გაუუარესდა ურთიერთობები მეზობლებთან, გაუმწვავდა ტერიტორიული

პრეტენზიები სხვა ქვეყნებთან. ბოლო წლებში ეკონომიკის და გეოეკონომიკის სფეროებში ის უფრო ხშირად შედის კონკურენტულ ურთიერთობაში აშშ-ან. თუმცა, 2008 წლიდან ჩინეთის პოლიტიკა მკვეთრად შეიცვალა. შეიძლება ეს იმით იყოს გამოწვეული, რომ მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა ჩინეთის როლი, რისი პროვოცირებაც მოახდინა ამ დროს დასავლეთში განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც ერთი შეხედვით თითქოს დაამტკიცა ჩინეთის ეკონომიკური პოლიტიკის (პეკინის კონსენსუსი) მართებულობა. ჩინეთის ლიდერებს უჭირთ არჩევანის გაკეთება ეკონომიკურ კეთილდღეობასა და სამხედრო ძლიერების ზრდას შორის. ამასთან, ე. ლუტვაკის აზრით, კონფლიქტი აშშ-სა და ჩინეთს შორის გარდაუვალია, რასაც, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური მიზეზები განაპირობებს. ჩინეთი ზრდას განაგრძობს, ხოლო აშშ პირველობას ასე უბრალოდ არ დაუთმობს. ორივე მხარე შეეცდება, ახალი მოკავშირეების შეძენას. ყველაზე დიდი ბრძოლა კი რუსეთისთვის გაჩაღდება (Luttwak,2012).

მიმაჩნია, რომ მსოფლიოს გეოეკონომიკური (არა მარტო) უსაფრთხოების თვალსაზრისით, დასავლეთისათვის ძალზედ უარყოფითი შედეგი ექნება, თუ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ინტეგრაცია არა იაპონიის ან აშშ-ის, არამედ ჩინეთის გარშემო მოხდება. თუმცა, მოვლენების ბოლო სცენარით განვითარება საკმაოდ რთული იქნება, ვინაიდან მსოფლიო შეშინებულია ჩინეთის მზარდი სამხედრო ძლიერებით, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის საყოველთაო შეიარაღების პრეცედენტს ბადებს. აღნიშნულის გამო, როგორც ცნობილია, ჩინეთის წინააღმდეგ ინდოეთი, იაპონია, ვიეტნამი, ტაივანი და სამხრეთი კორეა ქმნიან კოალიციას. ამ კოალიციას მთლიანობაში მეტი ადამიანი, ტექნოლოგია და ფული აქვს, ვიდრე ჩინეთს. ინდოეთი, ჩინეთის მსგავსად, ფლობს განვითარების და ეკონომიკური ტრანსფორმაციის ყველა პოტენციალს გეოეკონომიკური ძლიერების იმავე პოლუსზე. თუმცა ინდოეთის ეთნოლინგვისტური დანაწევრება და ის წინააღმდეგობები, რომლითაც ხასიათდება პოლიტიკური (რომელიც დასავლურ დემოკრატიულ მოდელს წარმოადგენს) და ეკონომიკური (სოციალისტური ტიპის ეკონომიკური მოდელი) სისტემები, ასევე ინდუისტებსა და მუსულმანებს შორის შეჯახებები, უკონტროლო დემოგრაფიულ პოლიტიკასთან ერთად, ქვეყნის შიგნით სერიოზული დესტაბილიზაციის პირობაა.

ლათინური ამერიკა იწყებს ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევას, რომელშიც ის აღმოჩნდა კონტინენტზე მდებარე სახელმწიფოთა მთავრობების პოპულისტური და კორუმპირებული პოლიტიკის წყალობით. პრაქტიკულად, ამ რეგიონის ქვეყნებში, ზოგიერთის გარდა (მაგ. ჩილე), დამყარდა მერკანტილიზმის სპეციფიკური ფორმა „ნეომერკანტილიზმი სამხრეთ-ამერიკულად“, რომელის არსსაც მმართველი კლასის ინტერესების მსახურება წარმოადგენს. ბრაზილია რეგიონის ძირითად ეკონომიკურ ძალას წარმოადგენს და არგენტინასთან ერთად ძლიერი გავლენა აქვს სამხრეთ ამერიკის საერთო ბაზრის ორგანიზაციაზე (Southern Common Market-ინგლ., Mercosur-Mercado Común del Sur-ესპ., Mercado Comum do Sul-პორტ.), რომელიც სუბრეგიონულ ეკონომიკურ ბლოკს წარმოადგენს (არგენტინა, ბრაზილია, ურუგვაი, პარაგვაი, და ვენესუელა). ამჟამად ოთხი განვითარებადი ქვეყანა (მექსიკა, კოლუმბია, ჩილე და პერუ) Mercosur-ის ალტერნატიულ გაერთიანებას ქმნიან, და წყნარი ოკეანის ალიანსის საშუალებით ცდილობს განვითარებას. ეს ფაქტი, ხაზს უსვამს აზიის მზარდ ეკონომიკურ ძლიერებას და მის გავლენას ლათინური ამერიკის ეკონომიკურ განვითარებაზე. პროცესების ამგვარმა განვითარებამ შესაძლოა შეცვალოს რეგიონის გეოეკონომიკური განვითარების სტრატეგიული ვექტორი.

რაც შეეხება რუსეთს, იგი სერიოზულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისში იმყოფება. ის ცდილობს აღადგინოს ის გეოპოლიტიკური სივრცე, რომელიც დასაწყისში ეკუთვნოდა მეფის, შემდეგ კი საბჭოთა იმპერიას. სამხრეთ კავკასიაში და შუა აზიაში მან ეს ნაწილობრივ მოახერხა. შედარებით წარმატებით ბელორუსიაში. რუსეთის ჯარი იცავს ბელორუსიის დასავლეთ საზღვრებს პოლონეთთან და ლიტვასთან. იცავს ტაჯიკეთში ავღანეთის საზღვარს. რუსეთის აღმოსავლეთ ციმბირის ნაწილში იზრდება ჩინეთის დემოგრაფიული დაწოლა. მოსკოვში კი დაძაბული პოლიტიკური ბრძოლაა გაჩაღებული. რუსეთი უფრთხის აღმოსავლეთით ისეთი მძლავრი დასავლური ინსტიტუტების გაფართოებას, როგორიც ევროკავშირი და ნატოა. ასეთ გაფართოებას მინიმუმამდე დაჰყავს რუსეთის გავლენა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, მაგრამ, მიუხედავად ენერგობერკეტებისა, იგი უძლურია წინ აღუდგეს ამ პროცესს. თუ გეოეკონომიკური კონფრონტაცია ამ ფლანგზე დაიწყება, რუსეთის დღევანდელი ეკონომიკა დიდი ალბათობით ვერ გაუძლებს ახალ „ცივ ომს“. თუ მის დღევანდელ განვითარებას დავაკვირდებით, ეს ქვეყანა გარკვეულ დაბნეულობაშია, რადგან ჩინეთის მსგავსად ვერ

აკეთებს არჩევანს ძლიერებასა და კეთილდღეობას შორის. რუსეთი გადარჩება იმ შემთხვევაში, თუ შეინარჩუნებს თავის პოტენციურ არასტაბილურობაზე კონტროლს, რისთვისაც იგი საჭიროებს დასავლეთის მხრიდან მხარდაჭერას. იმპერიის აღდგენა როგორც მხარეთა შეთანხმებით (ბელორუსია, ყაზახეთი და სომხეთის ვარიანტი), ასევე ძალით (უკრაინა, მოლდავეთი, საქართველო, აზერბაიჯანი), საკმაოდ ძვირი დაუჯდება რუსეთს, რომელსაც მოსკოვი ისე ვერ გადაიხდის, თუ საშიშროება არ შეექმნა მის ეკონომიკას, რაც მისთვის შეიძლება კატასტროფით დამთავრდეს. აღნიშნულის მიუხედავად, საბჭოთა კავშირის მემკვიდრე სახელმწიფო ცდილობს კვლავ განამტკიცოს თავისი გავლენის სფეროები მსოფლიოში. განსაკუთრებით, შეინარჩუნოს სატელიტები პოსტსაბჭოთა სივრცეში. ამისთვის ის ხშირად მიმართავს საერთაშორისო სამართლისათვის შეუფერებელ ნორმებს (საქართველო და უკრაინა ამის კარგი მაგალითია), რაც საფრთხეს უქმნის მსოფლიო მშვიდობას.

მაგალითად, რუსეთის მიერ ყირიმის მიტაცების შემდგომ, გეოეკონომიკური (არა მარტო) თვალსაზრისით მსოფლიო უკვე აღარ იქნება ისეთი, როგორიც მანამდე იყო. აუცილებლად მოხდება მსოფლიოს გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური რუკის გადაფორმატება. ეს შეეხება როგორც ფინანსურ - ეკონომიკურ ინსტიტუტებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე მსოფლიო ფინანსურ სისტემის ფუნქციონირების მექანიზმებს, ვალუტის ემისიას, საგადასახადო ინსტრუმენტებს და ა.შ. ცვლილების გარეშე არ დარჩება მსოფლიოს პოლიტიკური მოწყობა და გადაიხედება კულტურულ-მსოფლმხედველობრივი განვითარება. ვფიქრობ, ყველაფერი შეიძლებოდა ადრე, 2008 წლის აგვისტოში, დაწყებულიყო როცა რუსეთმა ასევე მიიტაცა საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. თუმცა, დასავლეთს ამ დროს ხელი შეუშალა გლობალურმა ფინანსურ-ეკონომიკურმა კრიზისმა, რომლის ყველაზე მწვავე ფაზა სწორედ იმ წლის სექტემბერში განივთარდა. რომ არა ეს კრიზისი, დასავლეთის ქვეყნები სერიოზულ გეოეკონომიკურ დაწოლას მოახდენდნენ რუსეთზე, იმის მსგავსად როგორც ამას აკეთებენ დღეს რუსეთ-უკრაინის ომის გამო. დღეს თვით რუსი მეცნიერები და ხელისუფლების წარმომადგენლებიც კი ვეღარ ფარავენ იმას, რომ რუსეთი დასავლეთის სანქციებმა ღრმა კრიზისში შეიყვანა. მაგალითად, დემოკრატიული საზოგადოებისათვის კარგად ცნობილმა რუსმა ფინანსისტმა ვიაჩესლავ რობინოვიჩმა რადიოსადგურ „მოსკოვის ექოსათვის“ („Эхо

Москвы“) მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთი არის ქვეყანა, სადაც მთლიან შიდა პროდუქტში ანომალიურად დიდია ვაჭრობის წილი, რომლის დიდი ნაწილი იმპორტული პროდუქციით ვაჭრობაა. მისთვის ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ შეძლებს ფუნქციონირებას რუსეთის ეკონომიკა თუნდაც ნახევარი წლის განმავლობაში. ს. რობინოვიჩის აზრით, მომავალში იმპორტის ჩანაცვლების გზით რუსეთს მხოლოდ დეფიციტის 20%-ის შევსება შეუძლია (ისიც ნაკლები ხარისხის პროდუქციით). ამჟამად, მიმწოდებლები კი თანდათან გადავლენ წინასწარ გადახდაზე, ვინაიდან ბანკები მათ კრედიტს უკვე აღარ მისცემენ. იმპორტიორები რუბლის დევალვაციის გამო დაკარგავენ შემოსავლებს, მათთან ერთად „ფსკერზე დაეშვება“ სატრანსპორტო, სასაწყობო და ლოჯისტიკური კომპანიები, მაღაზიები და სავაჭრო ქსელის ობიექტები. შეიძლება განვითარდეს ნამდვილი კრიზისი, რაც სოფლის მეურნეობის ჩამოშლით შეიძლება დამთავრდეს. რუსეთის უშიშროების საბჭომ, პუტინმა, პატრუშევმა და ყველა ამ ორგანიზაციებმა და პერსონაჟებმა ისეთი სიტუაცია შექმნეს, რომლისგანაც თავის დაღწევა ძალიან გაუჭირდებათ, განაცხადა ს. რობინოვიჩმა. წყარო: ინტერვიუ ს. რობინოვიჩთან („Эхо Москвы“, 2015, 25.02).

ზოგიერთი რეიტინგული სააგენტოს (მაგალითად, Standard & Poor`s) ანალიზით კი რუსეთში კრიზისი უკვე დადგა. წინ არის დეფოლტების სერია. სააგენტო რუსეთის ეკონომიკაში დამანგრეველ კრიზისს წინასწარმეტყველებს, განსაკუთრებით საბანკო და ფინანსურ სფეროებში. სააგენტომ შეისწავლა რუსეთის 40 ბანკის რეიტინგი, რომლებიც, როგორც გაირკვა, სავალალო დღეში არიან. მთავარი პრობლემა, ესაა დავალიანების ზრდა, რომელიც ბანკებში ზრდის პრობლემური კრედიტების წილს. თუ 2014 წელს მსგავსი კრედიტების წილი 8% იყო, 2015 წელს მან 17-23% მიაღწია, ხოლო პერსპექტივაში 35-40%. ამასთან, დავალიანება ყველაზე მეტად შეექმნებათ კორპორაციებს. ხანგრძლივი ეკონომიკურ აქტივობის კლების (რეცესიის) პირობებში, რომელსაც თან ერთვის გეოპოლიტიკური დაძაბულობა, არაა გამორიცხული კომპანიების დეფოლტი. პრობლემური კრედიტების ზრდის მიზეზად სააგენტო ასახელებს რეცესიას, რაც უკავშირდება უმუშევრობას და რეალური ხელფასის შემცირებას, ნავთობის ფასის შემცირებას ბარელზე 55 $-მდე, სავალუტო კურსის ცვალებადობას, სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების შეკვეცას და დასავლეთის

სანქციებს. ეს ფაქტორები პირდაპირ გავლენას მოახდენს რუსეთის საბანკო აქტივების 50%-ზე (www.standardandpoors.com).

მოდით კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, როგორ სტრატეგიას მიმართა მსგავს სიტუაციაში რონალდ რეიგანის ადმინისტრაციამ. თანამედროვე რუსეთის მსგავსად, მაშინდელი საბჭოთა კავშირიც ნავთობსა და ბუნებრივ აირს იყენებდა იმ შემოსავლის წყაროდ, რომელიც უზრუნველყოფდა საბჭოთა ეკონომიკის ფუნქციონირებას. მაშინ რ. რეიგანის ადმინისტრაციამ შეძლო ნავთობსა და გაზზე ფასების მნიშვნელოვანი შემცირება, რითაც სერიოზული ზიანი მიაყენა მყარი ვალუტის შედინების პროცესს. აშშ-ის მსოფლიო პოლიტიკის ინსტიტუტის საბჭოს თავმჯდომარის, ლონგ-აილენდის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორ ოუენ სმითის აზრით, ბარაქ ობამას ადმინისტრაციამაც უნდა მიმართოს მსგავს გეოეკონომიკურ სტრატეგიას. ო. სმითი წერს: “ ჩვენს განკარგულებაშია ნავთობისა და ბუნებრივი აირის უდიდესი რაოდენობა. ზოგიერთი გათვლებით, აშშ-ის ტერიტორიაზე 300 მილიარდამდე მეტრული ტონა ნავთობისა და ფიქალის გაზის მარაგია, რაც 10-ჯერ მეტია, ვიდრე რუსეთში არსებული მარაგი. ამის გარდა, ბ. ობამას ადმინისტრაცია უკვე წელიწადია განიხილავს 20-მდე ლიცენზიის გაცემის საკითხს ბუნებრივი აირის ექსპორტთან დაკავშირებით. თუ ის გასცემს ასეთ ლიცენზიას, ამით უზრუნველყოფს ევროპის უდიდესი ნაწილის დაკმაყოფილებას ბუნებრივ აირზე, რითაც შეამცირებს ევროპის დამოკიდებულებას „რუსულ“ ბუნებრივ აირზე, რომლის ტრანსპორტირებაც ხდება უკრაინის გავლით. ამდენად, აშშ ნავთობისა და გაზის მრეწველობა მზადაა ევროპის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. საჭიროა მხოლოდ ბ. ობამას ადმინისტრაციის დარწმუნება, რათა გასცეს შესაბამისი ნებართვები. დღეს არსებობს რუსეთის ეკონომიკაზე დარტყმის კარგი შესაძლებლობა. მას შემდეგ, რაც მოიხსნება ყველა ნორმატიული წინააღმდეგობები, ჩვენი ენერგეტიკული მრეწველობა შეძლებს მსოფლიო ენერგეტიკულ ბაზარზე სიტუაციის თავის სასარგებლოდ წარმართვას. თავის შიდა პოლიტიკას და მსოფლიო პოლიტიკაში უხეშ ჩარევას რუსეთი სწორედ ნავთობის გაყიდვით აფინანსებს. თუმცა, დღეს ენერგორესურსების მოპოვების უახლესი მეთოდები აშშ-ს საშუალებას აძლევს მნიშვნელოვნად დაჯაბნოს რუსეთის ენერგეტიკული რესურსების საწარმოო და საექსპორტო შესაძლებლობები. რუსეთს ნავთობის მოპოვება საკმაოდ ძვირი უჯდება. იმისათვის, რომ რუსეთს ნავთობმა მოგება მოუტანოს, ბარელის ფასი 100$ მეტი უნდა იყოს. ამდენად, დღეს უკვე ჩვენთვის საჭიროა,

რომ მთავრობამ ფეხი აუშვას მუხრუჭს და მწვანე შუქი აუნთოს ამერიკულ გონებამახვილობას. თუ აშშ-ს უნდა, აიძულოს პუტინი გადაიხადოს უკრაინაში შეჭრისათვის, დარტყმა უნდა მიავაყენოთ ყველაზე მტკივნეულ ადგილზე - ნავთობის საფულეზე" (Forbes,04/04,2014).

ო. სმითის ამ მოსაზრებას დავუმატებდი, რომ თანამედროვე გეოეკონომიკური ფაქტორების გავლენით, რუსეთი იძულებული გახდება გადახედოს თავის პრიორიტეტებს და გაზარდოს ჩართულობა გლობალურ ეკონომიკაში. მას ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ ევროპის დამოკიდებულება რუსეთის ენერგომატარებლებზე ხანგრძლივი პერსპექტივაა. აშკარაა, რომ ევროპა ცდილობს ამ სიტუაციიდან თავის დაძვრენას. ეკონომიკური ეფექტიანობის მხრივ კი რუსეთის აზიური ენერგოტრაფიკი ნამდვილად ვერ შეედრება ევროპულს, ამიტომ რუსეთის ენერგორესურსული გზა თანდათან დასასრულისაკენ წავა.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება დააფიქსირა ცნობილმა ამერიკელმა ექპერტმა ფ. ზაქარიამ. იგი წერს: „ვიდრე ჩვენ თვალყურს ვადევნებთ ისლამური სახელმწიფოს მოქმედებებს, მსოფლიოში რაღაც უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ჩვენ ნავთობზე ფასების იტორიული ვარდნის მოწმეები ვხდებით - წელიწადზე ნაკლებ დროშინავთობზე ფასები 50%-ით შემცირდა. როცა მსგავსი შემცირება მოხდა 1980-იან წლებში მაშინ საბჭოთა კავშირი დაიშალა. რას უნდა ნიშნავდეს ეს დღევანდელობისათვის ? ... რატომ ხდება ეს მაშინ, როცა მოთხოვნილება მნიშვნელოვნად იზრდება. იმიტომ, რომ ბოლო ათწლეულებში ნავთობზე მაღალმა ფასებმა ბიზნესმენებს ახალი საბადოების საძიებო სამუშაოებისათვის გაუჩინა დიდი თანხების ინვესტირების სურვილი".

ფ. ზაქარიას აზრით, ნავთობზე ფასების რეკორდული ვარდნის მიზეზია საუდის არაბეთის გადაწყვეტილება, შეინარჩუნოს ნავთობის მოპოვების დღევანდელი დონე. ეს არის ირანის ფაქტორი, რაც დაკავშირებულია მის მიმართ სანქციების შერბილებასთან და ენერგიის დამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა საავტომობილო ტრანსპორტზე. ძირითადი ნავთობმომპოვებელი ქვეყნები ფინანსურად სერიოზულად დაზარალდებიან. ფ.ზაქარია აღნიშნავს, რომ ვენესუელის პრეზიდენტ უგო ჩავესის მემკვიდრემ გადაიბარა „გაპარტახებული ქვეყანა", რომლის ექსპორტის 96% ნავთობი შეადგენს. ვენესუელის ეკონომიკას კი სტაგნაციის ხანგრძლივი პერიოდი ელოდება.

ისევე, როგორც უ. ჩავესის შემთხვევაში რუსეთის პრეზიდენტ ვ. პუტინის პოპულარობა ნავთობზე ფასების მკვეთრად ზრდის პერიოდს უკავშირდება. რაც ნიშნავდა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას, სახელმწიფო შემოსავლებს და, როგორც შედეგი სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის მატერიალურ მხარდაჭერას. დღეს კი ეს ყველაფერი იცვლება.

ერაყს, რომელიც საკუთარი შემოსავლების 90% ნავთობიდან იღებს, ასევე ძლიერ შეუმცირდა თანხები, რაც ფ.ზაქარიას აზრით, მთავრობაში არასტაბილურობის პროვოცირებას იწვევს. ეს მოცემულობა ხელს უწყობს სხვადასხვა სექტის დაპირისპირების გაზრდას. ამ ყველაფერმა კი გზა გახსნა ისლამურ სახელმწიფოსათვის. ირანი საშუალოვადიან პერიოდში დიდი ალბათობით, შეეჯახება მსგავს სიტუაციას.

ბევრი ამერიკელი ექსპერტი და კომენტატორი იმედოვნებდა, რომ ნავთობზე ფასების შემცირება ბევრ საეჭვო რეჟიმებს გადაუკეტავდა ფინანსურ წყაროს. დღეს ეს პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ ისეთი სისწრაფით, რომელსაც ისედაც მშფოთვარე მსოფლიოში წარმოუდგენელი არასტაბილურობის გამომწვევა შეუძლია - წერს ფ.ზაქარია (The Washington Post, 2015).

ამდენად, პოსტბიპოლარულ მსოფლიოში ყალიბდება ძალთა გარკვეული ბალანსი, სადაც ერთ მხარესაა აშშ, ხოლო მეორე მხარეს ძალის სხვა ცენტრები (ევროკავშირი, ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი, რუსეთი და ბრაზილია). აშშ, თავის მხრივ, ძალით ვერ მოახვევს თავის ნებას ამ სუბიექტებს იმ საკითხებში, რომლებსაც ეს ზესახელმწიფო მიიჩნევს, როგორც უმნიშვნელოვანესს. ასეთ საკითხთა ჯგუფს კი უპირველეს ყოვლისა, განეკუთვნება უსაფრთხოება და გეოეკონომიკური ინტერესები. თავის მხრივ, უახლოეს მომავალში ვერც ერთი ზემოთ ნახსენები დიდი სახელმწიფოები (ჩინეთიც კი) ვერ შეძლებენ საერთაშორისო სისტემაში ლიდერის პოზიციის დაკავებას. ეს პოზიცია ეკუთვნის აშშ-ს. ამ კუთხით ძნელია არ დაეთანხმო კარნეგის ცენტრის უფროს მეცნიერ - თანამშრომელს, რობერტ კოგანს, რომელიც მიიჩნევს, რომ, ვიდრე აშშ რჩება გლობალური ეკონომიკის მესაჭედ, დომინირებს სამხედრო სფეროში და წარმოადგენს მსოფლიოში ლიბერალური იდეების მთავარ გამავრცელებელს, სანამ ამერიკის საზოგადოებრიობა მხარს დაუჭერს ამერიკის დომინანტ მდგომარეობას მსოფლიოში ისე, როგორც ეს უცვლელად ხდებოდა ბოლო ექვსი ათეული წლის განმავლობაში, მისი რანგის შეცვლის მცდელობა უნაყოფო იქნება. მეორე მხრივ, აშშ

მსოფლიო ზესახელმწიფოდ დარჩება იმ პირობებშიც კი, თუ მსოფლიოში გაჩნდება ამ სტატუსის რამოდენიმე პრეტენდენტი, რომლებიც თავის მეზობელ ქვეყნებში უფრო შიშს ნერგავენ, ვიდრე სიმპატიას (Kagan,2008).

მაგალითად, ე. ლუტვაკის აზრით, თუ აშშ-ის პირველობის ინერტული რეალობა (რომელიც ამჟამად უპირატესად წარმოადგენს პოზიტიური მხარდაჭერის წყაროს) შეიცვლება მსოფლიო ჰეგემონობისაკენ მისი გამოკვეთილი მისწრაფებით, ეს გამოიწვევს საპასუხო ნაბიჯებს: იატაკქვეშა წინააღმდეგობას სუსტი ქვეყნების მხრიდან და ღია ოპოზიციას შედარებით ძლიერი ქვეყნების მონაწილეობით. იმისათვის, რომ უზრუნველყონ საკუთარი დამოუკიდებლობა, არა მხოლოდ ჩინეთი ან რუსეთი, არამედ აშშ-ის ძველი მოკავშირეებიც იძულებულნი იქნებიან გაერთიანდნენ ერთ კოალიციაში აშშ-ის წინააღმდეგ. ამჟამად, აშშ-ის წინააღმდეგ ასეთი კოალიციის არარსებობა ამტკიცებს, რომ აშშ მხოლოდ პოტენციურადაა ერთადერთი გლობალური ზესახელმწიფო. ქვეყნის ძლიერება ყოველთვის განისაზღვრება ერთადერთი შესაძლო ხერხით, რომელიც ზუსტია, როგორც ლაკმუსის ქაღალდი: იმ რეაქციებით, მომგებიანი ან მტრული, რომელსაც ის იწვევს. რამდენად შორს და სწრაფად განვითარდება ღია დაპირისპირების ფორმები, ამის თქმა შეუძლებელია (Luttwak,2001).

გეოეკონომიკური თვალსაზრისით პრობლემა გაცილებით რთულად მეჩვენება, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს და, აი, რატომ: ქვეყნის უნარი აწარმოოს აქტიური გეოეკონომიკური პოლიტიკა და მოიპოვოს შესაბამისი უპირატესობა, რიგი ფაქტორებით განისაზღვრება. მათ შორის ერთ-ერთი ძირითადია ეროვნული ეკონომიკის ზომა, რამდენადაც გეოეკონომიკური ომის ბევრი ინსტრუმენტი (აქტიური ინდუსტრიული პოლიტიკა, ინვესტიციები, სამეცნიერო კვლევების ფართო სპექტრი, კონკურენტუნარიანი სახელმწიფო აპარატი და ა.შ.) მოითხოვს საშუალებათა მნიშვნელოვანი მოცულობის კონცენტრაციას სახელმწიფოს ხელში. თუმცა, ხშირად სწორედ მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზომა ხდება აქტიური გეოეკონომიკური მოქმედებების შემზღუდველი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტური ფაქტორი. თუმცა, ერთ-ერთი და არა ერთადერთი, ვინაიდან იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც მშპ-ის მოცულობით მსოფლიოს პირველ ათეულში შედიან, ყველა არ წარმოადგენს გლობალური პოლიტიკის მძლავრ სუბიექტებს. ამასთან, როგორც ე. ლუტვაკი მიუთითებს, მოცულობითი ეკონომიკა მნიშვნელოვანი, მაგრამ

ყოველთვის საკმარისი არაა გეოეკონომიკური დღის წესრიგში მონაწილეობისათვის. ქვეყანას სჭირდება კომპეტენცია და ერთგული მმართველი ელიტა, რომელიც დაჯილდოებულია შესაბამისი ამბიციის უნარით (Luttwak,1979).

ზემოთქმულის საპასუხოდ აღვნიშნავ, რომ მსხვილი ეკონომიკების ბევრმა ქვეყანამ ვერ შეძლო შეექმნა ისეთი საგანმანათლებლო სისიტემა, რომელიც მუდმივად მოამარაგებდა ქვეყანის მმართველობის აპარატს სათანადო გეოეკონომიკური განათლების მქონე კადრებით. ამ მხრივ, უკეთესი მდგომარეობაა იაპონიასა და გერმანიაში. ამ ქვეყნებში, განსხვავებით სხვა ქვეყნებისაგან, უზრუნველყოფილია სხვადასხვა კომპეტენციის სფეროების კოორდინაცია. გერმანიასა და იაპონიაში არსებობს ერთიანი სამინისტრო, რომელსაც გააჩნია კომპეტენცია, გადაწყვეტილება მიიღოს როგორც სამრეწველო, ასევე საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში. გერმანიაში არსებობს ეკონომიკის ფედერალური სამინისტრო, რომელიც განაგებს თითქმის ყველა ეკონომიკურ საკითხებს (ფინანსურის გარდა), საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ჩათვლით. გარდა ამისა, „იაპონიაში ფუნქციონირებს საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, რომელიც აყალიბებს ეროვნულ სავაჭრო-სამრეწველო პოლიტიკას. საფრანგეთში არსებობს საგარეო ვაჭრობის სამინისტრო, ხოლო ეკონომიკისა და ფინანსების სამინისტროს ჩარჩოებში მოქმედებს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამმართველო (Direction des Relations Economiques Exterieures), რომლის ამოცანაა საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დამუშავება და განვითარების მიმართულებების განსაზღვრა, ასევე თითოეული სამინისტროს მიერ გატარებული მოქმედების კოორდინაცია. დიდ ბრიტანეთში ამ რამდენიმე წლის უკან მოხდა მრეწველობის დეპარტამენტისა (Departament of Industry) და ვაჭრობის დეპარტამენტის (Departament of Trade) შერწყმა“ (კვინიკაძე,2008,324).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ეკონომიკური პოლიტიკისა და სტრატეგიის ეფექტურობას უზრუნველყოფს არა მხოლოდ აუცილებელი სტრუქტურის შექმნა, არამედ სოციალური ორგანიზაციის მთელი რიგი ასპექტები და კვალიფიციური ჩინოვნიკებისა და პოლიტიკოსების მომზადება. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა ერთმანეთისაგან განსხვავებული გერმანული და იაპონური მოდელების შედარება, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ქვეყნები კლასიკური გეოეკონომიკური ქვეყნების რიგს განეკუთვნება. გეოეკონომიკის

სფეროში გერმანიის მოდელი ხასიათდება მცირე ბიუროკრატიული აპარატით ფედერალურ დონეზე, რომელსაც ამავე დროს არ გააჩნია გადამწყვეტი ხმა გეოეკონომიკური სტრატეგიის განსაზღვრაში (კვინიკაძე,2008). იაპონიის გეოეკონომიკაში კი, როგორც ავღნიშნე, პირიქითაა, სახელმწიფო მაკონტროლებლის როლს ასრულებს აღნიშნულ სფეროში, რომელსაც იგი ახორციელებს უდიდესი სამინისტროს მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ძირითად სტრატეგიას. ისეთი ორგანიზაცია, როგორიცაა იაპონიის საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, ამუშავებს გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას, წარმოების წამყვან დარგებში მთელი ქვეყნის მასშტაბით და მასში მონაწილეობისათვის კონკურსის საფუძველზე იწვევს უმსხვილეს ეროვნულ საწარმოებს (Yamamura,1986).

გეოეკონომიკური გადაწყვეტილებები, როგორც წესი, გრძელვადიან ხასიათს ატარებენ, რაც ხშირად წინააღმდეგობაში მოდის თანამედროვე პოლიტიკური სისტემების მოკლევადიან იმპერატივებთან. უფრო მეტიც, ბევრი გეოეკონომიკური გადაწყვეტილება არსებული თაობისაგან გარკვეულ მსხვერპლშეწირვასაც მოითხოვს მომავალი თაობის სასარგებლოდ (მაგალითად, მოკლევადიან პერსპექტივაში საკუთარი ქვეყნის მეწარმეების დაცვა ფასებს გაზრდის შიდა ბაზარზე, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში, სწორი გეოეკონომიკური სტრატეგიის გატარებით, შექმნის დარგის შენარჩუნების და მისი კონკურენტუნარიანობის აყვანის შესაძლებლობას საერთაშორისო დონეზე). ეს მოცემულობა კი ვერ ჯდება პოლიტიკური რეალობების კონტექსტში, ვინაიდან გეოეკონომიკა მოითხოვს მმართველობითი ფუნქციების ერთ ხელში თავმოყრას. ამ მხრივ, საინტერესო და, იმავდროულად, საკამათოცაა იტალიელი გეოეკონომისტების დასკვნა იმის შესახებ, რომ საპარლამენტო რესპუბლიკა გაცილებით რთულად ეგუება გეოეკონომიკურ კონკურენციას, ვიდრე საპრეზიდენტო (Jean,1995).

ტრადიციულად სახელმწიფოს ძლიერების ფუნდამენტად ცენტრალიზებული პოლიტიკური ძალაუფლების კონსოლიდაცია მიიჩნეოდა. მაგრამ, სტაბილური ეკონომიკური კლიმატის არარსებობის შემთხვევაში, პოლიტიკური ინსტიტუტები სუსტდებიან და ენთროპიას (ქაოსს და განუკითხაობას) განიცდიან. ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიაში ეროვნული მთავრობა, კერძო ბიზნესი,

შესაძლებლობები, მოთხოვნა და კონკურენცია ქმნიან ერთიან ინტეგრირებულ სტრუქტურას, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად (Porter,1990).

სახელმწიფოს ძლიერება განისაზღვრება მისი ეკონომიკური სიმდიდრით, რომელსაც ქმნიან მოქალაქეები, სამთავრობო და კერძო სექტორები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ქვეყნის შიგნით კონკურენტუნარიანი პროდუქტის წარმოება განსაზღვრავს ექსპორტის ხვედრით წილს, რომელიც უნდა აღემატებოდეს იმპორტის მოცულობას. ამიტომ, რაც მეტ კონკურენტუნარიან პროდუქტს აწარმოებს ქვეყანა და გააქვს საერთაშორისო ბაზარზე, მით უფრო მდგრადია მისი ეკონომიკური პოტენციალი. ქვეყნის ფარგლებს გარეთ პროდუქტის წარმოება დამოკიდებულია იმ ბიზნესოპერაციებზე, რომლებიც ხორციელდება ამ ქვეყნის კომპანიების მიერ სხვა სახელმწიფოებში, რაც გლობალურ გარემოში უფრო და უფრო ინტენსიური ხდება. სახელმწიფოს ეროვნული სტრატეგია - ეს არის ხელისუფლების მიერ ყველა სახის სახელმწიფოებრივი რესურსის (ეკონომიკური, პოლიტიკური, დიპლომატიური, ტექნოლოგიური, სამხედრო) თავმოყრა და მათი მიმართვა მთავრობის მიზნების განხორციელებისათვის სხვა მთავრობებთან კონკურენციის წარმართვის მიზნით (Huntington,1985). თუმცა, ამ შემთხვევაში შეიძლება ბოლომდე არ დავეთანხმო ს. ჰანტინგტონს იმაში, რომ ეკონომიკური ძლიერება სახელმწიფოს ძლიერების განმსაზღვრელი ფაქტორია, ვინაიდან ქვეყნის ძლიერებას სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები განაპირობებენ.

მაგალითად, ცნობილი ქართველი მეცნიერი ა. რონდელი მიიჩნევს, რომ „როდესაც ეროვნული ძლიერების შესახებ ვიწყებთ საუბარს, საჭიროა ვიცოდეთ, რომ ქვეყნის ძლიერება მისი გეოგრაფიის თავისებურებებიდანაც გამომდინარეობს. ტერიტორიის სიდიდე, მდებარეობის თავისებურებები, რელიეფი და ჰავა, ცალ-ცალკე და ერთად, განსაზღვრავენ ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, მის უსაფრთხოებას თუ მოწყვლადობას. მართალია, თანამედროვე ტექნიკა (ტრანსპორტი, კომუნიკაციის საშუალებები, იარაღი და ა.შ.) გეოგრაფიული, ბუნებრივი პირობებისა და ფაქტორების გავლენას ასუსტებს, მაგრამ კარგი ბუნებრივი ზღუდეები, მოწინააღმდეგის ჯარისათვის რთულად გასავლელი რელიეფი (მთები, უდაბნოები, მდინარეთა ქსელი, ჭაობები და ა.შ.) ქვეყნის უსაფრთხოებას, დაცულობას ზრდის, ხოლო იგივე ფაქტორები, ზოგიერთ შემთხვევაში, არ უწყობს ხელს

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას. პოლონეთი, რომელიც გერმანიასა და რუსეთის იმპერიას (შემდეგ საბჭოთა კავშირს) შორის მდებარეობდა და ძირითადად ვაკეს წარმოადგენს, თავისი ორი ძლიერი მეზობლის – რუსეთისა და გერმანიის – არმიების სათარეშო ტერიტორია იყო. ავღანეთი კი იმის გამო, რომ უმეტესწილად მთაგორიანია, ყოველთვის ძალზე ძნელად დასაპყრობი იყო.

ქვეყანა შეიძლება იყოს სუსტი სამხედრო-პოლიტიკურად, მაგრამ ძლიერი და მდგრადი სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით. საბჭოთა კავშირი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი, კბილებამდე შეიარაღებული ქვეყანა იყო, მაგრამ სწრაფად ჩამოიშალა, რადგან მისი სახელმწიფოებრიობა აგებული იყო ხელოვნურ, ანტიადამიანურ პრინციპებზე და მოსახლეობის დატერორებისა და დაშინების ძალით არსებობდა. გარდა ამისა, სსრკ არარუსებისათვის მაინც დამთრგუნველი რუსეთის იმპერია იყო და როგორც კი მარწუხები მოეშვა, სახელმწიფოც დაიშალა. საბჭოთა კავშირის მოსახლეობას თავისი ქვეყნის პატივისცემა და ერთგულება რომ ჰქონოდა, ეს უზარმაზარი ქვეყანა არ დაიშლებოდა...

ზოგის აზრით, საკმარისია გქონდეს დიდი ტერიტორია და გყავდეს მრავალრიცხოვანი მოსახლეობა და უკვე ძლიერი სახელმწიფო ხარ. დიდი ქვეყანა თითქოს დიდ არმიასა და სამხედრო-პოლიტიკურ ძლიერებას გულისხმობს. ნაწილობრივ ასეც არის, მაგრამ ქვეყნის ძლიერების არანაკლები პირობა მაინც ძლიერი და მყარი სახელმწიფოებრიობაა. რა თქმა უნდა, დიდ ქვეყანას, მრავალრიცხოვანი მოსახლეობით, ძლიერ ქვეყანად ქცევის დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ მდგრადი, მყარი სახელმწიფოებრიობის გარეშე ამგვარი ქვეყანა ჭეშმარიტად ძლიერ ქვეყნად ვერ ჩამოყალიბდება.

ზოგი ფიქრობს, რომ თუ ქვეყანას ბევრი და მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსი აქვს, მისი ძლიერება გარანტირებულია. ბევრ და მრავალრიცხოვან ბუნებრივ რესურსებზე უარს არავინ იტყვის, მაგრამ მხოლოდ ბუნებრივი რესურსების სიმრავლე არ ქმნის ძლიერებას. ამ რესურსებს ჭკუით და რაციონალურად გამოყენება სჭირდება. ბევრია ისეთი ქვეყნები, რომლებსაც დიდი რაოდენობით აქვთ ბუნებრივი რესურსები, მაგრამ არც ძლიერნი არიან და ხშირად სხვათა სანედლეულო დანამატის როლს სჯერდებიან". (რონდელი,2014,42-45).

სახელმწიფოთა მეტოქეობა და იერარქია სულ უფრო მეტად ხდება ეკონომიკაზე დამოკიდებული. ევროპაში ჩასახული თანამედროვე სახელმწიფოს მოდელი უპირატესად საკუთარი სამხედრო ძლიერების განმტკიცებისკენ იყო მიმართული. დღეს სახელმწიფოსათვის აუცილებელი ხდება საკუთარი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება. ამიტომაა, რომ გეოეკონომიკა აანალიზებს იმ ეკონომიკურ (საბაზრო) სტრატეგიას, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველს შეადგენს. ეს სტრატეგია კი მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, ეროვნული ეკონომიკის სუბიექტების დაცვას და მეორე მხრივ, მათ დახმარებას ისეთი ტექნოლოგიური უპირატესობის შესაქმნელად, რომელიც მსოფლიო ბაზრის ახალი სეგმენტის მოპოვების საშუალებას იძლევა. ეს უკანასკნელი კი სახელმწიფოს და მისი ეკონომიკის ცალკეულ სუბიექტებს ძალის და საერთაშორისო გავლენის ელემენტს უჩენს, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მისი გეოპოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის გაძლიერებას. ამიტომაა, რომ სახელმწიფოს გეოეკონომიკური სტრატეგიის საბოლოო მიზანს წარმოადგენს არა ტერიტორიების პოლიტიკური კონტროლი, არამედ ტექნოლოგიური და კომერციული უპირატესობის მოპოვება. იმის მიუხედავად, რომ ეკონომიკურ სივრცეში სახელმწიფოთა დაპირისპირება ზოგადად მაინც არ ატარებს აშკარად გამოკვეთილ კონფრონტაციულ ხასიათს, ეს არის კონკურენცია (რომელიც მართალია ხშირად არ ჯდება კლასიკური ლიბერალიზმის ჩარჩოებში) და ეს არის ბრძოლა, მაგრამ არა ომი კლასიკური გაგებით.

როგორც ვხედავთ, „გეოეკონომიკის“ ცნება შემთხვევით არ აღმოცენებულა. იმის მიუხედავად, რომ არსებობს ამ ტერმინის გაშიფვრის რამდენიმე ვარიანტი, ერთი რამ ეჭვს ნამდვილად არ იწვევს. ყველა შემთხვევაში აშკარაა, რომ გეოეკონომიკაში საქმე გვაქვს ხუთი კომპონენტის ერთგვარ კოქტეილთან (სივრცე, პოლიტიკა, ეკონომიკა, კონფლიქტები და მართვა). მათი სინთეზი ქმნის გეოეკონომიკურ მიმართულებას მეცნიერებათა სისტემაში და აყალიბებს გეოეკონომიკის საგანს, რომელსაც ჯერჯერობით არ გააჩნია პრეტენზია განკერძოებულ სტატუსზე (კვინიკაძე,2008).

გეოეკონომიკა ამჟამად მეცნიერებად ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ცოდნის დარგია. საქმე იმაშია, რომ ნებისმიერი მეცნიერების დარგს გააჩნია საკუთარი თეორია, კვლევის საგანი და მეთოდები. რამდენად აქვს ეს ყველაფერი გეოეკონომიკას, ეს სადავო

საკითხია. ამის მიუხედავად, ის რეალურად არსებობს და სწავლობს გლობალური და ლოკალური მასშტაბების ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტებს. ამ ტიპის კონფლიქტებში კი მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფო მონაწილეობს. აშკარაა, რომ ამ რეალობის კომპლექსურ შესწავლას ვერ მოახერხებს ვერც ერთი ცალკე აღებული მეცნიერება. მაგალითად, იდეოლოგიური მოსაზრებებით გეოეკონომიკა გაიმიჯნა გეოპოლიტიკისაგან და გაგებული იქნა, როგორც ეკონომიკური სივრცის ათვისება სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე, ხოლო გეოპოლიტიკა, როგორც პოლიტიკური სივრცის ათვისება სამხედრო და ეკონომიკური (ბლოკადა, ემბარგო) ძალის გამოყენებით. თავდაპირველად დასავლეთში გეოეკონომიკის დანიშნულება გაგებულ იქნა, როგორც ეკონომიკურ ინტერესთა კონფლიქტების გადალახვა მხოლოდ დასავლეთის ქვეყნებს შორის, ვინაიდან ამ ქვეყნებს შორის სამხედრო იარაღის გამოყენება შეუძლებელია, ხოლო მსოფლიოს დანარჩენი ნაწილი დარჩა გეოპოლიტიკის „მძევლად“, რომელშიც სამხედრო იარაღის გამოყენება დასაშვებია. იმის გამო, რომ სულ უფრო და უფრო მეტი სახელმწიფო საკუთარი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების გამოყენებით იბრძვის იმის წინააღმდეგ, რომ მსოფლიო არ იყოს გაყოფილი ჩრდილოეთად და დანარჩენ მსოფლიოდ, გეოეკონომიკის გამოყენების სფეროც მის პროპორციულად იზრდება. დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური კონფლიქტები მთელი მსოფლიოს მასშტაბით არის მოდებული და, ამდენად, გეოეკონომიკის მოქმედების პოლიგონი არა მხოლოდ ჩრდილოეთი, არამედ მთელი მსოფლიო ხდება. მისასალმებელია, რომ დასავლელი მეცნიერები ამ ფაქტს ყურადღებით ეკიდებიან. ამიტომ თითოეული სახელმწიფო, მისი გეოგრაფიული, დემოგრაფიული თუ ეკონომიკური ზომების მიუხედავად, თანამედროვე მსოფლიოს გეოეკონომიკურ რეალობაზე დაფუძნებულ სტრატეგიას უნდა აგებდეს.

მეორე მხრივ, ვფიქრობ, ტერმინ „გეოეკონომიკის“ შემოტანა გარკვეულად ავსებს ამ სფეროში არსებულ ლექსიკის დეფიციტს. უფრო კონკრეტულად კი იგი აღწერს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე იმ პროცესს, რომლის დროსაც ეკონომიკის ხელში ნელ ნელა გადადის მმართველობითი და სახელისუფლებო ფუნქციები როგორც ლოკალურ, ისე გლობალურ დონეებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე სრულიად ბუნებრივად მეჩვენება, რომ ეკონომიკური ფაქტორები მიმდინარე მილენიუმის განმავლობაში დიდ გავლენას მოახდენენ სახელმწიფოთა პოლიტიკებზე, ხოლო ეკონომიკური კონფლიქტები პირველ

ადგილზე დამკვიდრდება ყველა სახეობის კონფლიქტებს შორის. კონკურენტულ ბრძოლაში, ისევე როგორც კლასიკურ ომში, სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს იმის უნარი, რომ გაიმარჯვოს, რაც ნიშნავს ახალი ეკონომიკის პირობებში ქვეყნის ადგილის პოვნა-შენარჩუნებას და ქვეყნის განვითარების უზრუნველყოფას.

V.ლექცია

მსოფლიოს ძირითადი გეოეკონომიკური სკოლები

5.1 გეოეკონომიკის ძირითადი სკოლები და მათი კონცეფციები

5.2 თეორიული და გამოყენებითი გეოეკონომიკის მეთოდები

5.3 გეოეკონომიკის განვითარების პრობლემები

5.1 ძირითადი გეოეკონომიკური სკოლები

ცივი ომის შემდგომ პერიოდში ამერიკელმა მეცნიერმა ედვარდ ლუტვაკმა სამეცნიეროÿÿლიტერატურაში დაამკვიდრა ცნება `გეოეკონომიკა~. ამ ტერმინით მან აღნიშნა დასავლეთის (უპირველესად აშშ) ქვეყნის მომავალი პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, რომელიც მან გააჟღერა 1990 წლის ზაფხულში ჟურნალ `ნაციონალ ინტერესტს~–ში გამოქვეყნებულ სტატიაში `გეოპოლიტიკიდან ეკონომიკისაკენ. კონფლიქტის ლოგიკა, ვაჭრობის გრამატიკა~ . ასეთი გეოეკონომიკა _ წერს ე. ლუტვაკი _ მოითხოვს ეკონომიკური შეტევისა და თავდაცვის ხერხების დამუშავებას, რომელიც მიმართული იქნება მთავარი მიზნისკენ _ უზრუნველყოს დასაქმების ყველაზე კარგი შესაძლებლობა საკუთარი მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის და თუ საჭირო გახდა უცხო ქვეყნის მოსახლეობის ზიანის მიყენების ხარჯზეც. ე. ლუტვაკის საწყის ფორმულირებაში კი გეოეკონომიკის დანიშნულება, მისი მისია შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: თუ მისი (ერის) შიდა ერთსულოვნება კონსოლიდირებული უნდა იყოს საფრთხის თავიდან აცილებისკენ. დღეს ასეთ საფრთხეს წარმოადგენს ეკონომიკა. კლასიკურ

გეოპოლიტიკასა და გეოეკონომიკას შორის ძირითადი განსხვავება, ამ მეცნიერის აზრით უნდა განისაზღვროს ორი მომენტით: ა) მსოფლიო პოლიტიკის დიდი პრურალიზმით, სადაც სამხედრო-ძალოვანი მოდალურობა უკვე ღიად აღარაა დომინანტი; ბ) იმით, რომ თუ ადრე სახელმწიფოები მსოფლიო ომების სუბიექტები და მისი არეალის შემქმნელები იყვნენ, ამჟამად ქვეყნებს ბრძოლა უწევთ მსოფლიო ეკონომიკის არენაზე, რომელსაც ისინი მთლიანად ვერ ფარავენ, რადგან ამ არენის მნიშვნელოვან ნაწილს იკავებს პრივატული, მათ შორის ტრანსნაციონალური კაპიტალი, რომლის ლოგიკა და ინტერესები შეიძლება არ დაემთხვეს ერის გეოეკონომიკურ ამოცანებს.

მოგვიანებით ე. ლუტვაკმა განავითარა თეზისი `კონსოლიდირებულ ეკონომიკურ საკითხთან~  დაკავშირებით და მეცნიერულ ბრუნვაში შემოიტანა შემდგომში არცთუ პოპულარული ტერმინი `ტურბოკაპიტალიზმი~, რითაც მან აღნიშნა დედამიწაზე მოძრავი ფინანსური დინებები და `სიღარიბის აჩრდილი~, რომლებმაც სახელმწიფოების წინაშე წარმოქმნა კიდევ ერთი ახალი, კონტროლს დაუქვემდებარებელი პრობლემა, რომლებსაც ამჟამად გეოფინანსებს უწოდებენ . ამ ტერმინის ე. ლუტვაკისეული გაგება გულისხმობს, არა მხოლოდ  ტერმინ `გეოპოლიტიკასთან~ რაიმე საპირწონეს, არამედ ამ ტერმინით იგი `დაუპირისპირდა~ ასევე ტერმინებს `მერკანტილიზმი~ და `ეკონომიკური ომი~.

ე. ლუტვაკის აზრით, ორპოლუსიანი მსოფლიოს შემდგომ სამხედრო სიძლიერე გადადის მეორე პლანზე, სახელმწიფოთა იერარქია, მათი რანგი და ქმედითუნარიანობა საერთაშორისო არენაზე დღეს მხოლოდ ეკონომიკური სიძლიერით განისაზღვრება.

ცოტა მოგვიანებით გეოეკონომიკის ფორმირება დაიწყო იტალიაში, რომლის ფუძემდებლად ითვლებიან კარლო ჯანი და პაოლო სავონა. ეს მკვლევარები გეოეკონომიკას განიხილავენ, როგორც `ყველა ეკონომიკური მიზანდასახულობისა და სტრუქტურის ერთიან სტრატეგიაში მოქცევას ამა თუ იმ ქვეყნის დონეზე, რომელიც ითვალისწინებს მსოფლიოში არსებულ სიტუაციას~, მათ შორის, სიტუაციას ფინანსურ ბაზრებზე, რომელზეც მოძრაობს კაპიტალი და რომელიც არც ერთ სახელმწიფოსთან არ ასოცირდება, თუმცა ისინი თვითონ ირჩევენ სად გადაიხადონ, ან არ გადაიხადონ გადასახადები. ე.ლუტვაკის კვალდაკვალ სახელმწიფოს (როგორც ერის ინტეგრაციის ინსტიტუტის) მთავარ საფრთხედ, ეროვნული ეკონომიკური საზღვრების მოშლის პირობებში, იტალიელი ავტორებიც

მიიჩნევენ არა ღარიბთა სოციალურ ამბოხს, არამედ კაპიტალის მისწრაფებას „მდიდართა ბუნტისაკენ“. ასეთი ბუნტი კი საფუძველი ხდება ეროვნული კონსოლიდაციის შესუსტების, იმ ეკონომიკურად წარმატებულ ქვეყნებსა და რეგიონებში, რომლებიც სულ უფრო ნაკლებად ეყრდნობიან სახელმწიფოთა მხრიდან მხარდაჭერას. შესაბამისად, მათ არ გააჩნიათ არავითარი სურვილი დააფინანსონ ნაკლებად განვითარებული მეზობელი ტერიტორიები და მზად არიან შექმნან „არქიპელაგი…… სიმდიდრის კუნძულისა, სიღარიბის ოკეანის შუაგულში“.

კ. ჯანისა და პ. სავონას პათოსია განამტკიცონ ეროვნული სახელმწიფო, რომელიც იჭყლიტება „მტაცებლურ ქალაქებსა“ და მზარდ გეოეკონომიკურ იმპერიებს შორის (ევროკავშირის მსგავსი).

რამდენადაც ახალი ტექნოლოგიები ამცირებენ მოთხოვნილებას სამუშაო ძალაზე, იტალიელი გეოეკონომისტები მთავრობებისათვის ვერ ხედავენ სხვა გზას, თუ არა მათი უარი მრავალ სოციალურ გარანტიაზე საზოგადოების ქვედა ფენების (ღარიბთა) მიმართ, იმ მიზნით რომ ინტენსიურად შეუწყონ ხელი კაპიტალს, რათა ეროვნულ ტერიტორიაზე შექმნან `სიმდიდრე ნაკლები სოციალური დანახარჯებით“.

ამდენად, ე. ლუტვაკის მიერ ზემოთ ფორმულირებული პრინციპი `დასაქმების ყველაზე კარგი შესაძლებლობა საკუთარი მოსახლეობის უმეტესი ნაწილისათვის~, იცვლება ლოზუნგით „მეტი ღარიბი, ნაკლები უმუშევარი“. კ. ჯანი და საერთოდ იტალიური გეოეკონომიკის მამები, დასცინიან ყბადაღებულ საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს, როგორც `დემოკრატიის დეფიციტს, რომლის დროსაც „სულ უფრო მეტი დეფიციტი და სულ უფრო ცოტა დემოკრატიაა „ . ყველაფრის მიუხედავად, ერთი რამ ეჭვის გარეშეა, კ. ჯანი, პ. სავონა და მათი კოლეგები დაჯერებული ეტატისტები არიან. მათ ერთი სურვილი აქვთ შეინარჩუნონ იტალიის ეროვნული სახელმწიფო, რისთვისაც ისინი იმ უკანასკნელ ხარკს იღებენ, რაც შეიძლება მოითხოვოს ახალმა მსოფლიო წესრიგმა, რასაც ეწირება ღარიბთა ცხოვრების დონე, პენსიონერთა უზრუნველყოფა და უფროსი თაობის იმედები. იტალიელთა თანამემამულის ნ. მაკიაველის სიტყვებით „სახელმწიფო მუდმივად უნდა იყოს მზად დაიცვას ეროვნული ინტერესები და არ დაიცვას ნებისმიერ ფასად არსებული ხელშეკრულებები“.

ამდენად, თუ ე. ლუტვაკი ფიქრობდა გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის ერთმანეთისაგან გამიჯვნას, იტალიელი კორპუსის გენერალ კ.ჯანისათვის გეოეკონომიკა წარმოადგენს არა გეოპოლიტიკის ალტერნატივას, არამედ მის შეზღუდულ ნაწილს განსაკუთრებული მეთოდოლოგიით, სადაც გამოიყენება გეოპოლიტიკური ლოგიკა სპეციალურ ვარიანტში, როგორც „დინებების ლოგიკა“ (რომელიც უკავშირდება რესურსებს, კერძოდ, ფინანსურ დინებებს). ამ ახალ ხარისხში გეოეკონომიკამ უნდა ითანამშრომლოს გეოპოლიტიკის სტრატეგიულ დარგთან – გეოსტრატეგიასთან, რომლის სპეციფიკა მდგომარეობს არა უბრალოდ სამხედრო ძალის დასაყრდენში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, `ტერიტორიულ_პოლიტიკური ლოგიკის~ დასაბუთებაში.

ყოველ შემთხვევაში როგორც ე. ლუტვაკი, ასევე კ. ჯანი გეოეკონომიკას მოიაზრებენ როგორც სახელმწიფოს კურსს, რომელიც უზრუნველყოფს მის სიცოცხლისუნარიანობას XXI-ს. ტრანსნაციონალიზებულ მსოფლიოში.

რუსეთში ეს ცნება მკვიდრდება 1995-1996 წწ. და თავიდან გამოიყენებოდა დიდი სივრცეების გეოპოლიტიკის ტრადიციულ სტილში. რუსული „გეოეკონომიკა“ ფორმირების საწყის ეტაპზე ორიენტირებულია ორ მიმართულებაზე : ა) შეიმუშაოს ის ხერხები და სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს რუსეთის ავტონომიური ბაზრის ფორმირებას და ბ) მიიტაცოს `ახლო საზღვარგარეთის~ ბაზრის მნიშვნელოვანი ნაწილი. ეს მიმართულებები ამჟამადაც ძალაში რჩება, იმის მიუხედავად, რომ ახალი მსოფლიო წესრიგი სრულად ახალ მოთხოვნებს უყენებს რუსეთს.

როგორც ზემოთ დავინახეთ კ. ჯანისათვის გეოეკონომიკა წარმოადგენს გეოპოლიტიკის შიდა მეთოდოლოგიური დიფერენციაციის შედეგს, ხოლო ე. კოჩეტოვისათვის იგი არის კონიუქტურათმცოდნეობის უმაღლესი ფორმა, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მეცნიერი თავისი კვლევის კონცენტრირებას ახდენს ცივილიზაციური განვითარების ისეთი მოდელის ძიებაზე, რომელიც თავის თავში მოიცავს `არა მხოლოდ ურთიერთობების სფეროს~,...არამედ საწარმოო-ტექნოლოგიურ პროცესებში თანამშრომლობას, ამ ჯაჭვის ნაწილის გატანას ეროვნული ჩარჩოების მიღმა. (ეკონომიკური საქმიანობის ტრანსნაციონალიზაცია)~. ამ ავტორის მონოგრაფიაში გატარებულია აზრი, რომ

საჭიროა მსოფლიო პროცესების ყველა მონაწილემ მიიღოს სარგებელი, ამ პროექტებისაგან, (განსხვავებით გეოპოლიტიკისაგან), სადაც ერთის გამარჯვება ნიშნავს მეორის დამარცხებას.

ე. კოჩეტოვისაგან რადიკალურად განსხვავებულ შეხედულებებს გვთავაზობს პ. შედროვიცკი, რომელიც წერს, რომ `ეროვნულ-ტერიტორიული საზღვრები ჩვენს თვალწინ კარგავენ ეკონომიკურ აზრს~ და იგი არ ენდობა არც `ეროვნული კაპიტალის ენაზე მომავლის დაგეგმვას~ და არც `ქვეყანა-სისტემების~ სიცოცხლისუნარიანობას. მისთვის მისაღებია მსოფლიო, სადაც წინა პლანზე გამოდის მსოფლიო დიასპორები. მსხვილი ტრანსრეგიონული გაერთიანებები, ან ქვეყნების სტრატეგიული ალიანსები, მსოფლიო ქალაქები (მსოფლიო გეოეკონომიკური ქსელის ინფრასტრუქტურული კვანძები) ანთროპოსტუქტურები (ერთად შეკრული ჯგუფები და ასოციაციები, რომლებიც იყენებენ, ერთის მხრივ, საქმიანობის ორგანიზაციის ქსელურ ფორმებს და მეორე მხრივ, კულტურულ პოლიტიკას მსოფლიო პროცესებში აქტიური მონაწილეობისათვის, სადაც `დიასპორები, ანთროპოსტუქტურები და მსოფლიო ქსელები გადაიქცევიან გადაწყვეტილების მიღების ცენტრებად, რომელიც შემდეგ ფორმდება სახელმწიფოთა ვალდებულებებად~. ეს არია ის ახალი სტრატეგია, რომელსაც რუსეთი იყენებს ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში გავლენების შესანარჩუნებლად.

ამდენად, გეოეკონომიკის ფორმირების სათავეებთან დგას სამი მიმართულება: ამერიკული, იტალიური და რუსული, რომლებიც კონცეფტუალური ხედვითა და საფუძვლებით მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. როგორც ზემოთ დავინახეთ `გეოეკონომიკის~ ცნება შემთხვევით არ აღმოცენებულა, თუმცა არსებობს ამ ტერმინის გაშიფვრის რამდენიმე ვარიანტი, ერთი რამ ნამდვილად არ იწვევს ეჭვს, კერძოდ, ყველა შემთხვევაში ეს ტერმინი გამოიყენება პოლიტიკის, ეკონომიკისა და სივრცის შერწყმის აღნიშვნისათვის რთულად დანაწევრებულ მთლიანობაში. მეორეს მხრივ, ვფიქრობთ, ამ ტერმინის შემოტანა გარკვეულად ავსებს ამ სფეროში არსებულ ლექსიკის დეფიციტს, კონკრეტულად იგი აფიქსირებს თანამედროვე მსოფლიოში იმ პროცესს, როცა ეკონომიკა უპირატესად ასრულებს მმართველობით და სახელისუფლებო ფუნქციებს, როგორც ლოკალურ ისე გლობალურ დონეებზე.

5.2 თეორიული და გამოყენებითი გეოეკონომიკის მეთოდები

გეოეკონომიკური კონკურენცია უპირველეს ყოვლისა იყენებს ყველა მეთოდს, რომლებიც მოსამზადებელ სტადიაზე სახელმწიფოსათვის უზრუნველყოფენ ყველაზე უფრო ხელსაყრელ პირობებს საკუთარი კონკურენტუნარიანობისათვის მსოფლიო არენაზე. `ქვეყანა-სისტემების~ ჩარჩოებში მოქმედების შესაძლებლობა სწორედ, რომ გულისხმობს სისტემის პროექტირებისა და მართვის ადეკვატური ცენტრების არსებობას. ამისათვის კი საჭიროა სახელმწიფოს მართვის ღრმა რეფორმები.

მსგავსად იმისა, როგორც არსებობენ კრიზისებისა და სამხედრო კონფლიქტების მართვის პოლიტიკურ-სტრატეგიული სტრუქტურები, ზუსტად ასევე გათვალისწინებული უნდა იქნას გეოეკონომიკური კრიზისებისა და კონფლიქტების მართვის მექანიზმები და სტრუქტურები, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აუცილებელია ეროვნული ეკონომიკური საბჭო, მსგავსად ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსი, რომელიც თუმცა განსხვავებული ფორმებით, მაგრამ დასავლეთის თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს (პარადოქსია მაგრამ კ. ჯანისა და პ. სავონას ქვეყანაში ასეთი საბჭო არ არსებობს გ.კ.). ძალზედ მნიშვნელოვანია ასევე სახელმწიფო ჩინოვნიკების მომზადების საკითხიც (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ისეთი ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა). რასაკვირველია, აქ არ ვგულისხმობთ სახელმწიფო მართვის ან დიპლომატიის სპეციალობების უმაღლესი სასწავლებლის რაღაც გეოეკონომიკური ომების სკოლებად გადაკეთებას, თუმცა ამ მიმართულებით რაღაც მაინც უნდა გაკეთდეს, უკიდურეს შემთხვევაში ის მაინც, რომ შესწავლილი იქნას თანამედროვე გეოეკონომიკური ომების მექანიზმი და ჩამოყალიბდეს ექსპერტთა ჯგუფები, რომლებსაც შეეძლებათ შეაფასონ ყველა შესაძლებელი სტანდარტების ზემოქმედება ეროვნულ ეკონომიკაზე, არა მხოლოდ ვაჭრობის, არამედ ფინანსურ და სხვა მნიშვნელოვან სფეროებშიც. კერძო საქმიანობამ გაცილებით მეტი მხარდაჭერა უნდა მოიპოვოს ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობების მხრიდან, ვიდრე დღეს არის. საქართველო დღეისათვის ძალზედ სუსტად მონაწილეობს ევროპის ნორმატიული მოთხოვნების განსაზღვრის პროცესში, რომელიც სულ უფრო დეტალურად ახდენს ეკონომიკური საქმიანობის რეგულირებას, კონსერვირებული საკვები პროდუქტების მოცულობის ფორმატით დაწყებული, კომუნიკაციების ინფორმაციული ქსელებით დამთავრებული. ჩვენი საწარმოები ძალზედ რისკავენ რომ იზარალონ, უცხო ფირმების სასარგებლოდ. განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო რათა გამოსწორდეს ასეთი

მდგომარეობა. ამ მიმართულებით კი საჭიროა საქართველოში ჩამოყალიბდეს მძლავრი გეოეკონომიკური სკოლა, რომელიც ჯერჯერობით საერთოდ არ არსებობს, არადა საქართველო უკვე დიდი ხანია ჩართულია გეოეკონომიკურ ომში გაცილებით სასტიკ მოწინააღმდეგესთან, ვიდრე ეს სხვა ქვეყნებთან მიმართებაში შეიძლება ითქვას. ბუნებრივია, რომ ამისათვის საჭიროა მომზადება, რომელშიც მოვიაზრებთ ა) ეროვნული გეოეკონომიკური „ჩემპიონების“ გამოვლენას; ბ) გეოეკონომიკური ამოცანების გაჭრაში საერთაშორისო ჩარევის გამოყენებას; გ) ეროვნული ეკონომიკური ინტერესების მნიშვნელობის დემონსტრირების უნარების გამომუშავებას; დ) ნაკლებად მორიდებული (მტკიცე) საგარეო პოლიტიკის გატარებას, ანუ საგარეო პოლიტიკის ისეთი კურსის გატარებას, რომელიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებს ქვეყნის გეოეკონომიკურ ინტერესებს რეგიონული და გლობალური მაშტაბით; ე) დაზვერვის ისეთი სამსახურების შექმნას, როგორც შეტევის, ასევე თავდაცვის, ანუ სავაჭრო სამრეწველო შპიონაჟისა და კონტრშპიონაჟისათვის, რომლებიც შეესატყვისებიან ახალი გეოეკონომიკური კონკურენციის მოთხოვნებს. ვ) გეოეკონომიკური ოპერაციების გატარების დროს, გამოყენებული უნდა იქნას ყველა ბერკეტი, იქნება ეს ფინანსური, ფისკალური თუ ფულად-საკრედიტო. იმისათვის, რომ ზემოქმედება მოვახდინოთ შიდა და გარე ვაჭრობაზე, კაპიტალის ბაზარსა და წარმოების ფაქტორებზე.

როგორც ყოველთვის, ყველაზე უფრო ეფექტური სტრატეგიაა _ ირიბი სტრატეგიები. ისინი არ იწვევენ უცხოურ რეაქციებს ან აყოვნებენ მას. ამ კუთხით დიდ ინტერესს იწვევს ნორმატივები იმპორტზე და არასატარიფო ბარიერები. ისინი გამოიყენება, მაგალითად, სანიტარული ან უსაფრთხოების მოჩვენებითი მოსაზრებებით, ან ეროვნული სტანდარტების მანიპულირების გზით, საკუთარი მრეწველობის დაცვის მიზნით. ამ მხრივ კლასიკური შემთხვევა მოხდა საფრანგეთში იაპონურ ტელევიზორებთან მიმართებაში. კერძოდ, ყველა საბაჟო შემოწმება ხორციელდებოდა შიდა საბაჟო ტერმინალებში, რომელიც არასაკმარისად იყო უზრუნველყოფილი ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით, ასევე სრულად არ იყო დაკომპლექტებული მოსამსახურეებით. ყველაფერმა ამან რამდენიმე თვით გადაწია ამ ტელევიზორების შეტანა ბაზარზე, რითაც ერთის მხრივ, კონკურენტებს აეკიდათ მძიმე ფინანსური ტვირთი, ხოლო მეორეს მხრივ, მოგებული იქნა დრო ბაზარზე ეროვნული პროდუქტების გავრცელებისათვის.

გეოეკონომიკურ შეჯიბრში მონაწილეობა შეიძლება იმ პირობით, რომ ქვეყნის შიგნით დამყარებული იქნება წესრიგი და იარსებებს ერთიანი პოლიტიკურ-ბიუროკრატიული კლასი, რომელიც ნათლად განსაზღვრავს ეროვნულ ინტერესებსა და სახელმწიფოს ზოგად პოლიტიკას. თუ ეს ყველაფერი არ არის, აუცილებლად მოხდება ქვეყნის დამოკიდებულ მდგომარეობის რეჟიმზე გადასვლა და მხოლოდ იმის იმედზე ყოფნა, რომ კონკურენტები, რომლებიც იმავდროულად სავაჭრო პარტნიორებიც არიან, გაითვალისწინებენ ორმხრივ ინტერესებს საერთო ეკონომიკურ ზრდაში და არ განახორციელებენ მეტისმეტ დაწოლას, ნაწილობრივ იმის შიშითაც, რომ არ მოახდინონ ეკონომიკური კრიზისების პროვოცირება, რომლებიც მათზეც შეიძლება აისახოს.

დღემდე აქტუალურია ფ. ლისტის, პრინციპში კრიტიკული შეფასება, ა. სმიტის ლიბერალიზმთან მიმართებაში, რომლის თანახმადაც, ლიბერალიზმი აწყობს მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ფლობენ სამრეწველო უპირატესობას მაშინ, როცა პროტექციონიზმი აუცილებელია სუსტი სახელმწიფოებისათვის.

გეოეკონომიკური სახელმწიფოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსოფლიოს მართვაში აქტიური მონაწილეობა. ამასთან დაკავშირებით განისაზღვრება თამაშის წესები, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენონ მის ინტერესებს. საერთაშორისო სავაჭრო, საფინანსო ორგანიზაციებში მონაწილეობისათვის სახელმწიფომ უნდა წარადგინოს ქვეყნისათვის თავდადებული ფუნქციონირები და მუდმივად უნდა იყოს მზად დაიცვას ეროვნული ინტერესები. სამწუხაროდ პოლიტიკოსები არაფრად აგდებენ საერთაშორისო ეკონომიკას, არც მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, არც საზოგადოებრივი აზრი არ ცდილობდა გეოეკონომიკისადმი ყურადღების მოპყრობას პოლიტიკოსების მხრიდან. პოლიტიკოსები ზოგადად საერთაშორისო ეკონომიკით მაშინ ინტერესდებიან, როცა იგი ხელს უწყობდა მათი იმიჯის გაუმჯობესებას ან სხვა მიზეზით ხელსაყრელია მისით ოპერირება. ყოველივე ამან დიდი ზიანი მოუტანა ქვეყნებს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი სახით. პირდაპირ ზიანს გააჩნდა არა მარტო ფინანსური ხასიათი, არამედ იგი აისახა ქვეყნის პრესტიჟსა და საერთაშორისო ნდობაზე. არაპირდაპირმა გამოიწვია ის, რომ ხელიდან იქნა გაშვებული საერთაშორისო ბაზარზე შეღწევის შესაძლებლობა.

თავისთავად ცხადია, რომ როგორც პოლიტიკურ-სტრატეგიულ, ასევე გეოეკონომიკის სფეროში ყოველთვის უკეთესია მიაღწიო მისაღებ შეთანხმებას, ვიდრე დაიწყო ომი. აღნიშნული განსაკუთრებით სამართლიანია საქართველოსთვის, რომელიც ჯერჯერობით

მოუმზადებელია აწარმოოს ომი. რჩება მხოლოდ საყოველთაო გეოეკონომიკური ‘განიარაღების~ სურვილი, რომელიც კონკრეტულად მსგავსი იქნება გეოსტრატეგიული განიარაღებისა, რომელიც დაიწყო 1980-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში და ცივი ომის დასრულების სახელითაა ცნობილი. თუმცა მსოფლიოს უთანაბრობას, დანაწევრებას და ინტერესთა სხვადასხვაობას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მსოფლიო კოოპერაციის რაციონალურობის გამარჯვება, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკონომიკის მსოფლიო მართვის შექმნა ნაკლებად შესაძლებელია. შესაბამისად, რჩება ერთი გამოსავალი, რაც შეიძლება კარგად მომზადდეს სახელმწიფო გეოეკონომიკური კონკურენციისათვის, რათა არ აღმოჩნდეს უცხო ინიციატივების კუდზე. ამის გარდა მნიშვნელოვანია, ქვეყანა არ დარჩეს შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილების მიღმა და შეინარჩუნოს სახელმწიფო და პოლიტიკური ინსტიტუტები, კერძოდ კი, სახელმწიფოს როლი გლობალურ სისტემებსა და მულტინაციონალურ ორგანიზაციებთან მიმართებაში ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, ადგილობრივ და რეგიონალურ ორგანიზაციებთან მიმართებაში.

ამდენად, გეოეკონომიკურ მეთოდებს გააჩნიათ ორმაგი ხასიათი, რომელიც შეესაბამება გეოეკონომიკის ბუნებას, რომელიც გამოიხატება მაღალი ტექნოლოგიების კოლბერიზმსა და გეოეკონომიკურ ომებში. მაღალი ტექნოლოგიების კოლბერიზმი კონკრეტულად გვაგონებს სამხედრო ცნებას „ერის ომისათვის მზადება“, როგორც შეიარაღებული ძალების მზადყოფნის, ასევე საყოველთაო მობილიზაციის აზრით, საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში. ლოგიკა აქ ერთნაირია. აუცილებლად განისაზღვროს პირობები, რომელიც საშუალებას იძლევა გაძლიერდეს ქვეყანა-სისტემის კონკურენტუნარიანობა იმისთვის, რომ მთელმა ეკონომიკურმა სისტემამ (გადაწყვეტილების მიღების დიფუზიური სტრუქტურის ჩათვლით, რომლის მოქმედი პირები შეიძლება უმნიშვნელოდ იმართებოდეს სახელმწიფოს მხრიდან და კიდევ უფრო უმნიშვნელოდ კონტროლდებოდეს) შეძლოს მისგან მიიღოს მოგება. რაც შეეხება არაკონტროლირებად გეოეკონომიკურ სუბიექტებს, კერძოდ, ტრანსნაციონალურ ძალებს (ისეთები როგორიცაა მულტინაციონალური საწარმოები, ფინანსები, ორგანიზებული დანაშაული და ა.შ), ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულია გაითვალისწინოს მათი ლოგიკა და მათი შიდა მექანიზმები.

გეოეკონომიკური მეტოქეობის ლოგიკამ ხელი უნდა შეუწყოს ეროვნული გეოეკონომიკური ლიდერების გაჩენას, ასევე საკუთარი საწარმოების ინტერნაციონალიზაციას, რათა არ დაუშვას უცხოური ინვესტიციების დინებების ტრანსფორმაციის დამოკიდებულება საზღვარგარეთზე. ამჟამად, საქართველოში არსებობს მსგავსი დისბალანსი, რომელსაც გააჩნია გაძლიერების ტენდენცია. ქართული საწარმოები თანდათანობით იყიდება მაშინ, როცა ქართველებს (მცირე გამონაკლისის გარდა) არ შეუძლიათ შეიძინონ უცხოური საწარმოების აქციათა საკონტროლო პაკეტები.

საერთაშორისო გეოეკონომიკური მეტოქეობის ლოგიკა განისაზღვრება თეორიით, რომლის თანახმადაც ბანკებისა და საწარმოების პოტენციალს გააჩნიათ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. ასეთი პოტენციალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს გრძელვადიანი სტრატეგია, რომლის რეალიზაციაც არ შეუძლიათ ნაკლები სიმძლავრის საწარმოებს.

გეოეკონომიკური ომის ინსტრუმენტებს წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღება და ინფორმაცია. პირველ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს უწყებათაშორისი სტრუქტურების შექმნა, რომლებიც შეიძლება მოვიაზროთ როგორც „გეოეკონომიკური უსაფრთხოების ეროვნული საბჭო“. (ბევრ ქვეყანაში ასეთი სტრუქტურები უკვე შექმნილია. მათ არაპირდაპირ მოვალეობებში შედის „მაღალი ტექნოლოგიების კოლბერიზმის“ საერთო კოორდინაცია, ხოლო პირდაპირ მოვალეობებში კი _ გეოეკონომიკურ ომში ოპერატიული მოქმედებების გეგმის დამუშავება, ისეთი, მაგალითად, როგორიცაა არასატარიფო ბარიერების შექმნა (საპასუხო ზომისათვის ან საკუთარი ინიციატივით) და ა.შ.

ამ მიმართულებით სრულად იკვეთება გეოეკონომიკური დაზვერვის განსაკუთრებული როლი. „ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში დაზვერვის სამსახურებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს თავისი გავლენა ისეთ სფეროებზე, როგორიცაა ფინანსები, ეკონომიკა და ტექნოლოგიები. ამის მიზეზი კი გახდა ორგანიზებული დანაშაულის ზრდა, რომელიც ფლობდა უზარმაზარ ფინანსურ რესურსებს. ჭუჭყიანი ფულის გათეთრება და წარმოების ზოგიერთ დარგებში მასირებული ინვესტიციები ნამდვილ გლობალურ საფრთხეს წარმოადგენს. თუმცა აღნიშნული სამსახურის როლის ზრდა, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება ქვეყნებს შორის გეოეკონომიკურ მეტოქეობას, ბაზრებისა და წარმოების გლობალიზაციას, ასევე იმას, რომ ბაზრების მოპოვებისათვის ტრადიციულ კონკურენციას დაემატა საკუთრების ინტერნაციონალიზაცია, რომელიც მუდმივად იცვლის მესაკუთრეთა ჯგუფებსა და მწარმოებლების ადგილმდებარეობას. თუ ადრე წარმოების მსგავსი მიზანი იყო

ბაზარი, ამჟამად ამ მიზანს შეადგენს ფასიანი ქაღალდებით მანევრირება. აღნიშნული კი ზრდის მესაკუთრეთა ჯგუფის დინამიზმს და შესაბამისად აძლიერებს პოტენციურ არასტაბილურობას შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.

5.3 გეოეკონომიკის განვითარების პრობლემები

კლასიკური ეკონომიკური თეორიები გლობალური ეკონომიკის პირობებში ვერ ასახავენ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ყველა ასპექტს. განსაკუთრებით სტრატეგიის და ტაქტიკის კონტექსტში. ეკონომიკური ძლიერების მისაღწევად მხოლოდ საბაზრო აქტორების ცოდნა ვერ იძლევა წარმატების გარანტიას, ვინაიდან არასაბაზრო ფაქტორები დღეს არანაკლებ როლს თამაშობენ ეკონომიკური მიზნების მიღწევაში. ამ მოცემულობაში გაცილებით რელევანტური ხდება გეოეკონომიკური ანალიზი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა არასაბაზრო ფაქტორს. გეოეკონომიკის კონცეფცია სტრატეგიულ ჩარჩოებში აქცევს კულტურულ, ისტორიულ და გეოგრაფიულ პარამეტრებს, რათა გამოცნობილ იქნას ეკონომიკური ძლიერების შექმნის და თანამედროვე გეოეკონომიკურ დაპირისპირებაში გამარჯვების რთული სისტემა.

დღეისათვის შედარებითი უპირატესობის თეორიას ძალზედ უჭირს ყველა იმ ნიშან-თვისების ახსნა, რომლითაც ხასიათდება გლობალური ეკონომიკური ურთიერთობები (ეს თეორია კარგად ეხმიანება XVIII-XIX საუკუნეებს, ვინაიდან მისი გამოყენება მაქსიმალურ ეფექტს იძლევა მაშინ, როცა ეკონომიკის დარგები დანაწევრებულია, წარმოების პროცესი ნაკლებად კვალიფიციურ და ჭარბ მეშახელს მოითხოვს). აღნიშნულის ახსნა იმით შეიძლება, რომ ეს თეორია უშვებს გარკვეულ შეზღუდვებს, რომელიც შეუსაბამოა თანამედროვე გლობალური ეკონომიკისათვის (არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა ქვეყნის

ეკონომიკების მოცულობა და წარმოების ტექნოლოგიურ დონეებს შორის განსხვავება, წარმოებული პროდუქციის მრავალფეროვნება და ეკონომიკაზე მოქმედ ფაქტორთა ცვლილებები, კაპიტალისა და მუშახელის გადაადგილება და ა.შ.). გეოეკონომიკის მნიშვნელობა განისაზღვრება მისი მთავარი მიზნით-სახელმწიფოს მოქმედების სწორი გეოეკონომიკური სტრატეგიის და ტაქტიკის შემუშავება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის გლობალურ ბაზარზე. სწორედ გეოეკონომიკა იძლევა საშუალებას მოახდინოს თანამედრო სახელმწიფოს და სხვა მძლავრი ეკონომიკური სუბიექტების სამეწარმეო ფუნქციის ეფექტური რეალიზაცია.

შეიძლება გამოვყოთ სამი სხვადასხვა მოსაზრება, რომლებმაც განვითარება ჰპოვა სხვადასხვა გეოეკონომიკურ სკოლებში: 1.გეოეკონომიკა, როგორც გეოპოლიტიკის ნაწილი; 2. გეოეკონომიკა სრულიად ცვლის გეოპოლიტიკას; 3.გეოპოლიტიკისა და გეოეკონომიკის სინთეზის საფუძველზე იქმნება ახალი კონცეფცია (მაგალითად გეოეკონომიკური პოლიტიკის თეორია). ზემოთქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ხდება ახალი ეკონომიკური თეორიის შექმნის აუცილებლობა, რომლის ჩანასახად შეიძლება მივიჩნიოთ კონკურენტუნარიანი უპირატესობის თეორია (ეს თეორია გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა). თეორიის თანახმად სწრაფი ეკონომიკური ზრდა კონკურენციას, ნოვაციებს მოაქვს. საკუთარი ეკონომიკის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნებისმიერ განვითარებად ქვეყანას შეუძლია განავითაროს ისეთი რამ, რაც საშუალებას მისცემს ჩაერთოს გლობალური კონკურენციის პროცესში და შთამბეჭდავ ეკონომიკურ წარმატებას მიაღწიოს.

თანამედროვე გეოეკონომიკაში კონკურენტუნარიანი უპირატესობის თეორია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ერებს შორის განსხვავებულობას და ეროვნულ ხასიათთა მრავალფეროვნებას. მსგავსი სიჭრელე უდევს საფუძვლად კონკურენტუნარიან

უპირატესობას. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ის დარგები გახდნენ კონკურენტუნარიანები, რომლებიც ხალხის ეთნოფსიქოლოგიურ და მსოფლმხედველობრივ სპეციფიკას დაეფუძნენ და არა ბუნებრივ რესურსებს (იაპონია, შვეიცარია, ავსტრია, ნიდერლანდები, დანია, ფინეთი, ბელგია და ა.შ.). ამჟამად, არა მხოლოდ განვითარებული ჩრდილოეთის, არამედ მსოფლიოს დანარჩენ ნაწილში მყოფი სახელმწიფოები აქტიურად იყენებენ გეოეკონომიკურ მეთოდებს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ გეოეკონომიკური კონცეფცია გაცილებით მასშტაბურია და მთელ მსოფლიოს მოიცავს, ანუ არ შემოიფარგლება მხოლოდ განვითარებული სახელმწიფოებით (ეს უკანასკნელი ე.ნ. ლუტვაკის ვერსიას წარმოადგენს და გეოეკონომიკის პირველი განსაზღვრებაა);

აშკარად იკვეთება გეოპოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესი. ეკონომიკური ძლიერება წინა პლანზე გადადის, რაც ავიწროვებს გეოპოლიტიკის ცნებას, რის გამოც სახელმწიფოს ძლიერების განმსაზღვრელი დღეს მისი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა ხდება. მსოფლიოში გამოჩნდნენ მსხვილი მოთამაშეები, რომლებიც მაინცდამაინც არ ფლობენ ძლიერ შეიარაღებულ ძალებს. თუმცა, გეოეკონომიკური ინსტრუმენტების დახმარებით ძლიერი გეოპოლიტიკური გავლენა გააჩნიათ. მაგალითად, გერმანია და იაპონია აღნიშნულის კარგი მაგალითია. აქვე შევნიშნავ, რომ „ცხელი ომი“ და გეოეკონომიკური დაპირისპირება სხვადასხვა რამაა. გეოეკონომიკური სტრატეგია მიზნად არ ისახავს მოწინააღმდეგის განადგურებას, მისი ტერიტორიის მითვისებას ან იურიდიული სუვერენიტეტის შეზღუდვას. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, გრძელვადიან პერსპექტივაში, გეოეკონომიკური მეტოქის გაძლიერება შეიძლება მოწინააღმდეგე მხარისათვის ეკონომიკურად სასარგებლოც კი აღმოჩნდეს. „ცხელი“ ომები, ლოკალური თუ

დიდი მასშტაბის, რომელშიც დიდი სახელმწიფოები არიან ჩართულნი, გეოეკონომიკური თვალსაზრისით გაუმართლებელია;

გეოეკონომიკის ფუნდამენტური თეზისი პირდაპირ ეხმიანება გეოპოლიტიკისათვის დამახასიათებელ კლასიკურ სქემას. როგორც უკვე ავღნიშნე, გეოეკონომიკის ძირითადი აქტორი სახელმწიფოა, რომელიც ამ კონტექსტში ორმაგ მიზანს ემსახურება. ერთი მხრივ, ეს საკუთარი ეკონომიკური სუვერენიტეტის დაცვაა, მეორე მხრივ კი ექსპანსია. ამასთან, ეკონომიკური სუვერენიტეტი მოიაზრება როგორც ქვეყნის და საზოგადოების უნარი (განსაკუთრებით როცა საქმე ეხება საკუთარი ქვეყნის ბედს), დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება ეკონომიკის სფეროში და წინ აღუდგეს ყველა დაბრკოლებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას აღნიშნული უფლების რეალიზაციის პროცესში. რაც შეეხება ექსპანსიას, მასში მოიაზრება სახელმწიფოს უნარი, გააფართოოს საკუთარი ეკონომიკური გავლენა საკუთარი ტერიტორიების საზღვრებს მიღმა და დაამყაროს კონტროლი გარე გეოეკონომიკურ სივრცეში არსებულ მთავარ გეოეკონომიკურ ელემენტებზე (ბუნებრივი რესურსები, სატრანსპორტო და ფინანსური ინფრასტრუქტურის ელემენტები, ფინანსური და სავაჭრო ნაკადები და ა.შ.). ეს ორი მიზანი ემსახურება ქვეყნის გეოეკონომიკური სტრატეგიის საბოლოო მიზნის მიღწევას - დაიმკვიდროს ხელსაყრელი პოზიცია გლობალურ ბაზრებზე. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ თანამედროვე გეოეკონომიკა ეს არის სახელმწიფოს მხრიდან ეროვნული ეკონომიკის ზრდის და სამამულო ბიზნესის ექსპანსიის მხარდამჭერი საქმიანობა, საერთაშორისო ბაზრებზე სივრცის გაწმენდის მიზნით.

თანამედროვე გეოეკონომიკური ამოცანების გადაჭრისათვის საჭიროა სახელმწიფოს მმართველობითი სტრუქტურების ადაპტირება. გეოეკონომიკური ამოცანები, როგორც წესი, გრძელვადიან ხასიათს ატარებს, რაც არცთუ იშვიათად წინააღმდეგობაში მოდის

თანამედროვე პოლიტიკური სისტემის მოკლევადიან იმპერატივებთან. უფრო მეტიც, ბევრი მსგავსი გეოეკონომიკური ამოცანა მოითხოვს არსებული თაობის ეკონომიკურ მსხვერპლშეწირვას მომავალი თაობების სასარგებლოდ, რაც ასევე უარყოფით კორელაციაშია პოლიტიკურ რეალიებთან. სამრეწველო, შიდა და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის განცალკევება სხვადასხვა აღმასრულებელი ხელისუფლების უწყებებს შორის, ასევე წარმოადგენს სახელმწიფოს გეოეკონომიკური ამოცანების წარმატების შემზღუდავ ფაქტორს (ამ მხრივ იაპონიის საერთაშორისო ვაჭრობის და მრეწველობის სამინისტროს გამოცდილების შესწავლა ძალზედ სასარგებლოა იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც გეოეკონომიკური ამბიციები გააჩნია). პრობლემის გადაჭრისათვის აუცილებელია ქვეყნის სავაჭრო წარმომადგენლობების ქსელის და საელჩოების საქმიანობის რეორიენტაცია. კერძოდ, საჭიროა მათი გეოეკონომიკური მისიის გაძლიერება.

დღეს გეოეკონომიკურად აქტიურ ქვეყნებში ინტელექტი ხდება მთავარი საწარმოო ძალა. აღნიშნულთან დაკავშირებით შრომის დანაწილების პრინციპები, რომელიც მნიშვნელოვანწილად ეფუძნებოდა ისეთ ობიექტურ კრიტერიუმებს, როგორიცაა კლიმატი, ბუნებრივი რესურსები და სატრანსპორტო სისტემების ხელმისაწვდომობა, თანდათან კარგავს თავის მნიშვნელობას. ეს მოცემულობა, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ცალკე აღებული რომელიმე ქვეყნის თანამედროვე მდგომარეობა დამატებითი ღირებულების ჯაჭვში სულ უფრო ნაკლებად სტაბილური ხდება და მსოფლიო გეოეკონომიკური ლიდერები მოკლევადიან პერსპექტივაში შეიძლება ხშირად შეიცვალონ. ეს ასევე ნიშნავს, რომ მთავარი გეოეკონომიკური ინსტრუმენტი ხდება ინვესტიცია ეროვნულ ინტელექტში, საუკეთესო ინტელექტის მოზიდვა სხვა ქვეყნებიდან და ამ ადამიანების საქმიანობისათვის უკეთესი პირობების შექმნა, კონკურენტ ქვეყნებთან შედარებით.

გლობალიზაციის პროცესი ხელს უწყობს ეკონომიკურ განვითარებას. საქმე მხოლოდ იმაშია, რომ გლობალიზაციის ეს სიკეთეები არათანაბრად არის განაწილებული ქვეყნებს შორის. ამასთან, იცვლება ეკონომიკის ტრადიციული შინაარსიც. კერძოდ, ის ველარ თავსდება ადრინდელ შინაარსობრივ კონსტრუქციაში. ის უკვე გვევლინება არა მხოლოდ როგორც ეკონომიკის მართვის მეთოდად, არამედ როგორც საზოგადოების მართვის სისტემა. შედეგად, ტრადიციული გეოპოლიტიკური იმპერატივები თავაზიანად უთმობენ ადგილს გეოეკონომიკურ რეალიებს. აქვე ხაზგასმით უნდა ავღნიშნო, რომ მსგავსი შეფასებები სრულიადაც არ ამართლებს ავტარქიულ ეკონომიკურ მოდელს. პირიქით, ეს მოდელი წარმოადგენს პირდაპირ გზას ქვეყნის მსოფლიო პერიფერიაზე გადასასროლად. მთავარია, რომ კარგად იქნეს გააზრებული გეოეკონომიკური თამაშის წესები. მაგალითად, შეიძლება ქვეყანამ ეკონომიკური უპირატესობა მიიღოს მსოფლიო ინსტიტუტებში ჩართულობის მაღალი ხარისხით, მაგრამ, იმავდროულად, თავიდან განერიდოს გამოცდილი მოთამაშეების მიერ დაგებულ ხაფანგს. აღნიშნულის კარგი მაგალითია ჩინეთი, რომელმაც თავდაპირველად გაატარა მკაცრი პროტექციონისტული პოლიტიკა, რითაც მან შეძლო ქვეყნის შიგნით უცხოური საწარმოების გახსნა, შემდეგ მოახერხა და ეროვნულ კომპანიებს გადასცა თანამედროვე ტექნოლოგიები, შემდეგ მიიტაცა უცხო ბაზრები და შექმნა მსოფლიოში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავალუტო რეზერვები. მხოლოდ დღეს ძლიერის პოზიციიდან ჩინეთი მზადაა განიხილოს ვაჭრობის ლიბერალიზაციის საკითხები, რა თქმა უნდა, მისთვის მისაღები პირობებით.

მსოფლიო ეკონომიკაში ძლიერება ყალიბდება იმგვარად, რომ ის უკვე აღარაა დამოკიდებული ადგილმდებარეობაზე და ახდენს ექსტერიტორიული ბატონობის მაქსიმიზაციას. ამ მოცემულობაში გეოეკონომიკური მოდგომა ყველაზე ადეკვატური

ანალიტიკური ინსტრუმენტია. ამასთან, თანამედროვე დროში ფრიად რელევანტური ხდება იმ ურთიერთკავშირების შესწავლა, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, კომერციულ, ფინასურ, საწარმოო, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკურ და სამხედრო ძლიერებას შორის. მსგავსი თანაფარდობის დაცვა ყველა ქვეყნისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს, ვინაიდან ის გავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოებაზე და მისი მოსახლეობის კეთილდღეობაზე. ზოგიერთ სახელმწიფოთა მთავრობები მიმართავენ მათ ხელთ არსებული პოლიტიკური (გეოპოლიტიკური პრობლემების ძველი მეთოდებით გამოყენების პრაქტიკა საკუთარი ეკონომიკური მიზნების მისაღწევად) და ეკონომიკური (პროტექციონისტული პოლიტიკა, გეოეკონომიკურად აქიური სახელისუფლებო ბიუროკრატიული აპარატის შექმნა, გეოეკონომიკური ომის მეთოდოლოგიის და მეთოდების დახვეწა-გამოყენება) ინსტრუმენტების აქტიურად გამოყენების პოლიტიკას მაღალი ტექნოლოგიების შესაქმნელად (ტურბოკაპიტალიზმის მოთხოვნა) და ამით ცდილობენ საკუთარი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის გაზრდას.

მსოფლიოში, სადაც ძალაუფლება ეძებს მანევრირების ახალ სფეროებს, გეოეკონომიკური მიდგომა აუცილებელი ხდება საერთაშორისო ურთიერთობების შეფასებისას. თანამედროვე გეოეკონომიკა მნიშვნელოვანწილად არის ძალისა და სივრცის ურთიერთქმედება. რამდენადაც სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში გლობალიზაციის პროცესი მიმდინარეობს ეკონომიკის როლის ზრდის ფონზე, გეოეკონომიკის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება. ამასთან, სულ უფრო იზრდება ეკონომიკური საშუალებების გამოყენება გეოეკონომიკური მიზნების მისაღწევად. უფრო მეტიც, გეოეკონომიკის პრობლემატიკის თავისებურ განშტოებას წარმოადგენს ენერგეტიკული პოლიტიკა და ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემები.

გეოეკონომიკა ერთდროულად წარმოადგენს რეალობის აღქმის საშუალებას და კვლევის კონსტრუქციულ მეთოდსაც. გეოეკონომიკა ისეთ მიდგომებს გამოიმუშავებს, რომელიც ორიენტირებულია უფრო მომავალზე, ვიდრე დღევანდელობაზე. სწორი გეოეკონომიკური სტრატეგიის დროს, ასეთ მიდგომას, გრძელვადიან პერსპექტივაში, მივყავართ კონკურენტული უპირატესობის შექმნამდე. გეოეკონომიკა არ ნიშნავს პოლიტიკური ძლიერების დასასრულს. ეს ნიშნავს მისი შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობების ახლებურად შეფასებას, რაც გაამოიხატება სამხედრო-სტრატეგიული ფაქტორების მნიშვნელობის შემცირებით და ეკონომიკის მნიშვნელობის ზრდით. გეოეკონომიკური მიდგომა გულისხმობს გეოპოლიტიკური პრობლემების გადახედვას. ეკონომიკა, თავის მხრივ, მომავალში შეინარჩუნებს სივრცობრივ განზომილებას. აქედან გამომდინარე, გეოეკონომიკის ფუნდამენტურ ასპექტს, ერთი მხრივ, წარმოადგენს იმ ნორმატიული სტანდარტების შესწავლა, რომელიც არეგულირებს ეკონომიკას და გლობალურ ვაჭრობას, ხოლო, მეორე მხრივ, იმ პირობებს, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის ზრდას როგორც შიდა (განათლება და გეოეკონომიკურად აქტიური ბიუროკრატიის ჩამოყალიბება, ინფრასტრუქტურა, მომსახურება, სამეცნიერო-ტექნოლოგიური კვლევები), ასევე გარე („ნიშების“ ომი, სახელმწიფოს სასარგებლოდ საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფა, ეკონომიკური დაზვერვის მძლავრი ინსტიტუტის ჩამოყალიბება და ა.შ.) ბაზრებზე.

თუ მთლიანობაში გავაანალიზებთ გეოეკონომიკის თეორიასა და პრაქტიკაში არსებულ მიღწევებს, მაშინ გეოეკონომიკის საგნობრივი არეალი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ეკონომიკური სტრატეგია, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო იმ პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც მიმართულია: ა) საკუთარი ეროვნული ეკონომიკის ან მისი

რომელიმე სეგმენტის დაცვისაკენ; ბ) სახელმწიფოს მხრიდან „ეროვნული მეწარმეების“ დაცვისაკენ; გ) „ეროვნული მეწარმეების“ დახმარებისაკენ, რათა მათ მიიღონ და აითვისონ უახლესი ტექნოლოგიები; გ) მსოფლიო ბაზრის გარკვეული სეგმენტის დაკავებისაკენ ან გაკონტროლებისაკენ, ვინაიდან ეს ფაქტორი მის „მფლობელ“ სახელმწიფოს ან ეროვნულ მეწარმეს ანიჭებს საერთაშორისო ძლიერების და გავლენის ელემენტს. ამასთან, ხელს უწყობს საკუთარი ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის გაძლიერებას.

მეცნიერებაში დღეს მიმდინარე ცხარე კამათს გეოეკონომიკის და გეოპოლიტიკის დაპირისპირების თაობაზე არავითარი საფუძველი არ აქვს. მეორე მხრივ, არამართლზომიერია გეოეკონომიკის გეოპოლიტიკასთან დაქვემდებარების ან, უფრო მეტიც, მის ნაწილად განხილვა. გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა აღწერენ სახელმწიფოთა სივრცობრივი ურთიერთქმედების ერთსა და იმავე რეალობებს. განსხვავება მდგომარეობს იმაში, თუ ამ ურთიერთქმედების რომელ ასპექტებთან გვაქვს საქმე - პოლიტიკურსა (გეოპოლიტიკა) თუ ეკონომიკურთან (გეოეკონომიკა). გეოეკონომიკა სწავლობს სახელმწიფოთა, როგორც ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი ორგანიზმების, ურთიერთქმედებას გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ რეალიებთან კავშირში. გეოეკონომიკის ყურადღების ცენტრში ექცევა სახელმწიფოთა, როგორც გლობალური ეკონომიკის სუბიექტების, სივრცობრივი ურთიერთქმედება. ასევე ამ ურთიერთქმედების ერთ-ერთი ფორმა - შრომის გლობალური დანაწილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გეოეკონომიკა ეკონომიკური ცხოვრების გეოპოლიტიკურ პროექციად ყალიბდება. თუ კლაუზევიცის რეფორმულირებას მოვახდენთ, შეიძლება იმის თქმა, რომ გეოეკონომიკა სხვა არაფერია, თუ არა გეოპოლიტიკის გაგრძელება სხვა (ეკონომიკური) საშუალებებით;

თავისი არსებობის მოკლე დროში გეოეკონომიკამ აჩვენა, რომ ის ყალიბდება როგორც სერიოზული პრაქტიკული და თეორიული ინტერდისციპლინა, რომელიც წარმატებით ახორციელებს მონათესავე დისციპლინების მიღწევათა აკუმულირებას და ქმნის საკუთარ ორიგინალურ კონცეფციებს. იმდენად, რამდენადაც გლობალიზაციის პროცესი მიმდინარეობს ეკონომიკის როლის ზრდით სახელმწიფოთა ურთიერთობებში, მომავალში გეოეკონომიკის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება.

I ნაწილში გამოყენებული ლიტერატურა

ლიტერატურა III ლექციისათვის:

გაჩეჩილაძე, რ. (2011). *ჩემი XX საუკუნე.* თბ: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

გაჩეჩილაძე, რ. (2013). *საქართველო მსოფლიო კონტექსტში.* თბ: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

გეგეშიძე, ა. (1997). *გეოპოლიტიკა.* თბ: ESM-თბილისი.

გიგოლაშვილი, კ., სერგი კაპანაძე, ს. (2007). *ევროკავშირის პოლიტიკა: მიმდინარე საკითხები.* თბ: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.

დავითაშვილი, ზ. (2003). *გლობალიზაცია და ნაციონალიზმი.* თბ: მეცნიერება.

ისმაილოვი, ე. (2012). *ცენტრალური ევრაზიის ქვეყნების ვალუტები: ფინანსური გლობალიზაციის კონტექსტით.* თბ: ინტელექტი.

კაციტაძე, კ. (2001). *გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ტრანსფორმაცია ევროპაში.* თბ: მერიდიანი.

კაკულია, მ. (2013). *ეკონომიკური ზრდის შენელება საქართველოში: პოლიტეკონომიური ასპექტი.* თბ: საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი.

მაცაბერიძე, მ. (2006). *ბიზნესი და პოლიტიკა საქართველოში.* თბ: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

მელიქიძე, ვ. (2006). *მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია.* თბ: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

მექვაბიშვილი, ე. (იანვარ- თებერვალი, 2012). *დამწევი განვითარების ანვითარების სტრატეგია .სტრატეგია და საქართველოს აქართველოს ეკონომიკის მომავალი.* სამეცნიერო ჟურნალში „ეკონომიკა და ბიზნესი“. თბ: თსუ გამომცემლობა.

პაპავა, ვ.(2009). *ცენტრალური კავკაზია: გეოპოლიტეკონომიური ნარკვევები.* თბ: სიახლე.
პაპავა ვ., ისმაილოვი ე. (2012). *ცენტრალური ევრაზია: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება.* თბ: ინტელექტი.
რონდელი, ა. (2003). *პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში.* თბ: მეცნიერება.
რონდელი, ა. (2014). რას ნიშნავს ძლიერი ქვეყანა. თბ: ჟურნალი „ჩემი სამყარო“, N 7.

სმითი, ა. (1776). *გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ.* pdf. http://cvd.ge/wp-content/uploads/2014/11/ ბოლო ნახვა 21.05.2014
ჩიტაძე, ნ. (2011). გეოპოლიტიკა. თბ: უნივერსალი.
ძოწენიძე, ც. (2013). *საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის ეკონომიკური პრობლემები და პერსპექტივები.* ქუთაისი: ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. http://doc.atsu.edu.ge/geo/sadoqtoro%20disertacia/disertacia-dzotsenidze.pdf. ბოლო ნახვა 14.09.2015.
ჰეივუდი, ე. (2004) *პოლიტიკური იდეოლოგიები,* შესავალი კურსი /მე-3 გამოცემა. თბ: ლოგოს პრესი.
Attali, J. (1990). *Lignes d'horizon*. Paris : Fayard.
Baru, S. (2012). *A New Era of Geo-economics: Assessing the Interplay of Economic and Political Risk* . file:///C:/Users/USER/Downloads/64319.pdf. ბოლო ნახვა 03.16. 2015
Braudel, F. (1972). *The Mediterranean and the Mediterranean World in the Age of Philip II*. Berkeley: University of California Press.
Braudel, F. (1980). *History and Sociology*. English trans. in his on History, Chicago: University of Chicago Press.
Braudel, F. (1981). *Civilization and Capitalism 15th to 18th Century*: *The Structures of Everyday Life*. Translated by Sian Reynolds. New York: Harper and Row.
CAUCASUS I. (1997). *Research Papers from the Caucasian Centre for Iranian Studies*. Yerevan-Tehran: International Publicationals of Iranian studies, pp. 185 - 200.

Drucker, P. (1989). *The new realities : in government and politics, in economics and business, in society and world view*. New York : Harper & Row.

Drucker, P. (1993). *Post Capitalist Society*. Oxford by Butterworth-Heinemann.
Dicken P. (1998). *A new qeo-economy* // Dicken P. Global Shift: transforming the world Guilford Press.
Fukuyama, F. (1992). *The End of History and the Last Man*.New York: Free Press.
Goldman, M. (1991). *What Went Wrong With Perestroika*. New York: W. W. Norton.
Goldman, M. (1994). *Lost Opportunity: Why Economic Reforms in Russia Have Not Worked*. New York: W. W. Norton.
Galbraith, J. (1997). *The Good Society: The Humane Agenda*. New York: Mariner Books.

Huntington, S. (1994). *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order*. New York: Simon & Schuster 1996.
Haushofer, K. (1924). *Geopolitik des PazifischenOzeans. Studien über die Wechselbeziehungen zwischen Geographie und Geschichte*. Heidelberg: Vowinckel.
Jean, C. (1995). *Geopolitic.* Luterza. Roma: Bari
Kennedy, P. (1987). *The Rise and Fall of the Great Powers: Economic Change and to Military Conflict From 1500 2000*. New York: Vintage Books.
List, F. (1837). *The Natural System of Political Economy*. Translated and edited by W.0.Henderson,(http://www.arno.daastol.com/books/list/List,%20Natural%20System%20%281837%29a.pdf). ბოლო ნახვა 23. 05 2014.

Leyshon, A. (2003). *Alternative Economic Spaces*. London: SAGE.
List,F.(1841). *The National System of Political Economy*. London: Longmans, Green, and Co. 1909.
Lorot, P. (1999) *Introduction à la Géoéconomie* (direction of the work), Economica, http://www.univparis1.fr/formation/arts_scien. ბოლო ნახვა 27.10.2014.
Luttwak, E. (1968). *Coup d'État: A Practical Handbook*. Cambridge: Harvard Universiti Press.
Luttwak, E. (1976). *The Grand Strategy of the Roman Empire*. Baltimore: The Jons Hopkins Universiti Press.
Luttwak, E. (Summer, 1990). *From Geopolitics to Geo-Economics. Logic of Conflict, Grammar of Commerce*. The National Interest.
Luttwak, E. (1999). *Turbo capitalism: winners and loosers in the global economy*. New York: Harper and Collins.
Luttwak, E. (1993). *The Endangered American Dream*. New York: Simon and Schuster.
Luttwak, E. (2001). *The Logic of War and Peace*. Cambridge, Ma: harvard University Press.
Marshall, A. (1920.) *Principles of Economics*. London: Macmillan and Co. 8th ed.

Nye, J. (2004). *Soft Power: The Means to Success in World Politics*. New York: Public Affairs.

Nye, J. (2011). *The Future of Power*. New York: Public Affairs.

Nester, W. (1995). *International Relations: Geopolitical and Geoeconomic Conflict and Cooperation*. Illinois: Harpercollins College Div.

Papava, V., & Charaia, V. (2014). *Regional Railways in the Central Caucasus and Georgia's Economic Interests*. The Caucasus & Globalization journal of Social, Political and Economic Studies. Volume 8 Issue 1-2 2014.
Robbins, L. (1968). *The Theory of Economic Development in the History of Economic Thought*. London: Martin's Press.

Ratzel, F. (1897). *Politische Geographie*. Munich:R. Oldenboufg.
Rörig F. (1922). *Der Markt von Lübeck*. Leipzig, In: VSWG.

Thurow, L. (1996). *The Future of Capitalism*. New York: William Morrow and Company.
Wallerstein I. (1979). *The Capitalist World-Economy: Essays*. Cambridge: Cambridge University Press.
Беридзе Т., Исмаилов,.Э., Папава В. (2004). *Центральный Кавказ и экономика Грузии*. Баку : «Нурлан»

Дергачев, В. (2002). *Геоэкономика - (Современная геополитика*) Киев: Вира.
Кочетов, Э. (1999). *Геоэкономика. Освоение мирового экономического пространства*. М: БЕК.
Латов, Ю. (2004). *Новая экономическая история Гражданской войны в Америке и ликвидации плантационного рабства*. Экономический вестник Ростовского государственно-го университета. Т. 2. № 1.

Лист Ф. (2005). *Национальная система политической экономии.* /пер. с немец/. М: Европа.
Мурадян И. (1997). *Геоэкономическая оценка стран Закавказского региона*. IRAN and CAUCASUS I. Research Papers from the Caucasian Centre for Iranian Studies, Yerevan- Tehran, Vol. 1 - Vol. 14, No. 2.

http://www.merriam-webster.com/dictionary/autarky. ბოლო ნახვა 03.16. 2015.
http://www.univparis1.fr/formation/arts_scien. ბოლო ნახვა 27.10.2014.

ლიტერატურა IV ლექციისათვის:

ისმაილოვი, ე., პაპავა, ვ. (2007). *ცენტრალური კავკაზია: გეოპოლიტეკონომიური ნარკვევები.* თბ: დიოგენე.

კვინიკაძე, გ. (2014). *გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები.* თბ: თსუ გამომცემლობა.

Blanchard, J. (1987). *Reagonomics* . Economic Policy ,2(5). p.15-54.

Carr, E. (1945). *Nationalism and After*. London: Macmillan.

Eli, F. (1922). *The Continental System: An Economic Interpretation*. Oxford: Clarendon Press.

Hamilton, A. (1928). *Industrial and Commercial Correspondence of Alexander Hamilton, Anticipating His Report on Manufactures*. Chicago: A. W. Shaw Company http://www.biography.com/people/alexander-hamilton-9326481#politics-and-government. ბოლო ნახვა 22.08 2014.

Ikle, F. (May, 1952). Began his research: Interview with Fred Charles Ikle. For his early work on the subject, see Fred C. Ikle, :*The Effect of War Destruction upon then Ecology of Cities*. Social Forces, vol. 29, no. 4.

Ikle, F. (March, 1954). *The Social Versus the Physical Effect from Nuclear Bombing*. Scientific Monthly, vol. 78, no. 3 pp. 82-87.

Kvinikadze, G., & Pkhakadze, K. (2012). *The subject of geoeconomics-polemics arounda new discipline*. Economics Monthly International reviewed and refereed seientific jornal. №5-6. pp. 148-155.

Kennan, G. (February 22, 1946). *The Long Telegram*. Published in Foreign Relations of the United States, vol. VI.

Kennan, G. (July, 1947). *The Source of Soviet Conduct*. Foreign Affairs, Vol. 25, No. 4.

Kennedy, P. (1987). *The Rise and Fall of Great Powers*. New York: Vintage Books.

List, F. (1904). *The National System of Political Economy*. London : Longmans, Green, and Co.

Luttwak, E. (February, 1984). *The Grand Strategy Of The Soviet Union*. New York: Martin's Pres.

Luttwak, E. (1993). *The endangered American Dream*. New York: Simon & Schuster.

Luttwak, E. (Summer 1990). *From Geopolitics to Geo-Economics. Logic of Conflict, Grammar of Commerce.* The National Interest.

Luttwak, E. (1988). *An Emerging Postnucleam Era?* the Washington Quarterly vol,11, No 1.Winter, 1988.

Luttwak, E. (2009) . *The Grand Strategy of the Byzantine Empire*. Cambridge: Massachusetts.

Luttvak, E. (2012). *The Rise of China vs.the Logic of Strategy*. Cambridge: Harvard Universiti Press.

Luttwak, E. (2001). *Strategy: The Logic of War and Peace*. Cambridge: Harvard University Press.

National Bureau of Economic Reserch. (Sep, 2002). *Whot fundamentals driver world migration?* by T. J. Hatton, J.G. Williamson, NBER Working Paper 9159. Cambrige: MA.

Niskanen, W. (1992). *Reaganomics.* In David R. Henderson (ed.). Concise Encyclopedia of Economics (1st ed.). Library of Economics and Liberty, OCLC 317650570, 50016270 and 163149563.

Orwell, G. (October 19, 1945). *You and the Atomic Bomb*. London: Tribune- GB.

Renner, G. (1942). *Human Geography in the Air Age*. New York: Macmillan.

Reed, T. (2004). *At the Abyss: An Insider's History of the Cold War*. New York: Presidio Press.

Schumpeter, J. (1939). *Business Cycles; A Theoretical, Historical, and Statistical Analysis of the Capitalist.* New York : McGraw-Hill Book Company.

Гайдар, Е. (2006). *Гибель империи. Уроки для современной России*. 2-е изд., испр. и доп М: «Российская политическая энциклопедия» (РОССПЭН).

Геоэкономические факторы развития политических процессов в кавказско-каспийском регионе. (2001). Ереван: Антарес.

Дугин, А. (2014). *Ноомахия: войны ума. По ту сторону Запада. Китай, Япония, Африка, Океания*. М: Академический проект.

Иноземцев, В. (1999). *Расколотая цивилизация*. М: Academia – Наука.

Кочетов, Э. (2006). *Геоэкономика. Освоение мирового экономического пространства*. М: НОРМА.

Кочетов, Э. (2014). *Космологизация. Новый этап мирового развития в контексте гуманитарной космологии*. М: Международные отношения.

Кочетов, Э. (1997). *Геоэкономика и стратегия России. Истоки и принципы построения внешнеэкономической доктрины*. М: МОНФ.

Неклесса, А. (1999). *Россия в системе геоэкономических координат XXI века . Путь в XXI век: стратегические проблемы и перспективы российской экономики*. Глава 4. М: Экономика.

Цымбурский, В. (1993). *Остров Россия. Перспективы российской геополитики*. М: Полис. № 5

Opendata.socrata.com/Education/Crude-oil-prices-1861-2008/x9rz-thuv ბოლო ნახვა 9.10. 2014.

Terra America:2012.http://oko-planet.su/politik/politikdiscussions/128528-reygan-doveryal-tolko intellektualam.html. ბოლო ნახვა 27.011.2012.

http://www.forbes.com/sites/realspin/2014/04/04/what-would-reagan-do-about-russias-seizure-of-crimea/. ბოლო ნახვა 11.07.2014.

http://fas.org/irp/offdocs/nsdd/. ბოლო ნახვა 13.06.2014.

http://m.golos-ameriki.ru/a/a-33-2005-06-15-voa5/658087.html.. ბოლო ნახვა 27.09.2014.

ლიტერატურა V ლექციისათვის:

კვინიკაძე, გ. (2008). *გეოეკონომიკა* /სახელმძღვანელო/. თბ: უნივერსალი.
მელიქიძე, ვ. (2006). *მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია.* თბ: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
რონდელი, ა. (2014). *რას ნიშნავს ძლიერი ქვეყანა.* თბ: ჟურნალი „ჩემი სამყარო“, N 7.

Association of American Geographers, (1991). vol. 81, no. 4.
Bergstem, C. (Summer, 1992). *The Primacy of Economics* . Washington: Washington post. Newsweek Interactive, LLCForeign Policy.
Council on Foreign Relations,Inc.(http: //www. foreignaffairs.com/articles/63564/robert-kagan/the-september-12-paradigm. ბოლო ნახვა 5.08 2014.
Huntington, S. (1985). *An interview with Samuel Brian Lamb.* Samuel Huntington. March 29, http://www.standardandpoors.com/en_US/web/guest/home. ბოლო ნახვა 5.08 2014.
Porter, M. (1990). *The Competitive Advantage of Nations*. New York: The Free Press. p-123-124.

Jean, C. (1995). *Geopolitic*. Luterza. Roma: Bari.
Kagan, R. (September/October 2008). *The September 12 paradigm*. Foreign Affairs №5 ©

Krugman, P. (ed.). (1991). *Geography and Trade.* Mit, Cambridge, Massachusetts : Leuven University Press , MIT Press.

Loughlin J., & Anselin, L. (April 1996). *Geo-economic Competition and Trade Bloc Formation: United States, German, and Japanese Exports 1968-1992*. Clark university: Economic Geography, vol. 72, no 2. p. 131-160.

Luttwak, E. (2012). *China's rise against the logic of the strategy*. Cambridge: Belkhap Press of Harvard University Press.

Luttwak, E. (1999). *Turbo-Capitalism. Winners and Losers in the Global Economy*. New York : HarperPerennial. p. 128-129.

Luttwak, E. (1979). *Coup d'État: A Practical Handbook*. Cambridge, MA: Harvard University Press.

Luttwak, E. (Summer, 1990). *From Geopolitics to Geo-Economics. Logic of Conflict, Grammar of Commerce.* The National Interest.

Luttwak, E. (1993). *The endangered American Dream*. New York: Simon & Schuster. Press, Cambdidge (Mass.). p. 83—90.

Luttwak,E. (2001). *Strategy: The Logic of War and Peace*. Harvard: Harvard University Press.

Nye, J. (Autumn, 1990). *Soft Power*. Foreign Policy. New York: Carnegie Endowment forinternational Peace. p. 153—171.

Nose to nose - Boeing v Airbus. (2005). The Economist. London : V. 375. - № 8432. p. 77-79.

Roberts, P. (summer, 1990). *Up from Mereantilism-Solving the Latin Debst mess*. National interest. p. 63-70.

Robin,C. *The Ex-Cons: Right-Wing Thinkers Go Left.*

Samuelson, R. (2007). *China's Wrong Turn on Trade*. Newsweek, May,Vol,149 14.

Cohen, S. (1991). *Global Geopolitical Change in the Post–Cold War Era.*Annals , association of american geographers 81.551-80.

The Washington Post, 21 August, 2015.

Vernon,R. (1993). *Unclear and present danger: review of 'The endangered American dream.* The National Interest (34).

Yamamura, K. (1986). *Caveat Emptor: the Industrial Policy of Japan*. In Paul Krugman. ed. Strategic Trade Policy and the New International Economics. Cambridge, MA: The MIT Press.

Валлерстайн, И. (2003). *Конец знакомого мира: Социология XXI века*. /Пер. с англ. под ред.В.Л. Иноземцева/. М: Логос. с. 90.

Моро Дефарж, Ф. (1996). *Введение в геополитику*. М: Конкорд.

Кочетов, Э. (1999). *Геоэкономика. Освоение мирового экономического пространства*. М: БЕК.

http://www.forbes.com/sites/realspin/2014/04/04/what-would-reagan-do-about-russias-seizureof crimea/. ბოლო ნახვა 5.08. 2014.

http://www.echomsk.spb.ru/blogs/rabi/26461.php.. ბოლო ნახვა 5.08 2014.

http://linguafranca.mirror.theinfo.org/print/0101/cover_cons.html,www.mail ბოლო ნახვა 17.10. 2014.

archive.com/ctrl @ listserv.aol.com/msg60433.html. ბოლო ნახვა 17.10. 2014.

ლიტერატურა VI ლექციისათვის:

Luttwak, E. (Summer, 1990). *From Geopolitics to Geo-Economics. Logic of Conflict, Grammar of Commerce*. The National Interest.

Luttwak, E. (1999). *Turbo-Capitalism. Winners and Losers in the Global Economy*. New York : HarperPerennial.

Jean C .(1995). *Geopolitica,* Laterza. Roma: Bari

Кочетов, Э. (1999). *Геоэкономика. Освоение мирового экономического пространства*. М: БЕК.

Krugman, P. (ed.). (1991). *Geography and Trade.* Mit, Cambridge, Massachusetts : Leuven University Press , MIT Press.

გიორგი კვინიკაძე

გეოეკონომიკის

საფუძვლები

II ნაწილი

სახელმძღვანელო/კონსპექტი

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ

მეცნიერებათა ფაკულტეტის

სტუდენტებისათვის

თბილისი 2017

ლექცია VIII

გეოეკონომიკის ინსტრუმენტები

8.1 კორპორაცია

8.2 ბაზრებზე შეღწევა

8.3 საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები

8.4 მაკროეკონომიკური ინსტრუმენტები

8.5 ფინანსური ბაზრები

8.1 კორპორაცია

გეოეკონომიკის ინსტრუმენტების შორის ტნკ-ბი განსაკუთრებულ როლს ასრულებენ. (კორპორაციაში მოვიაზრებ ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კომერციულ ორგანიზაციას, ხოლო ტრანსნაციონალურში იმ კორპორაციებს, რომელთაც გააჩნიათ ერთი ან რამოდენიმე ფილიალი უცხოეთში). ერთი მხრივ, კორპორაციები უპირატესად დამოუკიდებელი ეკონომიკური მოთამაშეები არიან. სწორედ ისინი ახდენენ შიდა ბაზრების დაცვის (მაგალითად, ანტიდემპინგური გამოძიება) ინიცირებას, უცხოური აქტივების შეძენისას ორგანიზაციას უკეთებენ საკუთარი მოქმედებების საგარეო პოლიტიკურ მხარდაჭერას და ა.შ. ამდენად, კორპორაციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ გეოეკონომიკური პოლიტიკაზე. მეორე მხრივ, მათ აქვთ უნარი ხელი შეუწყონ საკუთარი ქვეყნების პოლიტიკას (არა მხოლოდ ეკონომიკური) სხვა ქვეყნების მიმართ ანუ წარმოადგენენ მის ინსტრუმენტებს. ბევრი კომპანია რომელიც უცხოეთში ფლობს ფილიალებს იღებს ამ ქვეყნის რესურსებზე წვდომის შეღავათიან პირობებს, რითაც ისინი ასევე წყვეტენ გეოეკონომიკურ ამოცანებს, რამდენადაც ქმნიან პირობებს ახალ ეკონომიკურ ტერიტორიაზე ეკონომიკური ექსპანსიისათვის და ა.შ. ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ ცალკეულ კორპორაციათა, ეკონომიკის დარგების, ან ტერიტორიებისადმი და ა.შ. სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა საზიანოა და ხელს უშლის თავისუფალ კონკურენციას. თუმცა, ლიბერალური ეკონომიკების მქონე ქვეყნების პრაქტიკაშიც არსებობს განვითარების პრიორიტეტები. აქ სახელმწიფოები ახარხებენ შეფარულად დაუჭირონ მხარი და დაეხმარონ ეროვნული ეკონომიკის შესაბამის სუბიექტებს. ყველაზე უფრო ხშირად ასეთი სეგმანტები დაკავშირებულია მაღალტექნოლოგიურ წარმოებასთან, რაც უზრუნველყოფს ამ ქვეყნების გრძელვადიან სტრატეგიულ უპირატესობას.

მაგალითად, სერიოზული დავის საგანი გახდა თვითმფრინავშენებლობის სექტორის კონპანიებისადმი დახმარების მასშტაბის და მეთოდების საკითხი აშშ და ევროკავშირს შორის: „მას შემდეგ რაც აშშ-მა მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში გააგზავნა საჩივარი ევროკავშირის მიერ კომპანის „Airbus"-ს სუბსიდირების შესახებ, ევროკავშირმა უპასუხა საპასუხო საჩივრით აშშ-ის მხრიდან რეგიონული და ფედერალური სუბსიდიის გამოყენებაში კომპანია „Boeing"-თან მიმართებაში. ამერიკელები ადანაშაულებდნენ „Airbus"-ს მხოლოდ ახალი თვითმფრინავების პროექტირებაში, ბოლო 35 წლის განმავლობაში 17 მილიარდი დოლარის სუბსიდიის მიღებაში. ევროპელებმა საპასუხოდ განაცხადეს, რომ „Boeing"-მა ბოლო 13 წლის განმავლობაში 23 მილიარდი დოლარი მიიღო იგივე მიზნისათვის". (The Economist, 2005,77-79)

8.2 ბაზრებზე შეღწევა.

დაკავშირებულია სატარიფო ბარიერებთან და უპირველეს ყოვლისა, იმპორტის გდასახადთან, რომელიც გეოეკონომიკის ერთ-ერთი ტრადიციული თავდაცვითი ინსტრუმენტია. მათი გამოყენება თითქმის ყოველთვის ემსახურება საკუთარი წარმოების დაცვას. იმპორტის გდასახადის მოქმედების მექანიზმი საკმაოდ მარტივია. საქონლის იმპორტიორი მიმღებ ქვეყანას უხდის საქონლის რირებულების ნაწილს. შესაბამისად იზრდება საქონლის ფასი და ის ნაკლებად კონკურენტუნარიანი ხდება (ქვეყნის შიდა წარმოებასთან შედარებით). ქვოტირების მექანიზმი კი ეფუძნება რაოდენობრივი შეზღუდვის პრინციპს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში დაშვებულია მხოლოდ კონკტეტული საქონლის შეზღუდული რაოდენობის შეტანა. ქვოტის გადაჭარბების შემთხვევაში იმპორტი ან გაცილებით მაღალი ტარიფით იბეგრება ან საერთოდ იკრძალება მისი შეტანა. ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სამამული წარმოების დაცვის მიზნით სახელმწიფო დაინტერესებული უნდა იყოს იმპორტზე გადასახალის გაზრდით და ქვოტების შემცირებით. თუმცა, არსებობს მთელი რიგი ფაქტორების, რომელიც ხელს უშლის მსგავსი ქმედებების განხორციელებას. უპირველეს ყოვლისა, მსგავსი პროტექციონისტური ზომების მიღებამ აუცილებლად გამოიწვევს საპასუხო რეაქციას სავაჭრო პარტნიორების მხრიდან, რომლებიც დახურავენ საკუთარ ბაზრებს. ამდენად, სამამულო წარმოების დაცვიტ სახელმწიფო დააზარალებს საკუთარ ექპორტიორებს. მეორე მხრივ, იმპორტზე გადასახის გაზრდით მოხდება ფასების ზრდა (არა მხოლოდ იმპორტულ პროდუქციაზე), რაც იმას ნიშნავს, რომ მოახდება დამატებითი ინფლაცია. ამ შემთხვევაში ზარალდება როგორც მაკროეკონომიკა ასევე მომხმარებელი (ეს განსაკუთრებით ეხება სასურსათო პროდუქტს). მესამე მხრივ, ქვეყანაში შემოსული საქონელი ხშირად გამოიყენება არა საბოლოო მომხმარებლის , არამედ მწარმოებლების მიერ (მანქანები, მოწყობილობები, ნედლეული და ა.შ.). გადასახადების გაზრდა, საქონლის აღნიშნულ კატეგორიაზე კი ნიშნავს იმას, რომ სამამულო მეწარმეებს გაეზრდებათ პროდუქციის თვითღირებულება და შესაბამისად შეუმცირდებათ საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა. მეოთხე მხრივ, ბარიერების დაცვის მოვალეობები ასახულია საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის დოკუმენტებში, რომლის წევრი შეიძლება

იყოს ქვეყანა (მაგალითად,მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია). ე.ნ. ლუტვაკი მიუთითებს ასევე არასატარიფო შეზღუდვებზეც, რომელიც შეიძლება ატარებდეს არაოფიციალურ ხასიათს. თუმცა, საკმაოდ ეფექტურად გამოიყურებოდეს.

მაგალითად, არასატარიფო შეზღუდვების გამოყენების კარგი მაგალითია სამხრეთ კორეის პოლიტიკა ავტომობილების იმპორტის შეზღუდვასთან დაკავშირებით, რომელიც გრძელდებოდა 1997 წლამდე. აღნიშნულთან დაკავშირებით ე.ნ. ლუტვაკი წერს: "რამდენადაც სამხრეთ კორეის კომპანიები ავტომობილების აქტიური ექსპორტიორები იყვნენ, ამ ქვეყნის მთავრობას არ შეეძლო პირდაპირ შეეზღუდა იმპორტი ან შემოეტანა აკრძალული ტარიფები. ამის ნაცვლად გამოყენებული იქნა შენიღბული სქემა. კერძოდ, სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ არაფორმალურად აუკრძალა თავის კომპანიებს (მათი ზომების მიუხედავად) გამხდარიყვნენ უცხო მწარმოებლების იმპორტიორები ან მათი დისტრიბუტორები. მეორე მხრივ, როცა ამ უკანასკნელებმა გახსნეს საკუთარი სალონები, უძრავი ქონების ადგილობრივ მფლობელებს არაორაზროვნად მიანიშნეს, რომ არ შეიძლებოდა შენობი ფართის გაყიდვა ან მისი იჯარით გადაცემა და ბოლოს, როცა ზოგიერთი შეუპოვარი მოქალაქე მაინც ბედავდა უცხოური ავტომობილების შეძენას, ადგილობრივი ხელისუფლება მყისვე იწყებდა მათ საგადასახადო კუთხით. შედეგად, არცთუ მრავალრიცხოვანი უცხოური ავტომობილები სწრაფად იქნა გაყიდული" (Luttwak E.:1999:129-130). მსგავს ზომებს ხანდახან მიმართავენ ევროპის ქვეყნებიც. მაგალითად, საფრანგეთის ხელისუფლებამ იმისათვის, რომ შეექმნა ვიდეომაგნიტოფონების საკუთარი წარმოება, რისთვისაც საჭირო იყო იაპონიის იმპორტის შეზღუდვა, მიიღო გადაწყვეტილება ამ სახის მთელი პროდუქციის შეტანა განეხორციელებინა მხოლოდ ერთი საბაჟოს გამოყენებით, რომელიც ქვეყნის შორეულ რეგიონში მდებარეობდა, ხოლო მეორე მხრივ, ეს საბაჟო-გამშვები პუნქტი ჯერ დაკომპლექტებული არ იყო. შედეგად იმპორტის მოცულობა შემცირდა (Luttwak E.:1993).

8.3 რეგიონული ეკონომიკური ბლოკები.

რეგიონული ეკონომიკური ბლოკები გეოეკონომიკის სერიოზულ ინსტრუმენტებს წარმოადგენენ და აი რატომ: ცნობილია, რომ მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ეფექტური ბრძოლა საჭიროებს გარკვეული პირობების შესრულებას. კერძოდ, ქვეყანა უნდა ფლობდეს საკუთარი საქონლისა და მომსახურების გასაღების ბაზრებს, მეორე მხრივ (რაც ამ ბოლო დროს სულ უფრო აქტუალური ხდება), გარანტიებს ქვეყნის აუცილებელი რესურსებით მომარაგებაში. უმეტეს შემთხვევაში ბაზარი საკმაოდ მოცულობითია სრულმასშტაბიანი განვითარებისათვის. ამიტომ, გლობალური ეკონომიკის პირობებში იმისათვის რომ მიაღწიონ სერიოზულ მასშტაბებს ეროვნულ კომპანიებს აუცილებლად ჭირდებათ უცხო ბაზრებზე გასვლა, ხოლო ქვეყნებს აუცილებელი რესურსებით უზრუნველყოფის გარანტიები. აღნიშნული სულაც არ

იქნებოდა პრობლემა „იდეალურ ლიბერალურ მსოფლიოში“, თუმცა როგორც ზემოთ დავინახეთ რეალობა სულ სხვაგვარია. ერთ-ერთი გზა რომელიც პრობლემის სიმწვავის მეტნეკლებად განეიტრალების საშუალებას იძლევა არის ეკონომიკური ბლოკები. რეალურად საუბარია ქვეყნების კავშირზე რომლემაც ერთმანეთში მოილაპარაკეს სავაჭრო და საინვესტიციო ბარიერების დაწევაზე. ქვეყნების მონაწილეობა ინტეგრაციულ გაერთიანებაში აძლევს რიგ უპირატესობას ეკონომიკური განვითარების პროცესში, რომელთა შორის ყველა მნიშვნელოვანია:

გაცილებით ფართო ბაზარზე ოპერირების შესაძლებლობა;

ინტეგრაციულ პროცესებში მონაწილე ქვეყნებისათვის პრივილეგირებული მდგომარეობის შექმნა და გეოეკონომიკური კონკურენციის პირობებში მათი გარკვეული დაცვა მესამე ქვეყნების ფირმების მხრიდან;

ინტეგრაციის მონაწილე ქვეყნების რთული ეკონომკური, გეოპოლიტიკური, მეცნიერულ-ტექნოლოგიური, გეოეკოლოგიური და სხვა პრობლემების, ერთობლივი გადაწყვეტა ერთიანი გეოეკონომიკური სტრატეგიის შემუშავება.

ცნობილია, რომ გეოეკონომიკური ინტეგრაცია ევოლუციონირდება რამდენიმე ძირითადი საფეხურით, სადაც ყოველი მომდევნო საფეხური, გარკვეულად ანვითარებს მის წინ მდგომს.

პირველ დონეზე პრეფენციალური სავაჭრო შეთანხმებები იდება ქვეყნებს შორის ორმხრივ საფუძველზე, ან უკვე არსებულ ინტეგრაციულ ჯგუფებსა და ცალკეულ ქვეყანას, ან ქვეყნების ჯგუფს შორის;

მეორე დონეზე ქვეყნები გადადიან თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნაზე, რომელიც ითვალისწინებს საბაჟო ტარიფების გაუქმებას ერთმანეთთან ვაჭრობასა და მომსახურებაში. მესამე ქვეყნებთან მიმართებაში კი ეროვნული საბაჟო ტარიფები შენარჩუნებულია;

მესამე დონეზე საბაჟო კავშირი ხასიათდება მონაწილე ქვეყნებს შორის ეროვნული საბაჟო ტარიფების შეთანხმებული გაუქმებით, ერთიანი საბაჟო ტარიფებისა და მესამე ქვეყნებთან მიმართებაში ვაჭრობის არატარიფული რეგულირების სისტემის მეშვეობით. ამ დონეზე ხდება ყოველგვარი საბაჟო გადასახადის გარეშე საქონლითა და მომსახურებით შიდა ვაჭრობა გადაადგილების სრული თავისუფლება გეოეკონომიკური რეგიონის შიგნით. ამ ეტაპზე იქმნება სახელმწიფოთაშორისი ორგანოების სისტემა, რომელიც კოორდინაციას უწევს შეთანხმებული საგარეო ვაჭრობის გატარების პოლიტიკას;

რეგიონული ინტეგრაციის მეოთხე დონეზე ინტეგრირებული ქვეყნები თანხმდებიან არა მხოლოდ საქონლისა და მომსახურების თავისუფალ გადაადგილებაზე, არამედ წარმოების ფაქტორების (კაპიტალი, სამუშაო ძალა, ტექნოლოგიები) მოძრაობის ლიბერალიზაციაზეც. ერთდრო¬ულად იქმნება მუდმივადმოქმედი სახელმწიფოთაშორისი სამდივნო (მაგ: სახელმწიფოთა და მთავრობათა ევროპის საბჭო);

ყველაზე უფრო მაღალ მეხუთე დონეზე, ხდება სრული ინტეგრაცია, რომელიც გულისხმობს ინტეგრაციის მონაწილე ქვეყნების ერთიანი (ეკონომიკური, სავალუტო, ფულადი პოლიტიკის, ერთიანი ვალუტის შემოღება; ზენაციონალური მართვის ორგანოების დაწესება) ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნას. მთავრობები, გარკვეულ პირობებში, შეგნებულად ამბობენ უარს თავიანთი ფუნქციების ნაწილზე, იმ ზენაციონალური ორგანოების

სასარგებლოდ, რომლებსაც გააჩნიათ უფლება მონაწილე ქვეყნების მთავრობებთან შეუთანხმებლად მიიღონ გადაწყვეტილება იმ საკითხებში, რომლებიც ეხება ეკონომიკურ ინტეგრაციას (მაგ: ევროკავშირში ასეთი ორგანოა, ევროკავშირის კომისია).

განვითარების სხვადასხვა დონეებისა და სიმრავლის მიუხედავად მსოფლიოს ყველა ინტეგრაციული დაჯგუფებები ახდენენ დაახლოებით ერთი და იმავე გეოეკონომიკური მიზნის რეალიზაციას, რომელიც მდგომარეობს:

ა) ტრანსაქციული დანახარჯების შემცირებასა და უცხოური ინვესტიციების აქტიურად მოზიდვაში;

ბ) გეოპოლიტიკურ, სამხედრო, სოციალურ და სხვა არაეკონომიკის სფეროში მონაწილე ქვეყნების ხელსაყრელი საგარეო პოლიტიკური გარემოს შექმნაში, მათი თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების გზით;

გ) სავაჭრო პოლიტიკის ამოცანების გადაწყვეტაში, მონაწილე ქვეყნების მოლაპარაკების პროცესში პოზიციების გამტკიცებით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან მიმართებაში;

დ) ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების ხელის შეწყობაში, საბაზრო ეკონომიკის, კაპიტალის, ტექნოლოგიების განვითარების ხარჯზე;

ე) ეროვნული ეკონომიკის დარგების განვითარების ხელშეწყობაში იმ შემთხვევაში, თუ აღმოცენდება გაცილებით ფართო ბაზარი.

ამდენად, სრულიად აშკარაა, რომ გეოეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში, ქვეყნების ცალკეული ჯგუფები ერთმანეთს უქმნიან ხელსაყრელ პირობებს, შიდარეგიონულ ვაჭრობაში და წარმოების ფაქტორთა მიგრაციაში და ა.შ. (გ. კვინიკაძე:2008)

8.4 მაკროეკონომიკური ინსტრუმენტები

სახელმწიფო თავის მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში იღებს გადაწყვეტილებებს, რომელთაც შესწევთ უნარი სერიოზული ზეგავლენა მოახდენონ მეწარმეთა კონკურენტუნარიანობაზე შიდა და გარე ბაზრებზე პოზიციების მოპოვების ან/და პირიქით დაკარგვის კუთხით. სწორედ ამიტომ, ზოგიერთ შემთხვევაში მსგავსი გადაწყვეტილებები უნდა განვიხილოთ, როგორც გეოეკონომიკის ინსტრუმენტი. ყველაზე მკაფიოდ აღნიშნული მიდგომა ვლინდება სავალუტო კურსის დადგენისას. თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში არსებობს სახელმწიფოს მხრიდან მის ხელთ არსებული შესაძლებლობების შედეგად სავალუტო კურსის ეფექტურად რეგულირების შემთხვევები. ეს უპირველეს ყოვლისა, ჩინეთია.

მაგალითად, ჩინეთის ხელისუფლება საკუთარ მაწარმეებს კი არ იცავდა, არამედ ეხმარებოდა მათ მაქსიმალურ გახსნილობაში უცხოურ ინვისტიციებთან მიმართებაში. ჩინეთის სახალხო ბანკი მუდმივად ყიდულობს აშშ დოლარს რითაც დაბლა წევს საკუთარი ვალუტის ჩინეთის მთავრობა არ იცავს ეროვნულ მეწარმეებს. პირიქით, ხელს უწყობდა დარგის მაქსიმალურ გახსნილობას უცხოური ინვისტიციებისათვის. ადგილობრივი მეწარმეები აქ ისედაც არიან წახალისებულნი იუანის დაბალი კურსით. ჩინეთის სახალხო

ბანკი მუდმივად ახდენს დოლარის შესყიდვას რითაც დაბლა სწევს საკუთარი ვალუტის მსყიდველუნარიანობას. მსგავსი ზომების მოქმედების მექანიზმი აშკარაა. ყიდულობს რა უცხოურ ვალუტას და მიმოქცევაში უშვებს ეროვნული ფულის ერთეულს, ჩინეთის ცენტრალურ ბანკს გააჩნია საშუალება არ დაუშვას საკუთარი ვალუტის კურსის აწევა ან საერთოდ დაბლა დაწიოს ის. ეს კი ნიშნავს, რომ იმპორტიორთათვის უცხოური საქონელი ძვირი ხდება (ანუ იმპორტი იზღუდება). რაც შეეხება იმ ექსპორტიორებს და მწარმოებლებს რომლებიც ორიენტირებულნი არიან შიდა ბაზარზე, ისინი თავს კომფორტულად გრძნობენ, რამდენადაც მათ მიერ წარმოებული საქონელი, რომელიც ნომინირებულია უცხოურ ვალუტაში უფრო იაფია უცხოურ ანალოგებთან შედარებით, რითაც ისინი უფრო მეტად კონკურეტუნარიანები ხდებიან. ჩინეთის შემთხვევაში მსგავსი მექანიზმის არსებობამ სერიოზული სტიმული მისცა ექსპორტის ზრდას და უცხოურ ბაზრებზე შეღწევის საქმეში.

გეოფინანსები წარმოადგენს გეოეკონომიკის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს. სწორედ ამ სფეროში ყველაზე მეტად ეთხრება ძირი სახელმწიფო სუვერენიტეტს. მართლაც, გეოფინანსებთან მიმართებაში სახელმწიფო სხვა არაფერია თუ არა მხოლოდ კაპიტალის მიმღები, რომელიც კონკურენციას უწევს სხვა სახელმწიფოებრივ და კერძო, ეროვნულ და ტრანსნაციონალურ სუბიექტებს. იძულებულია დაამტკიცოს თავისი საიმედობა გამჭვირვალე და ეფექტური ეკონომიკურ-ადმინისტრაციული საქმიანობის დახმარებით. (1980-იანი წლების ფ. მიტერანისეული საფრანგეთის გამოცდილება აღნიშნულის დადასტურებაა. გ.კ.)
სახელმწიფოს შესაძლებლობების დაკარგვა, გამოიყენოს თავისი უპირატესობა ფინანსურ ბაზრებზე სულაც არ ნიშნავს, რომ ეს მაინცდამაინც უარყოფითი ფაქტია. იმდენად, რამდენადაც ამ პროცესმა მნიშვნელოვნად შეამცირა ხელისუფლების უნარი `იყიდოს~ ელექტორატის მოწონება მომავალი თაობების ინტერესების `მსხვერპლშეწირვის~ გზით და დღევანდელი ვალების მათზე გადალოცვით.

ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს გეოეკონომიკური დაზვერვის მოთხოვნაზე არის უკიდურესად შემჭიდროვებული ვადები, რომელიც გამოწვეულია ინფორმაციული ქსელების გლობალიზაციით და აერთიანებს ფინანსურ მსოფლიოზე გავლენის ნამდვილ ცენტრებს. ბანკების ერთობლივი როლი ბაზრებთან შედარებით შემცირდა, ხოლო ვალუტების გაცვლითი კურსი გავიდა ფულადი პოლიტიკის კონტროლიდან და დამოკიდებულია ფინანსურ პროცესებზე. გლობალიზაციის შედეგად ფულზე მოთხოვნილება და შეთავაზება უკვე აღარ შეიძლება თანმიმდევრულად დაბალანსდეს.

ინფორმაციულ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში მანევრირება, განსაკუთრებით ფინანსების სფეროში, სულ უფრო მნიშვნელოვანი და ამავე დროს რთული ხდება. ამ დროს აუცილებელია მოქმედი მექანიზმებისა და მათთვის დამახასიათებელი კანონზომიერებების შესწავლა.

XXI ს-ში `გეოფინანსურ~ სახელმწიფოს უკვე აღარ შეუძლია ფულის პოლიტიკური მიზნით გამოყენება, ისე როგორც მას არ შეუძლია უსასრულოდ ჩაეფლოს ვალებში. მთავარი აქცენტი სახელმწოფომ უნდა გააკეთოს გადასახადების ამოღებაზე და იმავდროულად თანმიმდევრულად დაიცვას პოლიტიკურ – ადმინისტრაციული მართვის ეთიკური ნორმები. საერთოდ, გეოფინანსების სამყაროში სახელმწიფო უნდა მისდევდეს თავის მიზნებს და უნდა ზრდიდეს პოტენციალს, რათა გავლენა მოახდინოს ბაზრებზე, რომელზედაც ის უწინდებურად დამოკიდებულია. სწორედ ამ მიზეზით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეთოდები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია სახელმწიფოს ~სტარტეგიული გეოფინანსური ძლიერების~ გაზრდა (ისეთების, როგორიცა სავალუტო-საკრედიტო და საექსპორტო ოპერაციების ფინანსირება).

შიდა და საგარეო ეკონომიკის წინაშე რთულ პრობლემებს აყენებს `ჭუჭყიანი ფულის~ პრობლემა. აუცილებელია დაწვრილებით იქნას შესწავლილი ის ხერხები, რომელთა დახმარებითაც ხდება `ჭუჭყიანი ფულის~ გათეთრება, ასევე ის პირობები, რომელიც ხელს უწყობს ამ პროცესის აყვავებას, კერძოდ ტექნოლოგიური პროგრესი, დერეგულაცია, სახელმწიფოებრიობის კრიზისი და ა.შ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იატაკქვეშა ფინანსური სისტემების ფინანსირების ორგანიზაციისა და ხერხების ანალიზი, კერძოდ აუცილებელია ორი საკითხის კვლევა: ა) ფულის გათეთრების `წონა~ შიდა და საერთაშორისო ეკონომიკაში და ბ) ქვეყნების ბრძოლისუნარიანობა და შესაძლებლობები, რათა თავიდან აიცილონ შეუთანხმებელი მოქმედებები, რომელიც მომაკვდინებელი შედეგების ტოლფასია

არაკანონიერი ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, ზიანს აყენებენ ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებას, რამდენადაც იგი იწვევს კონკურენტული ბრძოლის პირობების არსებით ცვლილებებს მთელს საწარმოო-ფინანსურ სისტემაში. ფულის გათეთრება განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს საბანკო სამყაროსათვის, რომელიც სულ უფრო მეტად განიცდის შანტაჟს მსხვილი ორგანიზებული დანაშაულის მხრიდან. ფულის გათეთრებასთან და საერთაშორისო ფინანსურ დანაშაულთან ბრძოლა "გეოფინანსების" ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. ყველა ზემოთ აღნიშნული ტენდენციები კი დღის წესრიგში აყენებს ქვეყნების უსაფრთხოების გეოეკონომიკური სტრატეგიების შემუშავების აუცილებლობას, განსაკუთრებით კი ახალი გეოპოლიტიკური გამოწვევების პირობებში.

ამდენად, გეოფინანსების მართვა როგორც თავისი არსით, ასევე მასშტაბებით შეიძლება განვიხილოთ როგორც გეოეკონომიკის ინსტრუმენტი.

8.5 ფინანსური ბაზრები და ცენტრები.

ფინანსური ბაზრები და ცენტრები ასევე წარმოადგენენ გეოეკონომიკის სერიოზულ ინსტრუმენტებს, ვინაიდან ქვეყნები ცდილობენ ხელსაყრელი პოზიციები დაიკავონ ზედმეტი ღირებულების შექმნის ტრანსნაციონალურ ჯაჭვში. ამასთან დაკავშირებით გეოეკონომიკური სტრატეგიის აგებისას უაღრესად მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს ნახულობს არა ის ვინც პროდუქტს აწარმოებს, და ხშირად არც ის ვინც იგონებს და ყიდის მას, არამედ ის ვინც საქონლისა და მომსახურების შეფასების წესებს ქმნის. გასაკვირი არაა, რომ ბოლო წლებში მსოფლიო პოლიტიკოსთა ყურადღება გადატანილია მსოფლიო ფინანსური ცენტრების განვითარებასა და მათ შორის კონკურენციაზე. ქვეყნისათვის მსოფლიო დონის ისეთი საკუთარი ფინანსური ცენტრის არსებობა რომელსაც გააჩნია მსოფლიო გეოეკონომიკური დღის წესრიგის ფორმირებაში მონაწილეობის პრეტენზია ძალზედ მნიშვნელოვანია. საქმე მარტო ის კი არაა, რომ ფინანსური მომსახურება რომლებსაც ეს ცენტრები გასწევენ უაღრესად მნიშვნელოვანია ბიზნესისათვის, რომელიც წამყვან როლს ასრულებს პოსტინდუსტრიული ტიპის ეკონომიკებში (მაგალითად, კომპანია „McKinsey" მონაცემებით ფინანსური მოომსახურება აშშ-ს ეკონომიკაში შეადგენს მშპ-ს 8% და სამუშაო ადგილების 5%), არამედ საკუთარი ფინანსური ცენტრი იძლევა საკუთარ ეკონომიკაში კაპიტალიზაციის უზრუნველყოფის (ზედმეტი ღირებულების ქცევა კაპიტალად ან/და ქონების გადაქცევა ფულად კაპიტალად) და ლიკვიდობის საშუალებას (ფასიანი ნივთების (აქტივების) უნარი სწრაფად გაიყიდოს საბაზროსთან მიახოებულ ფასად. ლიკვიდური - ფულად ქცევადი.)

დღეს მსოფლოს ძირითადი ფინანსური ცენტრებია ნიუ-იორკი და ლონდონი.ეს ცენტრები ერთმანეთს ეჯიშპებიან ფინანსური ბაზრის სხვადასხვა სექტორებში ლიდერობის მოსაპოვებლად. რაც შეეხება ევროკავშირის ქვეყნებს, მათი ფინანსური ბაზრების ზომა ჯერ კიდევ ჩამორჩება აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის მაჩვენებლებს. კაპიტალის ნაკადების მოცულობა ევროზონასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის დაახლობით იმდენია, რამდენიც აშშ-ს და დანარჩენ მსოფლიოს შორის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირი ხდება მსოფლიო დონის ფინანსური მოთამაშე. აზიის ფინანსური ბაზრები კი ძლიერ დანაწევრებულია. იაპონიის ბაზარი თუმცა მესამეა მსოფლიოში, ის ნაკლებად არის დაკავშირებული აზიურ ბაზრებთან და მისი ორიენტირია აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის ბაზრები. დაახლოებით იგივე პროცესი ახასიათებს სინგაპურსა და ჰონკონგს. მსოფლიო ფინანსური ნაკადების დაახლოებით 80% ცირკულირებდა აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და ევროკავშირს შორის (Farrell :2007). მსოფლიოში ბევრი მსურველია ვისაც სინგაპურის წარმატების გამეორება სურს იმ დროს, როცა მათ არ გააჩნიათ საკუთარი მასშტაბური ეკონომიკა, მაგრამ სთავაზობენ განვითარებულ ინსტიტუციონალურ ინფრასტრუქტურას. ამ მხრივ კარგი მაგალითია დუბაი. მისი დამატებითი კონკურენტული უპირატესობა გახდა ნავთობის გაყიდვებიდან მოღებული რეგიონში დაგროვილი ის დიდი თანხებიც, რომელიც ძირითადად განთავსებულია აშშ, დიდ ბრიტანეთსა და დასავლეთის რიგ ქვეყნებში.

ფინანსური ცენტრისათვის დუბაიში შექმნილი საკანონმდებლო სისტემა განსხვავდება იმ მკაცრი ბიუროკრატიული სისტემისაგან, რომელიც დამახასიათებელია ქვეყნის დანარჩენი ნაწილისათვის (The Economist:2006).

ლექცია IX (გაგრძელება)

გეოეკონომიკის ინსტრუმენტები

9.1 საგარეო პოლიტიკა

9.2 მიგრაციული პოლიტიკა

9.3სამხედრო ძლიერება

9.4 სპეცსამსახურები

9.5 კრიმინალი

9.1 საგარეო პოლიტიკა

თანამედროვე გეოეკონომიკური სტრატეგიების წარმატებით რეალიზაციისათვის განსაკუთრებით იზრდება ეკონომიკური დიპლომატიის როგორც გეოეკონომიკის ინსტრუმენტის მნიშვნელობა, ვინაიდან გეოეკონომიკური რეალიების ფორმირება მიმდინარეობს გლობალური ეკონომიკური კონკურენციის თანხლებით ყველა დონეზე. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის განმტკიცება გლობალურ, საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე დიდადაა დამოკიდებული სახელმწიფოს მიერ გატარებულ საგარეოეკონომიკურ (ექსპორტის ხელშეწყობა, საგარეო ბაზრებზე შეღწევისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, უცხოური ინვისტიციების, მძრალი ტექნოლოგიები, ნოუ-ჰაუს მოზიდვა) და შიდაეკონომიკურ (სამეცნიერო კვლევების განათლების სისტემის, ტექნოლოგიური განვითარების, ინოვაციური საქმიანობის ხელშეწყობა) პოლიტიკაზე. არცთუ დიდი ხნის უკან ითვლებოდა, რომ დიპლომატიის პრიორიტეტული ამოცანაა უპირატესად პოლიტიკური საკითხების მოგვარება. თუმცა, მსგავსი მიდგომა, ჩემი აზრით, არასრულყოფილების შთაბეჭდილებას ტოვებს და ვერ პასუხობს თანამედროვე გეოეკონომიკურ გამოწვევებს. ისტორია მოწმობს, რომ შორეულ წარსულშიც კი

საერთაშორისო მოლაპარაკებების საგანს წარმოადგენდა არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური საკითხებიც.

მაგალითად, ძველ დროში მმართველი ელიტის წარმომადგენლები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ გასაღების ბაზრების განაწილების და ეკონომიკური გავლენის სფეროების ან/და სავაჭრო გზების უსაფრთხოების საკითხებზე. თუმცა, დროთა განმალლობაში სახელისუფლებო ელიტის მოვალეობანი გაიყო. შედეგად დიპლომატები ძირითადად დაკავდნენ პოლიტიკით, ხოლო ვაჭრები საერთაშორისო ვაჭრობის საკითხებით. მაგრამ იმის მტკიცება, რომ ეკონომიკური პრობლემები აღარ შედის უმაღლესი რანგის სახელმწიფო ჩინოვნიკების ინტერესთა სფეროში მართებული არ იქნება. შემთხვევითი არაა, რომ ისეთი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები, როგორებიცაა რ.რეიგანი, ჟ. შირაკი, ჯ. ბუში, ბ. ობამა და ბევრი სხვა თავის თავს თვლიდნენ და თვლიან პასუხისმგებლად თავისი ქვეყნების, არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ ეკონომიკური კეთილდღეობაზეც.

დიპლომატიის არსიდან გამომდინარე (საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც უცხო ქვეყნებთან ურთიერთობებში სახელმწიფოს მიზნების შესრულებას ემსახურება. დიპლომატიის, როგორც საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტის მთავარი ფუნქცია მხარეებს შორის საერთო ინტერესების მოძებნა და კონფლიქტური საკითხების გამორკვევაა მათი მშვიდობიანი გადაწყვეტის მიზნით). XXI საუკუნის დასაწყოსში იმ უწყებათა და სახელმწიფოს ხელმძღვანელთა რაოდენობა, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ ქვეყნის საგარეოეკონომიკური საკითხებით საკმაოდ გაიზარდა. რაც განპირობებულია იტეგრაციული ეკონომიკური პროცესების განვითარებით.

მაგალითად, დღეს სრულიად აშკარაა რუსეთის სახელისუფლებო ელიტის მცდელობა გადააქციოს ნავთობით და გაზით ვაჭრობა ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ბაზად ევროკავშირის, აშშ და აზიის ქვეყნებთან ურთიერთობებში. ამიტომ ამ ქვეყანაში განვითარება დაიწყო ენერგეტიკულმა დიპლომატიამ.

ჩინეთმა აირჩია ეკონომიკური დიპლომატია აშშ-თან სავაჭრო-ეკონომიკურ დიალოგში. ამასთან, ჩინეთმა შეძლო მიეღწია ისეთი მდგომარეობისათვის, როცა ქვეყნებს შორის პოლიტიკურმა უთანხმოებამ მეორე პლანზე გადაინაცვლა. უფრო მეტიც, ის რაც ვერ მრავალი წლის განმავლობაში მოახერხა რუსეთმა შეძლო ჩინეთის ეკონომიკუმა დიპლომატიამ. საქმე ეხება ჩინეთისათვის ჯექსონ-ვენიკის შესწორების (ჯექსონ-ვენიკის შესწორება ამერიკაში 1974 წელს კონგრესმენების ჰენრი ჯექსონისა და ჩარლზ ვენიკის ინიციატივით მიიღეს, იგი ამერიკის სოციალისტური ქვეყნებთან ყოველგვარ ვაჭრობას ზღუდავდა) გაუქმებას აშშ-თან ვაჭრობაში. აშშ-ის კონგრესის მცდელობა დაესაჯათ ჩინეთი „ტიანანმენის“ 1976 წლის ცნობილი მოვლენების გამო ჩავარდა. ამის გარდა, ამჟამად, სწორედ სავაჭრო- ეკონომიკური ინტერესები ახდენენ დიდ გავლენას აშშ-ის პოზიციაზე ტაივანთან დამოკიდებულებაში, ხოლო ვიეტნამი ეკონომიკური სარგებელის მიღების ძიებაშია და მზად არის დაივიწყოს აშშ-თან ომი. ეს ქვეყანა აშშ-ში ხედავს მნიშვნელოვან

სტრატეგიულ პარტნიორს. მოყვანილი ფაქტებიდან ჩანს, რომ ქვეყანის მიერ გატარებული საგარეოეკონომიკური პოლიტიკაში მკაფიოდ უნდა იქნას ფორმულირებული სტრატეგია და ტაქტიკა და სწორად იქნას შეფასებული ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები (The New York Times Plain Speaking From Biden in Moscow Speech Published: March 10, 2011).

ამდენად, ეკონომიკური დიპლომატიის მთავარი მიზანია ქვეყნის სტაბილური განვითარების და ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა. რომელიც სრულად ემთხვევა მისი გეოეკონომიკურ სტრატეგიის პრიორიტეტებს, რომელიც ჩემი აზრით, მოცავს:

- *ეროვნული ინტერესების დაცვა მსოფლიო ეკონომიკის არენაზე. ქვეყნის საგარეოეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;*
- *საგარეო ეკონომიკური შოკების თავიდან აცილება ქვეყნის დაბალანსებული ეკონომიკური განვითარების მიზნით. საგარეო ეკონომიკური კავშირების კონფლიქტური განვითარების თავიდან აცილება.*
- *ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება საგარეო ეკონომიკური კავშირების გამოყენებით და სტაბილურობის უზრუნველყოფა შიდა ბაზარზე.*

მსგავსი სტრატეგია შეიძლება გამოიხატოს ქვეყნის მოსახლეობის სურსათითდა მედიკამენტებით უწყვეტ მომარაგებაში; საწარმოთა ნედლეულით და ტექნოლოგიებით უზრუნველყოფაში; ნორმალური, არაკრიმინალური და არააგრესიული კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების ხელის შეწყობაში.

ეკონომიკური დიპლომატიის როლი არ შემოიფარგლება სასწრაფო ზომების მიღებით ქვეყნის ეკონომიკაში ფორს-მაჟორული სიტუაციის აღმოცენების შემთხვევაში. ეკონომიკური დიპლომატიის მთავარ ამოცანას გეოეკონომიკის პოზიციიდან ასევე უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის და მისი ეკონომიკური სუბიექტებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

ამ მოცემულობაში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკის სახელმწიფო და არასახელმწიფოებრივი სექტორების მსოფლიო არენაზე კოორდინაციის ახალი მექანიზმების შექმნა, ეროვნული კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით იქმნება კლასტერები, რომლებიც სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის მამოძრავებელი ძალების გამოსაკვეთად უფრო ფართო სტრუქტურის ნაწილს წარმოადგენენ. ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს კავშირს კორპორაციულ დონეზე ქცევასა და მიკრო და მაკროეკონომიკურ დონეზე სახელმწიფო პოლიტიკას შორის.

მნიშვნელოვანია, რომ ჩავწვდეთ იმ მამოძრავებელ ძალებს, რომლებიც კომპანიის დონეზე გავლენას ახდენენ ფასეულობის შექმნასა და ინოვაციაზე. უნდა განვასხვაოთ ფაქტორების ორი ჯგუფი: პირველი მოიცავს მთლიანად მაკროეკონომიკას, კანონმდებლობას, სოციალურ და პოლიტიკურ გარემოებას. ეს ის სფეროა, რომელშიც ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე თეორია და პრაქტიკა კონსენსუსს აღწევს იმის თაობაზე, თუ რომელი პრაქტიკაა საუკეთესო. ევროპაში დიდი ძალისხმევა დაიხარჯა უფრო სტაბილური მაკროეკონომიკური

პირობების შექმნაში, შესაბამისი სავალუტო (საკრედიტო) და საფინანსოსაბიუჯეტო პოლიტიკისათვის გრძელვადიანი მიზნების დასახვის გზით. თუმცა სტაბილური გარემო მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ევროპისათვის. სხვა ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ეს არ არის საკმარისი. სტაბილური გარემო კომპანიებისათვის ქმნის პროდუქტიულობის, ინოვაციისა და ღირებულების შექმნის შესაძლებლობებს, მაგრამ არა თავად ფასეულობას. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია ფაქტორების მეორე ჯგუფი, რომელსაც ეკონომიკის მიკროეკონომიკური შესაძლებლობა ეწოდება. იგი მოიცავს როგორც კომპანიების დახვეწილობის (პროფესიონალიზმის) ხარისხს კონკურენციის პროცესში, ისე მიკროეკონომიკური ბიზნესის გარემოს.

დროთა განმავლობაში ეფექტურად მოქმედი კლასტერები ხდებიან მსხვილი კაპიტალდაბანდებების და მთავრობის დაძაბული ყურადღების მიზეზი, ანუ კლასტერი გვევლინება რაღაც უფრო დიდ და მნიშვნელოვნად, ვიდრე ცალკეული მისი ნაწილების მარტივი ჯამი. კლასტერის ცენტრად ყველაზე ხშირად გვევლინება რამდენიმე მძლავრი კომპანია, ამასთან, მათ შორის შენარჩუნებულია კონკურეტული ურთიერთობები. ამით კლასტერი განსხვავდება კარტელისგან ან ფინანსური ჯგუფისგან. კონკურენტების, მათი მყიდველებისა და მიმწოდებლების კონცენტრაცია ხელს უწყობს წარმოების ეფექტურ სპეციალიზაციას. ამასთან, კლასტერი აძლევს დასაქმების შესაძლებლობას მრავალრიცხოვან მცირე ფირმებს და პატარა საწარმოებს. გარდა ამისა, ორგანიზაციის კლასტერულ მიდგომას მივყავართ ინოვაციის განსაკუთრებულ ფორმასთან - „ერთობლივ ინოვაციურ პროდუქტთან“.

ვერტიკალური ინტეგრაციის საფუძველზე ორგანიზაციების კლასტერში გაერთიანება თავის მხრივ აყალიბებს სხვადასხვაგვარი სამეცნიერო და ტექნოლოგიური გამოგონებების არა „სპონტანურ“ კონცენტრაციას, არამედ ახალი ცოდნისა და ტექნოლოგიების გავრცელების გარკვეულ სისტემას. ამასთან, გამოგონებების ინოვაციაში გადასვლის, ხოლო ინოვაციების კონკურენტულ უპირატესობაში ეფექტური ტრანსფორმაციის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს კლასტერის ყველა მონაწილეს შორის მდგრადი, დამაკავშირებელი ქსელის ფორმირება.

ამგვარად, თანამშრომლობა სულ უფრო აუცილებელი ხდება, მაგრამ ის თავის თავში ატარებს გარკვეულ საფრთხეს-დამოუკიდებლობის დაკარგვის შესაძლებლობას (ბაზარზე სათანადოდ მოქცევის, ახალი ტექნოლოგიებისა და ა.შ. ათვისება). აი ამიტომ გახდა რიგ ქვეყნებში ასეთი მნიშვნელოვანი უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ეფექტური „კლასტერული სტრატეგიები“, რომლებიც დაშენებულნი არიან საქმიანი აქტივობის ცენტრებზე და წარმოაჩენენ საკუთარ ძალასა და კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე.

ბევრი ქვეყნის მთავრობები ძალისხმევას არ იშურებენ არსებული კლასტერების მხარდაჭერისთვის და ახალ კომპანიათა ქსელის შექმნისთვის, რომლებიც ადრე ერთმანეთთან არ თანამშრომლობდნენ. ამ დროს, სახელმწიფო არა მარტო ხელს უწყობს კლასტერების ფორმირებას, არამედ თვითონაც ხდება ამ ქსელის მონაწილე. კლასტერული სტრატეგიები ფართოდ გამოიყენება ყველა განვითარებულ ქვეყანაში.

დიდ ბრიტანეთში მთავრობამ ედინბურგის, ოქსფორდის და სამხრეთ-აღმოსავლეთ ინგლისის გარშემო განსაზღვრა რაიონები, როგორც ბიოტექნოლოგიური ფირმების ძირითადი განთავსების რეგიონები. ნორვეგიაში მთავრობა სტიმულს აძლევს „საზღვაო მეურნეობის“ კლასტერში ფირმებს შორის თანამშრომლობას. ფინეთში განვითარებულია „სატყეო მეურნეობის“ კლასტერი, სადაც შედის ხის მერქნის დამზადება და ხე-ტყის პროდუქტების, ქაღალდის, ავეჯის, პოლიგრაფიული და მასთან დაკავშირებული მოწყობილობების წარმოება. მოცემული კლასტერის კომპანიათა მიერ ცოდნის გავრცელებაში მჭიდრო თანამშრომლობა მათთვის უზრუნველყოფს კონკურენტულ უპირატესობას ძირითად სავაჭრო მეტოქეებთან. ექსპერტების შეფასებით, ფინეთი ითვლება ლიდერად როგორც სამეცნირო კვლევითი ააქტივობით, ისე ტექნოლოგიური თანამშრომლობის დონით (ამას მოწმობს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მონაცემებიც).

ევროპის უმეტესმა ქვეყნებმა თავიანთთვის შეიმუშავეს კონკრეტული კლასტერული სტრატეგიები. ქვეყნები და რეგიონები, რომლებიც ყველაზე აშკარა ფორმით ახორციელებენ ასეთ სტრატეგიას არიან დანია, ფინეთი, ნიდერლანდები, ფლამანდიის რაიონი ბელგიაში, კვებეკის პროვინცია კანადაში, ასევე სამხრეთ აფრიკა (ახალი მმართველობის პირობებში). საფრანგეთი და იტალია შეიძლება გამოდგეს იმ ქვეყნების მაგალითად, სადაც ოდითგანვე გამოიყენება თავისებური კლასტერული სტრატეგია, თუმცა სხვა სახელწოდებით -„საწარმოო რაიონები“. (ივანიაშვილი:2008)

ამჟამად, იშვიათია ეკონომიკური პრობლემების განხილვის გარეშე ჩაიაროს სახელმწიფოთა ლიდერების შეხვედრებმა. საკითხთა სპექტრი, რომელიც ამ შეხვედრებზე განიხილება საკმაოდ ფართოა: დაწყებული სავაჭრო ბლოკების შექმნით და დამთავრებული ერთობლი პროექტების რეალიზაციით. ფაქტიურად საქმე ეხება ყველა გეოეკონომიკურ ინსტრუმენტს. სახელმწიფოების მიერ მიღებული ერთობლივი გადაწყვეტილებები უფრო ხშირად მიმართული იმ პრობლემების დარეგულირებისაკენ რომელიც წარმოიშობა კონკრეტული ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთობების პროცესში. თუმცა, პრაქტიკაში არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა დე ფაქტოდ განსახილველი საკითხები მოწოდებულია ეკონომიკური გავლენა მოახდინოს იმ ქვეყნების პოზიციაზე, რომლებიც არ მონაწილეობენ მოლაპარაკებებში.

აღნიშნულის კარგი მაგალითია დიდი რვიანის (ახალა უკვე შვიდიანის) შეხვედრები. ამ შეხვედრებზე მიღებული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები გლობალური ხასიათისაა. ასე მაგალითად, 2007 წელს გერმანიაში გამართული G8 დასკვნითი დეკლარაციის ერთი ნაწილი მთლიანად ეძღვნება საინვისტიციო კლიმატის ლიბერალიზაციის საკითხებს.

აი რას ვკითხულობთ აღნიშნულ დეკლარაციაში: ჩვენ ვაღიარებთ, რომ პირდაპირი უცხოური ინვისტიციების ზრდა წარმოადგენს იმ ძირითად ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკაზე. შესაბამისი საინვისტიციო კლიმატის არსებობა

სერიოზულად უწყობს ხელს ეკონომიკის ზრდას და სოციალურ განვითარებას (G8 Summit Declaration,2007).

ამერიკის მთავრობამ არაერთხელ გამოიყენა თავისი პოლიტიკური ბერკეტები და სამხედრო დახმარება გაუწია რიგ განვითარებად ქვეყნებს (მაგალითად, დომინიკის რესპუბლიკა, სალვადორი, ფილიპინები, ჩილე და ა.შ.), იმისათვის რომ გაეკონტროლებინა ამ ქვეყნებიდან მომავალი იმიგრაციული დინებები, რაც სულაც არ მოწმობს იმას, რომ ამერიკის სახელმწიფო მანქანა სუსტია.

რეალურად, გლობალური განვითარებისა და ეროვნული პოლიტიკის კავშირის სურათი გაცილებით რთულია. მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ეროვნული სახელმწიფოს გაძლიერება ერთ სფეროში, ხშირად იწვევს მის შესუსტებას მეორეში. 1980-იანი წლების დასაწყისში აშშ ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ხარჯავდა 3 მილიარდ დოლარს, ამერიკულ შაქარზე ფასების შენარჩუნების მიზნით, რათა შეესუსტებინა კონკურენცია კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების მხრიდან. საბოლოო ჯამში 1982-1988 წწ. კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში დაიხურა 400 ათასი სამუშაო ადგილი, ხოლო შედარებით იაფმა მუშახელმა კი ამერიკაში გადაინაცვლა.

9.2 მიგრაციული პოლიტიკა და დიასპორული კაპიტალი

ასევე შეიძლება განვიხილოთ როგორც გეოეკონომიკის ინსტრუმენტი და აი რატომ: ცნობილია, რომ გეოეკონომიკური პროგრესი მდგომარეობს არა იმდენად არსებული რესურსების განაწილებაში, რამდენადაც იმ რესურსების მობილიზაციაში რომლებიც არ ჩანს, გაფანტულია ან ცუდად არის გამოყენებული. ამჟამად დიასპორების ხელში კონცენტრირებულია ფინანსური წყაროების კოლოსალური მოცულობა. უახლეს ისტორიაში არის იმ გეოეკონომიკური ცვლილებების მრავალი მაგალითი, რომლებიც მოხდა ბევრ ქვეყანაში დიასპორათა უშუალო მონაწილეობით. დიასპორის როლი უმნიშვნელოვანესი სეგმენტი იყო აღმოსავლეთ აზიის განვითარებაში. როგორც ზევით ავღნიშნეთ, უცხოეთში მცხოვრები ჩინელები უკვე მრავალი ათეული წლის განმავლობაში მონაწილეობენ სამხრეთ ჩინეთის ინფრასტრუქტურის მშენებლობაში. იგივე შეიძლება ითქვას ვიეტნამელ ჩინელებზე, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის განვითარებაში. ამ უკანასნელთა ინვესტიციები მნიშვნელოვნად აღემატება რემიტანსებს (საუბარია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე), თუმცა რემიტანსებსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების ცნებებს შორის მნიშვნელოვან განსხვავებას პრაქტიკულად ვერ ვხედავთ. დიასპორათა როლი გაცილებით მეტია, ვიდრე მხოლოდ ფინანსური ინვესტიცია.

„აღმოსავლეთ აზიაში ამჟამად იკვეთება უცხოური დიასპორის წარმომადგენელთა სამშობლოში მასობრივი დაბრუნების ტენდენცია. თუ ვისაუბრებთ მაღალკვალიფიციურ ადამიანებზე, ჩინეთის ტაივანის ოლქში 1960-იან წლებში მათი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი ბრუნდებოდა (15%), თუმცა 1970-იან წწ. იგი მნიშვნელვნად გაიზარდა. დღეს

ტაივანი, ისევე როგორც სამხრეთ კორეა, ჩინეთი და სხვა სწრაფად განვითარებადი ქვეყნები პრაქტიკულად გადაიქცნენ მაღალკვალიფიციური კადრების გამოყენების ცენტრებად. დასავლეთში განათლებამიღებული სტუდენტები კი უმნიშვნელოვანეს სეგმენტ წარმოადგენს აზიის გეოეკონომიკურ სისტემაში. თუ თვალს გადავავლებთ პარლამენტართა შემადგენლობას აზიის სწრაფად განვითარებად ქვეყნებში (რომელთაც „აზიის ვეფხვების“ სახელითაც მოიხსენიებენ) ნათელი გახდება, რომ მათ უმეტესობას განათლება მიღებული აქვთ დასავლეთში. ტრანსმიგრანტთა დაბრუნება და პოლიტიკური სისტემების დემოკრატიზაცია, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული (Skeidon:1997).

გეოეკონომიკაში ტერმინი „დიასპორისეული კაპიტალი“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იმკვიდრებს. სახელმწიფოების დონეზე სტიმული ეძლევა იმ დიასპორების, მიგრანტების სამეწარმეო საქმიანობას, რომლებიც მუშაობენ (ზოგი დროებით) საზღვარგარეთ და მათაც ვინც დაბრუნდა სამშობლოში და სურვილი აქვს წამოიწყოს ბიზნეს საქმიანობა. მაგალითად, საწარმოთა განვითარებისათვის ფულადი გზავნილების ფონდისა „Dekassegui Fund“ და „Banco Sudameris de Investimento“-ს ერთობლივი პროექტით ხორციელდება რეგულარულად მიმდინარე ფულადი გზავნილების ნაწილის საწარმოო მიზნით გამოყენების მექანიზმის შექმნა. პაკისტანში რაღაცა დროის მონაკვეთში მოქმედებდა საინვესტიციო სქემა „Non-Repatriable investiment Scheme“, რომელშიც ჩადებული იყო საბანკო შეღავათები იმ მოწყობილობებზე, რომელიც შემოჰქონდათ ქვეყანაში ახალი წარმოებისათვის, საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ შრი-ლანკა (ცეილონი) იყო აზიაში პირველი ქვეყანა, რომელმაც ჯერ კიდევ 1982 წლიდან დაიწყო მსგავსი პროგრამების რეალიზაცია. შრი-ლანკის პროგრამა ტარდებოდა ქვეყნის შრომის სამინისტროსა და შრი-ლანკის სავაჭრო ბანკის ერთობლივი თანამშრომლობით და მიიღო სახელწოდება - პროგრამა MT და TB . შრი-ლანკის ეს გამოცდილება კი შემდგომ სხვა ქვეყნებმაც გამოიყენეს. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია რიგი ფორმალური მექანიზმები, რომელთა მეშვეობითაც ბიზნეს-დიასპორები ერთვებიან ვაჭრობის ხელშეწყობის და ინვესტიციების მოზიდვის საქმეში. ეს უპირველეს ყოვლისა არის: ა) დიასპორათა საქმიანი ქსელები, ისეთები როგორიცაა სამხრეთ აფრიკული დიასპორის ქსელი (SADN); ლივანის საქმიანი ქსელი (LBN) და ინდოეთის სილიკონის ველის პროფესიონალური ასოციაცია (SIPA); ბ) სავაჭრო პალატები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან დიასპორებზე, ისეთები როგორიცაა ინდოეთის სავაჭრო-სამეცნიერო პალატის ფედერაცია (FICCI) და კარიბის ამერიკული სავაჭრო-სამეცნიერო პალატა (CACCI) პალატათა უმეტესობას უფლებამოსილება გააჩნია რათა განავითარონ კომერციული კავშირები (ვაჭრობა და ინვესტიციები) ორ, ზოგ შემთხვევაში კი ორზე მეტ ქვეყანასთან; გ) სამთავრობო სააგენტოები, რომლებიც ხელს უწყობენ დიასპორათა ინვესტიციების ჩადებას ქვეყნის განვითარებაში. ასეთი მსხვილი სააგენტოების რიგში შედის ინდოეთის საინვესტიციო ცენტრი (HG) და სომხეთის განვითარების სააგენტო (ADA). (კვინიკაძე:2009)

მნიშვნელოვანი აქტივია უცხოეთში მცხოვრები პროფესიონალების ცოდნა, კვალიფიკაცია, გამოცდილება და უნარ-ჩვევები. ის ფორმალური მექანიზმები, რომელებიც ხელს უწყობენ ცოდნის უკუ შემოდინებას, რაც იწვევს `ელექტრონული დიასპორის~ მობილიზაციას და ცოდნის უშუალოდ გადაცემას.

ინტერნეტზე დაფუძნებული პროფესიონალური ქსელები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იდეათა გავრცელებასა და კონტაქტების შექმნაში. ამ ქსელებში ურთიერთქმედებათა უმეტესი ნაწილი ხორციელდება პროფესიონალების მიერ. ვირტუალური გადაცემის მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს დისტანციური სწავლება, განხორციელდეს განვითარების პროექტებში მონაწილეობა, კვალიფიკაციის შეძენა და ცოდნის ამაღლება იმ ხალხისათვის, რომლებიც ცხოვრობენ და მოღვაწეობენ დონორ ქვეყნებში.

ელექტრონული პარტნიორი DP კი წარმოადგენს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციას (ეს ორგანიზაცია განთავსებულია სიეტლში), რომელიც აერთიანებს განვითარების წამყვან ინტელექტუალებსა და სპეციალისტებს, ასევე მეწარმეებს და მათ კოლეგებს, ვირტუალურ ორგანიზაციებში. მრავალი დიასპორა ფლობს მნიშვნელოვან კვალიფიკაციებს და ხელი მიუწვდებათ იმ მნიშვნელოვან ადამიანურ და მატერიალურ რესურსებზე, რომელთაც შეუძლიათ არსებითად შეუწყონ ხელი ინფორმაციულ-ტექნოლოგიური კომუნიკაციების განვითარებას. თუმცა ამ რესურსების გამოყენების ბერკეტები გარკვეულად შეზღუდულია. მუშაობს რა კერძო სექტორის საწარმოებთან, მათ დონორებთან და გაეროსთანაც კი DP-ი მონაწილეობს ელექტრონული დიასპორული ქსელის განვითარებაში ინდოეთში, აფრიკაში და ბოლო წლებში უკვე ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნებში.

ზოგიერთი გეოეკონომიკური პერიფერიის ქვეყანა ცდილობს სამშობლოში დააბრუნოს უცხოეთში მცხოვრები სპეციალისტები, რითაც თანდათან ყალიბდება ეროვნული სპეციალისტების დაბრუნების ორგანიზაციის სისტემა. ვფიქრობთ, მომავალში აღნიშნული საკითხის აქტუალობა გეოეკონომიკური პერიფერიის მთელი მასშტაბით გაიზრდება, ვინაიდან მათი გადინება გეოეკონომიკური ნახევარპერიფერიისა და ბირთვის ქვეყნებში კიდევ უფრო გააღრმავებს სიღატაკის პრობლემას და ნამდვილად შეაფერხებს ეკონომიკურ განვითარებას იმიგრანტთა სამშობლოში, ხოლო დაბრუნების პროექტების რეალიზაციის პირობებში კი თვით დიასპორათა ინვესტიციები და მათი კვალიფიკაციები გამოვლენ კონკურენტების როლში ფინანსური და კვალიფიციური შრომის ბაზრებზე.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ პროფესიონალთა ცირკულაცია არანაკლებ როლს ასრულებს, ვიდრე მათი ქვეყანაში მუდმივ საცხოვრებლად დაბრუნება. ასეთი ცირკულაცია ხორციელდება არა მარტო სახელმწიფოების უშუალო მონაწილეობით და პირადი ინიციატივით, არამედ იგი ასევე შეიძლება განხორციელდეს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით როგორიცაა გაერო, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (მსო) ან/და ამ ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროგრამების ჩარჩოებში (მაგ.TOKTEN და MIDA).

TOKTEN–ი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროგრამაა. ამ პროგრამით კვალიფიციური პროფესიონალი ემიგრანტები (რომელთაც გააჩნიათ როგორც მინიმუმ მაგისტრის ხარისხი და პროფესიული გამოცდილება) ბრუნდებიან საკუთარ სამშობლოში გარკვეული დროით რათა თანამემამულეებს გაუზიარონ ცოდნა და ხელი შეუწყონ მათი კვალიფიკაციის ამაღლებას. MIDA-ა წარმოედგენს მიგრაციის სუსტად განვითარებული ქვეყნების განვითარებისათვის (მსგქგ) პროგრამის ნაწილია, რომლის მიზანია გააუმჯობესოს შრომითი რეზერვები სუსტადგანვითარებულ ქვეყნებში. მათზე ნოუ-ჰაუსა იმ პროფესიონალთა გამოცდილების გადაცემის გზით, რომლებიც ცხოვრობენ უცხოეთში. ეს პროგრამა წარმოედგენს მონაცემთა პერმანენტულად განვითარებად ბანკს, რომელიც განსაზღვრავს შრომით რეზერვებზე პრიორიტეტულ მოთხოვნილებებს აფრიკის ქვეყნებში და იმ ცოდნას რომელიც გააჩნიათ დიასპორებს. (კვინიკაძე:2009

9.3 შეიარაღებული ძალები

როგორც უკვე ვიცით, გეოეკონომიკური სივრცე ცვლის დამოკიდებულებას სამხედრო ძალასა და ეკონომიკურ ძლიერებას შორის. თუ ბიპოლარულ მსოფლიოში ეკონომიკა ემსახურებოდა შეიარაღებულ ძალებს, ამჟამად, მდგომარეობა საპირისპიროდ არის შეცვლილი. შეიარაღებული ძალები უკვე არსებობს არა იმისათვის, რომ განახორციელონ ტერიტორიების ოკუპაცია სამხედრო ძალის გამოყენებით, არამედ სამხედრო ძალა საჭიროა იმისათვის, რომ შეამცირონ ის პოლიტიკური რისკები, რომელიც დაკავშირებულია ინვისტიციებთან და სავაჭრო ურთიერთობებთან. მსოფლიოში გამოჩნდნენ მსხვილი მოთამაშეები, რომლებიც უდიდეს გეოპოლიტიკურ გავლენას ახდენენ გეოეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებით (მათ შორის ავღნიშნავ აშშ,გერმანია, იაპონია). თუმცა, ომი და გეოეკონომიკური დაპირისპირება ეს სხვადასხვა რამ არის.

სახელმწიფოების მიერ საკუთარი შეიარაღებული ძალების მშენებლობა სამხედრო სტრატეგიული ბალანსის შენარცუნება და მით უმეტეს საბრძოლო მოქმედებების წარმოება თავის ტავში აერტიანებს საკითხთა ფართო სპექტრს. უმრავლეს შემთხვევაში მსგავს მოქმედებებს გეოეკონომიკური ასპექტი გააჩნიათ.

სახელმწიფოები და ბლოკები ერთმანეთთან მუდმივ კონკურენციაში იმყოფებიან. მათი ბრძოლა ნებისმიერ სფეროში (იდეოლოგიური, ეკონომიკური და ა.შ.) კონფლიქტის აღმოცენებისას აუცილებლად გადაგის სხვა სფეროებზეც. მათ შორის კონფლიქტებს, რომელსაც თავდაპირველად ეკონომიკური საფუძველი აქვს მართივად შეიძლება გადაიზარდოს სამხედრო კონფლიქტში. საკმარისია გავიხსენოთ თუ მსგავსი სცენარით რამდენი ომი ყოფილა კაცობრიობის ისტორიაში, რომლებიც მიმდინარეობდნენ სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად.

ამდენად, სამხედრო ძალა როგორც ჩანს, არა მხოლოდ გეოეკონომიკის ინსტრუმენტია, არამედ მისი გამოყენება მოიცავს ისეთ ასპექტებს, რომელიც

დაკავშირებულია სახელმწიფოს ბრძოლასთან საკუთარი ეკონომიკური გავლენის გაფართოებისათვის. ეს მოცემულობა კი მოითხოვს დეტალურ ანალიზსს, თუნდაც იმიტომ, რომ საქმე ეხება გლობალურ უსაფრთხოებას, რომელიც უკავშირდება მილიონობით ადამიანის არა მხოლოდ ინტერესებს, არამედ მათ სიცოცხლეს.

9.4 სპეცსამსახურები

განვითარებული ქვეყნების სპეციალური სამსახურები ფლობენ უნიკალურ შესაძლებლობას, გადაწყვიტონ ამოცანათა ფართო სპექტრი. ცალკეული ქვეყნების კონკრეტული კორპორაციების და საწარმოების ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ პოტენციალზე მონაცემთა შეგროვება კომერციულ მიზანს ემსახურება. ამ შემთხვევაში არსებობს კონკურენტული უპირატესობის მოპოვების დიდი შანსი. (European Parliament, Session :2001).

ამჟამად დაზვერვის სამყარო ღრმა ცვლილებებს განიცდის, რომელიც დაკავშირებულია რიგ უაღრესად მნიშვნელოვან და დროში თანმთხვევ პროცესებთნ. მათ შორის შეიძლება აღვნიშნოთ: 1) აღმოსავლეთ ევროპის კომუნიზმის დასასრული;

2) ეკონომიკის გლობალიზაცია (კაპიტალის, საქონლის, ადამიანების მოძრაობის დიდი თავისუფლება); 3) ინფორმაციული აფეთქება, რომელიც დაკავშირებულია ინფორმატიკისა და კომუნიკაციების განვითარებასთან; 4) სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ცნების, დეგრადაცია, რომელიც განპირობებულია ისეთი მრავალრიცხოვანი სუბიექტების საქმიანობით, როგორიცაა საერთაშორისო ორგანიზაციები, მსხვილი საწარმოები, არასამთავრობო ორგანიზაციები, მძლავრი ინფორ¬მაციული ქსელი, ტრანსნაციონალური ორგანიზაციები (მათ შორის რელიგიური), ბანკები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები, ასევე ეთნო, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები.

ინფორმაციული სამსახურები ეჯახება ინფორმაციის მოცულობის ზრდას თითქმის ყველა სფეროში. თუმცა იმისაგან განსხვავებით, რაც იყო წარსულში, დღეს დაზვერვით დაკავებულია სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობის კერძო სააგენტოები. ეს განსაკუთრებით ეხება ეკონომიკურ ჯაშუშობასა და კონტრჯაშუშობას. საჭირო ინფორმაციის მისაღებად აღნიშნული სტრუქტურები იყენებენ ისეთ მეთოდებსა და ხერხებს, რომელიც სხვადასხვა სამსახურების ტრადიციული მეთოდებისა და ხერხების თითქმის მსგავსია. აღნიშნულ კონტექსტში სრულად ეწერება დისკუსია ინფორმაციული სამსახურების მომავალზე.

დაზვერვის განახლების აუცილებლობა საყოველთაოდ არის აღიარებული. საქმე მხოლოდ იმაშია, თუ როგორ შეიძლება მოიძებნოს ამ განახლების შესაბამისი მეთოდიკა. ზოგიერთი თვლის, რომ დღევანდელი მდგომარეობით, მსოფლიო სახელმწიფოთა იერარქია მათი განვითარების დონეებისა და ძლიერების მიხედვით, დიდად იქნება დამოკიდებული სხვადასხვა ქვეყნის დაზვერვის სტრუქტურების ეფექტურობის ხარისხზე.

ეკონომიკაში დაზვერვის ტრადიციული მიდგომა, ძირითადში ძალიან შორსაა გეოეკონომიკური კონკურენციის ლოგიკისაგან. ეს მიდგომა ტრადიციულად მხოლოდ თავდაცვითია და დაიყვანება რა მხოლოდ ჯაშუშობასა და კონტრჯაშუშობაზე, იგი ამით ეწინააღმდეგება საერთაშორისო კანონმდებლობას. ამასთან მრეწველობაში ძირითადი ყურადღება ექცევა ისეთი ტექნოლოგიების გადაცემას, რომელთაც შეიძლება გავლენა მოახდინონ შეიარაღების სისტემაზე. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მთავარი ინტერესი მიმართულია თავდაცვით მრეწველობაზე. ამასთან ყურადღება მახვილდება სამხედრო დარგების საგარეო დამოკიდებულების ხარისხზე.

იმ ცვლილებებმა, რომელზედაც ზემოთ ვსაუბრობდით, უკვე უბიძგეს მრავალი ქვეყნის დაზვერვის სამსახურებს საკუთარი ამოცანებისა და საქმიანობის მიმართულების გადახედვისაკენ, რაც იმაში გამოიხატება, რომ ამჟამად ძირითადი აქცენტი გადატანილია ტექნოლოგიების სფეროსაკენ, ასევე ტექნოლოგიური საკითხების, ეროვნული სავაჭრო_ეკონომიკური ან შესაბამისი დაჯგუფებების ინტერესების დაცვაზე.

ამდენად, გეოეკონომიკური დაზვერვის საქმიანობა ეკონომიკურ-ინდუსტრიულ სფეროში ძლიერდება. იგი უკვე აღარ შემოიფარგლება მხოლოდ სამხედ¬რო-სამრეწველო კონტრჯაშუშობით, თუმცა ეს უკანა¬სკნელი ინარჩუნებს თავის ადრინდელ მნიშვნელობას. დაზვერვის საქმიანობის სპექტრი მნიშვნელოვნად გაფართოვდა, რომლის მთავარი ამოცანა ხდება ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვა. სამეცნიერო ლიტერატურაში ამჟამად გამოყოფილია გეოეკონომიკური დაზვერვითი საქმიანობის შემდეგი სახეები (იხ.ნახ.).

როგორც ნახაზიდან ჩანს გეოეკონომიკური დაზვერვის პირველი ბლოკი ითვალისწინებს ისეთი პროცესებისადმი წინააღმდეგობის გაწევას როგორიცაა არაკანონიერი კონკურენცია, არალეგალური კომერციული ოპერაციები, სტრატეგიული საშიშროების მტრული შენაძენები და დეზინფორმაცია. ეს არის პროცესები რომლებიც სერიოზულ ზიანს აყენებენ ეროვნული ეკონომიკის საწარმოებს და ანგრევენ ეროვნული ეკონომიკური სუვერენიტეტის საფუძვლებს, მეორე ბლოკი ეს არის გეოეკონომიკური მონიტორინგი. რომელიც ახორციელებს კონტროლს უცხო სახელმწიფოს იმ ტექნოლოგიურ მიღწევებზე, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედონ ეროვნული ეკონომიკების ცალკეული დარგების კონკურენტუნარიანობაზე. ამ ბლოკში ასევე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ფინანსური ბაზების კონტროლი, იმ მიზნით, რომ შესაძლებელი გახდეს იმ სპეკულაციური სიტუაციის ან სიტუაციების პროგნოზი, რომელთაც შეუძლით ეროვნულ ეკონომიკაში დესტაბილიზაციის გამოწვევა. მესამე ბლოკი მოიცავს დაკვირვებას ბაზრების შერწყმის პროცესზე, მსხვილი მულტინაციონალური კომპანიების საქმიანობაზე, ენერგიისა და სტრატეგიული ნედლეულის წყაროებზე, მომარაგებაში მათი მოსალოდნელი შეწყვეტის თავიდან აცილების მიზნით.

თუმცა, ვფიქრობთ გეოეკონომიკური დაზვერვა გაცილებით ფართო ცნებაა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც ინფორმაციული ქსელების ისეთი სისტემა, როდესაც სისტემას გააჩნია ეკონომიკური სუბიექტებისათვის სასარგებლო ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და გავრცელების უნარი.



გეოეკონომიკური დაზვერვის ასეთი განმარტება გულისხმობს დაზვერვის არა მხოლოდ ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილებას (რომელიც ვიწრო გაგებას გულისხმობს), არამედ გაცილებით მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომელიც ეხება სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებს, ასევე კერძო ეკონომიკური სუბიექტების მხრიდან ინფორმაციისადმი დამოკიდებულების კულტურას.

ინფორმაციულ_სტრატეგიული ინჟინერია გეოეკონო-მიკური დაზვერვის ერთ_ერთი მიმართულებაა და წარმოადგენს მრავალი ქვესისტემის ერთობლიობას, რომლებიც თავის მხრივ ქმნიან გეოეკონომიკური დაზვერვის სისტემას, რომლის ერთ_ერთ მიზანს წარმოადგენს კონკურენტების საქმიანობის ყველა არსებული ინფორმაციის საფუძველზე განისაზღვროს მათი კონკრეტული განზრახვები ან მათი მომავალი ქმედებების ორიენტირები. ამ სისტემის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეთანხმებულია მისი შემადგენელი ქვესისტემების მოქმედება. იზოლირებული ქვესისტემა ძნელად თუ მიაღწევს ეფექტურობის მაღალ დონეს.

დაზვერვის აღნიშნული სისტემის ერთ_ერთ მიზანი, ყველა არსებული ინფორმაციის საფუძველზე, არის ზუსტად განისაზღვროს გეოეკონომიკური კონკურენტების განზრახვა და მათი მომავალი ქმედებები. მაგალითად, ფარმაცევტული მრეწველობის სფეროში, სადაც კვლევისა და ექსპერიმენტების ფაზამ შეიძლება გასტანოს 15 წლამდე, წინასწარი ინფორმაცია მსხვილი ფარმაცევტული კომპანიების შესახებ საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად დაიზოგოს რესურსული დანახარჯები და გაუმჯობესდეს ეროვნული საწარმოს სიცოცხლისუნარიანობის პერსპექტივა.

ერთ-ერთი პირველ სიძნელეს, რომელიც წარმოიქმნება გეოეკონომიკური დაზვერვის საქმიანობის პროცესში, ტრადიციული დაზვერვის საქმიანობასთან შედარებით, წარმოადგენს გამიჯვნა მეგობრებად და მტრებად, მიზნის არჩევა და მკვეთრად გამოხატული მიზანდასახულობა. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საფრთხე შეიძლება მიმდინარეობდეს არა მხოლოდ პოლიტიკურად მეგობრული ქვეყნებიდან, არამედ საწარმოთა ცალკეული ჯგუფებიდანაც. ამ შემთხვევაში კარგად იკვეთება ის კავშირი, რომელიც არსებობს ეროვნულ ეკონომიკურ პროექტებსა და გარკვეულ პოლიტიკურ ამოცანებს შორის.

წამყვან სახელმწიფოებში ორი ცნება -"პოლიტიკური მეგობარი" და გეოეკონომიკური "მოწინააღმდეგე-შეთანაწყობა", დაზვერვით საქმიანობას კიდევ უფრო დელიკატურს ხდის. ტრადიციულ საქმიანობასთან შედარებით ინფორმაციის ფარულად მოპოვება, მისი გამჟღავნების პირობებში რასაკვირველია აუარესებს პოლიტიკურ ურთიერთობებს. ტრადიციულ დაზვერვასთან შედარებით გეოეკონომიკურმა დაზვერვამ დეტალურად უნდა გაანალიზოს ოპერაციის ჩატარება. კერძოდ, თუ როგორი თანაფარდობა იქნება იმ დანახარჯებს შორის, რომელიც ჭირდება ოპერაციის ჩატარებასა და მისგან მოტანილ სარგებელს. მეორეს მხრივ, კარგად არის ცნობილი, რომ საქმიან მსოფლიოში ინფორმაციის მოპოვება არაა აუცილებელი ხდებოდეს არაკანონიერი გზით. პირიქით, ინფორმაციის უდიდესი ნაწილი შეიძლება მიღებული იქნას ღია წყაროებიდან. სტრატეგიული საწარმოების შერწყმის პროცესი საშუალებას იძლევა უცხო ტექნოლოგიისა და სხვა სასარგებლო კომერციული ინფორმაციის მოპოვების. ამ კონტექსტში დიდი მნიშვნელობა გააჩნია პრივატიზაციის ფენომენს, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა ბევრ ქვეყანაში.

ინფორმაციის მოპოვებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მისი გამოყენების, ორგანიზაციისა და დამუშავების საკითხები. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დღეს ძალიან დიდი ეკონომიკური ხასიათის ინფორმაციაა დაგროვილი, გეოეკონომიკური დაზვერვა მიმართული უნდა იყოს არა იმდენად ტექნოლოგიებზე (ანუ ინფორმაციის მოპოვების მეთოდებზე), რამდენადაც ადამიანურ კაპიტალზე, რომელიც საშუალებას იძლევა გამოიყენოს სასარგებლო ინფორმაცია და მოუნახოს მას სწორი გამოყენების გზები. დისკუსია ***techint – humint,*** *რომელიც უკვე მიმდინარეობს ტრადიციულ დაზვერვასთან მიმართებაში, აჩვენებს, რომ გეოეკონომიკურ დაზვერვას სჭირდება ეკონომიკის დარგის სპეციალისტები და ეკონომ-გეოგრაფები. გეოეკონომიკური დაზვერვის გამჭვირვალობა სამრეწველო-აკადემიურ სამყაროსთან მიმართებაში ხელს უწყობს დაზვერვის მომხმარებელთან უკეთეს ურთიერთობას. მომატებული საშიშროება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის დიდი დაცილება, რომელიც დაზვერვის სამსახურებსა და მეწარმეთა სამყაროს შორის არსებობს, იწვევს საწარმოთა ძირითადი საჭიროებებისადმი გაუგებრობას. დაზვერვის ეფექტურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილია მისი კავშირი და ურთიერთობა ინფორმაციის მომხმარებელთან და რამდენად აქტიურია სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების ურთიერთქმედება. ასეა თუ ისე, გეოეკონომიკური დაზვერვის საქმიანობა არ უნდა აღვიქვათ როგორც უბრალო პასუხი იმ მოთხოვნაზე, რომელსაც აყენებენ*

მომხმარებლები. მისი განსაკუთრებული ბუნება და მის წინაშე მდგარი ამოცანა (თავიდან აიცილოს საწარმოო სისტემის საფრთხე), გულისხმობს სწრაფი ოპერატიული მოქმედებების შესაძლებლობას, რისთვისაც გეოეკონომიკურმა დაზვერვამ უნდა გაითვალისწინოს ქვეყნის სამრეწველო სტრუქტურების მოთხოვნები.

გაცილებით რთულია გეოეკონომიკური დაზვერვა, როცა საქმე ეხება ინფორმაციის სახელმწიფოებრივ მოხმარებას, რომლის დროსაც ხდება რიგი ბარიერებისა და წინააღმდეგობების გადალახვის აუცილებლობა. გეოეკონომიკური დაზვერვისათვის ასეთი წინააღმდეგობები მით უმეტეს დამღუპველია იმიტომ, რომ დაზვერვა ეფუძნება ინფორმაციულ ურთიერთქმედებასა და ინფორმაციის მუდმივ გაცვლას. მსოფლიოს ყველაზე მოწინავე დაზვერვის სისტემებმა უკვე სცადეს ამ პრობლემის გადაჭრა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა იაპონიის ***Cabinet Information and Research office (CIRO)*** *გამოცდილება. ამ ქვეყნის გეოეკონომიკური დაზვერვის შეზღუდული შტატი ინფორმაციით ამარაგებს პრემიერ_ მინისტრსა და იმ მინისტრებს, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ეროვნულ უსაფრთხოებაზე. ამ ინსტიტუტის დირექტორი ინიშნება ეროვნული პოლიციიდან, დირექტორის მოადგილე კი-საგარეო საქმეთა სამინისტროდან. ამის გარდა ამ ინსტიტუტის შემადგენლობაში შედიან სხვა უწყებათა წარმომადგენლებიც.*

როგორც წესი განვითარებული ქვეყნების გეოეკონომიკური კონკურენციის ინსტიტუციონალური ორგანიზაცია სულ უფრო სრულყოფილი ხდება, რასაც პერმანენტული ხასიათი გააჩნია და გამოხატავს საწარმოო აპარატის ძირითად ცვლილებებს.

მრავალი ქვეყნის ადმინისტრაციების ნაკლოვანებები, რაც უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება სხვადასხვა კომპეტენციის სფეროების კოორდინაციაში, ძირითადად აღმოფხვრილია. გერმანიასა და იაპონიაში არსებობს ერთიანი სამინისტრო, რომელსაც გააჩნია კომპეტენცია, გადაწყვეტილება მიიღოს როგორც სამრეწველო, ასევე საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში. გერმანიაში არსებობს ეკონომიკის ფედერალური სამინისტრო, რომელიც განაგებს ყველა ეკონომიკურ საკითხის, (ფინანსურის გარდა) საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ჩათვლით.

იაპონიაში ფუნქციონირებს საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, რომელიც აყალიბებს ეროვნულ სავაჭრო_სამრეწველო პოლიტიკას.

საფრანგეთში არსებობს საგარეო ვაჭრობის სამინისტრო, ხოლო ეკონომიკისა და ფინანსების სამინისტროს ჩარჩოებში მოქმედებს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამმართველო ***(Direction des Reiations Economiques Exterieures),*** *რომლის ამოცანაა საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დამუშავება და განვითარების მიმართულებების განსაზღვრა, ასევე თითოეული სამინისტროს მიერ გატარებული მოქმედების კოორდინაცია.*

დიდ ბრიტანეთში ამ რამდენიმე წლის უკან მოხდა მრეწველობის დეპარტამენტისა ***(Departament of Industry)*** *და ვაჭრობის დეპარტამენტის* ***(Departament of Trade)*** *შერწყმა.*

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გეოეკონომიკური პოლიტიკისა და სტრატეგიის ეფექტურობას უზრუნველყოფს არა მხოლოდ აუცილებელი სტრუქტურის შექმნა, არამედ სოციალური ორგანიზაციის მთელი რიგი ასპექტები და კვალიფიციური ჩინოვნიკებისა და

პოლიტიკოსების მომზადება. ამ მხრივ, მეტად საინტერესოა ერთმანეთისაგან განსხვავებული გერმანული და იაპონური მოდელების შედარება, ვინაიდან როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, ეს ქვეყნები კლასიკური გეოეკონომიკური ქვეყნების რიგს განეკუთვნება.

გეოეკონომიკის სფეროში გერმანიის მოდელი ხასიათდება მცირე ბიუროკრატიული აპარატით ფედერალურ დონეზე, რომელსაც ამავე დროს არ გააჩნიათ გადამწყვეტი ხმა გეოეკონომიკური სტრატეგიის განსაზღვრაში. მეორეს მხრივ, თვით გერმანული საზოგადოების ორგანიზაციაში სჭარბობს ცენტრალიზმი. მეწარმეობა, პროფკავშირები და საბანკო სისტემა ორგანიზებულია ნეიტრალისტური პრინციპით. კერძოდ, მათი სტრუქტურები თავის წევრებს სთავაზობენ არა მხოლოდ სხვადასხვა მომსახურებას, არამედ ასრულებენ ეფექტურ მმართველობით ფუნქციებს.

იაპონიის გეოეკონომიკაში კი პირიქითაა, სახელმწიფო მაკონტროლებელის როლს ასრულებს აღნიშნულ სფეროში, რომელსაც იგი ახორციელებს უდიდესი სამინისტროს მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს ეროვნული ეკონომიკის განვითარების ძირითად სტრატეგიას. ისეთი ორგანიზაცია, როგორიცაა იაპონიის საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრო, ამუშავებს გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას, წარმოების წამყვან დარგებში მთელი ქვეყანა_სისტემის მასშტაბით და მასში მონაწილეობისათვის კონკურსის საფუძველზე იწვევს უმსხვილეს ეროვნულ საწარმოებს. ეს სამინისტრო წარმოების სამყაროსთან აქტიური კავშირებით გამოირჩევა და ცდილობს მასთან გამონახოს კონსესუსი, რასაც საბოლოო ჯამში იქამდე მივყავართ, რომ ქვეყანა_სისტემის კურსი ემთხვევა მთელი ეკონომიკური სისტემის კურსს, რაც გეოეკონომიკაში იდეალური თუ არა იდეალურთან მიახლოებული შემთხვევაა. აღნიშნულს ხელს უწყობს ასევე პოლიტიკოსების, ბიუროკრატებისა და მსხვილი სამრეწველო და საფინანსო ინსტიტუტების წარმომად-გენელთა კულტურული ინტეგრაცია. საწარმოთა ხელმძღვანელ თანამდებობებზე აქ ხშირად გვხვდება სამინისტროების ყოფილი ჩინოვნიკები.

ზემოთ აღნიშნული სტრუქტურული რეორგანიზაციების ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გეოეკონომიკურ დაზვერვაზე. ქვემოთ მოყვანილი მონაცემები აღებულია ღია წყაროებიდან. იმდენად რამდენადაც საუბარი გვექნება საიდუმლო საქმიანობაზე, შემოთავაზებული აღწერა მხოლოდ ნაწილობრივ ასახავს განსახილველ მოვლენას.

კონფიდენციალური კვლევების მონაცემებით, რომელიც ჩაატარა აშშ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განყოფილებამ, სპეციალურად თეთრი სახლისათვის, ყოველწლიურად ზარალი რომელსაც განიცდიან ამერიკული საწარმოები ეკონომიკური ჯაშუშობის შედეგად მხოლოდ მეგობარი ქვეყნების მხრიდან (რომელთა შორის უნდა აღვნიშნოთ იაპონია, საფრანგეთი, სამხრეთ კორეა, გერმანია) დაახლოებით მილიარდ დოლარს შეადგენს. ინფორმაციული სამსახურის შესახებ სენატის კომისიის მოსმენებში 1994 წელს ცენტრალური სადაზვერვო სამ-მართველოს მაშინდელმა დირექტორმა აღიარა, რომ მართვამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამერიკის ინტერესების დაცვაში მსოფლიო ბაზარზე, ასევე აღნიშნა, რომ 1993 წელს ამ საქმიანობამ ამერიკის მრეწველობას საშუალება მისცა მიეღო მილიარდობით დოლარი. 1992 წელს ცენტრალური სადაზვერვო

*სამმართველოს ბიუჯეტი შეადგენდა 3,2 მილიარდ დოლარს, საბიუჯეტო სახსრების საფუძველზე შეიქმნა განყოფილება სახელწოდებით **„Strategic and Business Group“** რომელმაც სადაზვერვო საქმიანობა გაშალა, რათა: ა) დახმარება გაეწია მთავრობისა და პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისათვის; ბ) თვალი ედევნებინა იმ ტექნოლოგიური კვლევებისათვის, რომელსაც მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული უსაფრთხოებისათვის; გ) კონტრჯაშუშობის ღონისძიებების გატარებისათვის (გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან ერთად), ამერიკის მრეწველობის დასაცავად უცხოური დაზვერვისაგან.*

*იაპონიის დაზვერვის ჩჩვენთვის უკვე ნაცნობი სამსახურის **DRP (Departament of Research and Planning)** დამახასიათებელი თავისებურებაა მისი მცირე ზომა. რეალურად იგი წარმოადგენს მთელი ინფორმაციული სამსახურების ქსელის თავში მოქცეულ ორგანოს, რომელიც 1950_იანი წლების დასაწყისიდან მჭიდროდაა დაკავშირებული საწარმოებთან, ბანკებთან, საერთაშორისო ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროსთან და იმ ინსტიტუტებთან, რომლებიც სპეციალურადაა შექმნილი გეოეკონომიკური დაზვერვის კადრების მოსამზადებლად და ინფორმაციის ლეგალური და არალეგალური გზით მოსაპოვებლად. იაპონიის დაზვერვა, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს ეკონომიკური უპირატესობის მოპოვებას არა წამყვან დარგებში, არამედ ინფორმაციის ცენტრალ-იზებულად მოპოვების ორგანიზაციაში, მის შესწავლასა და შემდგომ გადანაწილებაში ეკონომიკის სხვადასხვა სუბიექტებს (საწარმოებს) შორის. აღსანიშნავია, რომ 1984 წ. **Keindaran**-ის ფედერაციამ, რომელიც აერთიანებს ქვეყნის ყველა ეკონომიკურ ორგანიზაციას, მიიღო დავალება უზრუნველყო ცენტრში არსებული ყველა ინფორმაცია გადაცემა ცალკეული საწარმოებისათვის. ექსპერტები ვარაუდობენ იაპონიის დაზვერვის სამსახურების 80%_ზე მეტი იხარჯება ეკონომიკურ დაზვერვაზე.*

*საფრანგეთში გეოეკონომიკური დაზვერვის მნიშვნელობის საბოლოოდ გააზრება და ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბება დაიწყო 1980-იან წლებში, როცა ქვეყნის პრეზიდენტად არჩეული იქნა ფ. მიტერანი, რომელმაც დააკანონა ურთიერთობები საწარმოებს (სახელმწიფო და კერძო), მრეწველობის სამინისტროსა და საიდუმლო სამსახურებს შორის. ფრანგული წარმოების ეკონომიკური ჯაშუშობისაგან დაცვაში დიდი როლი ითამაშა **DST**-მ. (გეოეკონომიკური დაზვერვის სამსახური). აღნიშნულის გარდა, აეწყო ურთიეთობები და თანამშრომლობა, საიდუმლო სამსახურებსა და კერძო ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის მოპოვებისათვის ლეგალური გზით. ეს უკანასკნელი კი ტექნიკურად არ ითვლება ჯაშუშობად და გეოეკონომიკური დაზვერვის საქმიანობის საფუძველს შეადგენს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სამსახურის საქმიანობა ითვალისწინებს სამრეწველო ჯაშუშობის განხორციელებას მეგობრული ან მოკავშირე ქვეყნების მიმართაც. ვინაიდან ცნობილია შემთხვევა, როცა ამ ქვეყნის გეოეკონომიკური დაზვერვის აგენტებმა შეაღწიეს ამერიკული კომპანია **IBM**-სა და **Texas Instruments**-ში, რომლებიც ფრანგული ფირმა **Bull**-ის კონკურენტები იყვნენ . ასევე ცნობილია ფრანგი ინჟინრების გამოძევების პრეცენდენტი აშშ შტატებიდან, როცა ისინი "ზედმეტ ინტერესს" იჩენდნენ ამერიკული სამხედრო თვითმფრინავის **Stealth**-ის მიმართ. 1992 წ. საფრანგეთის საიდუმლო სამსახურის ბიუჯეტი 9%_ით გაიზარდა, რამაც საშუალება მისცა ამ ორგანიზაციას გაეზარდათ შტატი 1000 აგენტით.*

*რაც შეეხება გერმანიის გეოეკონომიკურ დაზვერვას, იგი გაძლიერებას იწყებს 1960_იანი წლების მეორე ნახევრიდან. ამ სამსახურის მიზანს თავდაპირველად წარმოადგენდა გერმანიისათვის მეტი დამოუკიდებლობისათვის პირობების შექმნა, აშშ, ინგლისისა და საფრანგეთისაგან. ასევე მისი ეკონომიკური წონის გაზრდა მსოფლიოში. (ეს უკანასკნელი ოპერაცია "მონიკას" სახელითაა ცნობილი). 1980_იან წლებში ეს სამსახური (**BND**-ის სახელითაა ცნობილი) შეუდგა პროექტ `რაჰაბის" რეალიზაციას, რომელიც ორიენტირებული იყო ეკონომიკურ დაზვერვაზე, მაგრამ აგებული იყო "ინფორმაციული მეკობრეობის" პრინციპზე, რომლის არსი მდგომარეობს საწარმოთა და მთავრობათა მონაცემთა ბანკების შელწევაში მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ამ სამსახურის განსაკუთრებული ინტერესის სფეროში მოექცა ისეთი ქვეყნები, როგორიცაა რუსეთი, იაპონია, საფრანგეთი, აშშ, იტალია და დიდი ბრიტანეთი. ცივი ომის დამთავრების შემდგომ (1991წ.) მოხდა ამ პროექტის ორიენტირების შეცვლა უმეტესად ეკონომიკური, ტექნოლოგიური კომერციული და ფინანსური მიმართულებებით. შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად გერმანია იყენებს გეოეკონომიკური დაზვერვის ყელაზე უფრო სრულყოფილ საშუალებებს (იმ აწყობილი თანამშრომლობის ხარჯზე, რომელიც არსებობს **BND**-სა და ფირმა **Siemens**-ს შორის).*

*გაცილებით მწირია ინფორმაცია დიდი ბრიტანეთის საიდუმლო სამსახურების შესახებ, განსაკუთრებით სამრეწ-ველო_ეკონომიკურ სფეროში. სრულიად შესაძლებელია, რომ ეს არის ამ ტიპის სამსახურის მაღალი პროფესიონალიზმისა და მკაცრად გასაიდუმლების შედეგი. **Ми** 6-სათვის ამოცანას ამარტივებს ის გარემოება, რომ იგი შენიღბულია **Foreign office**-ს სახელით. როგორც არ უნდა იყოს, ცნობილია, რომ ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ **(NSA)** ეჭვი აიღო ბრიტანეთის სამსახურებზე, რომლებიც უსმენდნენ იმ ამერიკული საწარმოების ტელეფონებს, რომლებიც მუშაობდნენ დიდ ბრიტანეთში.*

*გეოეკონომიკურ დაზვერვაში განსაკუთრებული აქტიურობით შვედეთი გამოირჩევა. საწარმოებსა და ადმინისტრაციას შორის კავშირი, ამ სახელმწიფოში, ხორციელდება საქმიან და საუნივერსიტეტო წრეებს შორის თანამშრომლობით, სახელწოდებით **BISNES (Businees Intelligence and Security Network of Sweden)** სხვა ორგანოები, ისეთები როგორიცაა **FOA (Defence Research Establihment)** და **SAPO** (ეროვნული უსაფრთხოების სამსახური), აქტიურად მუშაობენ გეოეკონომიკური დაზვერვის სრულყოფაზე. შვედეთის 600 მეტი საწარმო თავის შტატში ითვლის უშიშროების ოფიცრებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავებულია გეოეკონომიკური დაზვერვითი საქმიანობით. 1976 წლიდან ლუნდის უნივერსიტეტში ტარდება სპეციალური კურსები ეკონომიკურ დაზვერვაში, ასეთივე კურსი იკითხება სტოკჰოლმის უნივერსიტეტშიც.*

*ცნობილია, რომ ჩინეთში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო კომისია **(SSTC)** დაკავებულია იმ ტექნოლოგიების ლოკალიზაციით, განსაზღვრითა და შეგროვებით, რომელიც ხელს უწყობს ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური ამოცანების შესრულებას. აღნიშნული სამსახური შეიქმნა ჯერ კიდევ 1958 წელს, რომლის რეორგანიზაცია მოხდა 1975 წ. ჯოუ ენ ლაის დოქტრინის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც დამტკიცებული იქნა*

ჩინეთის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტექნოლოგიებისა და სამხედრო მრეწველობის განვითარების პროგრამები 2000 წლისათვის. აღნიშნულ უწყებას ოპერატიული და სტრუქტურული კავშირი აქვს სამოქალაქო საინფორმაციო სამსახურებთან. კომისიის თანამშრომლები ნამდვილი სადაზვერვო საქმიანობით არიან დაკავებულნი. ამ კომისიას აქვს განშტოებული სტრუქტურა როგორც ეროვნულ, ასევე პროვინციულ დონეზე. ამჟამად ***SSTC*** *ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს, ვინაიდან იგი განსაზღვრავს ყველაზე უფრო პერსპექტიულ ტექნოლოგიებს და მათი დანერგვის ხელშეწყობას ჩინეთის ეკონომიკაში.*

9.5 კრიმინალი

რა კავშირი შეიძლება არსებობდეს კრიმინალსა და ეკონომიკას შორის? ქვეყნის ეკონომიკური ზრდაა დამოკიდებული ქვეყანაში არსებულ კრიმინალურ ვითარებაზე თუ პირიქით - ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებს კრიმინალს? კვლევებმა ცხადყო, რომ ვითარება არც ისე ერთგვაროვანია.

დავიწყოთ კრიმინალური ვითარების გავლენით ეკონომიკაზე. დანაშაულებრივი საქმიანობა ეკონომიკაზე მოქმედებს გადასახადის მსგავსად: ის ხელს უშლის როგორც ადგილობრივ, ისევე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ამცირებს ფირმების კონკურენტუნარიანობას, იწვევს რესურსების არასწორად გადანაწილებას, ქმნის გაურკვევლობასა და ამცირებს ეფექტიანობას. ნათელია, რომ არც ადგილობრივი და არც უცხოელი ინვესტორი არ მოისურვებს საკუთარი კაპიტალის განთავსებას იქ, სადაც კრიმინალი მაღალია და მომავალი გაურკვეველი. კრიმინალი მძიმედ აწევს ბიუჯეტსაც, რადგან მაღალი კრიმინალის შემთხვევაში მეტი თანხებია ბიუჯეტიდან გამოსაყოფი მასთან საბრძოლველად. შესაბამისად, პირდაპირ თუ ირიბად კრიმინალი გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

მეცნიერთა ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ეკონომიკური დაღმავლობის პერიოდში უფრო მეტ ადამიანს აქვს მოტივი, რომ ჩაიდინოს დანაშაული. ცუდი ეკონომიკური პირობების გამო უფრო მეტი ადამიანი ჩადის დანაშაულს საკუთრების წინააღმდეგ (მარცვა, ქურდობა, ყაჩაღობა), ამ გზით ისინი ცდილობენ მიიღონ ის, რისი შეძენის საშუალებაც მათ არ აქვთ. ეკონომიკური სიდუხჭირე იწვევს ასევე მეტ ოჯახურ თუ სხვა ტიპის ძალადობას. მეცნიერთა მეორე ნაწილი კი საწინააღმდეგოს ამტკიცებს. ისინი მიიჩნევენ, რომ სწორედ ეკონომიკური აღმავლობის პერიოდშია მეტი დანაშაული მოსალოდნელი. ასეთ დროს უფრო მეტი ადამიანი ფლობს ფუფუნების საგნებს, რაც მათ მოპარვას უფრო ხელმისაწვდომს ხდის. გაუმჯობესებული ეკონომიკური პირობების შედეგად იზრდება მოთხოვნა ალკოჰოლსა და ნარკოტიკულ საშუალებებზეც, რასაც კვლავაც ძალადობისკენ მივყავართ. მიუხედავად ორივე თეორიის ლოგიკური არგუმენტებისა, რეალობა ცხადყოფს, რომ ეკონომიკური ციკლის პერიოდები ქვეყანაში არსებულ კრიმინალურ მდგომარეობაზე გადამწყვეტ გავლენას ვერ ახდენს, ანუ კვლევების თანახმად, ამ ორ ცვლადს შორის ძლიერი კორელაცია არ დასტურდება.

შესაბამისად, ეკონომიკა უფრო მეტად ზარალდება კრიმინალის არსებობით, ვიდრე ეკონომიკური მდგომარეობა ახდენს გავლენას დანაშაულის ოდენობაზე. მაშასადამე, ეკონომიკური ზრდის მისაღწევად, ერთ-ერთს რასაც ქვეყანა უნდა ცდილობდეს არის დანაშაულის შემცირება. იმისთვის, რომ დანაშაული შემცირდეს, საჭიროა დადგინდეს რა იწვევს დანაშაულს. დანაშაულის გამომწვევი ბევრი მიზეზი შეიძლება არსებობდეს: დაუდევრობა, პირადი შურისძიება, დანაშაულის ჩადენისკენ მიდრეკილება, გამდიდრების სურვილი და სხვა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი უმუშევრობაა.

კონტრაბანდა, კორუფცია, ყალბი საანგარიშსწორებო დოკუმენტების დამზადება და გამოყენება, პროდუქციის ფალსიფიკაცია, ფულის კუპიურების, საკრედიტო ბარათების და აქციზური მარკების გაყალბება - ეს მცირე ჩამონათვალია იმ ეკონომიკური დანაშაულისა, რომლის გამოვლენაც სახელმწიფოს გეოეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია.

კორუფციის ინდექსი 2015 ნათლად აჩვენებს, რომ კორუფცია ავადმყოფობასავითაა მსოფლიოს მოდებული. 2015 წელი ასევე იყო წელი, როცა ხალხი კორუფციის წინააღმდეგ ქუჩებში გამოვიდა და მთავრობებს მის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოუწოდა.

ყოველწლიური ინდექსის მიხედვით კორუფციის მხრივ მძიმე მდგომარეობაა მსოფლიოს ქვეყნების ორი-მესამედში. მსგავს ქვეყნებში მსოფლიოს 6 მილიარდზე მეტი ადამიანი ცხოვრობს.

ძალიან მნიშვნელოვანია ასევე ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია იმისთვის, რომ მაქსიმალურად ავირიდოთ პატიმრობები, როდესაც საქმე ეხება ეკონომიკურ დანაშაულს.

ლექცია X

გეოეკონომიკური სივრცის განვითარების თეორიული და გამოყენებითი პრობლემები

10.1 სივრცის იდეების განვითარება ეკონომიკურ მეცნიერებაში

10.2 გეოეკონომიკური სივრცის ძირითადი მახასიათებლები

10.3 გლობალური ეკონომიკური სივრცის ასიმეტრულობის გეოეკონომიკური მოდელი

10.1 სივრცის იდეების განვითარება ეკონომიკურ მეცნიერებაში

გეოეკონომიკა თავისებურად აყალიბებს გეოპოლიტიკის ორ ძირითად საკითხს, კერძოდ, რას წარმოადგენს ძლიერება და სად და როგორ მატერიალიზდება იგი. გასული საუკუნის მიწურულს მას დაემატა კიდევ ერთი საკითხი, კერძოდ რით აიხსნება ძლიერებას, სივრცესა და ეკონომიკას შორის კავშირების შესწავლისადმი ინტერესის ზრდა. რასაკვირველია ამჟამად გეოეკონომიკა მოდაშია, მაგრამ ნებისმიერი მოდა თავისი ეპოქის ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშნის ასახვას წარმოადგენს.

მსოფლიო ეკონომიკური სივრცე XX ს. მიწურულამდე გაცილებით ადრე აღმოცენდა. მაგალითად 1890 _ 1914 წწ. ასეთი სივრცე ჩამოყალიბდა ევროპის გარშემო და თავის თავში გააერთიანა აშშ, იაპონია და რუსეთი, ასევე დედამიწის ის ნაწილები, სადაც ბატონობდნენ დასავლეთის სახელმწიფოები. 1930-იან წლების ეკონომიკურმა კრიზისმა თუ მთელი მსოფლიო არა, ყოველ შემთხვევაში რამოდენიმე კონტინენტი მაინც მოიცვა.

ამ თვალსაზრისით ახალი მილენიუმის დასაწყისი ხასიათდება სამი მნიშვნელოვანი ფაქტორით: ა) მიმდინარეობს ქვეყნების ურთიერთკავშირის გაღრმავება სხვადასხვა სფეროებში (ვაჭრობა, ინვესტიციები, კაპიტალის დინებები, ტექნოლოგიათა გაცვლები), რაც ხელს უწყობს ამ ურთიერთკავშირების გაძლიერებას; ბ) ცალკეულ ქვეყნების ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგები (აგრარული სექტორი, მრეწველობა, მომსახურება) მუშაობენ არა იმდენად ეროვნულ, რამდენადაც საერთაშორისო ბაზრისათვის; გ) ქვეყანათა უმრავლესობა მომავალს უკავშირებენ თავის შესაძლებლობებსა და უნარს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ტექნიკურ-ეკონომიკურ შეჯიბრში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გეოეკონომიკური თვალსაზრისით მსოფლიო ეკონომიკური სივრცე გამოირჩევა მნიშვნელოვანი სხვადასხვა¬გვარობით და ფრაგმენტულობით.

მნიშვნელოვანი თავისებურებაა ისიც, რომ მიმდინარეობს სახელმწიფოთა დიდი რაოდენობის ინტეგრაცია ერთიან გეოეკონომიკურ სისტემაში, თუმცა მათ შორის შეინიშნება შესამჩნევი განსხვავებები განვითარების დონეების მიხედვით (დასავლეთის ქვეყნები, უცბად გაღარიბებული ყოფილი სოციალური ბანაკის ქვეყნები, აფრიკისა და აზიის ქვეყნები, რომლებიც აღმოჩნდნენ მსოფლიო პროგრესის მიღმა). ეს განსხვავებები განიხილება პლანეტარული ევოლუციის დინამიკაში. ისინი ერთდროულად წარმოადგენენ როგორც პოზიტიურ, ასვევ ნეგატიურ ფაქტორებს, რაც იმით დასტურდება, რომ ხდება წარმოების გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში, ვინაიდან მათ შორის არსებობს განსხვავება სამუშაო ძალის ღირებულებასა და სოციალური დაცვის დონეებში. აღნიშნულს ასევე ადასტურებს მიგრაციული დინებები ღარიბი ქვეყნებიდან მდიდარ ქვეყნებში .

მსოფლიო ეკონომიკური სივრცის ერთიანობა უბრალო ფაქტით მტკიცდება, კერძოდ განვითარების დონეებში სხვაობები არა მხოლოდ ქმნის გადაულახავ წინაღობას სხვადასხვაგვარ ზონებს შორის, არამედ აქტიურად გამოიყენება ეკონომიკური სუბიექტების მიერ (სახელმწიფო საწარმოების და ფიზიკური პირების მიერადაც კი).

სახელმწიფო და სახელმწიფო საზღვრები არსებობას განაგრძობენ. რა თქმა უნდა არსებობს ამ საზღვრების გახსნის მრავალი ხერხი საერთაშორისო ვაჭრობის, ტურიზმის, კაპიტალის გადაადგილებებისა და ინფორმაციული დინებებისათვის. ამის მიუხედავად სახელმწიფოები იტოვებენ უფლებას კანონმდებლობით არეგულირონ საზღვრების რეჟიმი. სანამ იარსებებს სუვერენული სახელმწიფო, დარჩება საზღვრებიც, თუნდაც მათი გადაკვეთა არ იყოს დაკავშირებული მნიშვნელოვან სიძნელეებთან. ევროპულმა ინტეგრაციამ დაამტკიცა ზემოთ აღნიშნული. 1960-იანი წლებიდან მოყოლებული ევროპის თანამეგობრობა დაკავებულია თავისი საერთო საზღვრის მოწყობით, რაც გამოიხატა ერთიან საბაჟო ტარიფებში ევროკავშირის მასშტაბით. ევროკავშირის გამოცხადება (მაასტრიხი, 1992წ. 7 თებერვალი) გულისხმობს ამ კავშირს წევრ სახელმწიფოებს შორის საზღვრის საბოლოო გაუქმებას და ერთიანი ევროპული საზღვრის ფორმირების დასრულებას. მიგვაჩნია, რომ გლობალურ ეკონომიკურ ინტეგრაციას და ერთიანი ბაზრის იდეოლოგიას არ შეუძლიათ ჯერჯერობით საზღვრების წაშლა იმ სფეროებში, სადაც პოლიტიკა და ეკონომიკა პრაქტიკულად უძლურია, მხედველობაში გვაქვს კულტურული და რელიგიური საზღვრები. ამ შემთხვევაში ბუნებრივი კითხვა, თუ როგორ უნდა შეეთავსონ ერთმანეთს ბაზრის, თავისუფლების, დემოკრატიის უნივერსალური პრინციპები სოციალურ, ეთნიკურ და რელიგიური ჯგუფების თვითმყოფადობას? ერთის მხრივ ინტეგრაციული პროცესების დინამიკას მივყავართ ერთგვაროვანი, სტანდარტიზირებული კაცობრიობის ფორმირებაზე, რომელიც მართულია დასავლური რაციონალიზმის მეშვეობით, მეორეს მხრივ, განსხვავებები, რომლებიც წარსულის მემკვიდრეობაა, არ ქრება უკვალოდ. ისინი ან იყენებენ უნივერსალიზმს თავისი მიზნებისათვის, ან უპირისპირდებიან მას. ორივე შემთხვევაში ისინი განიცდიან თავის თავზე მის გარდამქმნელ გავლენას. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ დასავლური ცივილიზაცია ფასეულია არა იმიტომ, რომ იგი უნივერსალურია, არამედ იმიტომ, რომ უნიკალურია და შესაბამისად დასავლეთის ლიდერების პრინციპული პასუხისმგებლობა იმაში კი არ მდგომაეობს, რომ შეცვალოს სხვა ცივილიზაციები დასავლეთის მსგავსად, არამედ შეინარჩუნოს, დაიცვას და განაახლოს დასავლური ცივილიზაციური დემოკრატია, კანონის უზენაესობა, იდეური პლურალიზმი და ა. შ.

რაც შეეხება სახელმწიფოებს, ისინი რჩებიან ტერიტორიულ წარმონაქმნებად, რომლებიც პასუხს აგებენ თავისი მოქლაქეების კეთილდღეობაზე. ახალი მილენიუმის დასაწყისში მათ წინაშე ძნელი ამოცანა დგას, თუ როგორ შეინარჩუნონ მთლიანობა და თავისი ტერიტორიისა და მოსახლეობის თვით არსებობა იმ დროს, როცა მკვეთრად იზრდება ურთიერთდამოკიდებულების დონე და ხარისხი. სახელმწიფოს თვალსაზრისით კლასიკური საგარეო საფრთხე მდგომარეობს მისი ტერიტორიის მიტაცების მცდელობაში. შესაბამისად, იგი მზად უნდა იყოს ადეკვატური პასუხი გასცეს შესაძლო აგრესიას. ამასთან, ეროვნულმა იდეამ, რომელსაც ხვჯჯს. ბოლოდან ეფუძნება თანამედროვე სახელმწიფო, ასევე უნდა შეინარჩუნოს თავისი სპეციფიკური მნიშვნელობა, მაგრამ ტექნიკურ-ეკონომიკური მეტოქეობა სახელმწიფოებს აიძულებს სხვადასხვაგვარად შეხედონ თავის ტერიტორიას. ამჯერად საუბარი აღარაა მის დაცვასა და სპეციფიკის შენარჩუნებაზე. პირიქით,

აუცილებელიცაა ზომიერების გარკვეული დაცვით, მაქსიმალურად გაიხსნას ქვეყანა და უზრუნველყოფილ იქნას მისი შედარებით საუკეთესო პირობები კონკრეტულ გრძოლაში, რაშიც იგულისხმება, ის რომ იმის მიუხედავად უცხოური ინვესტიციები, ეროვნულ ეკონომიკას აყენებს დამოკიდებულ მდგომარეობაში იმ გადაწყვეტილებებზე, რომელიც მიიღება მის საზღვრებს გარეთ, წარმოადგენს ქვეყნის ინტეგრაციის მნიშვნელოვან ფაქტორს მსოფლიო ბაზარზე. თვით სუვერენიტეტის ფუნდამენტალური ატრიბუტებიც კი (კანონმდებლობა, საგადასახადო პოლიტიკა და განათლების სისტემა) სერიოზულ ცვლილებას ექვემდებარება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. კანონი, საგადასახადო კოდექსი და ეროვნული ვალუტა სერიოზულ კონკურენციას იწყებენ უცხოურ კანონებთან, გადასახადებთან და ვალუტებთან, რამდენადაც ამ კომპეტეტებს შორის დიდმა განსხვავებებმა საერთაშორისო ნორმებთან მიმართებაში შეიძლება დააფრთხოს უცხოელი ინვენსტორი ან ბიზნესმენი. სახელმწიფომ, რომელიც მიბმულია თავის ტერიტორიასთან, ეს ტერიტორია მაქსიმალურად მიმზიდველი უნდა გახდეს უცხოელთათვის. ამ ყველაფერს კი მივყავართ სახელმწიფოს სტრუქტურების თავისებურ შიზოფრენიასთან, რომლებიც იძულებულნი არიან კიდევაც დაიცვან და კიდევაც გახსნან საზღვრები, შეინარჩუნონ ეროვნული თვითმყოფადობა და უზრუნველყონ შეთვისება ყოველივე ახლის მიმართ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფო განუყოფელია თავისი ტერიტორიული გაზიდან, მაგრამ როგორი კავშირები არსებობს საწარმოებსა და ეროვნულ ტერიტორიას შორის? წარმოების ფუნქციაა უზრუნველყოს ფასეულობების წრებრუნვა და განახორციელოს სავაჭრო ოპერაციები. ამჟამად, საქონელგაცვლების მასობრივი ინტერნაციონალიზაცია სერიოზულ დაძაბულობას ქმნის წარმოების ჩარჩოებში. საწარმოები უცილობლობლად ფლობენ საკუთარ ტერიტორიულ ბაზას, თუმცა ეს მომენტი სხვადასხვაგვარად ვლინდება ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში. უპირველეს ყოვლისა, საუბარია საწარმოს იურიდიულ მისამართზე, შემდეგ მისი ადმინისტრაციის ტექნიკური სამსახურის და საწარმოო შენობის ადგილმდებარეობაზე და ბოლოს მისი გასაღების ბაზრის ლოკალიზაციაზე. უნდა შევნიშნოთ, რომ ამა თუ იმ წარმოების გასაღების ბაზრები მას იმ ხარისხით არ `მიეკუთვნებიან~, როგორიც მაგალითად ეროვნული ტერიტორია ეკუთვნის მოცემულ სახელმწიფოს. გასაღების ბაზარი თავისი არსით არასაიმედო ტერიტორიას წარმოადგენს, რომელსაც ყოველდღიურად ესხმიან თავს კონკურენტები. ამის მიუხედავად, `ბაზრის შეფასება ტერიტორიასთან სრულად გამართლებულია~ . მრავალი საწარმოთათვის ეროვნული ბაზარი წარმოადგენს ასე ვთქვათ ზურგის ბაზას, ზონას, სადაც შეიძლება დაიხიო წარუმატებლობის შემთხვევაში, მაშინ, როცა უცხოური ბაზრები წარმოადგენენ სივრცეს, სადაც ხდება კაპიტალის ჩადება და რომელებიც აუცილებელია შენარჩუნებული იქ-ნან ყოველგვარი მეთოდით. მეორეს მხრივ, ახალი ათასწლეულის დასაწყისში საწარმოები უკვე დამოკიდებული ხდებიან საკუთარ მობილურობაზე და უნარზე გაავრცელონ თავიანთი საქმიანობა ეროვნული ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, ასევე მნიშვნელოვანი ხდება ცლილებებზე ადექვატური და უწყვეტი რეაგირება, ეს ცვლილებები კი მუდმივად ხდება ბაზარზე, ამ უკანასკნელის "კაპრიზი" ხასიათის გამო. ბაზართან ადაპტირების მიზნით,

საწარმოებმა მაქსიმალურად უნდა შეამსუბუქონ თავიანთი სტრუქტურები, კერძოდ გააჩნდეთ ნულოვანი რეზერვები, გადასცენ სუბმოიჯარადეებს დამხმარე ოპერაციები, განახორციელონ ქსელური მართვა (რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში მთელ პლანეტას მოიცავს), მუდმივად ეძებონ ახალი პროდუქტები სულ უფრო დაბალ ფასებში. აღნიშნულის შედეგად საწარმოები ეჯახებიან წინააღმდეგობას, ერთის მხრივ აუცილებლობას, გააჩნდეთ საკუთარი ეროვნული ფესვები და მეორეს მხრივ, თავისი საწარმოო საქმიანობის მოთხოვნის ზრდას. თითოეული ფირმა, ეკონომიკის თითოეული დარგი სხვადასხვაგვარად ცდილობს მოაგვაროს ეს წინააღმდეგობა˜.

მრეწველობის კლასიკური დარგები მეტალურგია, საავტომობილო და ქიმიური მრეწველობა და ა.შ, ეყრდნობიან მძლავრ ინტეგრირებულ სტრუქტურებს დასაქმებულთა დიდი რიცხოვნობით, გეოეკონომიკის თვალსაზრისით ეს საწარმოები შედარებით სტაბილურია. ისინი მიერთებულნი არიან ან შესაბამისი მინერალური ნედლეულის ზონებს, ან მსხვილ პორტებს, ან დიდ დასახელებულ პუნქტებს. ხანდახან მთელი ქალაქები ასოცირდება ამა თუ იმ სახეობის პროდუქციასთან (მაგ. რური-ფოლადის წარმოებასთან, ხოლო დეტროიტი საავტომობილო მრეწველობასთან და ა.შ). ამჟამად, გეოეკონომიკური კონფიგურაცია სერიოზული გადასინჯვის პროცესშია, რომელიც გამოწვეულია რიგი ტექნოლოგიური ნოვაციების დანერგვით, საწარმოო რობოტების ფართოდ გამოყენებისა და მოქნილი საწარმოო ხაზებით.

ამ პერმანენტულ შეჯიბრში ყოველთვის აგებს ის, რომელიც დამძიმებულია ისტორიითა და ვერ ახდენს სწრაფ ტექნოლოგიურ გადაიარაღებას, გააჩნია უზარმაზარი შრომითი კოლექტივი, მისტირის ტრადიციებსა და ამაყობს მიღწევებით სოციალურ სფეროში, ხოლო მოგებული რჩება ის, ვინც ფლობს უპირატესობას სისწრაფეში, ვინც მიისწრაფვის მიიღოს მაქსიმალური მოგება, ვინც მოქმედებს გადაჭრით, ვინც არაა მიჯაჭვული წარსულსა და არ ამაყობს მისით.

ამჟამად, ინტერნაციონალიზაციის შედეგად ისეთი გეოეკონომიკური ვითარებაა ჩამოყალიბებული, რომ სახელმწიფოს ლოგიკა, ისე როგორც არასდროს, ძალიან შორსაა საწარმოს ლოგიკისგან. სახელმწიფოს ესმის, რომ მისი საკუთარი ტერიტორიიდან ფასეულობები შეიძლება გავიდეს, კაპიტალის გადინების შედეგად. თავის მხრივ საწარმოებს გაცნობიერებული აქვთ თავისი ნაკლი და ანგარიშს უწევენ იმ გარეომოებებს, რომ ამ სამყაროში სახელმწიფოს ჯერჯერობით სერიოზული პოზიციები უკავია, რომ მას შეუძლია კიდევაც უბრძანოს, კიდევაც აკრძალოს და დაიცვას ისინი.

10.2 გეოეკონომიკური სივრცის ძირითადი მახასიათებლები

მსოფლიო გეოეკონომიკური სივრცე ერთდროულადაა ერთიანი და არაერთგავაროვანიც, მოწესრიგებულიც და ანარქიულიც. რასაკვირკვილია არსებობს

წინადადებებისა და აზროვნების რყევადობა, რაზედაც მეტყველებს როგორც კაპიტალის გადაადგილება, ასევე საწარმოო საქმიანობის გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში. გეოფინანსები თუ ახალი ფინანსური დრო-სივრცე, უგულებელყოფს გეოგრაფიისა და ეროვნული საზღვრების კანონებს იმდენად, რომ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, გეოფინანსების ფორმირება "გეოგრაფიის დასასრულის" მაჩვენებლია . გეოფინანსები წარმოადგენს მსოფლიო ფულის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საკანონმებლო რეგულირების ლიბერალიზაციის სინთეზს. ეს კი ნიშნავს, რომ ზოგიერთი ეკონომიკური სუბიექტი (საწარმოო, ფიზიკური პირი, სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციები) თავის ოპერაციებს ახორციელებენ იმ ფაქტორებიდან გამომდინარე, რომლებიც მოქმედებენ თუ მთელი დედამიწის ტერიტორიაზე არა, ყოველ შემთხვევაში მის მნიშვნელოვან ნაწილში მაინც. საქმიანობის ეს არეალი ხასიათდება მრავალი ბარიერით და უთანაბრობით. ამ არეალში თამაშის შესაძლებლობა განპირობებულია ინფორმაციის გაცვლის სიჩქარეზე და შედარებით დაბალი ტარიფებით (კერძოდ ტვირთვის გადატანის ტარიფებით). ინფორმაციული ქსელი ძალიან მჭიდროა დასავლეთ ევროპაში, ჩრდ. ამერიკასა და იაპონიაში, ძალზედ სუსტი ქსელი კი მოიცავს აფრიკას საჰარის სამხრეთით, ანდებს სამხრეთ ამერიკაში და წყარი ოკეანის სამხრეთ ნაწილს.

ეს გეოეკონომიკური თამაში განსაკუთრებული კანონებით მიდის, რომელსაც არაფერი საერთო აქვთ იმ საერთო ნორმებთან, რომელიც დამუშავებულია საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძოდ ГАТТ-ის (ვაჭრობისა და ტარიფების გენერალური შეთანხმება) მიერ, რომელიც 1993 წლისათვის 117 ქვეყანას აერთიანებდა. 1994 წლიდან იგი გაუქმდა ამ თამაშების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას უკვე WTO (ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია) ჩაუდგა სათავეში. ეს უკანასკნელი იბრძვის სავაჭრო ბარიერების სრული გაუქმებისათვის და აერთიანებს რა უკვე 135 ქვეყანას, იმ ტერიტორიებსაც მოიცავს, რომლებიც ГАТТ-ის ინტერესების სფეროში არ შედიოდნენ , თუმცა ასე არაერთგვაროვან მსოფლიოში, სადაც არ არის ერთიანი, საყოველთლაოდ აღიარებული ავტორიტეტი, მუდმივად არსებობს დაპირისპირება, რომლებიც დაკავშირებულია წესების განსხვავებულ განმარტებებთან, კერძოდ იმის, რასაც `ოქროს მილიარდის ქვეყნები უწოდებენ დემპინგს და აღიქვამენ როგორც ეკონომიკური აგრესიის აქტს განვითარებული ქვეყნების მხრიდან, ამ უკანასკნელთათვის იგი წარმოადგენს მათი ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონის მხოლოდ შედეგს.

აქტიური ინტერნაციონალიზაციის პროცესში ხდება წესრიგისა და უწესრიგობის ერთმანეთში აღრევა. ოფიციალური წესრიგი, რომელსაც ამყარებს სახელმწიფო, ავლენს პრობლემებს. აღმოცენდება და ძალიან სწრაფად იშლება სტიქიური წესრიგი, რომლის მაგალითადაც გამოდგება ზოგიერთი საქონლით არაკანონიერი ვაჭრობა (ამ კატეგორიაში განიხილება ნარკოტიკები, ფული, იარაღი და სამუშაო ძალაც კი). სტიქიური წესრიგის პირობებში გამოიყენება სპეციფიკური წესები, რომელიც შეიცავს ძალადობის სოლიდურ პორციას.

ახალი მილენიუმის დასაწყისში გეოეკონომიკის იდეა მჭიდროდაა დაკავშირებული რეგიონალურ ეკონომიკურ ორგანიზაციებთან (თავისუფალი ვაჭრობის ბიზნესი, საბაჟო კავშირები და ა.შ). მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ევროპის მშენებლობა, რომელიც 1950-იან წლებში დაიწყო. ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია, რომელიც აერთიანებს აშშ, კანადას და მექსიკას, მერკოსიური, სადაც შევიდნენ ბრაზილია, არგენტინა, პარაგვაი და ურუგვაი, ასევე სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ასოციაცია და ა.შ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ XXI საუკუნე წარმოდგენილი იქნება მთლიანად რეგიონული ეკონომიკის ბლოკებით, თუმცა ეს სივრცეები მთლიანად ეწერებიან მსხვილი ბაზრების ფორმირების ლოგიკაში. თითოეული მათგანი განსხვავდება ყველა სხვა დანარჩენისგან. მაგალითად ევროკავშირი, რომელიც ეფუძნება ინტეგრირებულ სივრცეს, ორ მახასიათებელს შეიცავს, ეს არის საერთო სავაჭრო პოლიტიკა გარე სამყაროსთან მიმართებაში და საერთო პოლიტიკური მიზანი, ხოლო ჩრდილოეთით ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია ხელს უწყობს საქონლის გაცვლას პარტნიორებს შორის, მაგრამ არ წარმოადგენს სავაჭრო პოლიტიკის შემათანხმებელ ორგანოს. ამის გარდა, ეს რეგიონული ორგანიზაცია აერთიანებს თავისი არსით ზესახელმწიფოს (აშშ) და ორ ქვეყანა თანამგზავრს, რომელიც მოძრაობენ მის ორბიტაზე (კანადა და მექსიკა), რაც შეეხება სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების ასოციაციას (ტაილანდი, მალაიზია, სინგაპური, ინდონეზია, ბრუნეი და ფილიპინები) მისი სპეციფიკა ისაა, რომ ამ სივრცის მნიშვნელოვანი პარტნიორები არ წარმოადგენენ ამ ორგანიზაციის წევრებს, საუბარია უპირველეს ყოვლისა იაპონიაზე, ასევე სამხრეთ კორეასა და აშშ-ზე. 1990-იანი წლების დასაწყისში მერკოსიურის დაჯგუფება ჯერ კიდევ პროექტის სტადიაში იმყოფებოდა.

ახალ მილენიუმში რეგიონი-სახელმწიფო მოასწავებს სერიოზულ ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის, კანონიერებასა და სიმდიდრეს შორის. ერთის მხრივ, იზრდება რეგიონების რიცხვი, რომელთა ერთიანობა უზრუნველყოფს ერთობლივ აყვავებას. ისინი სულ უფრო შესამჩნევ და დამოუკიდებელ როლს თამაშობენ მსოფლიო ეკონომიკის ჩარჩოებში. მეორეს მხრივ, წარსულის მემკვიდრეობა-სახელმწიფო განაგრძობს არსებობას იმის მიუხედავად, რომ იგი თავისი ფუნქციების მნიშვნელოვან ნაწილს კარგავს.

ასეთ ვითარებაში კი რაც უფრო მაღალი იქნება აღნიშნული ბუნებრივი რეგიონების განვითარების დონე, მით უფრო მეტი ხარისხით უნდა აიღონ მათ პასუხისმგებლობა მოსახლეობის კოლექტიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფი-ლებლად, იქნება ეს ქალაქების კეთილმოწყობა, გზები, ჯანდაცვა, განათლება, სანიტარული მდგომარეობა თუ სხვა. აქ არის ერთი მაგრამ, კერძოდ, როგორ შეიძლება გადაიჭრას ყველა ეს პრობლემა პოლიტიკური სტრუქტურების გარეშე (გადასახადების დაწესება, ბიუჯეტის მომზადება, ამ დანახარჯების ანაზღაურებაზე მოქალაქეების თანხმობა). უფრო მეტიც, არსებობს კი დედამიწაზე ისეთი ზონები ან რეგიონები, სადაც ყველა ერთნაირად მდიდარია, სადაც არ წარმოიქმნება უთანაბრობისა და სოლიდარობის პრობლემა? ლიბერალური ეკონომიზმი მიზნად ისახავს პოლიტიკური ხელისუფლების გაუქმებას. შავარაუდოა, რომ საყოველთაო გამდიდრება

საშუალებას იძლევა `ხალხთა მართვა~ შეიცვალოს `საგნების მართვით~. არ ვეთანხმებით რა ამ მაქსიმას, ვფიქრობთ, მან შეიძლება იქამდე მიგვიყვანოს, რომ ყველა ბარიერი მოიხსნება ინდივიდუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზაზე, შედეგები კი ალბათ კატასტროფული იქნება.

ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს სოლიდარობის მექანიზმს, რომელიც კარგად თუ ცუდად მაინც მუშაობს. მაშინ რომელ კეთილმეზობლობასა და სტაბილურობაზე შეიძლება საუბარი, თუ ხხჯ ს. მსოფლიო წარმოდგენილი იქნება სიმდიდრის კონცენტრირებული ზონით (რომელიც უმცირეს ნაწილს შეადგენს) და საბოლოო ჯამში იძულებული გახდება შექმნას თავის გარშემო თავდაცვითი ზღუდე უდიდესი სიღარიბის ზონით? (ეს ეკონომიკური ზონები პრეტენზიას აცხადებენ დამოუკიდებლობაზე) მაგრამ როგორც ჩანს ისინი არ არიან სიცოცხლისუნარიანები, რადგან თუ თავიანთი სპეციალიზაციის შესაბამისად ისინი ღია დარჩებიან საქონელგადაცვლის ყველა გეოეკონომიკური პოლუსებისათვის მაშინ აუცილებლად მიიზიდავენ გამორჩენის მოყვარულთა მნიშვნელოვან რაოდენობას, ხოლო თუკი ისინი საკუთარი სიმდიდრის შენარჩუნებისათვის ჩაკეტავენ ტერიტორიებს, მაშინ საკითხავია რა დაემართება საქონელგაცვლებს, რომელიც მათი კეთილდღეობის წყაროს წარმოადგენს?

გეოპოლიტიკის დებულების შესაბამისად, რომლებიც ფორმულირებული იყო ჰ. მაკინდერისა და კ. ჰაუსჰოფერის მიერ, სახელმწიფოს სიძლიერის გარანტიას წარმოადგენს კონტროლი იმ ელემენტებზე, რომლებსაც გააჩნიათ დიდი მასა (ტერიტორია, ხალხი, ნედლეული რესურსები) ცნება ძლიერება და უსაფრთხოება ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ფლობდე ძლიერებას ეს ნიშნავს განკარგავდე რაც შეიძლება მეტ სხვადასხვაგვარ რესურსებს. ამ თვალსაზრისით ნამდვილად ძლიერ სახელმწიფოებად შეიძლება ჩაითვალოს აშშ და ჩინეთი (იგივე ითქმოდა ყოფლ საბჭოთა კავშირზე), ასევე ხხ ს. პირველი ნახევრის მეტროპოლიები. იმ პერიოდის გამოცდილება, რომელიც დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და გრძელდებოდა 1980-იან წლებში, ანუ ორი ზესახელმწიფოს დაპირისპირების პერიოდი, ზემოთ აღნიშნულის ნათელი დადასტურებაა.

თავის მხრივ გეოეკონომიკა მიისწრაფვის ძლიერების ცნება გააიგივოს საერთაშორისო ქსელზე კონტროლის დამყარება-სთან. ძლიერება მომდინარეობს უნარიდან _ შექმნა საერთაშორისო ქსელი (სავაჭრო გზები, ინფორმაციის ან გამოსახულების გადაცემის არხები), გამოიყენო იგი და მისგან მიიღო მოგება. ამასთან ძლიერებას ფლობს ის, რომელიც სტრატეგიულ მდე-ბარეობას იკავებს საერთაშორისო ქსელში და ფლობს თავისი უპირატესობის მაქსიმალურად გამოყენების ტალანტს. პოლიტიკური სამხედრო ძლიერება (რომელიცსაშუალებას იძლევა თავს მოახვიოს საკუთარი ნება, დაემუქროს და მიაყენოს დარტყმა), განსხვავდება იმ ძლიერებისაგან, რომელსაც იძლევა საერთაშორისო ქსელზე კონტროლი, (საშუალებას იძლევა განხორციელდეს დაწოლა და მეტოქის გადმობირება). ამასთან სამხედრო-პოლიტიკურისაგან განსხვავებით გეოეკონომიკური სიძლიერე საშუალებას იძლევა პრობლემის გადაჭრა მიღწეული იქნას შედარებით რბილი მეთოდებით,

ცალკეული შემთხვევების გარდა. თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ გეოეკონომიკა ამარტივებს ძლიერების ტრადიციულ კრიტერიუმებს. ახალ პირობებში ძლიერება ნიშნავს წესრიგის დამყარების უნარს (მაგ. 1990-იან წლებში აშშ საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვ-ნელოვანი მიზანი იყო ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის შენარჩუნება, კერძოდ, ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის შენარჩუნება და ამ ქვეყნის ბირთვული ამბიციების წინააღმდეგ ბრძოლა. XXI ს. დასაწყისში იგივე პრობლემა გაჩნდა ირანთან მიმართებაში). ამასთან იერარქია, რომელსაც გვთავაზობს გეოეკონომიკა, საკმაოდ მრავალვარიანტული და ჯერჯერობით გაურკვეველია. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ქალაქი-სახელმწიფო სინგაპური, რომელსაც გააჩნია ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა და საერთაშორისო გაცვლებისათვის ფლობს შესანიშნავ ინფრასტრუქტურას. ამასთან სინგაპური ძალიან სუსტი ადგილია. თავისი სიტუაციით იგი გვაგონებს ევროპის სავაჭრო ცენტრებს (ვენეციას, ამსტერდამს), რომლებიც იმყოფებიან ბიუროკრატიზირებული სახელმწიფოების ხელისუფლების ქვეშ. მეორეს მხრივ 1990-იან წლებში გაცვლების შედეგად სწრაფად გაიზარდა ჰონკონგის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობის სისტემაში. ამდენად, მობილურობა, ცვლილებებზე სწრაფი რეაგირებისა და შეგუების უნარი წარმოადგენს მნიშვნელოვან გეოეკონომიკურ კოზირს თანამედროვე განვითარებაში, რაც ორგანულად უნდა ჯდებოდეს ახალი მსოფლიოს გეოპოლიტიკური წესრიგის ჩარჩოებში.

10.3 გლობალური ეკონომიკური სივრცის ასიმეტრულობის გეოეკონომიკური მოდელი

გლობალური ეკონომიკური სივრცის ასიმეტრიულობის გეოეკონომიკური მოდელები თანამედროვე პოლიტეკონომიკურ, საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ და გეოეკონომიკურ კვლევებში აქცენტი კეთდება სივრცისა და ეკონომიკის ურთიერთკავშირზე. თანამედროვე გეოეკონომიკისათვის მნიშვნელოვანია სივრცის გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტების ურთიერთკავშირის შესწავლა. ამ მხრივ, თანამედროვე გეოეკონომიკურ კვლევებში აშკარად შეიმჩნევა 4 ძირითად გეოეკონომიკურ მოდელზე ფოკუსირება. ეს მოდელებია:

- *ლიბერალურ-გეოეკონომიკური მოდელი;*
- *კონსერვატიულ-რადიკალური მოდელი;*
- *შერეულ˜-ემპირიული მოდელი;*
- *გლობალური კარების˜ მოდელი.*

ის ლიბერალური და კონსერვატიულ-რადიკალური მოდელები, რომლითაც ხდება თანამედროვე მსოფლიოს გეოეკონომიკური სტრუქტურის აღწერა, გარკვეულწილად უპირისპირდებიან ერთმანეთს. ამასთან, ეს ორივე მოდელი ატარებს მძლავრ ნორმატიულ-იდეოლოგიურ მუხტს. ლიბერალების აზრით, ეკონომიკური აქტივობა უკავშირდება მსოფლიოს სივრცობრივი სტრუქტურის ერთგვაროვნებისკენ სწრაფვას. კონსერვატიულ-

რადიკალური მოდელის მიხედვით კი, მსოფლიო ეკონომიკა შეუძლებელია სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ხარისხობრივი არაერთგვაროვნების ანუ ერთის მეორეზე გავლენის გარეშე.

,,შერეული“ მოდელი ატარებს ემპირიულ ხასიათს. იგი აერთიანებს ეკონომიკური ერთგვაროვნებისა და არაერთგვაროვნების იდეებს. ამასთან, სხვადასხვა ტიპის აქტორთა სტრუქტურ შემქმნელი საქმიანობა განსაზღვრავს ჰომოგენიზაცია და იერარქიზაციის ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციების თანაფარდობას. ამ მოდელში საუბარი უკვე აღარაა თანაბარ სარგებლიანობაზე ან ექსპლუატაციაზე, რომელიც მეტაფიზიკურია შრომის გლობალური დანაწილების ბუნებაში. ვფიქრობთ, თვით ისტორია ქმნის ისეთ სტრუქტურებს, რომლებიც ხასიათდებიან ეკონომიკური შესაძლებლობების განაწილების უთანაბრობით.

ინგლისელი პოლიტეკონომიის კლასიკოსის, ადამ სმიტის თეორიის მიხედვით, ქვეყნებს შორის გაცვლები ურთიერთსასარგებლოა ნებისმიერ შემთხვევაში, რადგან მას მივყავართ შრომის განაწილების ეფექტურობამდე და შედარებითი უპირატესობის გამოყენებამდე. თუმცა, მან თავის კვლევებში საერთოდ არ გაამახვილა ყურადღება პრობლემის ტერიტორიულ (გეოგრაფიულ, გეოეკონომიკურ) ასპექტზე. მთლიანობაში, ადამ სმიტისთვის სოციალურ-ეკონომიკური სივრცე ერთგვაროვანია. არაერთგვაროვანება არსებობს მხოლოდ ბუნებრივი ხასიათის შედარებითი უპირატესობის განაწილებაში.

შედეგად ემპირიულად შემჩნეული ყველა მხარის უთანაბრობას ეკონომისტი ლიბერალები ჩვეულებრივ ხსნიდნენ მოდერნიზაციის უთანაბრობით. ამასთან, ფაქტია, რომ მსოფლიო ვაჭრობა ხელს უწყობს ღარიბი ქვეყნების განვითარებას, რითაც პოლიტიკური სტრუქტურების სივრცობრივი არაერთგვაროვნება “დროებითი” ფაქტორით შეიძლება აიხსნას. ზოგიერთმა ტერიტორიებმა “გაასწრეს” დროს, ხოლო “ჩამორჩენილი” ტერიტორიები მოწინავე ტერიტორიებთან ინტენსიური ურთიერთკავშირის ხარჯზე ცდილობენ შეამცირონ ეს ჩამორჩენა.

მსოფლიო, როგორც არაერთგვაროვანი სოციალურ-ეკონომიკური სივრცე, გამოვლენილია “გლობალური” სოფლის მოდელში (მც. ლუჰან: 1989), რომლის მიხედვითაც გლობალიზაციის პროცესის განვითარების კვალობაზე ხდება მსოფლიოს სოციალურ-კულტურული ინტეგრაცია და ჰომოგენიზაცია. ზოგიერთი მეცნიერი და პუბლიცისტი ემხრობა მსოფლიო ეკონომიკაზე მონეტარულ შეხედულებებს (მ. ფრიდმანი). ისინი ვარაუდობენ, რომ სწორედ გლობალური ეკონომიკაა ის ფენომენი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური და პილიტიკური ურთიერთკავშირების ისეთ მეტნაკლებად თანაბარ განაწილებას, რომელიც გლობალური ეკონომიკის ყველა აქტორისათვის უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებსა და (იდეალურ ვარიანტში) სტაბილურ განვითარებას.

კონსერვატულ-რადიკალური მოდელი გულისხმობს, კლასიკური ინგლისური პოლიტეკონომიის რადიკალურად საპირისპიროს. ამ მოდელში კონტინენტური ევროპის, როგორც კონსერვატორული, ასევე რადიკალურ-სოციალისტური მიმართულებების მოაზროვნეები ხაზს უსვამენ სივრცის სოციალურ-ეკონომიკური ერთგვაროვნების აუცილებლობას. ამასთან, საუბარია მათ შორის შრომის არა უბრალო დანაწილებაზე, არამედ მსოფლიოს ერთი ტერიტორიის მიერ მეორე ტერიტორიის გეოეკონომიკურ კონტროლზე.

გერმანულ ეკონომიკურ სკოლაში ეკონომიკური სივრცის ხაარისხობრივი არაერთგვაროვნების პრობლემის კვლევა ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისიდან მომდინარეობს. კერძოდ, ქალაქების გარშემო სასოფლო-სამეურნეო წარმოწყების ეკონომიკური იერარქიის პრობლემა დააყენა ჰენრიხ ფონ ტიუნენმა თავის ნაშრომში "იზოლირებული სახელმწიფო". მმსგავს იდეებს სახელმწიფოთა ეკონომიკურ სისტემაზე დაყრდნობით ანვითარებდა ისტორიკოს-ეკონომისტი ფრიდრიხ ლისტი. ინგლისური ფრიტრეიდერობის საპირისპიროდ, იგი მიუთითებდა საგარეო ვაჭრობის შეზღუდვის აუცილებლობაზე, რათა განვითარებულიყო ქვეყნის საწარმოო ძალები. მმისი აზრით, ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისათვის თავისუფალ ვაჭრობას მივყავართ ძლიერი ეკონომიკის ქვეყნების მხრიდან მათ ეკონომიკურ "კოლონიზაციამდე". რაც შეეხება კლასიკურ მარქსიზმს, მან აქცენტი გააკეთა კაპიტალისტური ეკონომიკური სივრცის შიგნით არსებულ ექსპლუატაციაზე. ამასთან, მარქსისა და ენგელსის პროლეტარები და ბურჟუაზია, უპირველეს ყოვლისა, ცხოვრობდნენ ევროპაში. თუმცა, მარქსისტების შემდგომი თაობა ხაზს უსვამდა კოლონიების როლს კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის ფორმირებაში. მოგვიანებით მეტროპოლიებსა და კოლონიებს შორის სივრცობრივი დიფერენციაცია ხდება მარქსიზმისათვის გარკვეული პარალელის გავლების საფუძველი, მუშებსა და კაპიტალისტებს შორის ანტაგონისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში.

მსგავსი იდეები ფ. ბბროდელზე დაყრდნობით განავითარა ი. ვალერშტაინმა "მსოფლ-სისტემების თეორიაში". აამ თეორიის თანახმად, მსოფლიო წარმოადგენს იერარქიულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას. სადაც ხდება შრომის არა მარტივი დანაწილება, არამედ სისტემაზე, სადაც მიმდინარეობს ბირთვი სახელმწიფოების მიერ პერიფერიული ტერიტორიების ექსპლოატაცია. მსგავსი ხედვები დამახასიათებელია, უპირველეს ყოვლისა, იმ ქვეყნების ნაციონალისტურად განწყობილი პოლიტიკური და ინტელექტუალური წრეებისათვის, რომლებიც არ შედიან ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების რიგში (ამ მხრივ გამირჩევიან რუსეთი, ჩრდილოეთი კორეა, კუბა,).

რაც შეეხება "შერეულ-ემპირიულ" მოდელს, იგი უპირველეს ყოვლისა, სათავეს იღებს ფ. ბროდელის შრომებიდან. მისი შეხედულებების თანახმად, ისტორიულად არსებობდა განსაკუთრებული სტრუქტურები: ეკონომიკის სამყარო, რომელიც შედარებით ჩაკეტილი იყო სხვა ეკონომიკის სამყაროთა მიმართ. მათი საზღვრები კი საკმაოდ მყარი იყო. ამჟამად, ჩვენ ვცხოვრობთ გლობალური ეკონომიკური სამყაროს პირობებში, რომელიც შეიქმნა

დასავლეთევროპული ეკონომიკის სამყაროს ექსპანსიით და სათავეს იღებს დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქიდან. ამჟამინდელი ეკონომიკის სამყაროთა სტრუქტურა ძლიერ არასტაბილურია. იგი სიმჭიდროვეს და "სიღრმეს" ფლობს მხოლოდ ცენტრალურ ზონაში.

თანამედროვე მსოფლიოს გეოეკონომიკური სტრუქტურიზაციის ფ. ბროდელის მსგავსი მოდელი დამუშავებულია "გლობალური კარების" თეორიის ჩარჩოებში . ამ თეორიის ფორმატში მსოფლიო ეკონომიკა განიხილება, როგორც მრავალსაფეხურიანი სისტემა, რომლის "ზედა" სართულს შეადგენს ე. წ. "გლობალური სამყაროს კარების" ქსელი (ჩვენი აზრით, ის არის თანამედროვე გეოეკონომიკური მოდელი). მოიაზრებენ იმ მეგაპოლისების კომპაქტურ ტერიტორიებს, რომლებიც თავის თავში ითავსებს სატრანსპორტო კვანძების, ფინანსური ცენტრების,ასევე განათლების, მეცნიერებისა და პოლიტიკური გავლენის ფუნქციებს.

"გლობალური სამყაროს კარები" უზრუნველყოფს იმ ფართო ტერიტორიების შესვლას გლობალურ ეკონომიკაში, რომლებიც შედიან მათი ეკონომიკური და პოლიტიკური მიზიდულობის სფეროში. რასაკვირველია, ყველა ქვეყანას არ გააჩნია ასეთი "კარები". აამიტომ, მან შეიძლება მოიცვას არა ერთი, არამედ რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორია, ამდენად, "გლობალურ კარების" (პირველი რიგის), "რეგიონალ კარებს" (მეორე რიგის), "გლოკალურ კარებს" (მესამე რიგის) და "ლოკალურ კარებს" (მეოთხე რიგის).

"გლობალური კარების" ფორმირებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ტრანსაქციული ეკონომიკა (სხვადასხვა მაღალსპეციალიზირებული ფინანსური და მენეჯერული მომსახურება), ცოდნის ეკონომიკა (განათლების, მეცნიერებისა და კვლევების სფეროსი საქმიანობა), ასევე, თანამედროვე სატრანსპორტო და კომუნიკაციების ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დიდი დინების სწრაფ გადაცემას და ადამიანური კონტაქტების მედიაციის უნარს (აეროპორტები, სასტუმროები, საკონფერენციო დარბაზები და ა.შ.). "კარების" ტერიტორიებზე ტავმოყრილია იმ აზრებისა და ტექსტის სახეები (სემიოტიკური აზრით), რომელთა ტირაჟირება ხდება გლობალურ დონეზე (კინოწარმოების ცენტრები, საინფორმაციო საგენტოები, გლობალური ტელეკომუნიკაციების საშუალებები, მაღალი მოდა, საგამომცემლო ინდუსტრია, გლობალური რეკლამა და გლობალური პიარი).

"გლობალური კარები" იქმნება ერთ გეოგრაფიულ წერტილში სოციალური ქსელების უკიდურესად მაღალი კონცენტრაციით, უპირველეს ყოვლისა კი ნდობის ქსელებით. სხვადასხვა ტიპის სოციალური ქსელების კონცენტრაცია ერთ წერტილში უზრუნველყოფს ტრანსსაქციული დანახარჯების მკვეთრ შემცირებას, რის შედეგადაც უდიდეს ტერიტორიებზე ხდება შუამავალი ცენტრების აღმოცენება ურთიერთქმედების ყველა ტიპისათვის. ტეკონომიკურ მოსაზრებებს (მაგ., საზღვაო ქვეყნების სავაჭრო ეკონომიკის თანაფარდობა ხმელეთის ქვეყნების ნატურალურ ეკონომიკასთან) დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტრადიცულ გეოეკონომიკაში. ggეოეკონომიკა, ბოლო წლებში იგი საკმაოდ სწრაფად

ვითარდება მთელს მსოფლიოში, ვინაიდან ძალიან არის გაზრდილი ეკონომიკური პროცესების როლი გლობალური სივრცის პოლიტიკურ სტრუქტურიზაციაში.

ამ კონცეფციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო გამომხატველია ედვარდ ლუტვაკი. სტატიაში ,,გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიისაკენ: კონფლიქტის ლოგიკა, ვაჭრობის გრამატიკა“ ის უპირისპირებს საგარეო გეოპოლიტიკურ მიზნებს გეოეკონომიკას, როგორც სტრატეგიას, რომელიც ორიენტირებულია ეკონომიკურ შეჯიბრში გამარჯვებაზე (გ. კვინიკაძე : 2008).

გეოეკონომიკის მეორე ფუნდამენტური იდეაა წარმოდგენები თანამედროვე მსოფლიოს სამ წამყვან ეკონომიკურ ზონაში უპირატესი გეოპოლიტიკური როლის შესახებ: ჩრდილოეთ ამერიკის სივრცე აშშ-ს ირგვლივ, ევროპის ტერიტორია, რომელიც ინტეგრირებულია ევროკავშირის შიგნით და აზიური წყნაროკეანური რეგიონი, რომელსაც გააჩნია რამდენიმე ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი ცენტრი (ტოკიო, შანხაი, ტაივანი, ჰონკონგი, სინგაპური).

ამდენად, თანამედროვე გეოეკონომიკური კვლევები ეხება რიგ ურთიერთდაკავშირებულ პრობლემებს, რომელიც მულტიდისციპლინარული ხასიათისაა (ტერიტორია, ეკონომიკა, გეოპოლიტიკა) და რომლის გადაჭრაც მოუწევს ახალ დისციპლინას – გეოეკონომიკას. ეს პრობლემებია: ა) მსოფლიოში ეკონომიკური აქტივობის სივრცობრივი სტრუქტურების კვლევის თანამედროვე მეთოდებით ეკონომიკური პროცესების ურთიერთკავშირების შესწავლა გეოპოლიტიკურ, სამხედრო, გეოცივილიზაციურ სფეროებთან; ბ) მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური ორგანიზაციის ახალი სტრუქტურების (ტნკ, ეკონომიკური რეგიონები, ქალაქები, ქსელური და არაფორმალური სტრუქტურები) გავლენა მსოფლიოს ახალ წესრიგზე (რომელსაც ჩვენ გლობალურ გეოეკონომიკურ წესრიგს ვუწოდებთ, სადაც სახელმწიფოს ეკონომიკური საზღვარი უკვე აღარ ემთხვევა მის პოლიტიკურ საზღვარს); გ) იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც არსებობენ ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუციონალური სტრუქტურის იმ ნაწილში, რომლებიც არეგულირებენ გლობალურ გაცვლებსა და ინვესტიციებს მსოფლიოს სხვადსხვა რეგიონებში სხვადასხვა დონეზე; დ) გლობალური ეკონომიკის სხვადასხვა აქტორთა თანაფარდობის კვლევა შრომის ახალი გეოეკონომიკური დანაწილების საფუძველზე (მაგ. ახალი მაღალტექნოლოგიური, სანედლეულო და ა. შ.); ე) გლობალური ეკონომიკის განვითარება და კრიზისის რეგულირების გეოეკონომიკური ტექნოლოგიების შექმნა სახელმწიფოთა დონეზე.

ლექცია XI

გეოეკონომიკა ტურბოკაპიტალიზმის პირობებში

11.1 სახელისუფლებო ბიუროკრატია

11.2 სახელმწიფო რეგულაციები ეკონომიკაში

11.3 ორი თეორიის დაპირისპირება

11.1 სახელისუფლებო ბიუროკრატია

მსოფლიოში ცოტა თუ მოიძებნება ისეთი მეცნიერი, რომელიც უფრო ზუსტად აღწერდეს თანამედროვეობას, როგორც ამას ახერხებს ე.ნ. ლუტვაკი. დასტურად ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ტერმინი „ტურბოკაპიტალიზმი“ (Turbo Capitalism) გამოდგება, რომლითაც ის აღწერს იმ თანამედროვე გლობალიზებულ და ინფორმატიზებულ მსოფლიოს, რომელშიც ბიზნესი ვირტუალურია, ეკონომიკის რეალური სექტორი ნაკლებად მომგებიანი, ხოლო კაპიტალი ზეეროვნული, სადაც ქრება საშუალო კლასი და იზრდება პოლარიზაცია მდიდრებს და ღარიბებს შორის. ტურბოკაპიტალიზმი იგივე კაპიტალიზმია, მხოლოდ აქ ყველაფერი გაცილებით სწრაფად ხდება და შეიძლება სწრაფად გამდიდრდე კიდეც. დღეს მსოფლიო ეკონომიკის ლოკომოტივები გახდნენ ტრანსნაციონალური ბანკები და კორპორაციები (რომელთა ჯამური ეკონომიკური ძლიერება აღემატება ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოთა პოტენციალს, რომ აღარაფერი ვთქვათ მათი მსოფლიო ფინანსებით მანიპულირების უნარზე უსწრაფესი ელექტრონული ვაჭრობის სისტემების გამოყენებით), რომლებიც მზად არიან, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მოახდინონ კრიზისის პროვოცირება დედამიწის ნებისმიერ წერტილში. დღეს მძლავრი ტრანსნაციონალური აქტორების გარკვეული რაოდენობა „განვითარების ბოლო სტადიაშია, სადაც უქმდება ცენტრი და კორპორაცია ფაქტიურად საყოველთაო გლობალური მსოფლიოს ნაწილი ხდება“ (დავითაშვილი, 2003, 245)

ეს ყველაფერი მიუთითებს მსოფლიოს ფინანსურ-ეკონომიკური ურთიერთობების ხარისხობრივად ახალ მოცემულობაზე, რომელიც უკვე ვერაფრით და ვერავისაგან ველარ კონტროლდება.

“თანამედროვე ეპოქაში პოლიტიკური მიზნები, უპირატესად, გრძელვადიანი ეკონომიკური სტრატეგიით მიიღწევა. იმის მიუხედავად, რომ ყველა საკვანძო გადაწყვეტილებას პოლიტიკოსები იღებენ, მათი ზემოქმედების მარგი ქმედების კოეფიციენტი რეალურ ეკონომიკურ ურთიერთობებზე ბევრად დაბალია. სწორედ ამიტომ, ბევრი პოლიტიკური გადაწყვეტილება სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, შეიძლება მხოლოდ ქაღალდზე დარჩეს იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალის ბრუნვისა და ინვესტიციებისათვის რეალური პირობები არ შეიქმნება” (კვინიკაძე,2014,10). ამიტომ, მნიშვნელოვანი ხდება ის, თუ რამდენად სწორ გეოეკონომიკურ სტრატეგიას ირჩევს სახელმწიფო. ამ სტრატეგიის მიზანს კი უნდა წარმოადგენდეს პოლიტიკური სტრატეგიის

რეალიზების უზრუნველყოფა ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის პირობების შექმნის საფუძველზე. აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის გეოეკონომიკაში გამოიყენება ისეთი გლობალური ფინანსურ-სამართლებრივი ტექნოლოგიები, როგორიცაა მსოფლიო სარეზერვო ვალუტა, გლობალური ვალი, სტრუქტურული ადაპტაციისა და ფინანსური სტაბილიზაციის პროგრამები, „ვაშინგტონის კონსენსუსი“ (ვაშინგტონის კონსენსუსის მთავარ პოსტულატებს წარმოადგენს ვაჭრობის ლიბერალიზაცია, საბიუჯეტო კონსოლიდაცია, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ბაზრების დერეგულაცია და მთავრობის მიერ მართული ეკონომიკური საქმიანობების პრივატიზაცია), ეროვნული და ზეეროვნული (რეგიონული) რისკების მართვის სისტემა და ა.შ.

საერთოდ, ეკონომიკურ თეორიებს აზრი აქვს მხოლოდ გარკვეულ სოციოკულტურულ სივრცეში. ის, რაც ერთ სოციუმში კეთილდღეობის ფუნდამენტს ქმნის, სხვა სოციუმში გამოყენებისას მან შეიძლება საერთოდ ჩამოშალოს არსებული წესრიგი. არასაკმარისი კომპეტენტურობა, პოლიტიკურ ლიდერებში გეოეკონომიკური აზროვნების არქონა ხშირად გამხდარა რიგი წაგებული ეკონომიკური ომების მიზეზი. ქვეყნების კეთილდღეობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენადაა ქვეყანა ინტეგრირებული გლობალურ, ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ ეკონომიკაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, განათლების და სამეცნიერო კვლევების უგულებელყოფა ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოსათვის, მისი მომავალი განვითარებისათვის, ძალიან საშიშია.

მაგალითად, „მაღალი დონის წარმოებას, ახალ ტექნოლოგიას არა მხოლოდ საუკეთესო უმაღლესი განათლება, არამედ ასევე ძვირად ღირებული კვლევითი ცენტრები და ლაბორატორიები სჭირდება. დღეისათვის კვლევით ცენტრში ერთი სამუშაო ადგილის სხვადასხვა მოწყობილობით აღჭურვაზე საშუალოდ 1 მლნ. დოლარი იხარჯება. ტექნოლოგიურ პროგრესს, ძვირად ღირებულ განათლებას და კვლევით სამუშაოებს ღარიბი, სუსტი განათლების სისტემის მქონე ქვეყნები ვერ ქმნიან და უკან რჩებიან. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე სამრეწველო წარმოებისა და ახალი ტექნოლოგიების თვალსაზრისით დაწინაურდნენ ისეთებიც, რომლებიც ადრე ან სხვის კოლონიებს, ან განუვითარებელ, ჩამორჩენილ ქვეყნებს წარმოადგენდნენ – იქნება ეს სინგაპური, ტაივანი, ჰონკონგი, სამხრეთ კორეა თუ ზოგიერთი სხვა ქვეყანა. შვეიცარია, დანია, შვეცია, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, ავსტრია, ფინეთი, ირლანდია შედარებით მომცრო ქვეყნებია, მაგრამ თავიანთი წარმოებითა და უახლესი ტექნოლოგიებით მსოფლიოს წამყვან ქვეყნებს შორის დგანან. მათი ეკონომიკური წარმატების ერთ-ერთი საწინდარი მდგრადი დემოკრატიული სახელმწიფოებრიობაა“ (რონდელი,2014,45).

აღნიშნულ კონტექსტში ე. ლუტვაკმა დაამუშავა სახელმწიფოს მოწყობისა და ფუნქციონირების კომპლექსური ანალიზის განსაკუთრებული მეთოდიკა (როგორც პატარა, ასევე დიდი სახელმწიფოებისათვის). ყველაზე უფრო კონცენტრირებული სახით მისი მეთოდოლოგიური დამუშავებები მოცემულია წიგნებში: „ომისა და მშვიდობის სტრატეგია“

(Luttwak,1987) და „სახელმწიფო გადატრიალება“ (Luttwak,1968). ამ უკანასკნელში ე. ლუტვაკი მსჯელობს სიტუაციებზე, რომლის დროსაც სახელმწიფოს ადმინისტრაციული სისტემა ხელისუფლების მიტაცებისას გამოიყენებოდა, როგორც ინსტრუმენტი. ე.ნ. ლუტვაკმა სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული აპარატი შეადარა „მანქანას“ და მიუთითა, რომ ის, ვინც იღებს მმართველობის ბერკეტებზე ხელმისაწვდომობას, ეუფლება ხელისუფლებას. გარდა ამისა, ის, ვინც ეუფლება მართვის ბერკეტებს, იღებს საშუალებას (როგორც იარაღი) გამოიყენოს ეს მანქანა ოპოზიციის ჩასახშობად და საკუთარი შეხედულებისამებრ გადაანაწილოს ეროვნული რესურსები.

დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც ძლიერია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები, ადმინისტრაციული მანქანა იმყოფება ჯვარედინი კონტროლის ქვეშ, - ერთი მხრივ, საზოგადოების, ხოლო, მეორე მხრივ, პოლიტიკური პარტიების მხრიდან. იმ ქვეყნებში კი, სადაც აღნიშნული ინსტიტუტები სუსტია, მძლავრი სახელმწიფო აპარატი ან ავტორიტარული ლიდერის, ან ადამიანთა ვიწრო ჯგუფის ხელში აღმოჩნდება. სტატიაში „გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკისაკენ: კონფლიქტის ლოგიკა და ვაჭრობის გრამატიკა“ (Luttwak,1990) ე. ლუტვაკი ასევე მსჯელობს სიტუაციაზე, როცა ხდება ადმინისტრაციული აპარატის გამოყენება მსხვილი კორპორაციული ბიზნესის მხრიდან, პოლიტიკოსებისა და დარგობრივი ლობის მონაწილეობით. თეზისი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ეკუთვნის ხალხს, უფრო იდეოლოგიურ და ნორმატიულ მტკიცებათა რიგს განეკუთვნება. სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარადაა. საქმე ისაა, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ადმინისტრაციული ძლიერების გამოყენებისათვის სულაც არ არის საჭირო სახელმწიფოს ბიუროკრატიული აპარატის მართვის ბერკეტების მიტაცება. თანამედროვე ეკონომიკის, ბიზნესის და ტექნოლოგიების განვითარებამ მსოფლიო არენაზე გააჩინა ეკონომიკის ისეთი სუბიექტები, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნე, თავისი ძლიერებით არაფრით არ ჩამოუვარდებიან სახელმწიფოს, ყოველ შემთხვევაში ეს სუბიექტები აიძულებენ სახელმწიფოებს ანგარიში გაუწიონ მათ არსებობას და მათ მიერ განხორციელებულ აქტიობებს. თავის მხრივ, ეს სუბიექტები აცნობიერებენ, რომ სახელმწიფო არის ძლიერი რესურსი და მისი პოლიტიკურად აქტიური ბიუროკრატიის მხარდაჭერით მათ შეუძლიათ მეტის მიღწევა, ვიდრე სხვა შემთხვევაში.

ის სახელმწიფო მანქანა, რომლის საფუძვლები დასავლეთის თანამედროვე სახელმწიფოებში დღემდეა შემორჩენილი, ჩამოყალიბდა განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში და წარმოადგენდა „ცენტრალიზებული სახელმწიფოს“ მოდელს. ჩინოვნიკების ორგანიზაციული არმიის ფორმირების პროტოტიპია სამხედრო წარმონაქმნების მოდელი. „როგორც ჩანს, ყველა სახელმწიფო შექმნილია ომისათვის ან, უკიდურეს შემთხვევაში, ისინი ჯერ კიდევ არიან სტრუქტურირებულნი ისე, ვითომ ომი მათი ყველაზე მნიშვნელოვანი დანიშნულებაა“ (Luttwak,1993,315). იმისათვის, რომ აღნიშნულ საკითხში უკეთ გავერკვეთ, ცოტა გადახვევას გავაკეთებ და მივმართავ ისტორიას.

თავდაპირველად, სამოქალაქო სამსახურების უმაღლესი ეშელონების, ისევე როგორც საჯარისო ქვედანაყოფების, ბირთვს შეადგენდა თავადაზნაურობა. შემდგომ, ადმინისტრაციული სისტემის ზრდის და მის წინაშე მდგარი ამოცანების გართულების

კვალობაზე, ბიუროკრატიული იერარქიის უმაღლეს თანამდებობებზე უკვე ხვდებოდნენ დაბალი ფენის ნიჭიერი ადამიანები. რაღაც მომენტიდან განათლების კრიტერიუმი აუცილებელი გახდა სახელმწიფო სისტემაში მაღალი თანამდებობის დასაკავებლად, იმის მიუხედავად, თუ საზოგადოების რომელ ფენას ეკუთვნოდნენ ამა თუ იმ ადგილის დასაკავებლად მებრძოლი კანდიდატები.

საწყის ეტაპზე დასავლეთის საზოგადოების დემოკრატიზაციას და პარლამენტების გაჩენას არ მოჰყოლია ბიუროკრატიული სისტემისათვის კადრების შერჩევის პრინციპების ცვლილება. ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშნული ადამიანების განათლება უნდა ყოფილიყო საშუალო სტატისტიკურზე მაღალი, სასურველი იყო თუ, ჩინოვნიკი მაღალი ფენის, მდიდარი და ცნობილი ოჯახიდან იქნებოდა. მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე ექნებოდა საკუთრება (მაგალითად, მიწა უძრავი ქონება, წარმოება და ა.შ.) ან, უკიდურეს შემთხვევაში, ექნებოდა პროფესიონალიზმის ძალიან მაღალი დონე. ამიტომ როგორც არმიის, ასევე ჩინოვნიკთა „ოფიცრობა“ („ოფიცრობაში“ იგულიხმება სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატიულ აპარატში დასაქმებული შედარებით მაღალი რანგის ჩინოვნიკები) წარმოადგენდა თუ პრივილეგირებულ არა, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოების საპატიო ნაწილს.

კაპიტალიზმის განვითარების და საზოგადოების შემდგომი დემოკრატიზაციის პროცესის შედეგად სამხედრო და სამოქალაქო „ოფიცრების“ სტატუსმა მნიშვნელოვნად დაიწია. კერძო კომერციულ სტრუქტურებში საქმიანობა არანაკლებ პრესტიჟული და შემოსავლიანი გახდა. ბიუროკრატიის ელიტური ნაწილი გადაიქცა „ხალხის მოსამსახურედ“. თანამედროვე ჩინოვნიკის განათლების დონე დღეს არ აღემატება კერძო კომპანიაში დასაქმებულის ანალოგიურ მაჩვენებელს, მეტიც, ითვლება, რომ ჩინოვნიკის შრომის ეფექტიანობა უფრო დაბალია, კერძო სექტორში დასაქმებულთან შედარებით.

ამდენად, ადმინისტრაციულმა სისტემებმა შეინარჩუნეს ორგანიზაციის ადრინდელი კვაზი-სამხედრო ლოგიკა, მაგრამ დაკარგეს თავისი სოციალური სტატუსი, ისინი უკვე აღარ წარმოადგენენ საზოგადოების ელიტურ ნაწილს და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, რაღაც ზომით მათ დაკარგეს იდეოლოგიური ლოიალობა ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ. ისინი კვლავ იმყოფებიან სახელისუფლებო და პოლიტიკური ელიტის დაქვემდებარებაში, მაგრამ მათთან უკვე აღარ აკავშირებთ „კლასობრივი ერთიანობა“, აღარ აქვთ საერთო ინტერესები და უპირობო ერთგულება. ბიუროკრატებს დღეს შეუძლიათ ემსახურონ ნებისმიერ პოლიტიკურ ელიტას, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოვა, იმის მიუხედავად, თუ საზოგადოების რომელი ფენის წარმომადგენლები იქნებიან ხელისუფლების სათავეში.

მაგალითად, აღნიშნულთან დაკავშირებით ა. რონდელი მიუთითებს, რომ ნებისმიერი ქვეყნის წინსვლა-განვითარება და, რა თქმა უნდა, ძლიერება დამოკიდებულია ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე განათლებულ, ყველაზე განვითარებულ ნაწილზე, რომელსაც ხშირად ელიტას უწოდებენ... ელიტა მოსახლეობის ის შედარებით მცირე ნაწილია, რომელიც

იღებს გადაწყვეტილებებს, წარმართავს ერის ცხოვრების სხვადასხვა სფეროს, იღებს პასუხისმგებლობას საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიზნებსა და მათი მიღწევისათვის საჭირო სტრატეგიაზე, უზრუნველყოფს თავისი ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას და ღირსეულ ადგილს საერთაშორისო თანამეგობრობაში. თუ ქვეყანას ჰყავს ნამდვილი ელიტა, მაშინ ბევრად უფრო ადვილი ხდება ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრა და გამოწვევებთან გამკლავება. ჭეშმარიტი, უნარიანი ელიტის შექმნას არა მხოლოდ კარგი აღზრდა-განათლება, არამედ სტაბილურად და ეფექტურად მომუშავე სახელმწიფო მანქანა და სათანადო დრო ესაჭიროება. თუ ქვეყანაში ვერ გაიზარდა, ვერ ჩამოყალიბდა პასუხისმგებელი და მომზადებული ნადვილი ელიტა, ამ ქვეყანას კარგი მომავალი ვერ ექნება (ა.რონდელი, 2015).

სხვადასხვა ქვეყნაში არსებობს კარიერულ საფეხურზე აღმასვლის საკუთარი პრინციპები ან „სოციალური ლიფტის“ სარგებლობის საკუთარი საიდუმლოებები, მაგრამ ისინი ყოველთვის არ გულისხმობენ დაბალი თანამდებობიდან სულ უფრო მაღალ თანამდებობებზე ასვლას. სახელისუფლებო ელიტის წარმომადგენლები ყოველთვის როდი წარმოადგენენ ბიუროკრატიას, რომლებმაც მიაღწიეს „გენერლის ჩინს“. პოლიტიკური კარიერა განსხვავდება ადმინისტრაციული კარიერისაგან, ყოველ შემთხვევაში ეს ერთი და იგივე არ არის. ჩინოვნიკები, რომლებიც არჩევით თანამდებობებს იკავებენ, ხშირად სრულიად განსხვავებულნი არიან იმ საკუთარი კოლეგებისაგან, რომლებიც თანდათანობით ადიან ადმინისტრაციულ საფეხურებზე. ასევე თანდათან იცვლება ყველაზე ამბიციური და წარმატებული ბიუროკრატიის პრიორიტეტები. თითოეულ ქვეყანაში ყალიბდება მისთვის დამახასიათებელი სიტუაცია, მაგრამ მომეტებული „გეოეკონომიკური აქტიურობით“ გამორჩეულ ქვეყნებში უკვე აღარაა მოდაში სამხედრო ან კლასიკური დიპლომატიური კარიერა, იქ გაცილებით პრესტიჟულია იმ სფეროებში მუშაობა რომელიც სწორედ ამ გეოეკონომიკურ აქტიურობას ემსახურება.

მაგალითად, ცნობილია რომ, „ომები და დიპლომატიური ინტრიგები, როგორც წესი, ამბიციურ არისტოკრატებს იზიდავდა. მაღალი ჩინის სამხედროები ან დიპლომატიური თანამდებობები სწორედ არისტოკრატებს ეკავათ. გეოეკონომიკური ომების გენერლები არანაკლებ ამბიციური პერსონაჟები არიან. მათ ისევე უნდათ მსოფლიო არენაზე წამყვანი პოზიციების დაკავება, მათ უნდათ იყვნენ ისინი, ვინც ქმნის ტექნოლოგიებს და არა ისინი, ვინც დაკავებულია უცხო ლიცენზიებით რეალიზებულ, ორიგინალობას მოკლებულ წარმოებით ან/და იყვნენ ისინი, ვინც ქმნის ახალ პროდუქტს და არა ისინი, ვისაც ქვეყანაში შემოაქვს უცხოური საქონელი“ (Luttwak,1993,310).

რას წარმოადგენენ ხელისუფლების მპყრობელები, რით განსხვავდებიან ისინი ჩინოვნიკების არმიისა და "day to day" პოლიტიკოსებისაგან, ამის ზუსტად განსაზღვრა ძალზედ ძნელია.

11.2 სახელმწიფო რეგულაციები ეკონომიკაში

ე. ლუტვაკი თავის შრომებში (Luttwak,1991; Luttwak,1993; Luttwak,1999) აღნიშნავს, რომ მიმდინარეობს სახელმწიფოს ადმინისტრაციული სიტემის თანდათანობითი კომერციალიზაცია. XX საუკუნის 80-ანი წლებიდან მოყოლებული, ლიბერალური ეკონომიკის ქვეყნებში შეინიშნება სახელმწიფოს როლის შემცირების ტენდენცია, ტოტალური პრივატიზაცია, მრავალი ტიპის კომერციულ და ფინანსურ აქტიობაზე სახელმწიფო კონტროლის მოხსნა, სოციალური ხარჯების შემცირება.

ზოგადად, ეკონომიკაში სახელმწიფო რეგულირების შემცირება (განსაკუთრებით ფინანსურ სფეროში) ნამდვილად უწყობდა ხელს ეკონომიკის ზოგიერთი დარგის სწრაფ განვითარებას. კერძოდ, ეს ეხება მაღალ კომპიუტერულ და ბიოტექნოლოგიებს, ასევე საბანკო და ფინანსურ მომსახურებას, რომლებმაც უზრუნველყო კონცენტრირებად კაპიტალთან სწრაფი ხელმისაწვდომობა. კაპიტალის კონცენტრაციის ეს მექანიზმი, ერთი მხრივ, იძლევა ეკონომიკის სწრაფი ზრდის საშუალებას გარკვეულ მაღალტექნოლოგიურ სფეროებში, ხოლო, მეორე მხრივ, ახდენს ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სწრაფ კაპიტალიზაციას. ყველაფერი ეს კი ძალიან გავს ტურბორეაქტიული ძრავის მუშაობას. შესაძლოა სწორედ ამიტომ შემოიტანა ე. ლუტვაკმა ტერმინი „ტურბოკაპიტალიზმი“, რითაც მან აღნიშნა თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი და განვითარების პერმანენტულ რეჟიმში მყოფი კაპიტალიზმი.

ტურბოკაპიტალიზმის ძირითადი პრინციპია საქმიანი და ფინანსური აქტიურობა, რომელიც უზრუნველყოფს კაპიტალის სწრაფ ზრდას და ამ პროცესში კიდევ უფრო მეტი ფულის მოზიდვას. ამ პროცესს ე. ლუტვაკი ადარებს „ცეცხლის ქარიშხალს“, რომლის მეშვეობითაც ამერიკელები და ინგლისელები წვავდნენ გერმანულ ქალაქებს მეორე მსოფლიო ომში. თავის სქემებში სამხედრო სტრატეგები ეყრდნობოდნენ ჰაერის ნაკადების ცვლილებებს, რომლებიც გადაადგილებას იწყებდნენ დაბომბვების შედეგად გაჩენილი ხანძრების ეპიცენტრისაკენ, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა ხანძარს. შედეგად, ამ ცეცხლის ქარიშხალში იწვებოდნენ მთელი რიგი ქალაქები.

ფინანსისტები კი ცეცხლოვანი გრიგალის ნაცვლად იწყებენ ფინანსური ნაკადების გრიგალის გაშვებას. კაპიტალის სწრაფი კონცენტრაციის, კრედიტების სწრაფად გაცემის და სწრაფი დივიდენდების ან მოგების მიღების სხვა ფორმების მექანიზმების დამუშავება სულ უფრო და უფრო მეტი ფულის კონცენტრაციის ეფექტს იძლევა, რომელიც შემდეგ მიემართება „ფინანსური წვის ეპიცენტრისაკენ“. ეს ეპიცენტრები კი განლაგებულია იმ ზონებში, რომლებიც მაქსიმალურად თავისუფალია სახელმწიფოს მხრიდან კონტროლისაგან, ანუ საუბარია ანგლოსაქსურ ქვეყნებზე.

ტურბოკაპიტალიზმი იწვევს ეროვნული რესურსების გადანაწილებას. ქვეყნის მასშტაბით ინტელექტუალური, ფინანსური და ორგანიზაციული რესურსები იწყებენ თავმოყრას იმ ფინანსურ-საბანკო სფეროს ირგვლივ, რომლებშიც აკუმულირებულია მოგების

ყველაზე მაღალი პროცენტი ყველა ბიზნესაქტივობიდან. თავმოყრის სხვა პოლუსია ბიზნესის ის სფეროები, რომლებსაც პერსპექტიული კომერციული პროექტები გააჩნიათ, რომელთა აქციები ან/და დერივატები (დერივატი არის ხელშეკრულება, რომელიც ეფუძნება ვალუტების, ფასიანი ქაღალდების კურსებს, მფლობელს აძლევს შესაძლებლობას დაიფიქსიროს საქონლის ყიდვის ან/და გაყიდვის ხელსაყრელი ფასი) პერსპექტივაში მაღალ მოგებას იძლევიან.

რადიკალური ლიბერალიზმის წარმომადგენელთა მიერ დამუშავებული სტრატეგიის თანახმად, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის პერსპექტიული და სწრაფად განვითარებადი დარგების სტიმულირებას უნდა მოყვეს სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემის გარდაქმნა და მოდერნიზაცია, რაც ეკონომიკას უფრო კონკურენტუნარიანს გახდის. სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევის შემცირებამ ეკონომიკას დიდი მობილობა უნდა მიანიჭოს, ხოლო საბანკო სფეროს განთავისუფლებამ ზედმეტი კონტროლისაგან უნდა უზრუნველყოს ბიზნესის ახალი, სწრაფად განვითარებადი სფროების ან უკვე არსებული წარმატებული კომპანიების პერსპექტიული პროექტების სწრაფი კრედიტირება და ინვესტირება.

იმისათვის, რომ მოსახლეობაში აკუმულირებული ფინასური დანაზოგები არ გავიდეს ქვეყნიდან, ლიბერალებმა აამოქმედეს პროგრამა, რომლის მიზანია საქონლისა და მომსახურების სტიმულირება, ხოლო ისინი, ვინც ვერ მოერგო ახალ პირობებს, მათთვის მოხმარების მაღალ დონეს უზრუნველყოფდა პროგრამა, რომელიც პროპაგანდას უწევდა „ცხოვრებას კრედიტით“.

მაგალითად, აშშ ფულის ღირებულება ისტორიულ მინიმუმს უტოლდება. ჩნდება შეკითხვა: რამდენად წარმატებული აღმოჩნდება "ზეიაფი" ფულის გამოყოფის პოლიტიკის გატარება? "იაფი ფულის" დარიგებას ნებისმიერ მსურველზე ფედერალური სარეზერვო სისტემის წინა მეთაური ალან გრინსპენი (1987 წლის 11 აგვისტოდან 2006 წლის 31 იანვრამდე აშშ-ის ფედერალური რეზერვის მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე) თანმდევი საკანონმდებლო მხარდაჭერის ფონზე ახორციელებდა. შეიცვალა ბანკების მუშაობის ზოგიერთი პრინციპი. სწორედ ამგვარმა პრაქტიკამ წარმოშვა უძრავი ქონების ბაზარზე "ფინანსური ბუშტები" (http://www.aaf.ge/).

ყველა ამ პროგრამამ მართლაც მოახდინა ეკონომიკის გარდაქმნა და მისი პერსპექტიული მიმართულებების სწრაფი განვითარება, მაგარამ გადაჭარბებული რადიკალიზმისაკენ სწრაფვამ ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში შექმნა რიგი პრობლემები. კერძოდ, საბანკო სფეროში გაჩნდა ე.წ. „ფინანსური ბუშტები“; ქვეყნის მოსახლეობა არასაკმარისად მობილურია იმისათვის, რომ ფეხი აუწყოს სწრაფად ტრანსფორმირებად ეკონომიკას, რომელიც მოითხოვს პროფესიონალიზმის ახალ ტიპებს და დონეებს; ბევრი პერსპექტიული პროექტი არარეალურია; ეროვნული ბიზნესის ეკონომიკური ექსპანსიისათვის ახალი რეგიონების ძიებაში ამ ბიზნესის საწარმოო და სხვა

სამსახურები გადადიან მართვისათვის გაცილებით ხელსაყრელ ქვეყნებში, რაც ზრდის სტრუქტურული უმუშევრობის გავრცელების რისკებს.

საშინაო პოლიტიკაში ახალმა ეკონომიკურმა სტრატეგიამ გამოიწვია სახელმწიფოს „საგანმანათებლო-აღმზრდელობითი“ მისიის შემცირება, რომელიც ჩაანაცვლა მოსახლეობის მოხმარების ზრდაზე ორიენტირებულმა პროგრამებმა.

ლიბერალური სახელმწიფოების საშინაო პოლიტიკის წარმატება განისაზღვრება მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპებით, მოსახლეობის სამომხმარებილო აქტიურობით (თუ მოსახლეობას აქვს ეკონომიკის სტაბულურობის განცდა და თუ მათი შემოსავლები იზრდება, ისინი გაცილებით აქტიურები არიან საქონლისა და მომსახურების გაზრებზე, რაც უზრუნველყოფს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდას), და ახალი სამუშაო ადგილების შექმნით. როგორც ბიზნესი, ისე ხელისუფლება დაინტერესებულია იმით, რომ ქვეყანაში გაიზარდოს მოქალაქეების გადახდისუნარიანობის დონე.

გეოეკონომიკურად აქტიური ქვეყნები ახალი ტექნოლოგიების განვითარებისათვის ხშირად მიმართავენ განსაკუთრებული ინკუბატორების შექმნის სტრატეგიას, ხოლო მისი შრომითი კადრებით დაკომპლექტება, როგორც წესი, ხდება პრივილეგირებული უნივერსიტეტებიდან და სამეცნიერო ცენტრებიდან ან/და უკვე მომზადებული სპეციალისტების მოწვევით უცხო ქვეყნებიდან.

დასავლეთის თანამედროვე ქვეყნების (იგულისხმება ის ქვეყნები, რომლებშიც, ე.ნ. ლუტვაკის სიტყვებით, რომ ვთქვათ, ჩამოყალიბდა კაპიტალიზმის ახალი ფორმა - ტურბოკაპიტალიზმი) ერთ-ერთი პრობლემაა ის, რომ ფინანსური, სამრეწველო, სამეცნიერო და ინფრასტრუქტურული ტექნოლოგიების ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებს საყოველთაო განათლების განვითარების ანალოგიურ მაჩვენებელს. ამ მოცემულობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ის, რომ მთლიანობაში განათლების არსებული სისტემა უკვე მოძველდა, მეორე მხრივ კი, არც მთავრობები და არც ბიზნესი დაინტერესებული არაა მის განვითარებაში. მთავრობები არ მიიჩნევენ საჭიროდ ფულის ხარჯვას განათლებაზე, იმ მიზეზით, რომ ამ სფეროს არ ჰყავს საკუთარი ლობი (ძლიერი უნივერსიტეტების გამოკლებით, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, ისინი იქმნებიან განსაკუთრებულ „ინტელექტუალურ გეტოებში“), ამასთან, ბიუჯეტში არსებულ ფულზე გამუდმებული „ომი“ მიმდინარეობს.

ალბათ არ იქნება მართალი განათლებაზე პასუხისმგებლობა ბიზნესს დავაკისროთ, ვინაიდან ის სრულებითაც არაა დაინტერესებული ფართო მასების განსწავლულობით. ამის გარდა, მას არ სურს თავისი ფულითვე გამოზარდოს საკუთარი კონკურენტები. აღნიშნულის შესახებ, წიგნში „ტურბოკაპიტალიზმი: გამარჯვებულები და დამარცხებულები გლობალურ ეკონომიკაში“ ე. ლუტვაკი წერს: „ადამიანისათვის, რომელიც ფლობს რაღაც განსაკუთრებულ ბიზნესსქემებს, იცის, თუ როგორ მოახდინოს რომელიმე ტექნოლოგიის კაპიტალიზაცია, ხელსაყრელია არ ჰყავდეს ბაზარზე სხვა ადამიანები, რომლებსაც გააჩნიათ იმავეს გაკეთების უნარი, ამიტომ ის არ გაუზიარებს თავის გამოცდილებას, არ შეასწავლის ბიზნესიის წარმოების საკუთარ ხელოვნებას“ (Luttwak,1999,31,36).

მოსახლეობის განათლების დაფინანსებისათვის სახელმწიფოებმა თავის თავზე აიღეს ხარჯების ის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის. ტურბოკაპიტალიზმის პირობებში მოსახლეობის ნაწილი აღმოჩნდა მოცემულობაში, როცა მას არ გააჩნია განათლების დამოუკიდებლად მიღების არც ორიენტირები და არც სახსრები, მაშინ, როცა ახალი ცოდნის და უნარების განვითარება „ეკონომიკური გადარჩენის" მნიშვნელოვანი რესურსი ხდება.

11.3 ორი თეორიის დაპირისპირება

XIX საუკუნის ბოლოდან დასავლეთის ქვეყნებში თანდათანობით მკვიდრდებოდა ნორმატიული და სამართლებრივი შეზღუდვები, რომელიც არეგულირებდა ურთიერთობებს არა მხოლოდ ეკონომიკურ სუბიექტებს შორის, არამედ რეგულაციები შეეხო სამუშაოს დამქირავებლის და დაქირავებულ მუშაკებს შორის ურთიერთობებსაც. სოციალისტური რევოლუციების სერიის შემდგომ, სოციალური დაცვის და სოციალური გარანტიებისადმი ყურადღება მნიშვნელოვნად გაიზარდა ზოგადად დასავლეთის, განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებში. „დასავლეთ ევროპაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ძლიერი დემოკრატიული და სოციალისტური ტენდენციები დამკვიდრდა (იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ხელისუფლებაში სულაც არ იყვნენ სოციალისტურად ორიენტირებული მთავრობები). ერთი შეხედვით ისე ჩანდა, რომ კონკურენცია შემოიფარგლებოდა მხოლოდ საცალო ვაჭრობით და ზოგიერთი სამრეწველო და პროფესიული სფეროებით, სოფლის მეურნეობის ჩათვლით. სინამდვილეში პროფესიის ყველა სახეობა და დასაქმებულთა ყველა კატეგორია კონკურენციისაგან იმ კანონით იყო დაცული, რომლითაც რეგულირდებოდა შრომითი ურთიერთობები" (Luttwak,1999,28).

კაპიტალიზმის შეზღუდვა კანონმდებლობით, ასევე მთავრობის, პროფკავშირების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების მხრიდან მასზე კონტროლის დამყარება სახელმწიფოებს გარკვეულწილად აცილებდა სოციალისტური რევოლუციების საფრთხეს. „სოციალისტური პრინციპები რაღაცნაირად ინკორპორირებული (ჩანერგილი) იყო კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სტრუქტურებში, განსაკუთრებული რეგულატორების სახით. ამ დროს სხვადასხვა ქვეყანამ „კონტროლირებადი კაპიტალიზმის" საკუთარი ვარიანტები შექმნა" (Luttwak,1999,27).

თუმცა, გასული საუკუნის 70-იან წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სახელმწიფოთა საშინაო პოლიტიკაში (ეს ცვლილებები შეეხო ანგლოსაქსურ ქვეყნებს, განსაკუთრებით კი აშშ და დიდ ბრიტანეთს), რაც გამოიხატა იმაში, რომ ახალი ლიბერალური შეხედულებების მიხედვით არა მხოლოდ საწარმოო, არამედ ფინანსური და სოციალური სტრუქტურები უკეთ იმართება კერძო პირების მეშვეობით, ვიდრე სახელმწიფო ორგანოების მიერ. ამიტომ, სასურველია გატარდეს სახელმწიფოს საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის მაქსიმალური პრივატიზაცია. რაც თავისთავად ნიშნავდა უარის თქმას კონტროლირებად კაპიტალიზმზე და ტურბოკაპიტალიზმის დამკვიდრებისაკენ

გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა, რომლის წარმოშობა დაკავშირებულია, ერთი მხრივ, კაპიტალიზმის განვითარების ბუნებრივ ლოგიკასთან, რომელიც გავიდა ინტელექტუალური რესურსების კაპიტალიზაციის დონეზე; მეორე მხრივ, იმ ძვრებთან, რომელიც საერთაშორისო დაპირისპირების ლოგიკამ განაპირობა და რომელსაც ე. ლუტვაკი განსაზღვრავს, როგორც გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკაზე გადასვლის პროცესს. აი, რას წერს ე.ნ. ლუტვაკი ამ მოვლენასთან დაკავშირებით: „დაიწყო სახელმწიფოს ყველა სახის ბიზნესის პრივატიზაცია და სხვადასხვა სახელმწიფო და საჯარო ინსტიტუტების გარდაქმნა კერძო მეწარმეობის ინსტრუმენტებად. ამასთან, მსგავს პრივატიზაციას ექვემდებარება სახელმწიფო ობიექტების ფართო სპექტრი: უნივერსიტეტებით და ბოტანიკური ბაღებით დაწყებული, ციხეებით დამთავრებული; ბიბლიოთეკებით და სკოლებით დაწყებული, მოხუცთა თავშესაფრებით დამთავრებული. ამ ყველაფრის სანაცვლოდ სთავაზობენ გაცილებით დინამიკურ ეკონომიკას, რომელიც წარმოქმნის სიმდიდრეს და კეთილდღეობას, მაგრამ არაფერს ამბობენ ამ სიმდიდრის განაწილებაზე“ (Luttwak,1999,27).

ტურბოკაპიტალიზმმა მოახდინა სტრუქტურული გადატრიალება ეკონომიკურ სისტემაში, რომლის მიმართაც პოლიტიკა გარკვეული თვალსაზრისით უძლურია, ვინაიდან ასეთი ეკონომიკური სისტემა განისაზღვრება ბაზრით, რომელიც ვერ კონტროლდება პოლიტიკით (Luttwak,1999).

დასავლეთის სახელმწიფოთა მოდელის საფუძველში დევს ერთმანეთთან დაპირისპირების და მტრობის პრინციპების კომპლექსი, რომლებიც ერთმანეთს იმგვარად აბალანსებენ, რომ არცერთ მათგანს არ აძლევენ რადიკალურად გაძლიერების საშუალებას. ეს მოცემულობა კი სახელმწიფოს, როგორც ერთიანი სისტემის, ფუნქციონირების გაჯანსაღებისას მათი გამოყენების პროცესში „გვერდითი ეფექტების“ ნიველირებას ახდენს. მაგალითად, „დემოკრატიულობის“ პრინციპი კომპენსირდება „უფლებით“ და კანონით, რომელიც არ უშვებს დემოკრატიის პარპაშს, რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს სოციალური უმცირესობების ინტერესების შელახვამდე ან უმრავლესობის მხრიდან ცალკეული მოქალაქეების პირადი თავისუფლების შეზღუდვამდე. დემოკრატიული პრინციპები, თავის მხრივ, ზღუდავენ ლიბერალიზმის გადაჭარბებულ გაძლიერებას მის მიდრეკილებას ეგოცენტრიზმისადმი, ასევე პოტენციური ძალაუფლების და რესურსების კონცენტრაციას წარმატებული ან იღბლიანი მოქალაქეების ხელში. აღნიშნულის მსგავსად, „ლიბერალიზმს“ და „თავისუფალ ბაზარს“ უპირისპირდება „სოციალური პასუხისმგებლობის“, სოციალური გარანტიების, სოციალური დაცულობის ანუ თავისი არსით სოციალისტური (დასავლური გაგებით) პრინციპები. თუ აღნიშნულ საბაზო იდეებს მოვაქცევთ დასავლური იდეოლოგიის კარკასში, მაშინ ტიპიური დასავლური სახელმწიფო ეფუძნება: სამართალს, უფლებას, დემოკრატიას, ლიბერალიზმს, თავისუფალ ბაზარს (კაპიტალიზმი), სოციალურ გარანტიებს (სოციალიზმი), ეროვნულ ტრადიციებს (კონსერვატიზმი).

რადიკალი ლიბერალების თავალსაზრისით, ზედმეტად სამართლებრივი, საზოგადოებაზე ორიენტირებული და კონსერვატორული პარამეტრები ამუხრუჭებენ ეკონომიკის ზრდას და ამცირებენ მის ეფექტიანობას. „ამასთან, დავიწყებულია ის, რომ დასავლეთის სახელმწიფო მოწყობის მოდელების დამუშავებისას ეკონომიკის ეფექტიანობა

არ ყოფილა ერთადერთი ორიენტირი... დღევანდელი ტურბოკაპიტალიზმის ენთუზიასტების თანახმად, სწორედ ამ სამი მეთოდის გამოყენებას უკავშირდება ეკონომიკის ზრდის ტემპების შემცირება, ხოლო სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევა მისი არაეფექტური მართვის მთავარ მიზეზად ცხადდება. ამ ვერსიის მომხრეებს არ ეუხერხულებათ ის გარემოება, რომ მთელი ამ პერიოდის (XX საუკუნის 1950-იანი, 60-იანი და 70-იანი წლები) განმავლობაში, როცა სამივე მეთოდი პრაქტიკაში გამოიყენებოდა, ეკონომიკური ზრდის ტემპები გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე დღეს. ეკონომიკის მართვის ამ სამ მეთოდში იგულისხმება „კონტროლირებადი კაპიტალიზმის" ამერიკული, ევროპული და იაპონური მოდელები. ამ მოდელების არაეფექტურობა კომპენსირდებოდა ფარული უპირატესობებით, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ უზრუნველყოფილი იყო სტაბილურობა და თანხები ინვესტირდებოდა „ადამიანისეული კაპიტალის" გაუმჯობესებაში (ოჯახებში, ბავშვების განათლებაში და ა.შ.)... მაგრამ „მიზეზ შედეგობრიობის ის ჯაჭვი, რომლითაც ერთმანეთს ებმოდა სოციალური სტაბილურობა და ეკონომიკური ზრდა, გაცილებით რთულია. ის ასევე გადის ფსიქოლოგიის და ეგზისტენციის სფეროებზე" (Luttwak,1999,30).

ე. ლუტვაკის აზრით, იმ ორგანიზაციულ-საკნონმდებლო ექსპერიმენტებმა, რომლებმაც მოახდინეს ტურბოკაპიტალიზმის აღმოცენება, გამოიწვია „დასავლეთის ადამიანის" აღწარმოების სისტემის მოშლა. ამერიკელები დაავადდნენ უზომო მოხმარებისადმი მისწრაფებით, ოჯახური ფასეულობები ინგრევა, დასავლეთის ცივილიზებული ქვეყნების მოქალაქეებს არ სურთ იყოლიონ ბავშვები, მიმდინარეობს საზოგადოების სწრაფად დანაწევრების პროცესი. იმ სოციალურ ჯგუფებში, რომლებმაც ვერ შეძლეს ტურბოკაპიტალიზმის ჭავლში მოყოლა, ეცემა განათლების დონე, მატულობს სოციალური პრობლემები, იზრდება უმუშევრობის საშიშროება; ადამიანები ღარიბდებიან სულიერად, ინტელექტუალურად და მორალურად - ადამიანისეული კაპიტალი უფასურდება.

დემოგრაფიულ პრობლემას, რომელიც დასავლეთის ყველა ქვეყანაში არსებობს, ე. ლუტვაკი თვლის უაღრესად მნიშვნელოვნად და, იმავდროულად, საშიშ ტენდენციად. იმ ფაქტმა, რომ ქალებს არ სურთ ბავშვების გაჩენა, შეიძლება გამოიწვიოს მთელი დასავლური ცივილიზაციის დაშლის პროცესი. ამჟამად, დასავლეთის რიგ ქვეყნებში ცხოვრობს, ეთნიკურად და კულტურულად უცხო მოსახლეობა, რომელიც, ამერიკელებისა და ევროპელებისაგან განსხვავებით, მაღალი შობადობით გამოირჩევა. ლიბერალური პრინციპების მეტისმეტად გაძლიერებამ (ბაზრის თავისუფლება და უარის თქმა „კონტროლირებად კაპიტალიზმზე") მოახდინა ყველა იმ დანარჩენი პრინციპების შესუსტება, რომელიც დასავლური საზოგადოების საფუძველს შეადგენს. დანახარჯების შემცირება სოციალურ გარანტიებზე, ეროვნული ტრადიციების ხელშეწყობაზე და შრომისუნარიანი მისახლეობის განათლებაზე - ეს იმის ერთ-ერთი მიზეზია, რომ დასავლურ საზოგადოებას უკვე აღარ შუეძლია უცხო კულტურის იმ წარმომადგენლებთან ასიმილირება, რომლებიც მათ ქვეყნებში სახლდებიან საცხოვრებლად. ჩამოსული მოსახლეობა გაცილებით დიდი სიცოცხლისუნარიანობით, ენერგიით და ეგზისტენციალური ერთიანობით გამოირჩევა ვიდრე ევროპელები ან ამერიკელები. თუ აღნიშნულს დავუმატებთ მათ მაღალ შობადობას (ამჟამად შეინიშნება იმიგრაციის ტემპების გაძლიერება და იმიგრანტებს შორის შობადობის

მაღალი დონე), მაშინ დიდი შანსია, რომ მომავალში იმიგრანტები მოახდენენ დასავლური ცივილიზაციის ასიმილაციას და არა პირიქით.

ე. ლუტვაკის თანახმად, გეოეკონომიკა, გარდა ზემოთ დასახელებული მიზებისა, აღმოცენდა ასევე ორი სოციალური ჯგუფის ინტერესთა გადაკვეთის გამოც. მხედველობაშია მსხვილი ბიზნესი, რომელიც დაინტერესებულია საერთაშორისო ბაზრების ექსპანსიით და ბიუროკრატთა ახალი თაობის გენერაციით, რომლებიც ცდილობენ კარიერის გაკეთებას ახალი გეოპოლიტიკური (გეოეკონომიკური) დაპირისპირების მებრძოლთა რანგში.

მაგალითად, „სახელმწიფოს და კერძო სექტორს შორის ნეგატიური ურთიერთქმედების შემთხვევები არ შეიძლება ხშირად ხდებოდეს, მაგრამ, როცა ხდება საკმაოდ მნიშვნელოვანია. ის გეოეკონომიურად აქტიური ქვეყნები, რომლებიც გამოდიან კონკურენტ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, ასევე „წარმატებით“ შეიძლება დაუპირისპირდნენ უცხოურ კომპანიებსაც, რომლებიც, მათდა საუბედუროდ დაუპირისპირდნენ, ამ ქვეყნის ინტერესებს“ (Luttwak,1990).

აღნიშნულს ალბათ კიდევ უნდა დავუმატო რამდენიმე კომენტარი, რომელიც ნათელს ჰფენს იმ შესაძლებლობებს, რომელიც ტურბოკაპიტალიზმის განვითარებამ მისცა ბიზნესს.

როგორც უკვე აღვნიშნე, სახელმწიფო კონტროლის შემცირებამ ფინანსური საქმიანობის სხავდასხვა სფეროში დასავლეთის სახელმწიფოებს საშუალება მისცა მოეხდინა კაპიტალის სწრაფი კონცენტრაცია და განეხორციელებინა მათი არანაკლებ სწრაფი დაბანდება კომერციული პროექტების ფართო სპექტრში. ამ მექანიზმის წარმატებით მუშაობისათვის აუცილებელია რეალური პერსპექტიული პროექტების არსებობა და მათი პოტენციური ზრდისათვის მაქსიმალურად ფართო ჰორიზონტის დემონსტრირება. ახალი ეკონომიკის სიმბოლო გახდა ბიზნესის მაღალტექნოლოგიური სახეები: კომპიუტერები, ტელეკომუნიკაცია, ინტერნეტი, ბიოტექნოლოგიები და ა.შ., ხოლო მათი განვითარებისათვის ფართო ჰორიზონტები უნდა შექმნას ახალ ბაზრებზე ექსპანსიამ. მაგრამ ვერავითარი ფართო ჰორიზონტები და ახალ ბაზრებზე ინტენსიური ექსპანსია ვერ განხორციელდება, თუ არ მოხდება რეგულაციის გადაჭარბებული ნორმების მოხსნა არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო ეკონომიკაში.

ამდენად, დასავლეთის ქვეყნების ბიუროკრატიაში, რომელიც დაინტერესებულია ნოვაციებიდან სწრაფი ეფექტის მიღებით, ეკონომიკური აქტივობის სწაფი ზრდით, ბიზნესის განვითარებისა და ექსპანსიისათვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნით, საჭიროა უკიდურესი ლიბერალური იდეების ინიცირება. უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, - გეოეკონომიკა ეს არის სახელმწიფოს ეროვნული ეკონომიკის ზრდის და სამამულო ბიზნესის ექსპანსიის მხარდამჭერი საქმიანობა საერთაშორისო ბაზრებზე სივრცის გაწმენდის მიზნით.

ახალ ეკონომიკაში, ისევე როგორც ტურბოკაპიტალიზმში, იგულისხმება ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის შემცირება (როგორც ცალკეული კონკრეტული სახელმწიფოების, ასევე ერთად აღებული ყველა სახელმწიფოსი) და გეოეკონომიკურად აქტიური ქვეყნების

ბიზნესის ექსპანსიისათვის საერთაშორისო სივრცის გახსნა. მაგრამ, მეორე მხრივ, ტურბოკაპიტალიზმი ასევე გულისხმობს ბიუროკრატიის აქტიურობის ზრდასაც იმ სახელმწიფოებში, რომელთაც გეოეკონომიკური ამბიციები გააჩნიათ. „საოცარია, მაგრამ ამ ახალ ტურბოკაპიტალიზმს ძალიან ბევრი აქვს საერთო კომუნიზმის საბჭოთა ვერსიასთან. ის გულისხმობს ერთიან სისტემას, ქცევის მოდელს, საშუალებათა და წესების მსგავს კრებულს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, იგნორირებას უკეთებს ნებისმიერ განსხვავებას სოციალურ ორგანიზაციაში, ტრადიციებში, კულტურაში და ეროვნულ ტემპერამენტში" (Luttwak,1999,27).

ე. ლუტვაკის თეორიულ სქემებში შეიძლება გამოვყოთ საკვლევი ობიექტის, სიტუაციის, მოვლენის, პროცესის ბუნებრივი და ხელოვნური გეგმები. ტურბოკაპიტალიზმი - ეს არის პროცესი, რომელიც წარმოიშვა ჩვენი პლანეტის ღია გეოპოლიტიკურ სივრცეებში კაპიტალიზმის ბუნებრივი განვითარების მეშვეობით, მაგრამ, იმავდროულად, მან შეიძინა ის ფორმები და მიმართულებები, რომელიც დღეს გააჩნია, რაშიც განმსაზღვრელი როლი ითამაშა დასავლეთის წამყვანი ქვეყნების სახელისუფლებო ელიტების ორგანიზაციულმა და ნორმატიულმა მოქმედებებმა. მექანიზმი, რომელმაც ტურბოკაპიტალიზმს მიანიჭა ის აჩქარება (ე. ლუტვაკმა გამოავლინა ჯერ კიდევ 1998 წელს, როცა გამოვიდა მისი წიგნი „ტურბოკაპიტალიზმი"), რომელსაც დღეს ვხედავთ, დაწყებულია ანგლოსაქსური ქვეყნების სახელისუფლებო ელიტების მიერ გასული საუკუნის 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისში (ძირითადად აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში).

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ტურბოკაპიტალიზმი 1980 წელს დაიწყო, როცა ხელისუფლებაში მარგარეტ ტეტჩერის მოვიდა. მ. ტეტჩერი „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს" იდეოლოგიის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში ჩადგა, ხოლო არჩევნებში გამარჯვების შემდგომ შეუდგა ალტერნატიული მიდგომის - მონეტარიზმის რეალიზაციას, რომელიც დაკავშირებული იყო ისეთი გამოჩენილი ეკონომისტის სახელთან როგორიც იყო მილტონ ფრიდმანი (Friedman's,1974),რომლის ძირითადი იდეაა: „ რაც შეიძლება მეტი პიროვნული თავისუფლება და სახელმწიფოს მხრიდან რაც შეიძლება ნაკლები ჩარევა". ფრიდმანი აღიარებს, რომ ადამიანი შეიძლება იყოს არასრულყოფილი და მან შეიძლება დაუშვას შეცდომები, მაგრამ ეს არ არის მისთვის თავისუფლების შეზღუდვის საბაბი, პირიქით. რადგან, ის, ვინც ადამიანს უზღუდავს თავისუფლებას, ანუ მთავრობა, თავად შეიძლება აღმოჩნდეს მცდარი და არასრულყოფილი. ამის უარყოფითი შედეგი კი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე ის, რაც კერძო პიროვნების მიერ დაშვებულმა შეცდომებმა შეიძლება მოიტანოს. ბაზარი, თავისთავად თავისუფლების წყაროა – თვლის მ. ფრიდმანი, ხოლო მთავრობა – მორჩილებისა.

ბაზარი ხელს უწყობს მრავალფეროვნებას, მთავრობა – კონფორმიზმს. ამიტომ, საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებელია, რომ მთავრობის გავლენა მინიმუმამდე შემცირდეს. ფრიდრიხ ოგიუსტ ფონ ჰეიკის აზრით, ჩვენს თაობას დაავიწყდა, რომ კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული წეს-წყობილება თავისუფლების ყველაზე მნიშვნელოვანი

გარანტიაა. ეს კი ასეა მხოლოდ იმიტომ, რომ წარმოების საშუალებების გამგებლობა გადანაწილებულია უამრავ დამოუკიდებლად მოქმედ კონკურენტ ადამიანს შორის, რომელთაც შეუძლიათ თვითონვე გადაწყვიტონ, როგორ უნდა მოიქცნენ. როდესაც წარმოების საშუალებები მხოლოდ ერთ ხელშია მოქცეული, თუნდაც ეს იყოს "საზოგადოება", როგორც ერთიანი მთლიანობა ან დიქტატორი, ვინც არ უნდა ახორციელებდეს ამ ზედამხედველობას, მას ჩვენზე სრული ძალაუფლება აქვს. ის, რასაც ეკონომიკური ძალაუფლება ეწოდება, შეიძლება ძალდატანების საშუალებაც იყოს კერძო პირების ხელში, მაგრამ ის ადამიანის მთელ ყოფაზე ვერასოდეს გავრცელდება. მაგრამ მაშინ, როცა ეკონომიკური ძალაუფლება ცენტრალიზებულია, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების ერთგვარი იარაღი, ისეთ ხარისხის დამოკიდებულებას ამკვიდრებს, რომელიც მონობისგან ძნელად თუ გამოირჩევა (Hayek,1984).

აშშ ეს იდეები ფართოდ იყო გავრცელებული და მისი რეალიზაცია უკვე 1970-იან წლებში იყო შეთავაზებული. აშკარაა, რომ რაღაც მომენტში აშშ და დიდი ბრიტანეთის სახელისუფლებო ელიტებმა შეძლეს დაენახათ მათ მიერ წამოწყებული ამ პროცესის გაძლიერების არა მხოლოდ შიდა ეკონომიკური (რომელიც გავლენას ახდენდა ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაზე), არამედ საგარეო ეკონომიკური გამოვლინებები. აღმოჩნდა, რომ ორი დიდი ხელმწიფოს ორგანიზაციული და ფინანსური ძლიერება საკმარისი იყო იმისათვის, რათა მთელი მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისათვის მიეცა მისთვის საჭირო ლოგიკა. მსოფლიო მასშტაბით აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის საბანკო და საფინანსო სისტემები ადრეც უმსხვილესი იყო, მაგრამ ტურბოკაპიტალიზმმა მათ შესაძლებლობა მისცა კიდევ უფრო მეტი წონა შესძენოდათ. დანარჩენ ქვეყნებს კი ისღა დარჩენოდათ, ნებაყოფლობით ჩართულიყვნენ ამ პროცესში ან/და უბრალოდ ჩართულიყვნენ მასში საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, ისე, რომ არც კი იყვნენ გარკვეული მომდინარე მოვლენების არსში.

ე. ლუტვაკი მიუთითებს, რომ ტურბოკაპიტალიზმის შედეგები ხშირად ზიანის მომტანია. მისი ოპონენტები კი ამ პროცესში უფრო პოზიტიურ მომენტებს ხედავენ და მზად არიან მისი შემდგომი სტიმულირებისათვის. თუმცა, უნდა შევნიშნო, რომ 1990 წლების მეორე ნახევრიდან ტურბოკაპიტალიზმის სწრაფ დინებაში იწყება გარკვეული ტურბულენტურობის ტენდენცია, რომელიც დაკავშირებული იყო ამ დროს განვითარებულ აზიური კრიზისების სერიასთან. 2000 წელს მსოფლიო ბაზრებზე მოხდა ერთგვარი კოლაფსი, რომელიც დაკავშირებული იყო ტელეკომუნიკაციის ბიზნესთან. კერძოდ, იმ მაღალ ტექნოლოგიებთან და მომსახურებასთან, რომელიც აუცილებელი იყო აღნიშნული ტიპის ბიზნესის განვითარებისათვის. უფრო კონკრეტულად კი, განვითარდა „დოთქომის" ბაზრის (market "dotcom" - ეს ტერმინი გამოიყენება იმ კომპანიების მიმართ, რომელთა ბიზნესმოდელი მთლიანად ეფუძნება ინტერნეტის ქსელის ჩარჩოებში მუშაობას) კრიზსი, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში, სავარაუდოდ კი 1995 წლიდან, მწიფდებოდა. ბაზრის ჩამოშლა კი როგორც აღვნიშნე, 2000 წელს მოხდა, როდესაც სერიოზული დარტყმა მიიღო ნაზდაკის ინდექსმა (NASDAQ- National Association of Securities Dealers Automated

Quotation - ეს არის ფასიან ქაღალდთა დილერების ავტომატური კვოტირების ეროვნული ასოციაცია, ხოლო კვოტირება არის საქონლის, ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის საბირჟო ფასის დადგენა). ეს ბიზნესი წარმოადგენდა ერთ-ერთ იმ სფეროს, რომელშიც სახელმწიფო კონტროლისაგან თავსდაძვრენილი, კონცენტრირებული ფინანსები მიიზიდებოდა. მხოლოდ 2008 დაწყებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა აიძულა დასავლეთის ქვეყნები, დაფიქრებულიყვნენ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პრობლემაზე და დაბრუნებოდნენ „კონტროლირებადი კაპიტალიზმის" იდეის განხილვას.

ამრიგად, იმ პრობლემების გააზრება, რომელსაც ე. ლუტვაკი განიხილავდა 1990-იან წლებში უკავშირდება ისეთ ტერმინებს, როგორიცაა „ტურბოკაპიტალიზმი" და „გეოეკონომიკა". როგორც უკვე აღვნიშნე, ეს ტერმინები შემოტანილ იქნა უშუალოდ ავტორის მიერ, რითაც ის დაუპირისპირდა თანამედროვე გეოპოლიტიკას. ტურბოკაპიტალიზმი მიანიშნებს პროცესზე, რომელიც ვითარდება გლობალიზებულ სივრცეში, ხოლო გეოეკონომიკა ის პრაქტიკაა, რომელსაც გააჩნია მსგავსი პროცესების მართვის უნარი. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ამ ახალი პრაქტიკის მცოდნეები (ვგულისხმობ გეოეკონომიკურად აქტიურ ქვეყნებს) ტურბოკაპიტალიზმს საკუთარი მიზნების მიღწევის იარაღად იყენებენ. სავარაუდოა, რომ ეკონომიკური ექსპანსიის ის სქემები, რომელსაც ე. ლუტვაკი აღწერს თავის წიგნში, გაერთიანებული აქვს ტერმინში „ტურბოკაპიტალიზმი". საბჭოთა კავშირის დაშლას თან მოჰყვა შესაძლო ექსპანსიის საზღვრების გაფართოება და გამოათავისუფლა ის უზარმაზარი საკადრო, ორგანიზაციული და ფინანსური რესურსები, რომლებიც ადრე ჩართული იყო „ბოროტების ომპერიასთან" დაპირისპირებაში. აღნიშნულის შედეგად, ტურბოკაპიტალიზმს მიეცა კიდევ უფრო სწრაფად განვითარების საშუალება.

ვფიქრობ, საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ნაშრომი „ტურბოკაპიტალიზმი" გამოვიდა 1998 წელს. გეოეკონომიკის და გეოეკონომიკურად აქტიურ ბიუროკრატიაზე კი ე. ლუტვაკი ჯერ კიდევ 1990 წელს წერდა (სტატია „გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკისაკენ: კონფლიქტის ლოგიკა და ვაჭრობის გრამატიკა"). იმავე საკითხებს შეეხო 1993 წელს წიგნში „ამერიკის ოცნება საფრთხეშია". როგორც ჩანს, მოსაზრებები ტურბოკაპიტალიზმთან დაკავშირებით მის გონებაში გაცილებით ადრე იყო მომწიფებული.

ცდილობს რა, გამოავლინოს გეოეკონომიკურ ბრძოლებში მოქმედი სუბიექტები, ე. ლუტვაკი მიანიშნებს, რომ ქვეყნებში, რომლებიც დღეს ჩართულნი არიან სერიოზულ საერთაშორისო პროცესებში, იმ პირობით, რომ ჩვეულებრივმა სამხედრო საკითხებმა და კლასიკური დიპლომატიის ამოცანებმა დაკარგეს თავისი ადრინდელი მნიშვნელობა, ბიუროკრატებს შორის გაჩნდა ახალი ქცევის წესი. ევროპელი, იაპონელი და განსაკუთრებით ამერიკელი ბიუროკრატებისათვის მათი ადრინდელი საქმიანობის (სამხედრო და დიპლომატიური კარიერა) ერთადერთი ჩამნაცვლებელია გეოეკონომიკურ საკითხებში ჩართვა. მხოლოდ გეოეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობით შეუძლიათ მათ მიიღონ

გარკვეული უპირატესობა (ან/და ძალაუფლება) ჩვეულებრივ ადამიანებზე და მათზე, ვინც აირჩია ბიზნესკარიერა (Luttwak,1993).

აქ უნდა გავიხსენოთ ზემოთ აღნიშნული მოვლენები, რომელიც დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირის დაშლასთან. ასევე იმ დარტყმასთან, რომელიც მოცემულმა მოვლენამ მიაყენა ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს და იმ ინტელექტუალთა მრავალრიცხოვან არმიას, რომელიც იბრძოდა „ბოროტების იმპერიის“ წინააღმდეგ გაცილებით რბილი და არასამხედრო მეთოდებით. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ადამიანთა ნაწილი გადაკვალიფიცირდა გეოეკონომისტებად და ასევე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი ახალი დაპირისპირების პირობებში იყენებენ ამგვარი ომის წარმოების მათ მიერ ადრე შემუშავებულ ზოგიერთ საშუალებასა და ელემენტებს.

ამდენად, ტურბოკაპიტალიზმი ახალი ტიპის ეკონომიკაა, რომელშიც ყველა პროცესი უფრო სწრაფად მიმდინარეობს გლობალიზაციისა და ინფორმატიზაციის წყალობით. ასეთ გაზრებზე სავაჭრო ოპერაციების დიდი წილი მიმდინარეობს ვირტუალურ სივრცეში, ხოლო კაპიტალი თავს აღწევს სახელმწიფოს ეროვნულ საზღვრებს. ამასთან, ტურბოკაპიტალიზმის ეპოქის დადგომის ყველაზე აშკარა გამოხატულებაა სახელმწიფოთა დაპირისპირების გადანაცვლება სამხედრო-პოლიტიკურიდან ეკონომიკურ სფეროში, რის შედეგადაც მივიღებთ ახალი ტიპის ანუ გეოეკონომიკურ კონფლიქტებს. თუმცა, გეოეკონომიკური ომების დადგომა ე. ლუტვაკმა გაცილებით ადრე ივარაუდა (Luttwak,1990). ეს სტატია იმ დროს გამოქვეყნდა, როცა ცოტას თუ სჯეროდა საბჭოთა კავშირის დაშლის, ხოლო აშშ ერაყთან სრულიად რეალური ომის წინაშე იდგა. ამის მიუხედავად, რამდენიმე წლის შემდეგ, მსოფლიო შეძრა თავისი ბუნებით გეოეკონომიკური ხასიათის ომებმა, რომლის თვასაჩინო გამოხატულება გახდა სავალუტო და სავაჭრო ომები. ეს ომები მიმდინარეობდა არა ბრძოლის ველზე, არამედ თბილ კაბინეტებში, მაგრამ მასში მონაწილე ქვეყნების ეკონომიკებს ის გაცილებით დიდ ზიანს აყენებდა, ვიდრე სამხედრო ბომბდამშენებიდან განხორციელებული დაბომბვები.

ლექცია XII

გეოეკონომიკური ომები

12.1 გეოეკონომიკური ომების არსი

12.2 გეოეკონომიკური ომები ისტორიულ რაკუსში

12.3.გეოეკონომიკური ომის მეთოდოლოგია და მეთოდები

12.1 გეოეკონომიკური ომების არსი

მსოფლიო განვითარების თანამედროვე ეტაპის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა რიგში თამამად შეიძლება დავასახელოთ იმ ურთიერთდამოკიდებულების ჯერჯერობით გადაუჭრელი საკითხი, სადაც ერთ მხარესაა სავაჭრო, ფინანსური და ინდუსტრიული ძლიერება, ხოლო მეორე მხარეს - პოლიტიკური და სამხედრო ძლიერება. ეს თანაფარდობა სახელმწიფოს გადასაჭრელ ურთულეს პრობლემათა რიგს განეკუთვნება, ვინაიდან იგი გავლენას ახდენს ქვეყნის უსაფრთხოებაზე, დიდიწილად განსაზღვრავს მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს და, ზოგადად, მის ფუნდამენტურ ღირებულებებს.

გეოეკონომიკა ყოველთვის წარმოადგენდა საერთაშორისო ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს, თუმცა არა ამ დასახელებით. მიუხედავად ამისა, წარსულში ეკონომიკური უპირატესობის მოპოვებას სხვა სტრატეგიული პრიორიტეტები ჩრდილავდა. კონფლიქტის ლოგიკა ხშირად აიძულებდა ისტორიულ მტრებს, ეთანამშრომლად ერთმანეთთან სხვა საფრთხის წინააღმდეგ. მაშინ, როდესაც ეკონომიკური ლოგიკა თითქმის ყოველთვის იწვევდა კონკურენციას ალიანსების შიგნითაც მის წევრებს შორის (ამის მკაფიო მაგალითია კომერციული დაპირისპირებები აშშ-სა და დასავლეთ ევროპას შორის გაყინულ ქათმებს, მიკროჩიპებს, ლორსა და სხვა ეკონომიკურ საკითხებზე ან/და ეკონომიკური დავა აშშ-სა და იაპონიას შორის – 1960-იან წლებში ქსოვილებთან და 1980-იან წლებში სუპერკომპიუტერებთან დაკავშირებით). როგორც კი კომერციული დაპირისპირება ხდებოდა იმდენად ძლიერი, რომ იქცევდა ორივე მხარის პოლიტიკური ლიდერების ყურადღებას, სასწრაფოდ ხდებოდა მისი ჩახშობა – ხშირად ყველა მხარის ფინანსური დაკმაყოფილების გზით ვიდრე ის გავლენას მოახდენდა პოლიტიკურ ურთიერთობაზე (Luttwak,1990).

რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოები მსოფლიო ასპარეზიდან გაქრებიან? მაშინ დარჩება ერთადერთი კომერციული ლოგიკა, რომლის მეშვეობითაც მოხდება საერთაშორისო ურთიერთობების დარეგულირება. ზოგიერთ შემთხვევაში კომერციული ლოგიკა სასტიკ ურთიერთშეჯიბრს გამოიწვევს. სხვა შემთხვევაში კი, პირიქით, ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ხელს შეუწყობს ალიანსების შექმნას და განვითარებას წარმოებაში თანამშრომლობის მიზნით. თუ ამგვარი რამ მოხდა, არა მხოლოდ სამხედრო მეთოდები, არამედ თვით სამხედრო კონფლიქტის ლოგიკაც აუცილებლად შეიცვლება. თუმცა, „ყველაფერი ასე მარტივად არ არის. საერთაშორისო არენაზე ძირითად აქტორებად სახელმწიფოები და სახელმწიფოთა გაერთიანებები რჩებიან, რომლებიც ეკონომიკას არეგულირებენ და სხვადასხვა მიზეზის გამო ერევიან მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში. ისინი გვთავაზობენ მომსახურებას, ქმნიან ინფრასტრუქტურას, აფინანსებენ თანამედროვე

ტექნოლოგიების და პროდუქტების შექმნას. იმის გამო, რომ სახელმწიფოები არიან ტერიტორიული ორგანიზმები, ისინი ვერ იხელმძღვანელებენ კომერციული ლოგიკით, საკუთარ საზღვრებზე ყურადღების მიქცევის გარეშე" (Luttwak,1990,17).

დღეს, როდესაც სამხედრო საფრთხისა და ალიანსების მნიშვნელობა შედარებით შემცირდა, მოხდა გეოეკონომიკური პრიორიტეტების წინა პლანზე წამოწევა. ეკონომიკური დავების დროს სახელმწიფოები უპირატესად ფიქრობენ იმ ეკონომიკურ შედეგებზე, რომლებიც ამ დავამ შეიძლება მიაყენოს და არა სამხედრო დაპირისპირებაზე, რომელიც ამ დავას შეიძლება მოყვეს. თუ სახელმწიფოს გაერთიანება (კონსოლიდაცია) რომელიმე საფრთხის მიმართ მოხდება, ეს საფრთხე ეკონომიკური უნდა იყოს. ამის მკაფიო მაგალითია ამერიკელი ხალხის მიერ იაპონიის ნომერ პირველ საფრთხედ გამოცხადება, გორბაჩოვის მიერ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შეცვლის შემდეგ (Luttwak,1990).

მსგავსი მსოფლმხედველობის ფორმირება დამახასიათებელია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა უმეტესობისათვის. მაგალითად, საგარეო ურთიერთობათა ევროპული საბჭოს აღმასრულებელ დირექტორს - მარკ ლეონარდს მიაჩნია, რომ ევროპის სახელმწიფოთა ხელისუფლებაში ლიდერების ახალი თაობა მოვიდა (რომელსაც იგი „კრიზისის თაობას" უწოდებს), რომელსაც უფრო გეოეკონომიკა აინტერესებს, ვიდრე გეოპოლიტიკა და სამხედრო ბალანსის შენარჩუნება (http://m.amerikiskhma.com,2010).

დადგა დრო, როცა კაცობრიობის პროგრესულმა ნაწილმა გადაწყვიტა, რომ სამხედრო იარაღის გამოყენებით შეუძლებელია მშვიდობს დამყარება. ახლა დიპლომატიის ერაა, ყველა პრობლემას მოლაპარაკებების გზით, ცივილიზებულად, ადამიანურად უნდა აგვარებდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, ,,ცივილურობის" ცნებაც პირობითია. ჰანს მორგენთაუ ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საერთაშორისო პოლიტიკა წარმოადგენს ომს ხელისუფლებისათვის (მორგენთაუ, 2004). თუმცა, განსხვავებით სამხედრო ომებისაგან, ეკონომიკური და, მით უმეტეს, გეოეკონომიკური ომები ჯერჯერობით ნაკლებადაა შესწავლილი პოლიტიკური და აკადემიური წრეების მიერ.

XXI საუკუნის დასაწყისი ხასიათდება ინდუსტრიული რევოლუციის პოზიტიური გაგრძელებით და გლობალიზაციის პროცესის გაძლიერებით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაიზარდა მულტიპოლარული კონფლიქტების განვითარების რისკი, რასაც ხელს უწყობს: ენერგეტიკული და სხვა სახის რესურსების ამოწურვის პერმანენტული ტენდენცია; დასავლეთში დეინდუსტრიალიზაციის შედეგად წარმოქმნილი კრიზისი; ახალი მოთამაშეების ინტერესები მსოფლიო ბაზარზე; ფარული ეკონომიკური ომები, რომელიც დღეს უკვე აშკარაა და ღია დაპირისპირებაში ვლინდება, ვინაიდან აზრთა მუდმივი სხვადასხვაობა და ინტერესთა კონფლიქტების დაფარვა უკვე შეუძლებელი ხდება. შედეგად, დაინტერესებულ მხარეებს შორის წარმოიშობა არასამხედრო ხასიათის კონფლიქტი.

გეოპოლიტიკა, როგორც ადრე, ცდილობს ეკონომიკის მეორე პლანზე დატოვებას. დღევანდელი გეოპოლიტიკა აინფიცირებს გეოეკონომიკის საღ ორგანიზმს, როცა ერევა გეოეკონომიკური ომების ჯანმრთელ კონკურენციაში. ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკა შეიძლება გახდეს გეოეკონომიკური თავდასხმის მსხვერპლი, ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მსგავსი ომების წარმოების ტექნოლოგია, მისი სტრატეგიული ხერხები და მეთოდები, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი სპეციფიკა.

გლობალური ეკონომიკა არცერთ იმ ეროვნულ ეკონომიკას არ დატოვებს დაუსჯელს, რომელსაც არ შესწევს გეოეკონომიკური ომის წარმართვის უნარი, სადაც ნებისმიერი ნაბიჯი უკან უბრუნდება, როგორც ბუმერანგი, დადებითი ან უარყოფითი ფორმით. ამ საკითხთან დაკავშირებით ე. ლუტვაკი წერს: „ რამდენადაც ინდუსტრიულ ქვეყნებს შორის ბალანსი არ შეიძლება მიიღწიოს სამხედრო ძალის გამოყენებით, ის მიღწეული იქნება მუდმივი და საყოველთაო გეოეკონომიკური კონფლიქტით, რომლის „ლოგიკა“ იქნება ომი, ხოლო გრამატიკა - „ეკონომიკა“. გეოეკონომიკაში ბატონობს „შემტევი იარაღი“. მისი უკანასკნელი საშუალებაა მტაცებლური ფინანსური პოლიტიკა, ხოლო გეოეკონომიკის საბოლოო მიზანი -საკუთარი როლის მოპოვება და შენარჩუნება მსოფლიო ეკონომიკაში. სახელმწიფოები მიისწრაფიან საერთაშორისო არენაზე გარკვეული უპირატესობის მოპოვებისაკენ საკუთარი მეზობლების ხარჯზე და ამისათვის ისინი შეეცდებიან მოძებნონ სხვა ხერხები იმ შემთხვევაში თუ, სამხედრო ძალის გამოყენება შეუძლებელი იქნება“ (Luttwak,1990,17,23).

გეოეკონომიკური ომები არ ისწრაფვიან მოწინააღმდეგის ბოლომდე განადგურებისაკენ. გაცილებით მოსახერხებელია „იყიდო“ მტერი, ვიდრე სისხლისმღვრელ ბრძოლაში გაანადგურო; სასურველია მოატყუო და ტყვედ აიყვანო, ვიდრე გაანადგურო. გეოეკონომიკაში არსებობს წესები, რომელიც არ შეიძლება დაირღვეს, ყოველ შემთხვევაში, ღიად მაინც (მაგ: სატარიფო შეთანხმებები). სხვა შემთხვევაში იგი გამოიწვევს საპასუხო ქმედებებს სხვა სახელმწიფოების მხრიდან. „მოქმედების სტრატეგიის“ შესაბამისად (ეს განსაზღვრა ეკუთვნის გენერალ ბიოფრეს) თავისუფალი მოქმედების გამოყენების ხელოვნებაში, რომელსაც იძლევა ბირთვული შეჩერების სისტემა, გეოეკონომიკური სტრატეგია იყენებს “ნიშებს”, რომლებიც სრულად ვერ ფარავს საერთაშორისო ეკონომიკურ წესებს (იმ წესების ჩათვლით, რომელიც იქმნება საწყისი წესების დამახინჯებით ან მათი შინაარსისა და მიზნების დამახინჯებით). თუმცა, ეს წესები არ გადიან იმ საზღვრებიდან, რომელსაც შეიძლება მოყვეს საკმაოდ მკაცრი საერთაშორისო რეაქცია. თუ გეოსტრატეგიაში სახელმწიფო სრულიად აკონტროლებს საკუთარ შესაძლებლობებს და იცის მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, გეოეკონომიკაში ასეთი კონტროლი მხოლოდ ნაწილობრივ ხორციელდება, ვინაიდან ეკონომიკური სისტემისათვის დამახასიათებელია გადაწყვეტილებების მიღების მრავალი ცენტრის არსებობა. იგი განიცდის ტრანსნაციონალური ძალების ზეგავლენას. ეს ძალები კი, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ ნაწილობრივ ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან კონტროლს. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სახელმწიფოებს

შეუძლიათ უბიძგონ მათ ისეთი ქმედებებისაკენ, რომელიც სასიკეთო შეიძლება აღმოჩნდეს მათი მიზნების რეალიზაციისათვის.

კლასიკური ომი, რომლის დახმარებითაც ადრე მრავალი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური დავები წყდებოდა, ჩვენ დროში არ ითვლება პრობლემის გადაჭრის უკეთეს გზად, ისევე როგორც სამხედრო ძალის გამოყენების მუქარა. დღეს მსოფლიო არენაზე მიღებულია თამაშის სხვა წესები, რომლის ღიად დარღვევას ვერავინ ვერ რისკავს. ეს წესები აიძულებს ქვეყნების ხელისუფალთ, უფრო რბილად მოეკიდონ ბიზნესის მისწრაფებას, გავიდნენ საკუთარი სახელმწიფოს საზღვრებს მიღმა. დღეს მიღებულია დადებითად მოეკიდონ „ღია ბაზრის“ იდეას, მაგრამ არავის შეუძლია აკურძალოს სახელმწიფოებს საკუთარი შეხედულებისამებრ არეგულირონ საკუთარი ეკონომიკები.

12.2 გეოეკონომიკური ომები ისტორიულ რაკუსში

გეოეკონომიკური ომები სათავეს იღებს ორი ისტორიული პერიოდიდან „სავაჭრო ომები“ და „ცივი ომი“. მილიტარიზმის „შესისხლხორცება“ ეროვნულ ეკონომიკებში წარმოადგენს გეოეკონომიკური ომების საფუძველს, რომელსაც მეტად ხანგრძლივი ისტორია აქვს.

მაგალითად, საზოგადოების განვითარებასთან ერთად უძველესი დროიდან თანამედროვე ერამდე გაფართოვდა ეკონომიკური კონფლიქტების არეალი. მეკობრეობამ მნიშვნელოვანი ძალა შეიძინა. სამკუთხა სავაჭრო გზებით მოხიბლული ინგლისელი მეკობრები მებრძოლები იყვნენ, რომლებიც შემდგომ ბრიტანეთის სამეფო საზღვაო ძალების წინამორბედებად მოგვევლინენ.

შუა საუკუნეების მიწურულს ზოგიერთმა მონარქმა ეკონომიკური იარაღი სამხედრო მხარდაჭერით ჩაანაცვლა. ჩარლზ გულადდთან ხანგრძლივ ომში ლუი მე-11 მობილიზაცია გაუკეთა მთელ ფლოტს, რათა ფლანდრიაში გაენადგურებინა ბურგუნდიის კუთვნილი მარცვლეული და თევზეული. იმავდროულად, მან შეავიწროვა ბანკირები, რათა მათ არ გაეწიათ ფინანსური დახმარება მისი მეტოქისათვის; შექმნა სავაჭრო ბაზარი ლიონში, რათა მეტოქეობა გაეწია და საბოლოოდ მოეშალა სავაჭრო ბაზარი ჟენევაში, რომელიც გერმანიის, იტალიის და ბურგუნდიის სავაჭრო გზების გზაგასაყარი იყო.

ტერიტორიული უსაფრთხოება, კეთილდღეობა პრიორიტეტული სტრატეგია მე-17 საუკუნეში გახდა. მაგალითად, ესპანეთის წინააღმდეგ გაერთიანებულმა ჩრდილოეთის შვიდმა პროვინციამ შექმნა „გადარჩენის“ პირველი მოდელი, რომელიც ციხესიმაგრეების ქსელისგან შედგებოდა, რომლებსაც თავის მხრივ, მდინარეებისა და ნაკადულების ქსელი უქმნიდა ბუნებრივ თავდაცვით ზღუდეებს. ფრანგებმა ჩრდილოეთით დაპყრობილ ახალ ტერიტორიებზე შექმნეს ახალი ციხე-სიმაგრეები. თავდაცვითმა ბარიერებმა სათავე დაუდო

"Pré carré" კონცეფციას. ეს კონცეფცია წარმოადგენდა მარშალ დე ვობანის ერთ-ერთ ყველაზე გრანდიოზულ პროექტს. თავდაპირველად ის საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვრის დაცვის მრავალეშელონურ სისტემას წარმოადგენდა, რომელიც შემდგომ თავდაცვის ერთიან სისტემად ჩამოყალიბდა, რომელიც თანამდროვეობაშიც გამოიყენება (d'Aiglun,1910).

ტერიტორიული უსაფრთხოება ასევე ირიბად დამოკიდებულია მოკავშირესთან ეკონომიკურ დათმობებზე, როცა მოკავშირის არმიის უპირატესობა ნათელია. 1373 წელს პორტუგალიამ ხელი მოაწერა შეთანხმებას ინგლისთან, რათა ესარგებლა მისი დაცვით. ამ დიპლომატიური აქტით პორტუგალიამ თავი დააღწია კასტელების ანექსიას. ინგლისმა გაწეული სამხედრო დახმარების სანაცვლოდ პორტუგალიაზე ფინანსური და სავაჭრო უპირატესობები მოიპოვა, რომელიც საუკუნეები გაგრძელდა და ა.შ.

ფაქტია, რომ ეკონომიკური განვითარება არასდროსაა თანაბარი, რაც ხშირად ქმნის წინააღმდეგობას. სიმდიდრის დაგროვება და კონტროლის სფეროს გაფართოება იწვევს ახალი კონფლიქტების აღმოცენებას მონოპოლიებს შორის, რომლებიც ეჯახებიან ჭარბწარმოებას და ბუნებრივად მიისწრაფიან დამატებითი ბაზრების მიტაცებისაკენ.

მაგალითად, პირველი მსოფლიო ომის წინ ეკონომიკური დაპირისპირება უკიდურესად გამწვავდა. დიდი ბრიტანეთი, რომლის ეკონომიკური უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა XIX საუკუნის პირველ სამ მეოთხედში, შეეჯახა მძლავრ დაპირისპირებას გერმანული მრეწველობის მხრიდან. გერმანელთა გამოწვევა აუტანელი გახდა, ვინაიდან საქმე ეხებოდა გეოგრაფიულად ახლოს მდებარე ქვეყანას, რომლის ტერიტორიაც დიდი ხნის განმავლობაში სამხედრო მოქმედებების მთავარ თეატრად რჩებოდა ევროპაში. უფრო მეტიც, აფრიკული კოლონიების გადანაწილებისათვის დაპირისპირებების შემდგომ (1876–1912 წწ.) გაირკვა, რომ მთელი მსოფლიო უკვე გადანაწილებული იყო. ის, ვინც ითხოვდა თავის ადგილს მზის ქვეშ, საკმაოდ დაგვიანებული აღმოჩნდა. იყო თუ არა პირველი მსოფლიო ომი გეოეკონომიკური (ბრძოლა გასაღების ბაზრებისათვის)? აქ ცალსახა პასუხის გაცემა ძნელია და, აი, რატომ. ცნობილია, რომ 1914 წელს მსოფლიოში და განსაკუთრებით ევროპის ქვეყნებს შორის ძალზედ მაღალი იყო ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება. დიდი ბრიტანეთი წარმოადგენდა გერმანული საქონლის უდიდეს შემსყიდველს, ხოლო გერმანია, თავის მხრივ, მეორე სახელმწიფო იყო, რომლის ბაზარზეც ხდებოდა ინგლისის სამრეწველო პროდუქციის გასაღება. „მუდმივ მტრებს" საფრანგეთსა და გერმანიას ასევე აქტიური ეკონომიკური კავშირები ჰქონდათ ერთმანეთთან, რაც არ გამორიცხავდა ორმხრივ ურთიერთობებში ცალკეულ პერიოდებში არსებულ გამწვავებებს, რომელიც ნაციონალისტების მოქმედებებით იყო გამოწვეული (საფრანგეთ–გერმანიის საბაჟო ომი 1911–1913წწ.) გარდა ამისა, შეინიშნებოდა ღრმა განხეთქილება საქმიან წრეებში. კერძოდ, ერთი მხრივ, მთავრობათა მჭიდრო ურთიერთობის გამო ისინი ატარებდნენ საინვესტიციო პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობდა საერთაშორისო კავშირების განმტკიცებას და, მეორე მხრივ, ამწვავებდა

კოლონიალურ დაპირისპირებას. იმავდროულად, ისინი იღებდნენ სარგებელს საერთაშორისო ვაჭრობიდან და დაინტერესებულნი იყვნენ მისი განვითარებით (Joll, 1984). იმის კითხვა, თუ რამდენად ლოგიკურია ომის სურვილი გასჩენოდათ მათ, ვინც დარწმუნებული იყო იმაში, რომ ეს ომი აუცილებლად გამოიწვევდა სართაშორისო ეკონომიკური სისტემის ჩამოშლას და ძირს გამოუთხრიდა მათ საკუთარ კეთილდღეობას? როგორც აღმოჩნდა, 1914 წლის ზაფხულში ეკონომიკური საკითხები ნაკლებად აინტერესებდათ პოლიტიკოსებს. პოლიტიკური პროცესების სწრაფი განვითარება შთანთქავდა მათ დროს და ენერგიას. ამავე დროს ძალიან ცოტა თუ ფიქრობდა, რომ ეს ომი იქნებოდა ხანგრძლივი და შეძლებდა დაენგრია არსებული ეკონომიკური კავშირები და ჩამოყალიბებული ეკონომიკური წონასწორობა.

რაც შეეხება მეორე მსოფლიო ომს, მას განიხილავენ როგორც დაპირისპირებას ლიბერალურ–დემოკრატიულ ქვეყნებსა (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) და ნაცისტურ გერმანიას შორის 30–იანი წლების ეკონომიკური კრიზისის შემდგომ, როგორც კაპიტალიზმის წინააღმდეგობის ახალ გამოვლინებას, რომელიც აღმოჩნდა დეპრესიის ტყვეობაში. თუმცა, ამ პერიოდში თითოეული დაპირისპირებული მხარე დარწმუნებული იყო, რომ იბრძოდა საკუთარი გადარჩენისათვის. შეიძლებოდა კი ამ დროს საუბარი ყოფილიყო რაიმე რაციონალურზე, მაგალითად იმავე ეკონომიკურ ინტერესებზე? 1939 წლის აგვისტოდან 1941 წლის ივნისამდე შეურიგებელი მტრები - ჰიტლერის გერმანია და სტალინის საბჭოთა კავშირი მოკავშირეები იყვნენ. 1941–1945 წწ. ლიბერალურ–დემოკრატიული ქვეყნები – დიდი ბრიტანეთი და აშშ საბჭოთა კავშირის მოკავშირეები იყვნენ, იმ საბჭოთა კავშირის, რომლის ისტორიული მისია იყო კაპიტალიზმის განადგურება. ამასთან, პოლიტიკური და ეკონომიკური ლოგიკა ერთმანეთისაგან განუყოფელი იყო: როცა მიმდინარეობს სამკვდრო–სასიცოცხლო ომი სიკეთესა და ბოროტებას შორის, ამ შემთხვევაში ეკონომიკა მხოლოდ ინსტრუმენტია პოლიტიკის ხელში.

ომის წარმართვის ტრადიციული წარმოდგენები, რომელშიც მხოლოდ ძალისმიერი მეთოდები გამოიყენება, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც წარსულს ბარდება. მის ადგილს იკავებს არანაკლებ საშიში და მრისხანე გეოეკონომიკური (საგარეო ეკონომიკური) ომები. ამის მიუხედავად, გეოპოლიტიკა, რომელიც XX საუკუნის მემკვიდრეა, მისი იდეოლოგიური, „ცხელი“ და „ცივი“ ძალოვანი აზროვნებით, არც თუ ხშირად, მაგრამ თავს მაინც გვახსენებს გეოპოლიტიკის თანამედროვე „ქორების“ აქტიობის შედეგად.

12.3. გეოეკონომიკური ომის მეთოდოლოგია და მეთოდები

როგორც ჩანს, ზოგადად, ომსა და ეკონომიკას შორის დამოკიდებულება სამმაგ ხასიათს შეიძლება ატარებდეს: ა) ეკონომიკა როგორც ომის მიზეზი; ბ) ეკონომიკა როგორც

ომის ინსტრუმენტი „ცხელი“ ომის კონტექსტში; გ) ეკონომიკა როგორც საკუთრივ გეოეკონომიკური ომის ინსტრუმენტი (კვინიკაძე,2008).

როგორც ცნობილია, ეკონომიკური ომი (სავაჭრო ომი) წარმოადგენს ორი ან მეტი ქვეყნის სავაჭრო მეტოქეობას, რომელიც მიმდინარეობს უცხოური (ახალი) ბაზრების მიტაცების (შეტევითი სავაჭრო ომი) ან ეროვნული ეკონომიკის სავაჭრო ოკუპაციის თავიდან აცილების (თავდაცვითი სავაჭრო ომი) მიზნით. ეკონომიკური ომების (სავაჭრო ომების) მიზეზებისა და მეთოდების შესწავლა სხვადასხვა მეცნიერების შესწავლის პრეიორგატივაა, მათ შორის გეოეკონომიკის, მსოფლიო ეკონომიკის და ეკონომიკური გეოგრაფიის. თუ ეკონომიკური ომები (სავაჭრო ომები) გაცილებით ფართო „საბრძოლო მოქმედებების“ ფრონტის ჩარჩოებში მიმდინარეობს, ამ შემთხვევაში უკვე საქმე გვაქვს გეოეკონომიკურ-დაუსრულებელ ომთან, რომელიც უმეტესად სამხედრო ჩარევის გარეშე მიმდინარეობს და რომლის მეთოდები საკმაოდ სპეციფიკურია (ნახ.1).

გეოეკონომიკური ომის მეთოდები. ნახ.1

გეოეკონომიკური ომის ძირითადი მეთოდები	*ინტელექტუალური რესურსების გადინების ხელშეწყობა* *ეკონომიკური ექსპანსია* *სამრეწველო შპიონაჟი* *ქვეყნებს შორის არსებული შეთანხმებების შეუსრულებლობა*
შეტევითი	*ექსპორტის ტარიფების შემცირება* *ექპორტის კვოტების გაზრდა* *დემპინგური ფასის გამოყენება* *ეკონომიკური ბლოკადის გამოყენება* *კონკურენტის პროდუქციის გამოცხადება ეკოლოგიურად საზიანოდ*
თავდაცვითი	*საბაჟო გადასახადების გაზრდა იმპორტზე*

	არასატარიფო ბარიერების შემოღება *ტექნიკური ბარიერების შემოღება*

ზოგადად, ეკონომიკის კლასიკოსები უარყოფითად ეკიდებიან სავაჭრო ომებს, თვლიან, რომ მას მივყავართ ომში ჩართული ყველა მხარის ეკონომიკური კეთილდღეობის დონის შემცირებამდე. იმავდროულად, სავაჭრო ომები გამართლებულია რიგ თეორიულ კონცეფციებში.

მაგალითად, „კეინსიანური კონცეფცია“ 1930-იან წლებში ჩამოაყალიბა ჯონ მეინარდ კეინსმა. მის მიხედვით ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების მთავარ საშიშროებად მიჩნეულია არა იმპორტულ საქონელთან კონკურენცია, არამედ უმუშევრობა და ეკონომიკური დეპრესია. ამ საფრთხეებთან გამკლავების პირობად მიჩნეულია სახელმწიფოების მხრიდან ეკონომიკური საქმიანობის რეგულირება არა მხოლოდ სახელმწიფო შეკვეთების და სუბსიდირების გაზრდით, არამედ კონკურენციაზე სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი კონტროლის დაწესებით.

„ინსტიტუციონალური კონცეფცია“ განვითარდა გასული საუკუნის 80-იან წლებში და მისი ავტორია ერნანდო დე სოტო. კონცეფციის მიხედვით ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდის ძირითად მიზეზად მიჩნეულია არა ქვეყნის ჩამორჩენილობა ან კრიმინალი, არამედ ის ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც ხელს უშლის კონკურენციის თავისუფალ განვითარებას. ეროვნული ეკონომიკის მთავარ საფრთხედ მოჩნეულია არა „ბაზრების ჩავარდანა“, არამედ „სახელმწიფოს ჩავარდნა“ (კვინიკაძე:2008,355).

გეოეკონომიკური ომების მეთოდების არსენალი და მეთოდოლოგია XX საუკუნის მეორე ნახევარსა და XXI საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვნად გაფართოვდა. რომელმაც მას ის სპეციფიკური ხასიათი მიანიჭა. (ნახ.2).

გეოეკონომიკური ომის მეთოდოლოგია. ნახ.2

მიზანი	*სახელმწიფოსათვის ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის სივრცის გაწმენდა*
თავისებურება	*უჩინარობა, ნგრევა და სისხლისღვრის გარეშე მიმდინარეობა*
სტრატეგია	*„არაპირდაპირი ზემოქმედების სტრატეგიები“*
იარაღი	*ბლოკადა, ემბარგო, საკრედიტო დარტყმები, ეკონომიკური სანქციები, მორატორიუმი, სავაჭრო-ეკონომიკური შეზღუდვები და ა.შ.*
ინსტრუმენტები	*კორპორაცია, ბაზრებზე შეღწევა, ეკონომიკური დიპლომატია, კლასტერები დიასპორათა კაპიტალი, დიპლომატია,*

	შეიარაღებული ძალები, სპეცსამსახურები
სამხედრო შემადგენელი	*სამხედრო ძალის გამოყენებით იცავენ ან საკუთარ ტნკ ან/და შეიარაღებულ ძალებს იყენებენ ეკონომიკურ რესურსებზე კონტროლისათვის*
დანაშაული	*სამხედრო ძალის გამოყენება გეოეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში, მართლსაწინააღმდეგო ეკონომიკური თამაშის წესები*
დასჯა	*გეოეკონომიკური კონტრიბუცია*

ე. ლუტვაკი თვლის, რომ სახელმწიფოებმა, რომლებმაც უარი თქვეს ომის გამოყენებაზე როგორც დავების გადაჭრის ან მსოფლო არენაზე პროვილეგირებული მდგომარეობის დაკავების მიზნით, დიდი ადგილი დაუთმეს საკუთარი ეკონომიკის რეგულირების საკითხებს და შეეცადნენ გარკვეული გავლენა მოეხდინათ საერთაშორისო ეკონომიკის ლოგიკაზე. ეკონომიკის რეგულირება სახელმწიფოს მართვის ისეთივე ინსტრუმენტია, როგორიც ადრე სამხედრო თავდაცვა იყო. რამდენადაც საგარეო შედეგები სერიოზულად განიხილება და მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, იმდენად სახელმწიფო რეგულირების ლოგიკა რაღაც ხარისხით კონფლიქტის ლოგიკას წარმოადგენს. სახელმწიფოს ეკონომიკური რეგულირება ისეა მოწყობილი, რომ საიდუმლო და ტყუილი,გამოიყენო სამხედრო აზრით: იმისათვის, რომ მოიგო დრო და მიაღწიო მოულოდნელობას. მაგალითად, საქონლისა და მომსახურების ახალი სტანდარტების დანერგვა თავიდან სამამულო მეწარმეებთან საიდუმლო მოლაპარაკებების დროს ყალიბდება, შედარებით გვიან კი ხდება მისი დეკლარირება საჯარო სივრცეში (Luttwak,1990).

სახელმწიფოს გეოეკონომიკური აქტივობა დამოკიდებულია მისი ბიუროკრატიის ამბიციებზე და იმ ლოგიკაზე, რომლის მიხედვითაც ეს ბიუროკრატიაა ჩამოყალიბებული. სახელმწიფოს ბიუროკრატიის ომისადმი მიდრეკილება განსხვავდება როგორც ქვეყნების, ასევე ეკონომიკის სექტორების მიხედვით. თუმცა, მთლიანობაში სახელმწიფოები, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, სულ უფრო მეტად ირჩევენ გეოეკონომიკას. წარმოადგენენ რა ტერიტორიულ წარმონაქმნებს, ისინი იმისთვის შეიქმნენ, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საერთშორისო არენაზე. რაც შეეხება მის დანარჩენ ფუნქციებს (შეღავათების მიცემა ცალკეულ პრივილეგირებულ ჯგუფებს და ინდივიდებს, მოსახლეობისათვის სხვადასხვა ტიპის მომსახურების და ინფრასტრუქტურის მიწოდება, სამხედრო აგრესიის შემთხვევაში მოსახლეობის დაცვა გარეშე მტრისაგან და კრიმინალისაგან ანუ ქრონოლოგიურად მისი პირველი ფუნქციები) ისინი მეორე პლანზე გადადის (Luttwak,1990).

მაგალითად, „ჩვენში სიტყვას "ბიუროკრატია" უფრო უარყოფითი მნიშვნელობით იყენებენ, მაგრამ ბიუროკრატია არის სახელმწიფო მანქანა, საჯარო სამსახური. თუ ის კარგი ხარისხის არ არის და ცუდად ფუნქციონირებს, სახელმწიფო ვერ ვითარდება, რჩება

ჩამორჩენილი, ღარიბი და უმწეო. კარგი ბიუროკრატიის შექმნის მთავარი პირობა კი სწორედ ეფექტიანი განათლების სისტემაა“ (რონდელი,2014,44).

ამდენად, გეოეკონომიკური მიზნის მისაღწევად უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს სახელისუფლებო ბიუროკრატია წარმოადგენს. ქვეყანაში ისეთი ბიუროკრატიის არსებობა ან არარსებობა, რომელსაც გააჩნია გეოეკონომიკური აზროვნების უნარი ან, ე. ლუტვაკის კონცეფციის თანახმად, იცის დიდი სტრატეგიის (Grand Strategy) გრამატიკა, განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად მოახერხებს ეს ქვეყანა არსებითი როლის შესრულებას თანამედროვე გეოპოლიტიკურ თამაშებში.

რა მიზნებს ემსახურებიან გეოეკონომიკური ომის მებრძოლები და რა იარაღს იყენებენ ისინი საკუთარი მიზნების მისაღწევად? ე.ნ. ლუტვაკი ამ კითხვას შემდეგნაირად პასუხობს: „ ტრადიციულად, საერთაშორისო პოლიტიკაში ომის მიზანი იყო სხვა ქვეყნების ტერიტორიების მიტაცება და მათზე კონტროლის დამყარება ან/და დიპლომატიური კონტროლის დამყარება უცხო ქვეყნის მთავრობის მხრიდან. გეოეკონომიკური ომების სტრატეგების მიზნები კი სხვაა და ისინი არ დაიყვანება მხოლოდ ქვეყნის მოსახლეობისათვის მაქსიმალური ცხოვრების დონის მიღწევაზე. ის უფრო მეტად ორიენტირებულია მსოფლიო ეკონომიკაში უპირატესობის მიღწევასა და მის შენარჩუნებაზე... ამის გარდა, სახელმწიფოებმა შეიძლება მიიღონ კონკურენტული ქცევის შინაგანი იმპულსები მსოფლო არენაზე. ეს იმპულსები შეიძლება მომდინარეობდნენ საკუთარი უწყებრივი და ბიუროკრატიული სტრუქტურებიდან. ჩინოვნიკები ერთმანეთში დაიწყებენ შეჯიბრს კარიერული წინსვლისათვის. მათი ამბიციები შეიძლება გავრცელდეს საერთაშორისო ურთიერთობის სფეროზეც, ამასთან, ჩინოვნიკების სტრატეგია სხვა ქვეყნების მიმართ შეიძლება იყოს როგორც კორპორაციული, ასევე კონფლიქტურიც (იმისდა მიხედვით, თუ როგორია შიდა სახელმწიფოებრივი და შიდა უწყებრივი კონიუქტურა). სინამდვილეში კი ხდება გაცილებით მნიშვნელოვანი რამ: თუ საქმე ეხება სერიოზულ ბიუროკრატიას, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მის ამბიციებს მოყავს მოძრაობაში სახელმწიფო, რომელის თვითგადარჩენის და საკუთარი თავის განდიდებისაკენ მისწრაფებას მივყავართ გეოეკონომიკის აღმოცენებამდე, რომელიც ანაცვლებს მოძველებულ და ნახევრად დაშლილ გეოპოლიტიკას“ (Luttwak,1990,17,23).

საკმაოდ ფართოა იმ საშუალებათა არსენალი, რომელიც გამოიყენება თანამედროვე გეოეკონომიკურ ომებში. მასში შედის ტრადიციული სქემები - საბაჟო ტარიფების დადგენა; ეროვნული ეკონომიკების ცალკეული დარგების სუბსიდირება; იაფი კრედიტების გაცემა და ფისკალური რეგულირება იმ ბიზნესის სტიმულირებისათვის, რომელიც პრიორიტეტულია ქვეყნისათვის; ინვესტიციები ახალი მოწინავე ტექნოლოგიების, ინოვაციების დამუშავებისათვის და შეირაღების ახალი ტიპების შექმნისათვის. როგორც ზემოთ აღვნიშნე, გეოეკონომიკაში, ისევე როგორც ომში, დომინირებს შეტევითი იარაღი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია კვლევისა და სტრატეგიული განვითარების პროგრამები R&D (Research and

Development). „ ჩვეულებრივ ომში არტილერია ამზადებს ნიადაგს, რათა მის მიერ დაბომბილ ტერიტორიაზე მოხდეს ქვეითების შესვლა და ტერიტორიის დაპყრობა. გეოეკონომიკურ ბატალიებში R&D ასევე ასრულებს არტილერიის როლს, რაც იმაში გამოიხატება, რომ ის საშუალებას იძლევა განხორციელდეს ინდუსტრიული ტერიტორიების დაპყრობა მეტოქეზე ტექნოლოგიური უპირატესობის მოპოვების ხარჯზე" (Luttwak,1993,307).

სახელმწიფოები ასევე მიისწრაფიან იმისკენ, რომ უცხოურ საქონლის შემოტანაზე დააწესონ მაღალი საბაჟო ტარიფები და მიაღწიონ დაბალ გადასახადებს საკუთარი მეწარმეების მიერ უცხო ქვეყანაში შეტანილ საქონელზე. ასინი ასევე ცდილობენ შეიტყუონ თავის ტერიტორიაზე უცხოური ბიზნესი, რათა მიეცეთ დამატებითი გდასახადების მიღების საშუალება. ყველა ეს მეთოდი დიდი ხანია ცნობილია, უბრალად ახლა მას უფრო აშკარად იყენებენ. მაგალითად, ფისკალური სისტემა შესაძლებელია ისე ხელსაყრელად იყოს დიფერენცირებული, რომ უცხოური საქონლის იმპორტი ნაკლებად მომგებიანი გახდეს. რეგულირების წესები (შეღავათები, მომსახურება და ინფრასტრუქტურა) შეიძლება იმგვარად აიგოს, რომ ხელი შეუწყოს ეროვნულ ინტერესებს სხვადასხვა მიმართულებით და, იმავდროულად დააზიანოს უცხოური ბიზნესი. ამ დროს ეროვნული საწარმოების და კომპანიების ტექნოლოგიური განვითარების მხარდაჭერა ისეთნაირადაა ორგანიზებული, რომ მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი უცხოური საწარმოები დისკრიმინაციულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მაგალითად, მათ ვერ მიიღონ საგადასახადო შეღავათები (Luttwak,1990).

კონკურენტ ქვეყნებზე გეოეკონომიკური უპირატესობის მოპოვების ტრადიციული საშუალებების გარდა, არსებობს ფართო აუდიტორიისათვის შედარებით ნაკლებად ცნობილი შეიარაღების სახეობებიც, რომლებიც სხვა სფეროებიდან ეკონომიკური დაპირისპირებისას იქნა გადმოღებული (მასზე ცოტა ქვემოთ ვისაუბრებ).

ე. ლუტვაკი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ცოტაა იმ ქვეყნების რიცხვი, რომელთაც გააჩნიათ აქტიური პოლიტიკური სტრატეგია და ისეთი ბიუროკრატიული სტრუქტურები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან გეოეკონომიკური ომების სწორად წარმართვაზე. ხშირად ისეც ხდება, რომ გეოეკონომიკურ ომში უპირატესობის მოსაპოვებლად, საკმაოდ დიდი ინდუსტრიული ქვეყნები ვერ ახერხებენ იმას, რასაც ახერხებენ პატარა, მაგრამ აქტიური ქვეყნები საკუთარი ქვეყნის შიგნით შესაბამისი პირობების შექმნით. კერძოდ, ისეთი სფეროების განვითარებისათვის, როგორიცაა: განათლების დონის ამაღლება, ინოვაციების მხარდაჭერა, ორგანიზაციული, ფინანსური და სამართლებრივი ინფრასტრუქტურის შექმნა და აღწევენ ბიუროკრატიის მომზადების მაღალ ხარისხს.

ყოველ გეოეკონომიკურად აქტიურ ქვეყანას ქონდა ისეთი ბიუროკრატიის გამოზრდის საკუთარი სქემა, რომელსაც შეეძლო გეოეკონომიკური ბრძოლის წარმართვა. როგორც ზემოთ აღინიშნა, მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას აშშ-მა შეძლო საკუთარი ეროვნული

ბიზნესის დაგროვილი გამოცდილების გამოყენება. მაგალითად, „ომის წარმოების მეცნიერული მეთოდის“ დამუშავებისათვის გამოყენებულ იქნა „წარმოების მეცნიერულ ორგანიზაციასთან“ გამოცდილება (იგივე შეიძლება ითქვას ინგლისზეც). ყველა ეს უნარ - ჩვევები „ცივი ომის“ წლებში წარმატებით იქნა კონვერტირებული „უკონტაქტო ომის წარმართვის მეთოდებში“ იმ პირობებში, როცა შეუძლებელია მოწინააღმდეგესთან ღია სამხედრო შეჯახება, ვინაიდან ის ბირთვულ იარაღს ფლობს. როგორც ზემოთ დავინახეთ, „ცივი ომის“ წარმოების იარაღისა და მეთოდების დამუშავებაზე აშშ-მა საკმაოდ დიდი საბიუჯეტო ხარჯი გასწია და სულაც არ აპირებდა ამ ყველაფრის დამუშავების სანაგვეზე გადაყრას. სავარაუდოდ, ამერიკის სახელისუფლებო ელიტა აკეთებდა ყველაფერს იმისათვის, რომ მომხდარიყო მათი კონვერტაცია საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად, უკვე შეცვლილ პირობებში. კერძოდ, სიტუაციაში, როცა საერთაშორისო ურთიერთობების ორგანიზაციის ლოგიკაში მოხდა ცვლილება - გეოპოლიტიკიდან გეოეკონომიკისაკენ.

აშშ ლიბერალური ქვეყანაა, ამიტომ გეოეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად პროფესიული კადრების მოზიდვის პრობლემას ის აგვარებს ნახევრად სახელმწიფო-ნახევრად კერძო სამეცნიერო კვლევით ან საზოგადოებრივი სტრუქტურების შექმნით, რომელთაც მინიჭებული აქვთ განსაკუთრებული სტატუსი (think tanks). ამ სტრუქტურაში დასაქმებულები მეტ - ნაკლებად დაკავშირებულნი არიან სახელმწიფო სამსახურებთან. გარკვეულ გარემოებებში ისინი გადადიან სახელმწიფო სამსახურში და პირიქით - სახელმწიფო სამსახურიდან გადადიან აღნიშნულ სტრუქტურებში. ერთი მხრივ, სახელმწიფო ორგანოებში სპეციალისტები შეიძლება ჩაერთონ დროებით (რომელიმე ლოკალური პროექტის განხორციელება), ხოლო, მეორე მხრივ, შეიძლება წავიდნენ სახელმწიფო სამსახურიდან მას შემდეგ, როცა მათ უკვე მოპოვებული აქვთ ის აუცილებელი ავტორიტეტი და სასარგებლო გამოცდილება, რომელიც მათ საშუალებას აძლევს ხელმძღვანელი თანამდებობები დაიკავონ ნახევრად კერძო სტრუქტურებში.

ამდენად, შენარჩუნებულია ჩინოვნიკების მუდმივი კავშირი სამეცნიერო, ექსპერტულ და პროფესიონალთა ჯგუფებთან. ამიტომაცაა, რომ დასავლეთის ქვეყნების სახელისუფლებო ელიტებს მუდმივად გააჩნიათ რესურსები პროფესიონელთა გუნდის მობილიზაციისათვის რთული ამოცანების გადასაჭრელად, მათ შორის გეოეკონომიკური ხასიათის „სამხედრო ოპერაციის“ მომზადებისა და ჩატარებისათვის.

აშშ-თან შედარებით, საფრანგეთის პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა ნაკლებად ლიბერალურია, ამიტომ საკადრო საკითხები იქ სახელმწიფო დონეზე წყდება. საფრანგეთში არსებობს მომავალი სახელისუფლებო ელიტების მომზადების განსაკუთრებული სისტემა. ფუნქციონირებს სპეციალური სკოლები, წარმოებს ყველაზე უფრო საჭირო კანდიდატების შერჩევის მრავალდონიანი სელექცია. ამის გარდა, საფრანგეთში არსებობს „ეროვნული ჩემპიონების გამოზრდის“ პრაქტიკა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყნისათვის

უმნიშვნელოვანეს ეკონომიკის ან ბიზნესის სფეროში საფრანგეთის ბიუროკრატია ცდილობს გაზარდოს ძლიერი კომპანიები, რომელთაც შეეძლებათ ნებისმიერ კონკურენტებთან გამკლავება საერთაშორისო ბაზრებზე. ტრადიციულად საფრანგეთის ბიუროკრატიის მაღალ ეშელონებში და პრესტიჟულ კომპანიებში მოხვედრას ცდილობენ მაღალი ფენის ოჯახების წარმომადგენლები, რომელთაც კონკურენცია უწევთ როგორც ფრანგული ბიზნესის მდიდარი ოჯახის წარმომადგენლებთან, ასევე ჩვეულებრივი ოჯახის ნიჭიერ და ამბიციურ ახალგაზრდებთან, რომელებიც ამთავრებენ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებს (Les Grandes Ecoles) და ეროვნული ბიუროკრატიის მომზადების სპეციალიზებულ სკოლებს („ENA"-ადმინისტრაციის ეროვნული სკოლა).

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მის სახელისუფლებო ბიუროკრატიული აპარატის ხელმძღვანელ თანამდებობებზე მოღვაწე კადრები აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ კომუნისტური პარტიის წევრები, მაგრამ შიდაპარტიულ ორგანოთა „მენეჯერები" (პოლიტხელები და პოლიტმუშაკები), როგორც წესი, უფრო სწრაფად ადიოდნენ კარიერულ საფეხურზე და ადვილად იკავებდნენ ხელმძღვანელ თანამდებობებს ხელისუფლების ზედა ეშელონებში, ვიდრე „ეკონომიკური ბლოკის" ხელმძღვანელები (საწარმოო და სამეცნიერო სტრუქტურების ხელმძღვანელები). ამდენად, საბჭოთა კავშირში არსებობდა გარკვეული ლუფტი „წითელ დირექტორებსა" და პარტიული ნომენკლატურის მუშაკებს შორის. საბჭოთა ბიუროკრატიის წარმომადგენელთათვის კარიერული ზრდის პრობლემები პოლიტიკურ ოლიმპზე ხშირად გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე ქვეყნის მართვა, რაც კიდევ უფრო მეტად აშორებდა ერთმანეთს პოლიტიკურ ისტებლიშმენტს და „მუშა ბიუროკრატიას" (Luttwak,1968). შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამჟამად დაახლოებით ანალოგიური სიტუაციაა რუსეთში ვლადიმერ პუტინის „ერთიანი რუსეთის" („Единая Россия") პარტიასა და რუსული ბიზნესის იმ წარმომადგენლების შორის, რომლებიც ამ პარტიისადმი დიდი ლოიალურობით არ გამოირჩევიან.

გეოეკონომიკური ომის მსხვერპლმა ქვეყნებმა საკუთარი ეროვნული სამხედრო დოქტრინის შემუშავებისას, რასაკვირველია, უნდა გაიაზრონ საფრთხეთა ის სპექტრი, რომლის შესაბამისად უნდა ჩამოაყალიბონ საპასუხო რეაქცია და არ ჩაერთონ ახალ გეოეკონომიკურ ომში. ნებისმიერი ეროვნული ეკონომიკა შეიძლება გახდეს გეოეკონომიკური თავდასხმის მსხვერპლი, ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია მსგავსი ომის წარმოების ტექნოლოგიის ცოდნა, მისი სტრატეგიული ხერხები და მეთოდები, რომელთაც საკუთარი სპეციფიკა გააჩნიათ. რაც შეეხება ეკონომიკურ ომებს (XIX-XXI საუკუნეებში გამოიყენება სავაჭრო, საზღვაო, საკრედიტო ბლოკადები, ქონების კონფისკაცია), უმეტეს შემთხვევაში მსგავსი ტიპის ომები პოლიტიკურ (გეოპოლიტიკურ) მიზანს ემსახურება. საერთოდ, დასავლეთის ქვეყნები ძალიან გაურბიან ტერმინ „გეოეკონომიკური ომის" ხმარებას და უპირატესობას ანიჭებენ ისეთ ნეიტრალურ განსაზღვრებებს, როგორებიცაა: „ეკონომიკური სანქცია", „სავაჭრო-ეკონომიკური შეზღუდვები", „მორატორიუმი", „აკრძალვა"და ა.შ. თუმცა, ყველა ეს გამოყენებული ზომა ერთობლიობაში იმაზეა გათვლილი,

რომ დაასუსტოს მოწინააღმდეგის ეკონომიკა, გამოიწვიოს სოციალური მღელვარება და საბოლოო ჯამში მოახდინოს ხელისუფლების ცვლილება.

მაგალითად, წარსულის ეკონომიკურ ომებს შორის შეიძლება გავიხსენოთ „კონტინენტური ბლოკადა“. დიდი ბრიტანეთის ვაჭრობის ბლოკირების ღონისძიებათა კომპლექსი, რომელსაც აწარმოებდა ნაპოლეონ ბონაპარტი (ბლოკადა მიმდინარეობდა 1806-1814 წწ.). ნაპოლეონის მიერ ბლოკადა გამოცხადდა 1806 წლის 21 ნოემბერს ბერლინის დეკრეტით, რომელიც კრძალავდა ბრიტანეთის კუნძულებთან სავაჭრო, საფოსტო და სხვა ტიპის ყოველგვარ კავშირს. კონტინენტური ბლოკადა ვრცელდებოდა ევროპის უმეტეს ან/და საფრანგეთზე დამოკიდებულ ქვეყნებზე. ბლოკადამ ხელი შეუწყო საფრანგეთის მრეწველობის დარგების ინტენსიფიკაციას (მეტალურგია, გადამამუშავებელი მრეწველობა და ა.შ.) და, იმავდროულად, უარყოფითად აისახა იმ ევროპული სახელმწიფოების ეკონომიკებზე, რომლებსაც ტრადიციულად სავაჭრო კავშირები ჰქონდათ დიდ ბრიტანეთთან. ნაპოლეონმა მოახდინა ჰამბურგის, ლუბეკის და სხვა ქალაქების ოკუპაცია, რომელთაც „დაევალათ“ ფრანგი მებაჟეებისა და სანაპირო დაცვის მოსამსახურეთა შენახვა. თუმცა, ეკონომიკური მეთოდებით საფრანგეთმა ვერ შეძლო „ნისლიანი ალბიონის“ დანგრევა, რადგან დიდმა ბრიტანეთმა მიმართა კონტრბლოკადას, ფართოდ გაშალა საზღვაო ვაჭრობა და გამოიყენა კონტრაბანდა. საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ 1807 წელს საფრანგეთს შეუერთდა რუსეთის იმპერიაც. ბლოკადის არახელსაყრელმა პირობებმა გაამწვავეს რესეთ-საფრანგეთის ურთიერთობა, რომელიც საფრანგეთის მიერ 1812 წელს რუსეთთან ომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი გახდა. ბლოკადის სრულად მოხსნა მხოლოდ საფრანგეთის იმპერიის სრული განადგურების შემდეგ მოხერხდა. საერთოდ, XIX-XX საუკუნეებში ეკონომიკური ომის ყველაზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენდა საზღვაო ბლოკადა. მხოლოდ 1827-1914 წწ. ბლოკადა განხორციელდა 21 ქვეყნის მიმართ (მათ შორის: თურქეთი, პორტუგალია, ნიდერლანდები, კოლუმბია, პანამა, მექსიკა, არგენტინა სალვადორი და ა.შ.). აღნიშნული ბლოკადის ინიციატორები იყვნენ: დიდი ბრიტანეთი (12 ჯერ), საფრანგეთი (11 ჯერ), იტალია და გერმანია (3 ჯერ), ავსტრია და რუსეთი (2 ჯერ) და ჩილე. საერთაშორისო პოლიტიკაში ეკონომიკური სანქციები ყველაზე მნიშვნელოვანი და ხშირად გამოყენებადი ინსტრუმენტი მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ გახდა. ეს განსაკუთრებით ეხება XX საუკუნის ბოლო 30 წელიწადს. მაგალითად, 1971-2000 წლებში დაფიქსირდა ეკონომიკური სანქციების გამოყენების 120 შემთხვევა, რამაც 1911-2000 წლებში გამოყენებული ამგვარი სანქციების 69% შეადგინა. XX საუკუნეში ყველაზე მასშტაბური საბჭოთა კავშირის მიმართ განხორციელებული ეკონომიკური ომი იყო. ამ ომს გაამოკვეთილი პოლიტიკური მიზნები ქონდა - ბოლშევიკების ხელისუფლების შეცვლა და ქვეყნის პოლიტიკური კურსის ცვლილება (ამ მხრივ, განსაკუთრებით ანტანტის ქვეყნები - დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი აქტიურობდა). აღნიშნულის გარდა, დასავლეთი ცდილობდა, რომ რუსეთს შეესრულებინა მის მიერ აღებული ვალის გადახდის ვალდებულება და უცხოელების ქონებრივი უფლებების აღდგენა (უცხოური აქტივების ნაციონალიზაციის გაუქმება). საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური ომი 1917 წლის

დეკემბერში დაიწყო, მისმა ყოფილმა ანტანტელმა მოკავშირეებმა მის წინააღმდეგ სავაჭრო და საზღვაო ბლოკადა გამოაცხადეს. მცირედი პაუზებით (უპირველეს ყოვლისა, მეორე მსოფლიო ომის პერიოდი) საბჭოთა ბოროტების წინააღმდეგ ომი გაგრძელდა 1991 წლამდე, იმ დრომდე, ვიდრე საბოლოოდ არ დაიშალა საბჭოთა კავშირი.

ლექცია XIII

გეოეკონომიკური ომები (გაგრძელება)

13.1ეკონომიკური სანქციები- ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა

13.2 ომი და ეკონომიკა

13,3 გეოეკონომიკური ომის წარმოების ახალი ფორმები

13.1 ეკონომიკური სანქციები-ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა

დასავლელი პოლიტიკოსები ეკონომიკურ სანქციებს განიხილავენ, როგორც იარაღს, რომელსაც შეიძლება დამანგრეველი ეფექტი ჰქონდეს. აღნიშნულ მიზნებს ემსახურება ეკონომიკური სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, რომელიც დასავლეთმა 1991 წლის შემდგომ დაიწყო. იმის გამო, რომ რუსეთი დიდი ხანია ეწევა გეოეკონომიკურ ომს ჩვენი ქვეყნის მიმართ, მის მიმართ წარმოებულ ანალოგიურ ომზე ვფიქრობ, მეტი ყურადღების გამახვილება საინტერესოა. რუსეთის ფედერაციასთან დამოკიდებულებაში, აშშ-ის მხრიდან გაგრძელდა „ვენიკ - ჯექსონის“ კანონის შესწორებებით მოქმედება, რომელიც შემოღებული იქნა 1974 წელს იმ მიზნით, რომ აეძულებინა მოსკოვი შეზღუდვები მოეხსნა საბჭოთა კავშირიდან ებრაელთა გასვლაზე. შესწორებები ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაში სხვადასხვა შეზღუდვას როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის ნაწილზე. ეს შესწორებები მოხსნილ იქნა 2012 წელს, მაგრამ ის მალევე შეიცვალა „მაგნიტსკის აქტით“. ეს აქტი აშშ-ის მთავრობას და პრეზიდენტს უნარჩუნებს უფლებას შეზღუდვები დააწესოს რუსეთის ფედერაციასთან ვაჭრობაში. მეორე მაგალითია შეზღუდვები ტექნოლოგიების მიწოდებაზე, რომელიც განხორციელდა ჩვენთვის უკვე ნაცნობი ორგანიზაცია CoCom-ის მემკვიდრე ვასენაარის ხელშეკრულებით.

ვასენაარის ხელშეკრულება დადებულ იქნა 1996 წლის ივლის-დეკემბერში, ქალაქ ვასენაარში (ნიდერლანდები). ხელშეკრულების მიზანია ხელი შეუწყოს პასუხისმგებლობის ზრდას ჩვეულებრივი იარაღის, საქონლის და ორმაგი გამოყენების ტექნოლოგიების გადაცემისას. „ცივი ომის“ დამთავრების შემდგომ დასავლეთის ქვეყნები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სოციალისტური ქვეყნებისათვის იარაღის და სამხედრო ტექნოლოგიების მიწოდების კონტროლის რეჟიმი (Co Com) მოძველდა. იმისათვის, რომ წინ აღდგომოდნენ საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოების მუქარებს, აუცილებელი გახდა აღნიშნულ სახეობებზე კონტროლის უფრო გლობალური სისტემის შექმნა. ამიტომ CoCom - ის გაუქმების შემდეგ (1994 წელი) დადებულ იქნა ახალი ხელშეკრულება, რომელსაც შეუერთდნენ იარაღის მწარმოებელი და ექსპორტიორი ქვეყნები, მათ შორის აღმოსავლეთი და ცენტრალური ევროპის, დსთ-ს ქვეყნები, ასევე არგენტინა და სამხრეთ კორეა (http://www.wassenaar.org/introduction/index.html).

რუსეთის წინააღმდეგ გეოეკონომიკური ომის აშკარა საგარეო გამოვლინება უახლეს წარსულამდე არ იგრძნობოდა ორი მიზეზის გამო. საქმე იმაშია, რომ რუსეთის ფედერაციის არსებობის პირველ ეტაპზე, როცა ხელისუფლების სათავეში ბორის ელცინი მოვიდა, ნებაყოფლობით მიმდინარეობდა დასავლეთის პოლიტიკის ფორვატერში სვლა, ამიტომ არავითარი იძულებითი მოქმედებები მის მიმართ საჭირო არ იყო. დასავლეთს გააჩნდა ეკონომიკური ომის ფართო არსენალი, მაგრამ 1990-იან წლებში მისი გამოყენება იშვიათად ხდებოდა. მეორე მხრივ, დასავლეთის ზოგიერთი ეკონომიკური სანქცია, რომელსაც ის იღებდა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, არ შეიძლება მივაკუთნოთ გეოეკონომიკური ომის კატეგორიას. მაგალითად, 2014 წელს ჰაგის საერთაშორისო სასამართლომ გამოიტანა ვერდიქტი რუსეთის ნავთობის კომპანია „იუკოსის“ უცხოელ ინვესტორებთან დაკავშირებით. სასამართლომ რუსეთის ფედერაციას დააკისრა 50 მილიარდი დოლარის გადახდა მოსარჩელე მხარის სასარგებლოდ. რუსეთი არაა ერთადერთი ქვეყანა, რომლის მიმართაც დასავლეთი ეკონომიკურ ომს აწარმოებს. გაეროს მონაცემებით, XXI საუკუნეში „ოქროს მილიარდის“ ქვეყნების მხრიდან რამდენიმე ათეულ აგრესიულ სახელმწიფოზე განხორციელდა ეკონომიკური სანქციები, რომელშიც პლანეტის მოსახლეობის 52% ცხოვრობს. ყველაზე უფრო ხანგრძლივად ითვლება ვაშინგტონის ეკონომიკური ომი კუბისა და ჩრდილოეთი კორეის წინააღმდეგ. კუბის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები ჯერ კიდევ 1960 წლიდან იქნა შემოღებული, როცა ამბოხებულებმა ტერორისტ ფიდელ კასტროს ხელმძღვანელობით კუბაში არსებული ამერიკული კომპანიებისა და მოქალაქეების საკუთრების ექსპროპრიაცია მოახდინეს. 1962 წელს სანქციები კიდევ უფრო გამკაცრდა და დაწესებულ იქნა ემბარგო, რომელიც მხოლოდ ახლახან შეიცვალა. კუბის ხელისუფალთა მონაცემებით, ემბარგოდან მიყენებულმა ზარალმა ნახევარი საუკუნის განმავლობაში 1 ტრილიონი დოლარი შეადგინა.

ხანგრძლივი ეკონომიკური ომი მიმდინარეობს ირანის წინააღმდეგ. აშშ-ის სანქციები ამ ქვეყანასთან მიმართებაში ჯერ კიდევ 1979 წელს იქნა შემოღებული. ამ დროიდან მოყოლებული, ის არ მოხსნილა, იცვლებოდა მხოლოდ მისი არსენალის პრიორიტეტები. ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ დაწყებული მოლაპარაკებების დროსაც კი ირანის ბლოკადა არ მოხსნილა, მოხდა მისი შერბილება.

ეკონომიკური სანქციები შეიძლება მოქმედებდეს სხვა ქვეყნის ყველა მოქალაქის და ყველა ეკონომიკური სუბიექტის მიმართ (კომპანიები, ბანკები და ა.შ.). მათი პრაქტიკაში გამოყენება დიდი ხნის წინათაა დაწყებული (ცხრ.3). ისინი შეიძლება ატარებდნენ სექტორულ ხასიათს. სექტორული სანქციის კარგი მაგალითია 2014 წლის ზაფხულში რუსეთის მიმართ განხორციელებული სანქციები, რომელიც შეეხო სამ სექტორს - სამხედრო წარმოებას, ნავთობის მოპოვებას და საბანკო სექტორს. რიგ შემთხვევებში სანქციებს შეიძლება ყავდეს კონკრეტული ადრესატები (ამ შემთხვევაში დგება სპეციალური შავი სიები). ერთ შემთხვევაში, ეს არის მოქმედებები სანქციადადებული ქვეყნის მოქალაქეების და ეკონომიკური სუბიექტების მიმართ. მეორე მხრივ, მოქმედებები შეიძლება განხორციელდეს არასანქციადადებული, არამედ სხვა ქვეყნის იმ მოქალაქეების, კომპანიების, ბანკების მიმართ, რომლებიც ხელს უშლიან სანქციების განხორციელებას. მაგალითად, დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის ბევრი ბანკის მიმართ სასამართლოების და ფინანსური ზედამხედველობის ორგანოების მხრიდან წაყენებულია ბრალი იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი მონაწილეობდნენ საერთაშორისო გადახდებსა და გადარიცხვებში ირანის, ლიბიის, სირიის, კუბის, სუდანის ბანკების სასარგებლოდ. ამასთან, ბანკები, რომლებიც ხვდებიან ამგვარ სანქციებში, იხდიან რამდენიმე მილიარდიან ჯარიმებს. სანქციები შეიძლება შეეხოს (ექსპორტი და იმპორტი) სატრანსპორტო კომუნიკაციებს, სამუშაო ძალის გადაადგილებას, საქონლის და ფინანსურ ნაკადებს. განსაკუთრებით დამანგრეველი ეფექტი შეიძლება გამოიწვიოს ისეთმა სანქციებმა, როგორიცაა საბანკო ოპერაციების დაბლოკვა კომუნიკაციური სისტემა SWIFT-ის (Society for Worldwide Interbank Financial Telecommunication) გამოყენებით. იმის მიუხედავად, რომ ის წარმოადგენს კერძო ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციას (მისი დამფუძნებლები არიან სხვადასხვა ქვეყნის ბანკები), რომელიც აკონტროლებს ინფორმაციის გაცვლის უმსხვილეს ბანკთაშორის სისტემას, მასზე ძლიერი გავლენა აქვს აშშ-ს და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს. მაგალითად, 2012 წელს გარედან დიდი ზეწოლის შედეგად (ეს სისტემა ფორმალურად ბელგიის იურისდიქციაში იმყოფება) ორგანიზაცია იძულებული გახდა დაებლოკა ირანის მიერ განხორციელებული ყველა საბანკო ოპერაცია.

მაგალითად, რუსეთი SWIFT-ის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრია. რუსული ბანკები ოპერაციების მიხედვით მეორე ადგილზე არიან (აშშ-ს შემდეგ), ხოლო გადარიცხვების მოცულობით მეთხუთმეტე ადგილს იკავებენ. რუსეთის საბანკო ოპერაციების დაბლოკვის შემთხვევაში დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება რუსეთის მთელი იმპორტი და ექსპორტი. SWIFT შედის რუსეთის 800 ბანკზე მეტი. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი გამოირთვება ამ სისიტემიდან, მაშინ რუსულ ბანკებს მოუწევთ აწარმოონ შიდა ანგარიშსწორება რუსული

სისტემის მეშვეობით (რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა რუსული ბანკებისათვის შექმნა ანგარიშსწორების და ინფორმაციის გაცვლის ალტერნატიული სისტემა, რომელშიც რუსული ბანკები 2014 წლიდან ჩაერთნენ). ამ მოცემულობაში რუსულ ბანკებს მოუწევთ პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყება უცხოელ პარტნიორებთან, თუ რა ფორმით აწარმოონ გადახდები ერთმანეთს შორის. ამ ვითარებაში შეიძლება გამოჩნდნენ შუამავლები, რომლებიც არ მოქმედებენ ევროკავშირის იურისდიქციით. თუმცა, უცხოური ბანკების დათანხმების შანსი ამ მოცემულობაში ნულის ტოლი იქნება. მსგავსი სანქციები ძალიან გააუარესებს რუსეთის ეკონომიკის მდგომარეობას, რომელიც ისედაც არ იმყოფება ჯანსაღ მდგომარეობაში (იზრდება ფასები, ადამიანების შემოსავლები იკლებს, მცირდება სამუშაო ადგილები) და უახლოესი წლების განმავლობაში მისი გაჯანსაღების არავითარი შანსი არ იქნება (http://www.swift.com/index.page?lang=en).

წინამდებარე ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ თუ 1911 წლიდან 1960 წლამდე გამოყენებული სანქციების რაოდენობა 50 ერთეულს შეადგენდა, 1960-2000 წლების ანალოგიური მაჩვენებელი 124 -ია, რაც 2,4-ჯერ მეტია წინა პერიოდის მაჩვენებელზე. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მსოფლიო რეალურად შედის გეოეკონომიკური ომების ფაზაში.

(ცხრ..3).

წლები ხუთწლიანი ინტერვალით	*გამოყენებული სანქციები რაოდენობა*
1911-1915	*1*
1916-1920	*2*
1921-1925	*2*
1926-1930	*0*
1931-1935	*3*
1936-1940	*3*
1941-1945	*1*
1946-1950	*8*
1951-1955	*5*
1956-1960	*10*
1961-1965	*15*
1966-1970	*4*
1971-1975	*13*
1976-1980	*25*
1981-1985	*15*
1986-1990	*20*
1991-1995	*34*
1996-2000	*13*

წყარო: Gary Clyde Hufbauer, Jeffrey J. Schott, Kimberly Ann Elliott, and Barbara Oegg. Economic Sanctions Reconsidered, 3rd edition. November 2007.

ძალზედ დამაზიანებელი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ისეთ სანქციასაც, როგორიცაა სავალუტო რეზერვების გაყინვა. ამის პრეცედენტები უკვე იყო. მაგალითად, თავის დროზე აშშ-მა დააპატიმრა ირანის რეზერვები (ზუსტი რაოდენობა უცნობია), 2011 წელს დაპატიმრებულ იქნა ლიბიის ცენტრალური ბანკისა და სუვერენული ფონდის რეზერვები (დაპატიმრებული აქტივების საერთო ჯამმა 150 მილიარდი დოლარი შეადგინა).

განსაკუთრებით საშიში ხდება ე.წ. აქტიური გეოეკონომიკური ომები, რომლის დროს შეიძლება განხორციელდეს უცხოური კომპანიების და ბანკების კუთვნილი აქტივების დაპატიმრებები, კონფისკაცია და ნაციონალიზაცია. მაგალითად, 1960-იან წლებში აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში ეროვნულ -განმანთავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა იმ უცხოური ტრანსნაციონალური კორპორაციების აქტივების ნაციონალიზაციას, რომლებიც მოქმედებდნენ ამ ქვეყნებში. მეორე მხრივ კი ისეთ მოქმედებებს (რომელიც ფორმალურად არ უკავშირდება პოლიტიკურ მოტივებს), რომელიც გამოიყენება სანქციის შემოსაღებად, რომლის კარგი მაგალითია სახელმწიფოების მიერ სასაქონლო და ფინანსურ ბაზრებზე მანიპულირება (პირველ რიგში ესენია: არის აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, ჩინეთი). ეყრდნობიან რა საკუთარი ბანკების შესაძლებლობებს, მათ შეუძლიათ ხელოვნურად გაზარდონ ან შეამცირონ ფასები ნედლეულის ბაზრებზე, ან საპროცენტო განაკვეთები ფინანსურ ბაზრებზე, სავალუტო კურსი ფულის ბაზრებზე და ა.შ. ამასთან, ყველაფერი შეიძლება ისეთნაირად შეიფუთოს, რომ მიეწეროს „ბაზრის სტიქიას“ ან „ ხარბ სპეკულანტებს“. 2015 წელს ნავთობზე ფასების დაწევამ დიდი დარტყმა მიაყენა რუსეთის ეკონომიკას, თუმცა მისი პირდაპირ მიბმა რუსეთის მიმართ წარმოებულ გეოეკონომიკურ ომთან ძალიან ძნელი და პრაქტიკულად შეუძლებელია.

უნდა შევნიშნო, რომ დასავლეთის ბოლო სანქციებმა რუსეთის წინააღმდეგ შეიძლება სათავე დაუდოს დიდ სახელმწიფოებს შორის პირველ კონფლიქტს, რომლის ანალოგი არ ყოფილა „ცივი ომის“ დამთავრებიდან დღემდე. მოსკოვში დარწმუნებულნი არიან, რომ ეს სანქციები მიმართულია არსებული პოლიტიკური რეჟიმის შეცვლისაკენ. ბოლო წლებში გამოჩნდა ასევე დასავლეთის ელემენტები მსოფლიო ვაჭრობის მართვაში, რომელიც მიმართული იყო ირანის, მიანმარის კავშირის რესპუბლიკის და ვენესუელის წინააღმდეგ.

დასავლეთის ანალოგზე ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება ასახავს ინდუსტრიული ქვეყნების ტაქტიკას იმ ქვეყნების მიმართ, რომელთაც სუსტი შეიარაღებული ძალები ჰყავთ. მაგალითად, რუსეთმა სანქციები დაუწესა საქართველოს, მოლდოვას და უკრაინას, რათა

ხელი შეეშალა მათი დასავლეთისაკენ დრეიფისათვის. ჩინეთმა სანქციები გამოიყენა იაპონიისა და ფილიპინების წინააღმდეგ საზღვაო დავებთან დაკავშირებით და ა.შ.

როგორ უკვე აღვნიშნე, ეკონომიკური სანქციები და შეზღუდვების დაწესება გეოეკონომიკის მნიშვნელოვან ბერკეტებს წარმოადგენს და იგი შეიძლება მოიცავდეს საკმაოდ ფართო არსენალს, დაწყებული არასატარიფო შეზღუდვებიდან (მაგალითად, მკაცრი სანიტარიული კონტროლი), სრულმასშტაბიანი ბლოკადით დამთავრებული.

მაგალითად, არასატარიფო შეზღუდვების გამოყენების კარგი მაგალითია სამხრეთ კორეის პოლიტიკა ავტომობილების იმპორტის შეზღუდვასთან დაკავშირებით, რომელიც გრძელდებოდა 1997 წლამდე. აღნიშნულთან დაკავშირებით ე.ნ. ლუტვაკი წერს: "რამდენადაც სამხრეთ კორეის კომპანიები ავტომობილების აქტიური ექსპორტიორები იყვნენ, ამ ქვეყნის მთავრობას არ შეეძლო პირდაპირ შეეზღუდა იმპორტი ან შემოეღო აკრძალული ტარიფები. ამის ნაცვლად გამოყენებულ იქნა შენიღბული სქემა. კერძოდ, სამხრეთ კორეის ხელისუფლებამ არაფორმალურად აუკრძალა თავის კომპანიებს (მათი ზომების მიუხედავად), გამხდარიყვნენ უცხო მწარმოებლების იმპორტიორები ან მათი დისტრიბუტორები. მეორე მხრივ, როცა ამ უკანასკნელებმა გახსნეს საკუთარი სალონები, უძრავი ქონების ადგილობრივ მფლობელებს არაორაზროვნად მიანიშნეს, რომ არ შეიძლებოდა შენობის ფართის გაყიდვა ან მისი იჯარით გადაცემა და ბოლოს, როცა ზოგიერთი შეუპოვარი მოქალაქე მაინც ბედავდა უცხოური ავტომობილის შეძენას, ადგილობრივი ხელისუფლება მყისვე იწყებდა მათ საგადასახადო შემოწმებას. შედეგად, არცთუ მრავალრიცხოვანი უცხოური ავტომობილი იქნა გაყიდული. მსგავს ზომებს ხანდახან მიმართავენ ევროპის ქვეყნებიც. მაგალითად, „საფრანგეთის ხელისუფლებამ იმისათვის, რომ შეექმნა ვიდეომაგნიტოფონების საკუთარი წარმოება, საჭიროდ მიიჩნია იაპონიიდან იმპორტის შეზღუდვა, ამიტომ მიიღო გადაწყვეტილება, ამ სახის მთელი პროდუქციის შეტანა განეხორციელებინა მხოლოდ ერთი საბაჟოს გამოყენებით, რომელიც ქვეყნის შორეულ რეგიონში მდებარეობდა, და ეს საბაჟო-გამშვები პუნქტი დაკომპლექტებულ ჯერ არ იყო. შედეგად გაიწელა დრო და იმპორტის მოცულობაც შემცირდა" (Luttwak ,1993,136-137).

ეკონომიკურ საქციებს, როგორც წესი, უარყოფითი მომენტებიც გააჩნია. ქვეყანამ რომელიც სანქციებს ახორციელებს, იმავდროულად, შეიძლება ზიანი მიაყენოს საკუთარ საწარმოებს და კომპანიებს. მაგალითად, აშშ-ს კომპანიები იძულებულნი გახდნენ წამოსულიყვნენ ირანიდან, გერმანულმა ავტომშენებელმა კომპანიებმა შეამცირეს თავისი ექსპორტი რუსეთში, საფრანგეთმა ეკონომიკური დარტყმა მიიღო რუსეთისათვის „Mistral"-ის მიყიდვაზე უარის თქმით და ა.შ. 2014 წელს რუსეთმა განახორციელა საპასუხო ზომები, როცა აკრძალა იმ ქვეყნებიდან სურსათის შემოტანა, რომლების შეუერთდნენ მის წინააღმდეგ სანქციებს. ამ ტენდენციის შედეგები ევოლუციონირდება, მაგრამ თუ ცოტა ღრმად

დავუკვირდებით, ის პოტენციურად წარმოადგენს „დეგლობალიზაციის“ კამპანიას და, აი, რატომ: ვიდრე კომპანიები განახორციელებენ ინვესტირებას რომელიმე უცხო ქვეყანაში, ისინი იძულებულნი არიან სულ უფრო მეტად იფიქრონ იმაზე, თუ რამდენად არიან ისინი მიჯაჭვულნი საკუთარი ქვეყნის მთავრობაზე. მეორე შედეგი მოიცავს ცვლილებას ტრადიციულ საგარეო ვაჭრობის მოდელებში ახალი გეოპოლიტიკური ბალანსის შესაბამისად. მაგალითად, 2006 წელს რუსეთმა საქართველოს დაუწესა ემბარგო ღვინოზე, რითაც აიძულა ჩვენი ქვეყანა უკვე დასავლეთში მოეძებნა ახალი ბაზრები, რამაც უფრო დაუხლოვა ქვეყნის გეოეკონომიკური ინტერესები დასავლეთის ბაზრებთან. როცა 2014 წელს დასავლეთმა რუსეთს დაუწესა სანქციები, უკვე რუსეთი გახდა იძულებული დაეჩქარებინა თავისი ეკონომიკური დაახლოება ჩინეთთან.

ხშირად, სანქციების პირობებში, ბედის ირონიით, გამარჯვებული შეიძლება აღმოჩნდეს მესამე მხარე. მაგალითად, აშშ-ის მიერ ირანისათვის დაწესებული სანქციების საწყის ფაზაში ასეთი იყო ევროკავშირის ქვეყნები. დასავლეთის მიერ უკრაინის გამო რუსეთისათვის დაწესებულ სანქციებით, როგორც უკვე აღვნიშნე, იგებს ჩინეთი. რუსეთი მოიგებს იმ შემთხვევაში, თუ დასვლეთი აკრძალავს ჩინეთისათვის იარაღის მიწოდებას. თურქეთმა მოიგო იმ სიტუაციაში, როცა ევროკავშირის ზეწოლით რუსეთმა უარი თქვა სამხრეთის ნაკადის მილსადენის პროექტზე და ა.შ.

პოლიტიკური კუთხით სანქციები ყველაზე ეფექტურია საკუთარი მოკავშირეების და მეგობრების წინააღმდეგ. მაგალითად, უკრაინის კრიზისის დროს დასავლეთის სანქციებმა თავისი წვლილი შეიტანა არა მხოლოდ რუსეთის პრეზიდენტის პოპულარობის, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, რუსული პატრიოტიზმის და შოვინიზმის ზრდაში. უფრო მეტიც, კრემლის მესვეურები იმედოვნებენ, რომ რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება სანქციები, მით მეტი იქნება ქვეყანაში პოლიტიკური სტრაბილურობის გარანტიები. თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რუსეთის ეკონომიკის დასუსტებას ალბათ საპირისპირო ეფექტი ექნება. ფაქტია, რომ სანქციები დიდ გავლენას ახდენენ იმ ქვეყნების ეკონომიკაზე, რომელთა მიმართაც ხორციელდება იგი. სანქციების პირობებში ამ ქვეყნებში ფერხდება ტექნოლოგიური განვითარება და მისი მოსახლეობა უფრო და უფრო ღარიბდება.

13.2 ომი და ეკონომიკა

სახელმწიფოები თავისი პრინციპით და ბუნებით ტერიტორიული წარმონაქმნია. სახელმწიფოების კონკრეტულ ტერიტორიასთან მიჯაჭვულობა, რომელიც კონკრეტული ხალხითაა დასახლებული, მათ აძლევთ არსებობის უფლების ლეგიტიმაციას. თუ სახელმწიფოები კონტროლს დაკარგავენ საკუთარ ტერიტორიაზე და საზღვრებზე, მაშინ ისინი უბრალოდ აღარ იარსებებენ, რაც მათ ინტერესებში ნამდვილად არ შედის. ისინი მუდმივად ცდილობენ დადგენილი საზღვრების შენარჩუნებას და იბრძვიან მათ შიდა

ტერიტორიებზე მიმდინარე პროცესებზე ექსკლუზიური კონტროლის დამყარებისათვის. ამის გარდა, სახელმწიფოები ცდილობენ გარკვეული უპირატესობის მიღწევას საერთაშორისო არენაზე მეზობელი სახელმწიფოების ხარჯზე და ამისათვის ისინი ეძებენ სხვა ხერხებს იმ დროს, როცა შეუძლებელია სამხედრო ძალის გამოყენება (Luttwak,1990). ე. ლუტვაკის აზრით, სახელმწიფოს ქცევის ლოგიკა იყო და რჩება კონფლიქტის ლოგიკად ანუ „სტრატეგიის იმ პარადოქსულ ლოგიკად", რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ეკონომიკურად სუსტ ქვეყნებს ეშინიათ საზღვრის გახსნა, იმის შიშით, რომ მისი მოქალაქეები გაიქცევიან ქვეყნიდან და წაიღებენ მათ ხელთ არსებულ ყველა რესურსს. ძლიერ ქვეყნებს პირიქით, ეშინიათ საზღვრების გახსნა იმ მიზეზით, რომ არ სურთ საკუთარ ტერიტორიაზე დაუშვან ღარიბი ქვეყნის მშიერი და გაბოროტებული ადამიანები. საბიუჯეტო შემოსავლების ნებისმიერი შემცირება იწვევს ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის დონის გაუარესებას, რამაც შეიძლება მოსახლეობაში გამოიწვიოს სოციალური პროტესტი და შეეცადოს დაამხოს ის მთავრობა და ხელისუფლება, რომელმაც იმედი გაუცრუა. რთულია იმის წარმოდგენა, რომ ამ სიტუაციაში სახელმწიფო გულწრფელად საუბრობს საზღვრების უპირობო გახსნაზე უცხოური ბიზნესისათვის ან ეროვნული ბიზნესისათვის სხვა ქვეყნებში ხელსაყრელი პირობებს ქმნის. რა თქმა უნდა, ყველა ეს საუბრები ან ბლეფია, ან რაღაც რთული თამაში, რომელშიც თითოეული მონაწილე იმედოვნებს გარკვეული მოგების მიღებას. სწორედ ამ თამაშში მდგომარეობს თანამედროვე გეოპოლიტიკის არსი, რომელიც ე. ლუტვაკის აზრით, თანდათან გარდაიქმნება გეოეკონომიკად (Luttwak,1990).

როგორც უკვე ითქვა, სახელმწიფოების გეოეკონომიკური აქტივობა დამოკიდებულია მის ბიუროკრატიაზე და იმ ლოგიკაზე, რომლითაც მოხდა ამ ბიუროკრატიის ფორმირება. სახელმწიფო ბიუროკრატიის სამხედრო ამბიციებით დასნებოვნების ხარისხი განსხვავდება ქვეყნების და სექტორების მიხედვით. მთლიანობაში სახელმწიფოები სულ უფრო მეტად იხრებოდნენ და იხრებიან გეოეკონომიკური ქცევისაკენ იმ შემთხვევაში, როცა ისინი ყურს უგდებდნენ სხვათა მითითებებს და რჩევებს ან/და ექცეოდნენ სხვათა ზეგავლენის ქვეშ. ამ მოცემულობაში ისინი საკუთარი ეკონომიკის მართვას იწყებდნენ ამ მოთხოვნების შესაბამისად (საკუთარი ტერიტორიების და ეკონომიკის დაცვის უუნარობა უცხო ბიზნესის ექსპანსიისას), რომელიც, როგორც წესი, ცუდად მთავრდებოდა (Luttwak,1990).

ე. ლუტვაკის აზრით, სახელმწიფოები არ გამხდარან ნაკლებად აგრესიულები, ვიდრე ისინი იყვნენ ადრე და არც შეიძლება გამხდარიყვნენ, ვინაიდან ეს ეწინააღმდგება მათ ბუნებას და ინტერესებს. უბრალოდ, მათ სამხედრო მოქმედებები წარმართეს ახალი საშუალებებით. ამასთან, ისინი მუდმივად მიისწრაფვიან მტერზე გამარჯვებისაკენ. „ცხელი ომის" მსგავსად, ეკონომიკური ომი, რომელიც გეოპოლიტიკურ მიზნებს ისახავს, განსხვავდება უბრალო ეკონომიკური კონკურენციისაგან. როგორც „ცხელ", ასევე ეკონომიკურ ომს ის აქვთ საერთო, რომ ორივე მიზნად ისახავს მტერზე „გამარჯვებას", ანუ გამარჯვებულის ნების თავსმოხვევას დამარცხებულზე. როგორც ზემოთ დავინახეთ,

სახელმწიფოები ცდილობენ უცხოეთიდან შემოტანილ საქონელზე დააწესონ მაღალი ტარიფები და მიაღწიონ დაბალ გადასახადებს საკუთარი მეწარმეების მიერ უცხოეთში შეტანილ საქონელზე. ისინი ცდილობენ შეიტყუონ თავის ტერიტორიაზე უცხოური ბიზნესი, რათა გაიჩინონ დამატებითი გადასახადების აკრეფის შესაძლებლობა. მათ შეუძლიათ მოახდინონ ეროვნული ეკონომიკის ზოგიერთი დარგის სუბსიდირება, თუ ეს დაეხმარება მათ საკუთარი ან სხვა გაზრებიდან განდევნონ უცხოელი კონკურენტები. სახელმწიფოების ფისკალური სისტემა შესაძლებელია იმდენად მომგებიანად იყოს დიფერენცირებული, რომ იმპორტული საქონლის შემოტანა ნეკლებად ხელსაყრელი გახდეს. რეგულირების წესები, შეღავათები, მომსახურება და ინფრასტრუქტურა შეიძლება ისეთნაირად აიგოს, რომ სხვადასხვა სფეროში მოხდეს ეროვნული ინტერესების მხარდაჭერა უცხო ბიზნესის საზიანოდ. ეროვნული საწარმოების ტექნოლოგიური განვითარების მხარდამჭერი პროგრამების და კომპანიების ორგანიზება ისეთნაირად ხდება, რომ უცხოური საწარმოები, რომელთაც ასეთი მხარდაჭერა არ გააჩნიათ, დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფებიან (Luttwak,1990). ყველა ეს მეთოდი ოდითგანვე ცნობილია და მასზე, როგორც ჩანს უარის თქმას არავინ აპირებს. უბრალოდ, ამ საქმიანობამ ნაკლებად გამოკვეთილი სახე მიიღო.

საკუთარი მოსახლეობიდან მიღებული მოსაკრებლის გარდა, სახელმწიფოები ყოველთვის ეძებდნენ შემოსავლის ახალ წყაროებს. ადრე ყველა ეს „დამატებითი შემოსავალები“ ამ თუ იმ ფორმით დაკავშირებული იყო ომთან და სამხედრო ძალასთან (როცა ხდებოდა დამარცხებული მხარის პირდაპირი ძარცვა და მისგან ხარკის შეგროვება) ან/და გამოიყენებოდა ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობის ფაქტორი (გადასახადები ტერიტორიის გამოყენებაზე, გადასახედები პორტების გამოყენებაზე, სახელმწიფოს ბატონობა ზღვაზე და ა.შ.).

XX საუკუნეში სამხედრო ძალასთან ერთად დიდი მნიშვნელობა შეიძინა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონემ, ხოლო ბოლო წლებში პირველ ადგილს იკავებს არა ეკონომიკური ძლიერება, არამედ ეროვნული ეკონომიკის ტექნოლოგიური აღჭურვის დონე. დღეს სუსტად განვითარებული ქვეყნები ხარკს უხდიან მათზე უფრო მოწინავე ქვეყნებს. ქვეყნები მიისწრაფვიან თავიანთ კონკურენტებზე ტექნოლოგიური უპირატესობის მოპოვებისაკენ, რა დროსაც იყენებენ ჩვენთვის უკვე ნაცნობ პროგრამა R&D-ს. ამ სტრატეგიამ კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა ტურბოკაპიტალიზმის პირობებში. ის სახელმწიფოები რომლესაც გააჩნიათ ახალი ტექნოლოგიების დამუშავებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნის უნარი, კონკურენტულ უპირატესობას იღებენ იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც ბიზნესი ორიენტირებულია ძველი ტექნოლოგიების გამოყენებაზე. ამიტომაა, რომ გეოეკონომიკურად აქტიური ქვეყნები, ზოგჯერ ღიად და ზოგჯერ ფარეულად, ახდენენ იმ კომპანიების სუბსიდირებას, რომლებიც ახალ ტექნოლოგიებს ქმნიან გაცილებით სრულყოფილი ტექნიკური მახასიათებლებით ან

ეხმარებიან მათ, ვინც ქმნის ახალ ტექნოლოგიებს ბიზნესის უკეთ წარმართვისათვის ან/და მუშაობენ ახალი მეცნიერული აღმოჩენების კომერციალიზაციის მეთოდებზე.

ობიექტურობისათვის უნდა შევნიშნო, რომ ეს კონკურენცია სულაც არ არის აბსოლუტურად თავისუფალი. გეოეკონომიკურად აქტიურ ქვეყნებში ამ „თავისუფლებას“ მათ ართმევს იქ მოქმედი ბიუროკრატია. ამ მხრივ ე.ნ. ლუტვაკი განსაკუთრებით აშშ-ს აკრიტიკებს.

მაგალითად, თუ აშშ-ის პირველობის ინერტული რეალობა შეიცვლება მისი აქტიური სწრაფვით მსოფლიო ჰეგემონობისაკენ, მას შეიძლება ჰქონდეს ერთი პასუხი, რომელსაც ყოველთვის იწვევდა მსგავსი მცდელობები: იატაქვეშა წინააღმდეგობა სუსტი და ღია ოპოზიცია არცთუ სუსტი სახელმწიფოების მხრიდან. იმისათვის, რომ შეინარჩუნონ საკუთარი დამოუკიდებლობა, არა მხოლოდ რუსეთი ან ჩინეთი, არამედ ამერიკის ბევრი ძველი მოკავშირეებიც იძულებულნი იქნებიან გაერთიანდნენ ერთიან კოალიციაში აშშ-ის ახალი სტრატეგიის წინააღმდეგ. (ამჟამად, ასეთი ერთიანი ანტიამერიკული კოალიციის არარსებობა ამტკიცებს, რომ აშშ მხოლოდ პოტენციურადაა გლობალური ზესახელმწიფო. რამეთუ სახელმწიფოს ძლიერება ყოველთვის განისაზღვრება ერთი შესაძლო მეთოდით, რომელიც ისეთივე ზუსტია, როგორც ლაკმუსის ქაღალდი: იმ დამაიმედებელი ან მტრული რეაქციით, რომელსაც ის იწვევს). რამდენად შორს და სწრაფად განვითარდება დაპირისპირების ღია ფორმები, ამის თქმა ძნელია (Luttwak,2001)

13.3 გეოეკონომიკური ომის წარმოების ახალი ფორმები

ბოლო წლების ეკონომიკურმა კრიზისებმა, დედამიწის დიდი რეგიონების დესტაბილიზაცია მოახდინა და მსოფლიოში ახალი გეოეკონომიკური მოთამაშეები გააჩინა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ გეოეკონომიკის სფეროში ასევე მოქმედებს სტრატეგიის პარადოქსალური (კლასიკური ომის) ლოგიკა. გეოეკონომიკური ომები ასევე მიმდინარეობს გამარჯვებისა და დამარცხების თანხლებით და მისმა მონაწილეებმა ასევე შეიძლება გადააბიჯონ თავისი წარმატების კულმინაციურ წერტილს.

გეოეკონომიკურ პროცესებში სამხედრო ფაქტორის შეთვისებით ყალიბდება ომის წარმოების დახვეწილი ხერხები. „არაპირდაპირი მოქმედების“ სტრატეგიის შესაბამისად, იქმნება არასამხედრო ხასიათის იარაღის ახალი სახე, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში გეოეკონომიკური „ვირუსოლოგიის“ სახელითაა ცნობილი. ამ ტიპის თანამედროვე ომის იდეალური მაგალითია რუსეთ – უკრაინის გაზის კონფლიქტი. რუსეთ – უკრაინის გეოეკონომიკური ომში გამოყენებულ იქნა: 1) სავაჭრო; 2) დიპლომატიური ; 3) ინფორმაციული ; 4) ტექნოლოგიური არსენალი. ეს უკანასკნელი კარგად ვლინდება მაშინ, როცა „გაზპრომი“ თითქოს აწვდის გაზს, ხოლო „ნეფტოგაზი“ თითქოს ვერ ღებულობს მას. ეს

ყველაფერი კი კეთდება შეგნებულად, რათა სისტემის ზოგიერთი ობიექტი გამოვიდეს მწყობრიდან. საქმე იქამდე მივიდა, რომ საუბარი დაიწყეს ომის მეხუთე პუნქტზეც კი (შესაძლო სამხედრო დაპირისპირებაზე იმ რუსულ და უკრაინულ ძალოვან სტრუქტურათა შორის, რომლებიც იცავდნენ გაზსადენს და შესაბამის ინფრასტრუქტურულ ობიექტებს, რაც მოხდა კიდეც). მსგავსი ომისათვის დამახასიათებელია ნახევრად სუბიექტურობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ იქმნება ილუზია, ვითომ რუსეთი კი არ ებრძვის უკრაინას, არამედ ის სახელმწიფო „ამბიციური ელიტები“ და „ამბიციური კორპორაციები“, რომლებიც ამ დაპირისპირებაში წარმოადგენენ კონფლიქტის მხარეს. ეს ძალიან ჰგავს სიტუაციას, როცა მეორე მსოფლიო ომის დროს აშშ-მა და ინგლისმა საბჭოთა კავშირთან ერთად შექმნეს კოალიცია, იაპონია იყო გერმანიის მოკავშირე და ა.შ. რეალურად კი ეს იყო ომი ორ მეგასუბიექტს შორის. გეოეკონომიკურ ომში თითოეული იცავს მხოლოდ საკუთარ ინტერესებს. რუსეთისა და უკრაინის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ცდილობდნენ ეს მოცემულობა წარმოეჩინათ როგორც რუსეთ – უკრაინის კონფლიქტი, ანუ როგორც დაპირისპირება რუსეთის ხელმძღვანელობისა პროამერიკულად განწყობილ ა. იუშენკოსთან, რომელიც განპირობებული იყო ხელისუფლებისათვის შიდა ბრძოლით ა.იუშენკოსა და ი.ტიმოშენკოს, ვ.პუტინსა და დ.მედვედევს შორის. ეს არის პროპაგანდისა და ინფორმაციული ომის კარგი მაგალითი. სინამდვილეში ამ ინფორმაციულ ომში ერთი სიტყვაც არ თქმულა იმის შესახებ, თუ ვის აწყობდა იგი და ვინ იყო ამ ომის ორგანიზატორი. არ შეიძლება ასევე იმის დავიწყება, რომ არსებობს „რუსუკრენერგოს“ ფაქტორი, მაგრამ ეს სულაც არაა „ამბიციური კორპორაცია“. იგი მხოლოდ ინსტრუმენტია, რომლის მეშვეობითაც რუსეთის და უკრაინის „ამბიციური ელიტები“ კორუფციით და რენტის მითვისებით არიან დაკავებულნი. თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი ინტერესი. მსგავსი ტიპის კონფლიქტების აღწერა მხოლოდ გეოეკონომიკური პარადიგმებითაა შესაძლებელი.

როგორც ჩანს, დედამიწას გააჩნია საკუთარი ბუნებრივ-გეოგრაფიული საზღვრები და ეკონომიკური ექსპანსია არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. მაგალითად, ზემოთ ნახსენები აუთსორინგის სქემა ნელ - ნელა წურავს თავის შესაძლებლობებს, ვინაიდან დედამიწაზე სულ უფრო მცირდება იმ ქვეყნების რიცხვი, რომელიც დასავლეთს სთავაზობს იაფ მუშახელს და, იმავდროულად, პოლიტიკურ წესრიგს და სტაბილურობას. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები უკვე ჩართულნი არიან ამ პროცესში, ხოლო აფრიკის და დანარჩენი აზიის ქვეყნებს არ შეუძლიათ იმ გარანტიების წარმოდგენა, რომელიც აუცილებელია ბიზნესის წარმოებისათვის ან/და ამ ქვეყნების მთავრობებს უკვე აღარ შეუძლიათ აიძულონ საკუთარი მოსახლეობა იაფად იმუშაონ. მეორე მხრივ, განვითარებადი ქვეყნების ის ნაწილი, რომლებიც ჩართულნი არიან აუთსორინგის სქემებში, უკვე იწყებენ ტექნოლოგიურად განვითარებული ქვეყნების მხრიდან გეოეკონომიკური ექსპანსიის შეჩერების საშუალებების ძიებას. საქმე ისაა, რომ აუთსორინგი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როცა ძალზე დიდია ქვეყნებს შორის განსხვავება სამეცნიერო-ტექნიკურ განვითარებაში. დღეს ამ განსხვავებებმა შემცირება დაიწყო. ზოგიერთმა ქვეყანამ (ჩინეთი, აზიის ვეფხვები და ა.შ.) მოწინავე დასავლური ტექნოლოგიების სწრაფი ადაპტირების

საოცარი უნარი გამოავლინა როგორც ახალი პროდუქტების შემუშავების, ასევე ბიზნესის წარმართვის ტექნოლოგიების კუთხით. ამის გარდა, აზიის წარმატებული ქვეყნების ნაწილმა მოახერხა გაეზარდა მაღალპროფესიული და გეოეკონომიკურად აქტიური ბიუროკრატია, რომელსაც შეუძლია საკუთარი ეროვნული ბიზნესის მობილიზება კონკურენტებთან გეოეკონომიკური ომის საწარმოებლად. გამოდის, რომ დასავლეთის ქვეყნებში ახალი მოწინავე ტექნოლოგიების დამუშავების ტემპები ჩამორჩება აზიის ქვეყნების მიერ ამ ტექნოლოგიების ათვისების ტემპებს, რაც იწვევს კიდეც აღნიშნული განსხვავებების შემცირებას.

საერთოდ, ეკონომიკაა ის მატერიალური ფაქტორი, რომელიც მთლიანად განსაზღვრავს ომის მსვლელობას და მის შედეგს. ეს ფაქტი, მსოფლიო და ლოკალური ომების დროს, ცივილიზაციის ისტორიამ დაადასტურა. ომის და ეკონომიკის ურთიერთკავშირები ატარებენ კონკრეტულ - ისტორიულ ხასიათს და გააჩნიათ საკუთარი სპეციფიკური თავისებურებები საზოგადოების განვითარების თითოეულ ეტაპზე. ამასთან, მათთვის დამახასიათებელია მუდმივად განმეორებადი ნიშნები. მათ შორის ყველაზე არსებითია:

- *ორმხრივი ხასიათი - თუ ეკონომიკა გადამწყვეტ სიტყვას ამბობს ომის მსვლელობასა და შედეგზე, მაშინ ომი, თავის მხრივ, არსებით ზეგავლენას ახდენს სახელმწიფოს (კოალიციის) ეკონომიკის განვითარებასა და ფუნქციონირებაზე;*

- *ომის და ეკონომიკის ურთიერთგავლენა რეალიზდება პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს ამ კავშირების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებს;*

- *ომის და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულება აშკარად გამოკვეთილი მატერიალიზებული ფორმით ვლინდება. არსებული ეკონომიკური რესურსები უნდა ადაპტირდეს ომის მიზნებთან. ამიტომ, სამხედრო დანიშნულების პროდუქციის წარმოების ორგანიზაცია ეროვნული ეკონომიკის ორგანული შემადგენელი ნაწილი ხდება;*

- *ეკონომიკის და ომის ურთიერთკავშირი პერმანენტულად მზარდ ხასიათს ატარებს. ომის მომზადების და მისი წარმართვისათვის მოწინააღმდეგე მხარეები სულ უფრო დიდი მასშტაბის ეკონომიკურ რესურსებს იყენებენ. დიდ მნიშვნელობას იძენს იარაღის წარმოებაში სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროცესის უახლესი მიღწევების გამოყენება.*

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ თანამედროვე გეოეკონომიკური ომების ფენომენში, სასარგებლოა ვიცოდეთ ის ძირითადი სპეციფიკური თავისებურებები, რომლითაც ხასიათდება თანამედროვე კორპორაციები. კორპორაციები ორიენტირდნენ რა მაქსიმალური მოგების მიღებაზე, დაინტერესებულნი არიან საკუთარ დამკვეთებს-სამხედრო კონტრ - პარტნიორებს „მიყჰიდონ რაც შეიძლება მეტი და რაც შეიძლება ძვირად“. ამასთან, დამკვეთის ვინაობა სულ უფრო მეტად მეორეხარისხოვან როლს თამაშობს.

მაგალითად, ბრიტანულმა ფირმამ Henry Whitehead, რომელიც მდებარეობდა მანჩესტერში, პირველი მსოფლიო ომის წინ თავისი ფილიალები გახსნა ხმელთაშუაზღვის პორტ ფიუმეში, რომელიც ავსტრია-უნგრეთს ეკუთვნოდა, რითაც ავსტრიის წყალქვეშა ნავებს საშუალება მისცა ჩაეძირა არა მხოლოდ იტალიური ან ფრანგული, არამედ ინგლისის სამხედრო და სავაჭრო გემების არცთუ ცოტა რაოდენობა. იმავე პერიოდში ფრანგული სააქციონერო საზოგადოება, რომელიც ასაფეთქებელ მოწყობილობებს აწარმოებდა, 1915 წლის თებერვლამდე, გერმანიას უახლეს ასაფეთქებელ მოწყობილობას აწვდიდა ნეიტრალური შვეიცარიის მეშვეობით, მაშინ, როცა თვით საფრანგეთს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეძენილი საკუთარი ფირმის ეს პროდუქცია.

ბრიტანელმა მეფოლადეებმა ომის პირველი ორი წლის განმავლობაში ფოლადის უდიდესი რაოდენობა მიჰყიდეს ნორვეგიას, დანიას და შვეიცარიას. მათმა მფლობელებმა კარგად იცოდნენ, რომ ეს ფოლადი მომენტალურად გადაეცემოდა გერმანიას, რომელსაც სამხედრო მრეწველობისათვის ძლიერ სჭირდებოდა მსგავსი ნედლეული.

თავის მხრივ, სამხედრო მეგა - სტრუქტურები ასევე არიან დაინტერესებულნი მიიღონ რაც შეიძლება თანამედროვე (ძვირად ღირებული) შეიარაღების სახეები და სამხედრო ტექნიკა. ამასთან, მაქსიმალურად დიდი რაოდენობით.

ამდენად, გეოეკონომიკური ომები - ეს სპეციფიკური ხასიათის ომებია, რომელსაც, მსგავსად ნამდვილი ომისა, გააჩნია ომის წარმართვის საკუთარი მეთოდები, შეტევითი და თავდაცვითი საშუალებების ფართო არსენალი. დღემდე გეოეკონომიკურ ომებში გამოყენებული და აპრობირებულია შემდეგი ძირითადი მეთოდები: ინტელექტუალური რესურსების გადინების ხელშეწყობა; ეკონომიკური ექსპანსიაა; სამრეწველო შპიონაჟი; სახელმწიფოებს შორის არსებული შეთანხმებების შეუსრულებლობა. რაც შეეხება გეოეკონომიკური ომის შეტევით იარაღს, აღსანიშნავია: ტარიფების შემცირება ექსპორტზე; საექსპორტო კვოტების გაზრდა: დემპინგური ფასი; ეკონომიკური ბლოკადა; კონკურენტის პროდუქციის გამოცხადება ეკოლოგიური საფრთხის შემცველად. თავდაცვის იარაღის კატეგორიას კი განეკუთვნება: საბაჟო გადასახადების გაზრდა იმპორტზე; არასატარიფო ბარიერების შემოღება; ტექნიკური ბარიერების შემოღება. გეოეკონომიკური ომის მეთოდების არსენალი საკმაოდ მრავალფეროვანია. ამ მეთოდების არამართლზომიერმა გამოყენებამ მოწინააღმდეგის მხრიდან შეიძლება გამოიწვიოს საპასუხო მოქმედებები. მათი ცოდნა, თეორიულად ყველა სახელმწიფოს აძლევს იმის საშუალებას, რომ უზრუნველყოს საკუთარი ტერიტორიის, ეკონომიკის ცალკეული დარგების თუ საწარმოების ეკონომიკური უსაფრთხოება. თუმცა, სხვადასხვა ქვეყნის პოტენციალი განსხვავდება ერთმანეთისაგან. შედეგად, შედარებით ძლიერ სახელმწიფოს (ან სახელმწიფოთა ეკონომიკურ გაერთიანებას) შეუძლია თავიდან აიცილოს მოწინააღმდეგის მიერ საპასუხო დარტყმა, ან/და მნიშვნელოვნად შეამციროს მისი ეფექტიანობა. მაგალითად, შედარებით მდიდარმა ქვეყანამ (ან ქვეყნების ჯგუფმა) შეიძლება საკუთარ მწარმოებლებზე იმხელა მოცულობის სუბსიდიები გასცეს, რომელიც მიუწვდომელია დანარჩენი მსოფლიოსათვის. სწორედ ასე ხდება მსოფლიო

სოფლის მეურნეობაში, სადაც საკუთარი მეწარმეებისადმი ფინანსური მხარდაჭერა ევროკავშირის ქვეყნების და აშშ-ის მთავრობების მხრიდან ასტრონომიულ მასშტაბებს აღწევს. აქვე უნდა შევნიშნო, რომ ხშირ შემთხვევაში მსგავსი ზომები შეიძლება სულაც არ აღმოჩნდეს ეკონომიკური ეფექტის მატარებელი. სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით შედარებით ძლიერ სახელმწიფოს შესწევს ოპონენტის მიერ მიღებული იმ გადაწყვეტილების დაბლოკვის უნარი, რომელიც უზრუნველყოფს ამ უკანასკნელის ეკონომიკური სივრცის დაცვას. ამ შემთხვევაში ინსტრუმენტად შეიძლება გამოყენებული იქნეს პოლიტიკური ზეწოლა და ჩარევა. ასევე სამხედრო ძალის გამოყენების მუქარა ან სამხედრო აგრესიის განხორციელება. ხშირია შესაბამისი იდეოლოგიის გავრცელება, იქნება ეს ავტარქიული ეკონომიკის თუ თავისუფალი ბაზრის იდეოლოგიები.

როგორც ვხედავთ, მსოფლიოში აქტიურდება ომის წარმართვის გეოეკონომიკური მიდგომა, რაც ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკის, ეკონომიკის და სამხედრო ძალის ურთიერთკავშირი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ცენტრალური მიმართულება ხდება. გეოეკონომიკური ომების მსხვერპლმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ეს სიახლეები ეროვნული დოქტრინების შემუშავების დროს. მოცემული რაკურსი წარმოადგენს საფრთხეებისა და მისი სპექტრის შეფასების სრულიად ახალ ხედვას, რომლის გათვალისწინება აუცილებელია იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა თავიდან აიცილონ გეოეკონომიკურ ომებში ჩათრევის მცდელობა უცხო ქვეყნების მხრიდან.

ლექცია XIV

სახელმწიფოს გეოეკონომიკური უსაფრთხოება

14.1 გეოეკონომიკური უსაფრთხოების არსი

14.2 გეოეკონომიკური უსაფრთხოების დოქტრინები

14.3 გეოეკონომიკური უსაფრთხოების თეორიები

14.4 პატარა სახელმწიფოს გეოეკონომიკური უსაერთხოება

14.1 გეოეკონომიკური უსაფრთხოების არსი

გეოეკონომიკური უსაფრთხოება განიხილება, როგორც გეოეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი თვისობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრავს ამ სისტემის უნარს უზრუნველყოს: ა) ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის მაღალი სტანდარტები; ბ) უწყვეტად უზრუნველყოს ქვეყნის მომარაგება საჭირო რესურსებით; გ) თანმიმდევრულად მოახდინოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების რეალიზაცია. გეოეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის, როგორც ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილის, აუცილებლობა მნიშვნელოვნად იზრდება განვითარების კრიზისული ფაზის პირობებში. ამ ფაზის გარდაუვალი ეკონომიკური და სოციალური დანახარჯები, მნიშვნელოვნად ამახინჯებენ უსაფრთხოების ფაქტორსა და მის კრიტერიუმებს, ამასთან, დამატებით ამძიმებენ საზოგადოებაში სტაბილურობის შენარჩუნების მექანიზმებს,კვეცავენ მის შესაძლებლობებს ეკონომიკური კომპენსაციისა და სტაბილიზაციის პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციაში. გეოეკონომიკური უსაფრთხოების მაკროეკონომიკური ასპექტების მნიშვნელობა შესამჩნევად იზრდება დიდი ეროვნულ_სახელმწიფოებრივი გარდაქმნების პირობებში.

გეოეკონომიკური უსაფრთხოება ორგანულადაა ჩართული ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში, სისტემის ისეთ კომპონენტებთან ერთად როგორიცაა: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, საზოგადოებაში სოციალური მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება, ეკოლოგიური კატასტროფებისაგან დაცვა და ა.შ. ამ სისტემაში ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ერთი სლოგანი აქვთ: არ შეიძლება არსებობდეს სამხედრო უსაფრთხოება სუსტი და არაეფექტური ეკონომიკის პირობებში, ისევე როგორც არ შეიძლება არსებობდეს არც სამხედრო უსაფრთხოება და არც ეფექტური ეკონომიკა საშინელი სოციალური კონფლიქტების პირობებში. როცა ამ კავშირებზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ მასში მთავარი როლი ენიჭება გეოეკონომიკურ უსაფრთხოებას.

თვით გეოეკონომიკურ უსაფრთხოებას გააჩნია საკმაოდ რთული შინაგანი სტრუქტურა. რეალური პროცესების ანალიზი და მდიდარი უცხოური გამოცდილება, რომელიც ამ პრობლემების კვლევებისადმია მიძღვნილი, საშუალებას იძლევა გამოვყოთ გეოეკონომიკური უსაფრთხოების სტრუქტურის სამი ძირითადი ბლოკი:

- *ეკონომიკური დამოუკიდებლობის ბლოკი, რომელიც თანამედროვე გეოეკონომიკურ სივრცეში სულაც არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს. შრომის საერთაშორისო დანაწილება და ტრანსნაციონალიზაციის პროცესი ეროვნულ ეკონომიკებს ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულს ხდის. ამ პირობებში ეკონომიკური დამოუკიდებლობა ნიშნავს სახელმწიფო კონტროლის შესაძლებლობას ეროვნულ რესურსებზე, წარმოების ეფექტურობისა და პროტექციის ხარისხის ისეთი დონის მიღწევას, რომელიც უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას და მათი გლობალურ ბაზარზე შეღწევისა და დამკვიდრების საშუალებას იძლევა;*

- *ეროვნული ეკონომიკის სტაბილურობის ბლოკი, წარმოადგენს საკუთრების ყველა ფორმის დაცვის მექანიზმს, რომელიც ქმნის სამეწარმეო აქტიურობისათვის საიმედო პირობებსა და გარანტიებს. ასევე იმ ფაქტორთა შეჩერების მექანიზმს, რომელთაც ძალუძთ სიტუაციის დესტაბილიზაცია (ეკონომიკაში კრიმინალურ სტრუქტურებთან ბრძოლა, შემოსავლების განაწილებაში სერიოზული განსხვავებების თავიდან აცილება, რომლებსაც შეიძლება მოყვეს ძლიერი სოციალური აფეთქება და ა.შ.)*
- *თვითგანვითარებისა და პროგრესის ბლოკი ყველაზე მნიშვნელოვანია თანამედროვე დინამიურად განვითარებად მსოფლიოში. ამ ბლოკის მიზანია ინვესტიციებისა და ინოვაციებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, წარმოების პერმანენტული მოდერნიზაცია, დასაქმებულთა პროფესიული, საგანმანათლებლო და საერთო კულტურული დონის ამაღლება, რომელიც ეროვნული ეკონომიკის თვითშენარჩუნებისა და სტაბილური განვითარების აუცილებელი პირობა ხდება.*

ამდენად, გეოეკონომიკური უსაფრთხოება ეს არის პირობებისა და ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკისა და მისგან გამომდინარე, ეროვნული პოლიტიკის სტაბილურობასა და უნარს მუდმივი განახლებისა და თვითსრულყოფისათვის.

გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური კრიზისების მსხვილმასშტაბიან გარდამავალ პროცესებში, უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სტაბილიზაციის მექანიზმები საკმაოდ წინააღმდეგობრივ სისტემას წარმოადგენენ. გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური უსაფრთხოების ურთიერთკავშირი კარგად მაშინ იკვეთება, როცა პოლიტიკური და ეროვნულ-ეთნიკური სტაბილურობის და უსაფრთხოების ფაქტორი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში შეიძლება "ცურავდეს" უდიდესი ეკონომიკური დანახარჯების (აშკარად არაექვივალენტური გაცვლები, დანაკარგები ე.წ. "ტექნიკური" კრედიტების გაცემის შედეგად და ა.შ) გამო. ამ დანახარჯების ზომები (განსაკუთრებით კრიზისული სიტუაციის პირობებში) უკვე თავისთავად ხდება ეკონომიკური დესტაბილიზაციისა და ეროვნული ბუნებრივ _ ეკონომიკური პოტენციალის არაკომპენსირებადი დანახარჯების ფაქტორი.

გეოეკონომიკური უსაფრთხოების მახასიათებლების უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს მისი ძირითადი კრიტერიუმების განსაზღვრა, რომელიც ღრმა კრიზისის პირობებში შეიძლება იყოს ერთობლივი ზარალის მინიმუმი, რომელიც მიადგა საზოგადოებას, ეკონომიკას და ადამიანს. ასეთი მიდგომის კონკრეტიზაციად გვევლინება განსაკუთრებული სასაზღვრო "ზაზი", როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ზღვრული მდგომარეობის ნიშანი, რომლის საზღვრებს გარეთ აღმოცენდება საფრთხე ან ფაქტიურად ხდება ამ სისტემის დეგრადაცია ან საერთოდ ნგრევა.

უსაფრთხოების ცნება მჭრიდროდაა დაკავშირებული რისკის კატეგორიასთან. დიდი ხნის განმავლობაში ეკონომიკის მართვის თეორიასა და პრაქტიკაში (განსაკუთრებით მაკრო დონეზე), მისი განვითარება განიხილებოდა როგორც მკაცრად დეტერმინებული პროცესი. ამასთან არასაკმარისად იყო გათვალისწინებული ეკონომიკური გადაწყვეტილებების გაუთვალისწინებელი მოსალოდნელი შედეგები, ანუ ეკონომიკური რისკის გარდაუვალი ფაქტორები. ამასთან, რისკის კატეგორიის გამოყენება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს მართვის ეფექტურობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ეკონომიკის ადმინისტრაციულ- მბრძანებლური მეთოდები იცვლება საბაზრო სისტემით, როცა ხდება მკვეთრი დეცენტრალიზაცია ეკონომიკაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში განარჩევენ რისკის შეფასებასა და რისკების მართვას. რისკის შეფასება როგორც წესი ატარებს ექსპერტულ, ალბათურ ხასიათს, ვინაიდან გაურკვეველი რჩება ზოგიერთი მოქმედი ობიექტური ფაქტორებისა და ეკონომიკური გადაწყვეტილებების ნეგატიური შედეგები.

შეიძლება იმის თქმა, რომ ქართულ ეკონომიკაში, რომელიც ღრმა სტრუქტურული ტრანსფორმაციის პირობებში შინაგანი მდგრადობის მინიმუმს ფლობს, რისკის პრაქტიკულად ყველა ფაქტორს შესწევს უნარი ქვეყანაში შექმნას კრიტიკული ხასიათის სიტუაცია.

რაც შეეხება რისკების მართვას, იგი გულისხმობს შესაძლოა კრიზისული სიტუაციის განჭვრეტას იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული მისი შერბილებული ან შესუსტებული შედეგები. ამა თუ იმ კრიტიკული სიტუაციის ალბათობის შეფასებასთან ერთად, აუცილებელია დანაკარგების (ზარალის) შეფასებაც, რომელიც თან ახლავს კრიტიკული სიტუაციის აღმოცენებაც. აქედან გამომდინარეობს, რომ გეოეკონომიკური უსაფრთხოების დონის შეფასება (რისკის ფაქტორების ანალიზთან ერთად) გულისხმობს დანაკარგის (ზარალის) კატეგორიის გამოყენებასაც, რომელიც შეიძლება იყოს ფაქტიური, მო-სალოდნელი, პოტენციური, კომპენსირებადი და არაკომპენსირებადი.

კრიტიკული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციები, როგორც წესი ვლინდება ლოკალურ (ცალკეული ტერიტორიის ფარგლებში, მოსახლეობის ჯგუფებში, საწარმოებში), მეზო (ქვეყნის ავტონომიური, სამხარეო სუბიექტები, ეკონომიკის სექტორები) და ზეეროვნულ (ეკონომიკური ბლოკები, ეკონომიკური ალიანსები) და ტრადიციულ (გლობალურ) დონეებზე .

გეოეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციაში მონაწილეობენ ისეთი ცნებები როგორიცაა "კომპენსაციის რესურსები" და "კომპენსაციური პოტენციალი", რომელთა შორისაც გარკვეული განსხვავებაა. კომპენსაციური რესურსები როგორც შედარებით ვიწრო გაგება თავისი მნიშვნელობით ახლოა ტრადიციულ დაზვერვასთან და სარეზერვო მარაგთან, ხოლო კომპენსაციური პოტენციალი კი ასახავს ქვეყნის ეკონომიკის უნარს ადეკვატური რეაგირება მოახდინოს კრიტიკულ სიტუაციაზე.

პირდაპირი კომპენსაციების პოტენციალი წარმოადგენს საწარმოო და არასაწარმოო ხასიათის მატერიალურ მარაგსა და რეზერვს, მათ ტერიტორიულ განლაგებას, ადეკვატურ დამატებით სატრანსპორტო შესაძლებლობებსა და სარეზერვო სიმძლავრეებს იმ ტექნიკურ საშუალებებთან ერთად, რომელიც აუცილებელია მსხვილი აღდგენითი სამუშაოების საწარმოებლად. აღნიშნულის გარდა კომპენსაციის პოტენციალი ხასიათდება ისეთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლებით, როგორიცაა ფინანსური რეზერვები (ვალუტის ჩათვლით), დაზღვევის სისტემა, საერთაშორისო მხარდაჭერის შესაძლებლობა, საქველმოქ-მედო ფონდების შესაძლებლობები, ჯანდაცვის სისტემის კომპენსაციური ფუნქციისა და მობილურობის განვითარება, კადრების გადამზადების მობილურობა და ა.შ.

ზემოთ აღნიშნული თავის გამოხატულებას პოულობს შესაბამის მაჩვენებელთა სისტემაში, რომლებიც ახასიათებენ ქვეყნის გეოეკონომიკურ უსაფრთხოებასა და მისი ცვლილებების ტენდენციებს. გეოეკონომიკური უსაფრთხოება მიიღწევა როგორც სუფთა ეკონომიკური მეთოდებით, ასევე გეოეკონომიკური ხასიათის საშუალებებითაც (გეოპოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული, გეოსოციალური და ა.შ.). გეოეკონომიკური უსაფრთხოების შეფასება ნებისმიერ სფეროში, როგორც წესი, უზრუნველყოფს უნივერსალურ მიდგომას, რომელიც საშუალებას იძლევა რაოდენობრივად შეფასდს ზარალი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება პრიორიტეტების სისტემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, გეოეკონომიკური უსაფრთხო-ების სახელმწიფოებრივი რეგულირება წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებელ პირობასა და საერთო სახელმწიფოებრივ მიზანს.

- *იმდენად, რამდენადაც ქვეყნის გეოეკონომიკური სისტემა წარმოადგენს რთულ იერარქიულ სტრუქტურას გეოეკონომიკური უსაფრთხოების ობიექტებად გვევლინებიან სხვადასხვა დონის ეკონომიკური ურთიერთობები:*
- *მაკრორეგიონალური-მთელი ქვეყნის ეკონომიკა;*
- *რეგიონალური და დარგობრივი-რეგიონებისა და დარგების ეკონომიკა;*
- *მიკროეკონომიკური-ბაზრის აგენტები;*
- *ოჯახური და პიროვნული-ქვეყნის თითოეული მოქალაქის ეკონომიკური ინტერესები.*

აღნიშნული ობიექტების ინტერესები ურთიერთ-დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია, ამასთან ერთმანეთის მიმართ წინააღმდეგობრივიც. ამიტომ, აუცილებელია განისაზღვროს სახელმწიფოს ჩარევის ხარისხი ეკონომიკის ცალკეულ სექტორებსა და მის დროებით ჩარჩოებში, რომელსაც განსაზღვრავს კონკრეტული ქვეყნების გეოეკონომიკური უსაფრთხოების დოქტრინები.

14.2 გეოეკონომიკური უსაფრთხოების დოქტრინები

საერთოდ, ეროვნული უსაფრთხოების და მათ შორის ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის აქტუალურობა რეალური გახდა ეროვნული სახელმწიფოებისა და კაპიტალიზმის ჩამოყალიბების ეპოქაში. სწორედ მაშინ, ევროპული ცივილიზაციის ქვეყნებში ჩამოყალიბდა და ვითარდებოდა იდეა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მთავარი მიზანია საყოველთაო კეთილდღეობა და უსაფრთხოება. თუმცა XX ს-მდე ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ნათლად გააზრება ლიბერალური იდეოლოგიის გაბატონებული მდგომარეობის გამო პარალიზირებული იყო. ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების შესახებ თანამედროვე დისკურსი ეფუძნება წარმოდგენებს, სადაც საზოგადოება განიხილება როგორც ერთიანი ორგანიზმი, რომლის ფუნქციონირება შეგნებულად უნდა რეგულირდებოდეს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ამაღლების მიზნით. ამასთან, ლიბერალიზმი იდგა მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის პოზიციებზე. ითვლებოდა, რომ ერთადერთ სუბიექტს წარმოადგენს ცალკეული ინდივიდი, რომელსაც ბაზრის "უხილავი ხელის" დახმარებით, შეუძლია ეფექტურად და დამოუკიდებლად გადაწყვიტოს თავისი პრობლემები და არ საჭიროებს სახელმწიფოებრივ მეურვეობას.

აღნიშნული პრობლემის ირგვლივ აქტიური დისკუსია დაიწყო მხოლოდ გასული საუკუნის 30_40-იან წლებში, როცა დამთავრდა კაპიტალიზმის თავისუფალი კონკურენციის ეპოქა და ასპარეზი დაეთმო "ადმინისტრაციულ რევოლუციას" (ასე უწოდა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯ. ჰიკსმა დაწყებულ საბაზრო ეკონომიკის რეგულირების პროცესს-გ.კ.). სწორედ ამ დროს დაიწყო დომინირება მოსაზრებამ, რომ საზოგადოების ინტერესებისათვის საბაზრო თვითრეგულაციას უნდა დაემატოს ცენტრალიზირებული ეროვნული უსაფრთხოების რეგულირებაც.

„ეროვნული უსაფრთხოების" ტერმინი პირველად გაჩნდა აშშ-ში ითვლება, რომ ეს ტერმინი ამერიკის პოლიტიკურ ლექსიკონში პირველად შემოიტანა ამერიკის პრეზიდენტმა თ. რუზველტმა 1904 წ. თუმცა, 1940 წლამდე აღნიშნული ტერმინი გამოიყენებოდა ვიწრო გაგებით, კერძოდ, ქვეყნის სამხედრო აგრესიისაგან თავის დაცვის კონტექსტში. ამ ცნებამ ახალი დატვირთვა შეიძინა 1930-იან წლებში, როცა მოსალოდნელი ომის პირობებში გაცხოველებული დისკუსიები მიმდინარეობდა ეროვნული ინტერესებისა და პრიორიტეტების შესახებ. ამ დისკუსიებში უკვე სჭარბობდა არა მხოლოდ თავდაცვითი, არამედ ეროვნული უსაფრთხოების ეკონომიკური კომპონენტიც. ამერიკის, გერმანიის და იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩართვის ერთ-ერთი არგუმენტი ისიც იყო, რომ იგი აშშ საშუალებას მისცემდა შეენარჩუნებინა საერთაშორისო ბაზრებზე შესასვლელი გზები და თავიდან აეცილებინა შეზღუდვები მრეწველობის განვითარებაში .

„ეროვნული უსაფრთხოების" ცნებამ თანამედროვე მნიშვნელობა შეიძინა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომ. სენატში მოსმენების მასალების თანახმად, 1945 წ. აგვისტოში, აშშ სამხედრო-საზღვაო მინისტრმა ჯ. ფორესტოლმა სენატს განუცხადა, რომ აშშ ეროვნული უსაფრთხოება შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას ძალიან ფართო და

ყოვლისმომცველი აზრით. ეროვნული უსაფრთხოების საკითხი მისი აზრით არ დაიყვანება მხოლოდ ფლოტსა და არმიაზე, რომ აუცილებელია ასევე აშშ პოტენციალის გათვალისწინება ომის წარმოებისათვის, იმ პოტენციალისა (მაღაროები, მრეწველობა, ადამიანისეული რესურსები, მეცნიერება და საქმიანობის სხვა სფეროები), რომლებიც შეადგენენ ჩვეულებრივ სამოქალაქო ცხოვრებას .

ეროვნული უსაფრთხოების თანამედროვე მნიშვნელობა აშშ-ში განმტკიცდა 1947 წელს, როცა მიღებული იქნა კანონი ეროვნული უსაფრთხოების შესახებ, ამ კანონის თანახმად შეიქმნა აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, ამ კანონში ნათლად იქნა დაფიქსირებული, რომ საბჭოს ფუნქციას შეადგენს იმ საშინაო, საგარეო და სამხედრო პოლიტიკების კოორდინაცია, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უსაფრთხოებას .

აშშ-ს მთავრობის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრიორიტეტებს, არის პერიოდულად განახლებადი `აშშ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია". ეს დოკუმენტი წარმოადგენს მთავრობის პოლიტიკურ დეკლარაციას უსაფრთხოების საკითხებში, რომელიც განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში სახელმწიფოს გაძლიერების ვექტორს. თუმცა ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს მთავრობის ნორმატიულს, მაგრამ ამერიკის მთავრობის რეალური საშინაო და საგარეო პოლიტიკა ძირითადში ყალიბდება ამ დოკუმენტის მიერ შემოხაზულ საზღვრებში, სადაც ეროვნული უსაფრთხოების აუცილებელ კომპონენტად ითვლება გეოეკონომიკური უსაფრთხოება, რომელიც ადრე ეკონომიკური უსაფრთხოების სახელით იყო ცნობილი. ამ უკანასკნელის ჩამოყალიბების ისტორიას ჩვეულებრივ იწყებენ დიდი დეპრესიების პერიოდიდან, რომელიც ყველაზე მძიმე ეკონომიკური კრიზისი იყო აშშ-ის მთელი ისტორიის მანძილზე. სწორედ მაშინ, 1934 წ. როგორც კი ხელისუფ-ლებაში მოვიდა ფ. რუზველტი, მან მაშინვე ჩამოაყალიბა ეკონომიკური უსაფრთხოების ფედერალური კომიტეტი. ამ კომიტეტს სათავეში ჩაუდგა შრომის მინისტრი ფ. პერკინსი. სადაც შევიდნენ ასევე იუსტიციის, ფინანსების, ვაჭრობის მინი-სტრები და საგანგებო დახმარების სამსახურები.

ამდენად, აშშ ეკონომიკური უსაფრთხოების კომიტეტი გახდა სისტემური და მიზანმიმართული საქმიანობის პირველი ორგანიზაციული ფორმა. ამჟამად, ანალოგიური სამთავრობო ორგანიზაციული სტრუქტურები არსებობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (საქართველოში ჯერჯერობით ასეთი სტრუქტურა სრულიად ჩამოყალიბებული არ არის).

ამერიკაში აღმოცენებული ცნება "ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოება", 1970-იან წლებში აქტიურად ექსპლოატირდებოდა ყველა განვითარებულ ქვეყანაში, თუმცა ყველაზე უფრო აქტიურად იგი კვლავ აშშ-ში გამოიყენება, რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ ამ ზესახელმწიფოს სერიოზული პრეტენზია გააჩნია მსოფლიო ეკონომიკურ ლიდერობაზე ახალ ათასწლეულშიც. ცივი ომის დამთავრების შემდეგ უკვე გეოეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხდება აშშ_ს პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება,

რაზეც არაერთხელ განაცხადეს ამ ქვეყნის ხელმძღვანელებმა და რომელშიც ძალზედ დიდია გეოეკონომიკის ფუძემდებლისა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის თანაშემწის ე. ლუტვაკის წვლილი.

აშშ გეოეკონომიკური უსაფრთხოების წამყვან მომენტად ითვლება შემდეგი მიზნები:

- *ამერიკული საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლება საშინაო და საგარეო გაზრებზე;*

- *ქვეყნის დამოკიდებულების შემცირება უცხოურ სესხებზე;*

- *ქვეყნის შესაძლებლობების განმტკიცება საეთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში სავაჭრო_ეკონომიკურ და სხვა სფეროებში.*

1995 წ. დეკემბერში ჯ. ბუშის (უფროსი) მიერ დამტკიცდა მემორანდუმი, რომელშიც ჩამოყალიბებულია გეოეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ეროვნული პროგრამის ძირითადი შინაარსი. ამ პროგრამის რეალიზაციის შედეგი გახდა ქვეყნის მაშტაბით ერთიანი გეოეკონომიკური უსაფრთხოების სისტემის შექმნა, რომელიც მიმართულია აშშ-ს ლიდერობის შენარჩუნებისაკენ ტექნოლოგიების სფეროში და ქვეყნის ეკონომიკური ინტერესების დაცვის უზრუნველყოფისაკენ. სპეციალურად შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომელშიც შევიდნენ თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის მოადგილე, ენერგეტიკის მინისტრი, გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლები, წამყვანი კორპორაციების ხელმძღვანელები (ისეთები როგორიცაა "ჯენერალ ელექტრიკი" და "ბოინგი"), არა მხოლოდ გამოიყო აშშ გეოეკონომიკური უსაფ¬რთხოების ძირითადი საშიშროებანი, არამედ ამ ჯგუფის მიერ აშშ მთავრობას მიეცა რეკომენდაცია გამოეშვა სპეციალ¬ური ცნობარი სახელწოდებით "გეოეკონომიკური უსაფრთხოების კატალოგი და მისი შეფასება."

ბ. კლინტონის ადმინისტრაციამ დაადასტურა ქვეყნისათვის გეოეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრიორიტე¬ტული მნიშვნელობა. გეოეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფ¬ციაში ძირითად მიზნად, გამოყოფილი იქნა ეროვნული გეოეკონომიკური ინტერესების უზრუნველყოფა მსოფლიო არენაზე მეტოქეებთან კონკურენტულ ბრძოლაში და ტექნოლოგიურ სფეროებში ლიდერის პოზიციების დაცვა. ამასთან, აშშ ეკონომიკური ძლიერების შენარჩუნებას პირდაპირ უკავშირებენ იმ ღონისძიებათა გატარებას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის გეოპოლიტიკურ უსაფრთხოებას. ეს პრობლემა კიდევ უფრო სერიოზული გახდა ჯ. ბუშის (უმცროსი) ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ. რაც განაპირობა 2001 წ. 11 სექტემბრის მოვლენებმა. ამჟამად, გეოეკონომიკური უსაფრთხოებისადმი ამერ¬ი¬კული მიდგომა ყველა განვითარებულ ქვეყანაში დომინირებს. ამდენად, განვითარებულ ქვეყნებში ჭარბობს ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების ისეთი გააზრება, რომე-ლიც ეროვნულ

ეკონომიკას უმთავრესად იცავს გარე საფრთხეებისაგან, რაც შეეხება შიდა საფრთხეებს ისინი აღიარებულია, მაგრამ შედარებით მეორეხარისხოვნად ითვლება.

14.3 გეოეკონომიკური უსაფრთხოების თეორიები

ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის ფიქსაცია ოფიციალურ სამთავრობო დოკუმენტებში და იმ სპეციალური სახელმწიფო ორგანიზაციების ფორმირება, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ამ უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან, წარმოადგენს იმ კონცეფციების მასობრივ ცნობიერებაში შეღწევის შედეგს, რომელიც ადრე იქნა შემუშავებული ეკონომიკის თეორიაში. სწორედ ეკონომიკური თეორიის პარადიგმები (გეოპოლიტიკურთან ერთად) განსაზღვრავენ ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების საკითხების განხილვის საერთო ჩარჩოებს.

გეოეკონომიკური უსაფრთხოების დოქტრინის დამოკიდებულება გარკვეულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პარადიგმებზე, დღემდე შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში სამწუხაროდ მხედველობიდანაა გამორჩენილი (რომლის ერთ-ერთი მიზეზი გეოეკონომიკის ჯერ კიდევ მყიფე მდგომარეობაში ყოფნაა). შედეგად არც თუ გასაგები ხდება, თუ რომელი მიზეზების გავლენის შედეგად ყალიბდება და იცვლება "ეროვნულ გეოეკონომიკური უსაფრთხოების" ცნება. ალბათ იგულისხმება, რომ ეროვნულ ეკონომიკურ საფრთხეებზე წინააღმდეგობის გაწევა არის პირდაპირი რეაქცია თვით ამ საფეხურებზე. სინამდვილეში კი იმის გაგება, თუ რა შეიძლება ჩავთვალოთ საფრთხედ და როგორ ვებრძოლოთ მას, სრულებითაც არაა ისეთი აშკარა, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. საფრთხის აღმოცენებასა და მასთან ბრძოლის ღონისძიებათა კომპლექსის ფორმირებას შორის ყოველთვის არსებობს შუალედური რგოლი _ გეოეკონომიკური კონცეფცია, რომელიც გაიაზრებს ამ საფრთხეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ის ორგანიზაციული სტრუქტურები, რომლებიც მიზანმიმართულად და სისტემურად იცავენ ეროვნულ გეოეკონომიკურ უსაფრთხოებას, მხოლოდ XX ს. ჩამოყალიბდა. თუმცა, ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის თეორიული შემეცნება ფ. რუზველტის ფედერალური კომიტეტის შექმნაზე ერთი საუკუნით ადრე მოხდა. ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული კონცეფციები ეს არის საბაზო გეოეკონომიკური კონცეფციები, რომელიც ეროვნული სახელმწიფოს გეოეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლებისაკენ არის მიმართული.

ბოლო 150 წლის განმავლობაში ეკონომისტ_თეორეტიკოსთა მიერ ჩამოყალიბდა სამი ძირითადი მიდგომა, იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების ძირითად საშიშროებად და როგორ შეიძლება მასთან ბრძოლა.

ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების გაგების პარადიგმების ევოლუცია.

პარადიგმათა მახასიათებლები	*კამერალისტური კონცეფცია*	*კეინსიანური კონცეფცია*	*გეოინსტიტუციონალური კონცეფცია*
აღმოცენების დრო და კონცეფციის ფუძემდებელი	*1840-იანი წლები* ***ფრიდრიხ ლისტი***	*1960-იანი წლები* ***ჯონ კეინსი***	*1980-იანი წლები* ***ერნანდო დე სოტო***
გეოეკონომიკური უსაფრთხოების მთავარი საშიშროების გაგება	*უცხო სახელმწიფოთა კონკურენცია ან სხვა მოქმედებანი*	*ბაზრის "ჩავარდნა"- ეკონომიკური ზრდის არასტაბილურობა, უმუშევრობა, ინფლაცია*	*სახელმწიფოს "ჩავარდნა"- ადმინისტრაციული ბარიერები რენტისმაძიებლობა*
ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოებისათვის ბრძოლის მიზანი	*ეკონომიკური დამოუკიდებლობა*	*ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სტაბილურობა*	*"სამართალის მმართველობა", საკუთრების უფლების დაცვა*
ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოებისათვის ბრძოლის მეთოდები	*პროტექციონისტული საგაჭრო პოლიტიკა*	*ფულის მიმოქცევის, დასაქმებისა და წარმოების სახელმწიფოებრივი რეგულირება*	*გადახდებისა და სარეგისტრაციო პროცედურების შემცირება, ბრძოლა ბიუროკრატიზმისა და კორუფციის წინააღმდეგ.*

როგორ ვხედავთ, ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების პარადიგმების ევოლუციასამი მნიშვნელოვანი ეტაპისაგან შედგება.

1. საგარეო გეოეკონომიკური უსაფრთხოების კამერალისტური კონცეფცია (XIX ს. შუა წლებიდან);

2. შიდა გეოეკონომიკური საფრთხეებიდან დაცვის კეინსიანური კონცეფცია (XX ს. 60-70-იანი წლებიდან);

3. ადმინისტრაციული ბარიერებისაგან დაცვის გეოინსტიტუციონალური კონცეფცია (XX ს. ბოლოდან).

ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების თეორიული ანალიზის ფუძემდებლად უნდა ჩაითვალოს ფ. ლისტი, კლასიკური პოლიტეკონომიის ერთ_ერთი პირველი კრიტიკოსი. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ყველა წარმომადგენელი ა. სმიტიდან მოყოლებული, თავიანთ კონცეფციებს აგებდნენ წარმოდგენების ერთიან პარადიგმაზე ადამიანის ბუნებაზე, საზოგადოებაზე, მთავრობაზე და ა.შ.. კლასიკური ლიბერალური პარადიგმის თანახმად, თითოეულ ადამიანს გააჩნია საკუთარი ინტერესები და თვითონ შესწევს იმის უნარი, რომ დაიცვას ეს ინტერესები აქტიური ავტონომიური საქმიანობით.

საზოგადოება ასეთი მიდგომის დროს განიხილება როგორც ინდივიდების ერთობლიობა, ხოლო "საზოგადოებრივი ინტერესები", როგორც პირადულიდან წარმოებული მათი მექანიკური ჯამი. ლიბერალი_პოლიტეკონომები კარგ საზოგადოებად თვლიდნენ იმ საზოგადოებას, რომელიც ყველაზე უფრო მაღალი ხარისხით აძლევდა საშუალებას ინდივიდებს, რომ მათ მოეხდინათ საკუთარი, კერძო ინტერესების თავისუფლად რეალიზაცია. მთავრობა კლასიკური ლიბერალების აზრით, იქმნება თავისუფალი ადამიანების მიერ, რათა მან დაიცვას დადგენილი კონსტიტუციური უფლებები და ეროვნული სახელმწიფო მხოლოდ ამ ფუნქციით უნდა შემოიფარგლოს. რამდენადაც არ არსებობს ის ობიექტური მეთოდები, რომელიც საშუალებას მისცემს ინდივიდს ობიექტურად განსაზღვროს, თუ რას ანიჭებს იგი უპირატესობას, ამდენად სწორედ ინდივიდებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ, რა არის მართალი და რა არის ტყუილი, რათა მოახდინონ საკუთარი კეთილდღეობის მაქსიმიზირება.

„ლესე ფერის" ლიბერალური დოქტრინის პირობებში, გარდაუვალი იყო კოსმოპოლიტიზმი, რომელიც უარყოფს თვით ეროვნული გეოეკონომიკური ინტერესების არსებობასაც კი. კლასიკოსი ეკონომისტები ვარაუდობდნენ, რომ ნებისმიერი ეროვნების ხალხს აქვს მხოლოდ ერთი ძირითადი მოთხოვნილება გახსნილი ჰქონდეთ ხელ-ფეხი, რათა დამოუკიდებლად ახორციელებდნენ ეკონომიკურ საქმიანობას. სახელმწიფოს ნებისმიერ ქმედებას-დაეცვა თავისი მოქალაქეები „უცხოებისაგან" (ვთქვათ, პროტექციონისტული ბაჟისაგან) ეკონომისტ-ლიბერალები თვლიდნენ რეაქციულ ფეოდალურ გადმონაშთად.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კლასიკური პოლიტეკონომიის ერთ-ერთი პირველი კრიტიკოსი იყო ფ. ლისტი, რომელიც პოლიტიკურ ეკონომიას მიუდგა არა როგორც იდეალური საზოგადოების კანონების უნივერსალურ სისტემას, არამედ როგორც ისტორიულ და კომპარატიულ მეცნიერებას. ფ. ლისტმა აღნიშნული მიდგომის საფუძველზე გამოყო ერის გეოეკონომიკური განვითარების ის ხუთი სტადია, სადაც თითოეულ სტადიაში ერს გააჩნია განსაკუთრებული გეოეკონომიკური ინტერესები. გააკრიტიკა რა ა. სმიტისა და დ. რიკარდოს კოსმოპოლიტური ეკონომიკა, ფ. ლისტი პირველად მოგვევლინა როგორც ეროვნული ეკონომისტი.

ინგლისელ კლასიკოს-ეკონომისტებთან პოლემიკაში ფ. ლისტი ამტკიცებდა, რომ თავისუფალი ვაჭრობა, უპირველეს ყოვლისა, ხელსაყრელია მოწინავე ერებისათვის (XIX ს. პირველ ნახევარში ასეთი იყო დიდი ბრიტანეთი – გ.კ.), რომ თავისუფალი ვაჭრობის შედეგად ჩამორჩენილი ერები (რომელთა რიცხვსაც მაშინ გერმანიაც მიეკუთვნებოდა – გ.კ.), განწირულები არიან ეკონომიკური ჩამორჩენილობისათვის.

ფ. ლისტი იცავდა თავისი ქვეყნის კომპლექსური ეკონომიკური განვითარების კონცეფციას, ფაბრიკულ-ქარხნული მრეწველობის ჰარმონიულ შეთანაწყობის საფუძველზე მიწათმოქმედებასთან. იმისათვის, რომ დაცული ყოფილიყო გერმანიის სუსტი მრეწველობა იაფფასიანი იმპორტული საქონლისაგან, ფ. ლისტმა მოითხოვა პროტექციონისტული

პოლიტიკის გატარება, რაც იმას ნიშნავდა, რომ სახელმწიფოს თავისი დაცვის ქვეშ მოექცია "საკუთარი" მეწარმეები. ფ. ლისტი თვლიდა, რომ ფასების ზრდა (პროტექციონისტული პოლიტიკის გარდაუვალი შედეგი-გ.კ.) იქნება „ერის სამრეწველო აღზრდისა" და გერმანიის ეროვნული გეოეკონომიკური ინტერესების დაცვის საშუალება.

გეოეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ლიტერატურაში ფ. ლისტი მიჩნეულია კამერალისტიკის (რომელიც თანამედროვე ინტერპრეტაციით ძალიან ახლოა გეოეკონომიკასთან) ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად. შესაბამისად, მის მიერ დამუშავებული გეოეკონომიკური ინტერესებისა და ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების ვერსიები, რომლებიც ძირითადად აქცენტს აკეთებენ საგარეო ეკონომიკურ საფრთხეებზე, შეიძლება ჩაითვალოს როგორც კამერალისტური ვერსია .

ამდენად, ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების კამერალისტური ვერსია გულისხმობს, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის ბრძოლის წამყვანი ფიგურებია ცენტრალური ხელისუფლება, საბაჟო და სასაზღვრო სამსახურები, რომელთა ფუნქციაა უცხოური საქონლის კონტრაბანდასთან ბრძოლა.

თუ XX - მდე ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების დაცვა აქტუალური იყო ძირითადად პერიფერიული ქვეყნებისათვის, XX ს. პირველ ნახევარში ეროვნული გეოეკონომიკისათვის საფრთხეების ობიექტურად არსებული საშიშროებები უკვე განვითარებული ქვეყნების ერებმაც გააცნობიერეს. ამასთან მნიშვნელოვნად შეიცვალა ამ საფრთხეების სათავეებისა და მასთან ბრძოლის გზების ჩამოყალიბებული შეხედულებები.

პერიფერიული ქვეყნები გეოეკონომიკური უსაფრთხოების საშიშროებას ხედავდნენ ძირითადად ქვეყნის გარეთ, ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებთან კონკურენციაში. ამ პერიოდში მაღალგანვითარებული ქვეყნები აღმოჩნდნენ ეკონომიური კატასტროფის ზღვართან (აშშ დიდი დეპრესია). ამიტომ ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების დაცვაში უკვე მოიაზრებდნენ არა მხოლოდ საშინაო არამედ საგარეო საფრთხეებსაც.

ეკონომიკური თეორიისა და ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების ახალი პარადიგმა 1930-იან წლებში ჩამოაყალიბა ჯ. კეინსმა, რომლის მიხედვითაც ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების მთავარ საშიშროებად მიჩნეული იქნა, არა უცხოურ საქონელთან კონკურენცია, არამედ უმუშევრობა და ეკონომიკური დეპრესია . იმისათვის რომ გამკლავებოდა ამ საფრთხეებს, სახელმწიფოებსა და მათ მთავრობებს ეძლეოდათ რეკომენდაციები, აქტიურად ერეგულირებინათ ეკონომიკური საქმიანობა, არა მხოლოდ სახელმწიფო შეკვეთების დარიგებითა და სუფსიდიებით, არამედ კონკურენციაზე პირდაპირი ადმინისტრაციული კონტროლითაც.

თუ ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების ძველი, პროტექციონისტული პოლიტიკა (ტიპიური პერიფერიული ქვეყნებისათვის), ვითარდებოდა ფ. ლისტის გავლენით, ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების ახალი ვერსია (ტიპიური განვითარებული

ქვეყნებისათვის), იმყოფებოდა ჯ. კეინსისა და მისი მიმდევრების გავლენის ქვეშ. გეოეკონომიკური უსაფრთხოების ეს უკანასკნელი ვერსია, რომელიც აქცენტს აკეთებს ეროვნული ეკონომიკური ზრდის შიდა მაკროეკონომიკურ პირობებზე, შეიძლება განვიხილოთ როგორც ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების კეინსიანური ვერსია.

1970-იანი წლებიდან კეინსიანელობის გავლენა გარკვეულ შესუსტებას იწყებს. ამ პერიოდიდან დაიწყო ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის პრიორიტეტული გავლენის განმტკიცება. თუ კეინსიანელები იმედს ამყარებდნენ სახელმწიფოებრივი რეგულირების სიბრძნეზე, ნეოკლასიკოსებმა მიუთითეს მის შეზღუდულობაზე.

იმის მიუხედავად, რომ ნეოკლასიკოსები ეროვნული გეოეკონომიკური ინტერესების საშიშროებებისადმი მკვეთრად განსხვავებულ მეთოდებს გვთავაზობდნენ, კეინსიანელებთან შედარებით, მათ ნაწილობრივ მაინც მიიღეს კეინსიანელების მიერ შემოთავაზებული მიდგომები ამ ინტერესებთან მიმართებაში. XX ს. მეორე ნახევრიდან ნეოკლასიკოსები, დეკლარაციის დონეზე კვლავ განაგრძობდნენ იმის მტკიცებას, რომ ერთადერთ ეკონომიკურ სუბიექტს წარმოადგენს ინდივიდი. თუმცა, მათ დე ფაქტოდ მიიღეს კეინსიანური წარმოდგენები იმაზე, რომ არსებობს საერთო სახელმწიფეობრივი ეკონომიკური პრობლემები (უმუშევრობა, ეკონომიკის ზრდის ტემპების შემცირება, ინფლაცია და ა.შ.), რომელთა სიმწვავე ნაკარნახევია ეროვნული ეკონომიკის, როგორც მთლიანის შიდა განვითარებით. ამასთან, რამდენადმე იქნა შეცვლილი პრიორიტეტების გააზრება, კერძოდ ინფლაცია გაცილებით მნიშვნელოვნად იქნა ჩათვლილი, ვიდრე უმუშევრობასთან ბრძოლა.

XX ს. ბოლოს ნეოკლასიკური გეოეკონომიკური თეორია შევიდა კრიზისის ფაზაში. თანამედროვე გეოეკონომიკური აზრი სულ უფრო მეტ ეჭვს იჩენს ნეოკლასიკური საბაზო მოდელის "ეკონომიკური ადამიანის" მიმართ, ხოლო სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები კი იმ მეთოდების მიმართ, რომელთაც გვთავაზობენ ნეოკლასიკოსები კერძო საკუთრების განმტკიცებისა და ინფლა¬ციასთან ბრძოლის საქმეში. პრიორიტეტული გეოეკონომიკური თეორია ხდება ინსტიტუციონალიზმი, რომელიც წარმოადგენს გეოეკონომიკურ პარადიგმას, რომლის ძირითადი აქცენტი გადატანილია გეოეკონომიკური "თამაშის წესებზე" (ინ-სტიტუტებზე).

ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუციური კონცეფცია ეკუთვნის ე. დე სოტოს, რომელიც ჩრდილოვანი ეკონომიკის სპეციალისტად ითვლება. ე. დე სოტოს ნაშრომმა „სხვაგვარი გზა", ძალზედ მნიშვნელოვან შრომას წარმოადგენს ამ მხრივ . ჩვენ არ ვიზიარებთ წიგნის ბევრ დებულებას, თუმცა მიგვაჩნია, რომ ავტორის მიდგომა ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდის საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა, რომლის ძირითად მიზეზად მიჩნეულია არა ჩამორჩენილობა და მიგრანტთა ან ღატაკთა კრიმინალობა, არამედ ბიუროკრატიული აპარატი, რომელიც ხელს უშლის კონკურენტული ურთიერთობების თავისუფალ განვითარებას. ამ ვერსიის თანახმად, მასობრივი ჩრდილოვანი ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მიზეზი არის

არაეფექტური სამართლებრივი რეჟიმი, როცა კომპანიების აყვავება ძალზედ ნაკლებადაა დამოკიდებული იმაზე თუ რამდენად კარგად მუშაობს იგი და გაცილებით მეტადაა იმ დანახარჯებზე, რომელსაც მას უწესებს კანონი. მეწარმე, რომელიც უკეთ მანიპულირებს ამ დანახარჯებით ან ჩინოვნიკებთან დაკავშირებით გაცილებით წარმატებულია, ვიდრე ის, ვისაც მხოლოდ წარმოების ინტერესები ამოძრავებს. შესაბამისად, ეროვნული გეოეკონომიკის მთავარი საფრთხეა არა „ბაზრების ჩავარდნა", არამედ "სახელმწიფოს ჩავარდნა".

ამდენად, ამ ვერსიის თანახმად, ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების მთავარი საშიშროება არის ადმინისტრაციული ბარიერები-"ცუდი კანონები" ან/და "კარგი კანონების" ცუდი შესრულება. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ეროვნული გეოეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის პრიორიტეტები უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება იმით, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნება კონკრეტული ქვეყანა. `ოქროს მილიარდის" ქვეყნებისათვის შედარებით აქტუალურია კეინსიანური მიდგომა, ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის (პერიფერიული და ნახევრად პერიფერიული) ე. დე სოტოს მიდგომები. რაც შეეხება ფ. ლისტის გეოეკონომიკურ მიდგომას ახალი გლობალური გეოეკონომიკური სივრცის პირობებში, იგი მნიშვნელოვანია ყველა ქვეყნისათვის, თუმცა მას უფრო მეორეხარისხოვანი დანიშნულება უფრო აქვს, ვიდრე ძირითადი.

~

14.4 პატარა სახელმწიფოს გეოეკონომიკური უსაერთხოება

ა.რონდელი(2003) პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. თბილისი :მეცნიერება" გვ.92-95

ლექცია XV

სამხრეთი კავკასიის გეოეკონომიკური გეოეკონომიკური პრობლემები

15.1 ცენტრალური კავკასია,როგორც სატრანსპორტო-ენერგეტიკული ჰაბი

ე.ისმაილოვი ვ.პაპავა (2007). *ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები.* თბილისი: დიოგენე. გვ. 170-176

15.2 საერთაშორისო ფაქტორები ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში
(ე.ისმაილოვი ვ.პაპავა. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. თბილისი: დიოგენე გვ. 176-192)

15.3 ეკონომიკის გრამატიკა და კონფლიქტის ლოგიკა სამხრეთ კავკასიაში

15.4 სამხრეთი კავკასია-გეოპოლიტიკის ეკონომიზაცია თუ გეოეკონომიკის პოლიტიზაცია?

15.3 ეკონომიკის გრამატიკა და კონფლიქტის ლოგიკა სამხრეთ კავკასიაში

თანამედროვე ცენტრალური კავკასია წარმოადგენს რეგიონს სადაც რეალიზდება ის გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური პროექტები, რომელიც დაკავშირებულია რეგიონულ და რეგიონათაშორის კომუნიკაციურ, სათბობ-ენერგეტიკული არიალების ფორმირებასთან. მსოფლიო ახალი წესრიგის დოქტრინის პირობებში სულ უფრო აქტუალური ხდება გეოეკონომიკური მიდგომები. მითუმეტეს იმ პირობებში, როცა რეგიონის ეკონომიკების ინტეგრაციის ხარისხი ჯერ კიდევ დაბალია.

ცნება "ცენტრალური კავკასია" გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ ლექსიკონში არც თუ დიდი ხანია არსებობს. ცენტრალური კავკასიის რეგიონი წარმოადგენს დასავლეთის ჰორიზონტალური გეოეკონომიკური და ევრაზიული ვერტიკალური გეოპოლიტიკური ღერძების გადაკვეთის ადგილს. ამ შემთხვევაში აქცენტი კეთდება მხოლოდ ცენტრალური კავკასიის რეგიონზე და არა მთლიანად კავკასიის რეგიონზე გეოპოლიტიკური თვალსაზრისით გასაზიარებელია პროფ. რ. გაჩეჩილაძის პოზიცია, ვინაიდან მხოლოდ ცენტრალური კავკასიის სახელმწიფოები ფლობენ იმ ბერკეტებს რითაც შესაძლებელია წინ აღუდგენ რეგიონში მოთამაშე მსხვილ გეოპოლიტიკურ აქტორებს. მეორეს მხრივ, განვითარების თანამედროვე ეტაპზე სწორედ ცენტრალური კავკასიის სახელმწიფოებს გააჩნიათ დამოუკიდებელი ეკონომიკური განვითარების გარანტირებული შესაძლებლობა და ფლობენ გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის ექსკლუზიურ და ლეგიტიმურ მექანიზმებს. თუმცა გეოეკონომიკურად იგი გაცილებით ფართოა და მოიცავს როგორც კავკასიის ჩრდილოეთს ასევე მის სამხრეთ ნაწილსაც. ამ არეალში იგულისხმება ასევე ჩრდილოეთი ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ზონა, ევროკავშირი და აზიურ-წყნაროკეანური გეოეკონომიკური რეგიონიც. გეოპოლიტიკურად იგი მოიცავს რუსეთს, თურქეთს, ირანს და გაურკვეველი თავლსაზრისით ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსაც. ამდენად, გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ცენტრალური კავკასია გაცილებით ფართო ცნებაა და მისი გეოეკონომიკურ-გეოპოლიტიკური პარამეტრები ვერ დაემთხვევა მის პოლიტიკურ-გეოგრაფიულ საზღვრებს.

იმ პირობებში, როცა რეგიონის ეკონომიკური კავშირები ძლიერადაა დამოკიდებული პოლიტიკოსებსა და პოლიტიკაზე, ეკონომიკური საზღვრების გახსნა და სატრანსპორტო კომუნიკაციების გააქტიურება, გლობალურ ინფრასტრუქტურულ პროექტებთან ერთად

ქმნის იმის პირობებს, რომ რეგიონის ეკონომიკა ერთიანობაში დაბალი ტემპით, მაგრამ მაინც ვითარდება. იმის მიუხედავად, რომ რეგიონის ქვეყნებმა შეძლეს ინფლაციის ტემპების შემცირება და ეროვნული ვალუტის მეტნაკლები სტაბილიზაცია დასავლეთის დახმარებით და ფინანსურ-სავალუტო პოლიტიკის გამკაცრებით, მთლიანობაში რეგიონის სამივე ქვეყანა დიდ ეკონომიკურ სიძნელეებს განიცდის. რაც მნიშვნელოვნად განპირობებულია იმ კონფლიქტებით, რომელიც ინსპირებული იყო მეზობელი სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესებით. მეორეს მხრივ კი, იმ დისპროპორციებით რომლითაც ხასიათდება არა მარტო რეგიონის სახელმწიფოები, არამედ მათი შიდა ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

საერთოდ შეიარაღებული კონფლიქტების ეკონომიკური შედეგები ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი. არ წარმოადგენენ რა "ომის ეკონომიკებს" კლასიკური გაგებით, რეგიონის ქვეყნების ეკონომიკები კონფლიქტის მხარეების ეკონომიკის სტატუსს ატარებენ და იმავდროულად ძლიერი გეოეკონომიკური ოპონირების რეჟიმში ფუნქციონირებენ. ასეთი ვითარება კი ხელს უწყობს ე.წ. "რუხი ეკონომიკური ზონების" აღმოცენებას (აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი და მთიანი ყარაბახი ასეთ ზონებად მოიაზრებიან). ასეთი ზონებისათვის დამახასიათებელია ჩრდილოვანი და, კრიმინალური ეკონომიკა, რომელიც უპირველეს ყოვლისა ვაჭრობაში ვლინდება და რომელიც თავის მხრივ, ზრდის ინვესტირების რისკებს, ხელს უწყობს კონტრაბანდას და კორუფციას. მაგალითად, საქართველოს ეკონომიკის სტაგნაციის ძირითადი მიზეზი იყო კონტრაბანდა. ერგნეთის ბაზრობის დახურვის შემდგომ, სადაც რუსეთიდან შემოდიოდა კონტრაბანდული საქონელი, საქართველოს ბიუჯეტში შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა. საქართველომ უდიდესი ეკონომიკური დივიდენდები მიიღო აჭარაში სიტუაციის შეცვლითაც, ვინაიდან მოხერხდა კონტარბანდის შემცირება თურქეთიდან. შედეგად კი მოხერხდა პენსიებისა ხელფასების ზრდა სახელმწიფო სექტორში. ამასთან, ეკონომიკისა და კონფლიქტის ურთიერთზემოქმედების დინამიკა სულაც არაა ერთმნიშვნელოვანი პროცესი. ამ სიტუაციას კარგად იყენებს რუსეთი, რომელმაც იგივე ერგნეთის ბაზრობის დახურვით უკმაყოფილო ადამიანები დაუპირისპირა ერთმანეთს, მოახდინა რეგიონის მილიტარიზაცია და ბოლოს მოახდინა საქართველოს ამ ტერიტორიის ოკუპაცია. ეს არის იმის მაგალითი, თუ როგორ შეიძლება გამოიყენო ეკონომიკა, საკუთარი გეოპოლიტიკური მიზნის მისაღწევად. პრაქტიკულად იგივე მეთოდებით ცდილობს რუსეთი თავისი ევროპული და აზიური გეოპოლიტიკური მიზნის რეალიზაციასაც.

სრულად აშკარაა, რომ "ნულოვანის თამაშის" პრინციპის მოქმედების ინერცია, როცა ერთის მხრივ მოგება ავტომატურად ნიშნავს მეორის წაგებას, კვლავ აგრძელებს მოქმედებას ცენტრალურ კავკასიაში. ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმაში, რომ ნებისმიერ ქვეყანაში პოზიტიურ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძვრებს შეიძლება პოზიტიური შედეგები მოჰყვეს მის მეზობელ ქვეყნებში იმ შემთხვევაში, თუ ისინი საყოველთაოდ მიღებულ ეკონომიკურ თამაშის წესებს იცავენ. მაგრამ თუ ეს თამაშის წესები დარღვეულია და მეორე მხარე თამაშობს სხვა წესებით, მაშინ პრინციპი "რაც უფრო კარგადაა მეზობელი, მით უფრო

კარგად ვარ მე" არ მუშაობს. მაგალითად, ჩემთვის გაუგებარია რატომ უნდა გახდეს აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ოკუპირებული ტერიტორიები ქართული ეკონომიკისა და ბიზნესისათვის მიმზიდველი ბაზარი, როცა ამ ტერიტორიების ინტეგრაცია მეზობელი ქვეყნის ეკონომიკაში მოხდა არა გეოეკონომიკური, არამეს გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მიზნებით. რა აფხაზეთის ან ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეკონომიკების ინტეგრაცია ევროპის ეკონომიკურ სტრუქტურებში მეტი სიკეთის მომტანი არ იქნება, ვიდრე რუსეთის იზოლაციისაკენ მსწრაფ ეკონომიკაში. მეორეს მხრივ, რეგიონში მოთამაშე გეოპოლიტიკური ძალები ეხმარებიან არაღიარებულ და ოკუპირებულ რეგიონებს ეკონომიკურად, რითაც ისინი თეორიულად შეიძლება მიმზიდველი გახდნენ. მსგავსი პერსპექტივა კი არ ემთხვევა ცენტრალური კავკასიის ორი მთავარი გეოეკონომიკური მოთამაშის (საქართველო, აზერბაიჯანი) გეოეკონომიკური პრიორიტეტებს. ამ ორი ქვეყნის კონცეფტუალური მიდგომა იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი ნაბიჯი, რომელიც გადადგმული იქნება ოკუპირებული და არაღიარებული ტერიტორიების ეკონომიკური აღორძინებისაკენ არ პასუხობს ამ ორი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს- ტერიტორიულ მთლიანობის შენარჩუნებას. მეორეს მხრივ, ასეთი დახმარების დაკანონება იმის კიდევ ერთი სტიმული გახდება, რომ ისინი არ დარჩნენ საყოველთაოდ აღიარებულ საზღვრებში. სწორედ ამიტომ, მათი ეკონომიკური სტაგნაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთ-ერთი გარანტი.

ეროვნული დონის რეგიონულ აქტორებთან ერთად ცენტრალურ კავკასიაში სულ უფრო ღია ხასიათს იძენს საკმაოდ სერიოზულ გეოეკონომიკურ მოთამაშეთა კონფლიქტი. ეს არის აშშ, რუსეთი, თურქეთი და ირანი. რეგიონის მდებარეობა ნავთობისა და გაზის სატრანზიტო დერეფანში მომავალში კიდევ უფრო გაამძაფრებს გეოეკონომიკურ დაპირისპირებას. მაგალითად, იგივე რუსეთი დიდი ხანია აწარმოებს გეოეკონომიკურ ომს საქართველოსა და აზეგაიჯანის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის მთავარი მიზანია პოსტსაბჭოთა სივრცეში ენერგეტიკულ რესურსებზე კონტროლის აღდგენა. როგორც ჩანს ამ ქვეყანამ მიზნად დაისახა არა მხოლოდ დაიქვემდებაროს ამ რესურსების ექსპლოატაცია საკუთარი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდისათვის, არამედ მაქსიმალურად შეეცადოს არ დაუშვას ცენტრალური კავკასიის ორი "ურჩი" სახელმწიფო მსოფლიო შემოსავლებისა და განაწილების პროცესში. (გ. კვინიკაძე: 2010:7) რუსეთის სამხედრო მანქანა უშუალოდ არის დაკავშირებული ამ მიზნის შესრულებასთან. მაგალითად, 2008 წლის 1 ივნისს რუსეთისა და აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას გუდაუთის რაიონში ნავთობის საძიებო სამუშაოების დაწყების შესახებ, (რაც თავისთავად ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმებს) ხოლო ეს უკანონო ქმედება რუსეთმა "დაიკანონა" იმით, რომ მან მოახდინა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჯერ ოკუპაცია და შემდგომ მათი აღიარება. რუსეთის ეს ქმედებები შეუმჩნევლად არ რჩება დასავლეთს. გეოეკონომიკური თვალსაზრისით სრულად გამართლებულად მიმაჩნია დასავლეთის მხრიდან ეკონომიკური დახმარებების პრაგმატული დიფერენციაცია რეგიონის ქვეყნებისა და მათი შიდა ტერიტორიების მიმართ. ეს დახმარება რეალიზდება პრინციპით: "სანავთობო-

აღიარებული", "სატრანზიტო-აღიარებული", "არაღიარებული" და "ოკუპირებული". რასაც ადასტურებს რეგიონში განხორციელებული დასავლური ინვესტიციების სტრუქტურაც. თუმცა, დასავლეთის გეოეკონომიკური პროექტებს წინ ელობება მძლავრი გეოპოლიტიკური პროექტები რაც ცენტრალურ კავკასიას ფეთქებადსაშიშ რეგიონად აქცევს.

თუ არ ჩავთვლით საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკურ თანამშრომლობას, რეგიონში ეკონომიკური ინტეგრაცია კლასიკური გაგებით ძალზედ დაბალი ტემპით ვითარდება. თუმცა, არსებობს ბიზნესი, რომლის ჩარჩოებშიც ყალიბდება გარკვეული ურთიერთობები. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს კონფლიქტებმა შექმნეს ეკონომიკური ურთიერთობების სხვადასხვა ფორმები. ამჟამად, არსებობენ სომხური ფირმები, რომლებიც ვაჭრობენ აზერბაიჯანთან საქართველოს მეშვეობით, ამასთან თურქეთს იყენებენ "სატრანზიტო საწყობად", ხოლო თურქ დისტრიბუტორებს საქონლის იაფად შესაძენად. სომხური კონიაკი იყიდება აზერბაიჯანში, ხოლო აზერბაიჯანული ხიზილალა სომხეთში. სხვადასხვა ასორტიმენტის საქონლის გაცვლა ხდება სასაზღვრო ბაზრობაზე. რომლებიც გარკვეულწილად "კონფლიქტის" შედეგადაა აღმოცენებული (მაგალითად სადახლოს ბაზრობა). საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს სომხეთ-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობები იმ პირობებშიც კი როცა ამ ორ ქვეყანას შორის არ არსებობს დიპლომატიური ურთიერთობები. სხვადასხვა შეფასებებით სომხურ-თურქული ვაჭრობის მოცულობა 250-300 მლნ. დოლარს შეადგენს. სომხეთში საქმიანობენ თურქი ბიზნესმენები, ხოლო თურქეთში ფუნქციონირებს სომხურ-თურქული ერთობლივი საწარმოები. თურქი ეკონომისტების შეფასებით თურქეთის ექსპორტის მოცულობა აზერბაიჯანში, ცენტრალური აზიის ქვეყნებს და ჩინეთში მინიმუმ სამჯერ შეიძლება გაიზარდოს იმ შემთხვევაში თუ აღდგება სარკინიგზო და საავტომობილო კავშირები სომხეთსა და ნახჭევანის გავლით. იმის გამო, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩაიკეტა ყარსი-გიუმრის სატრანზიტო მაგისტრალი თურქეთის ყოველწლიურმა დანაკარგმა შეადგინა 500-550 მლნ. დოლარი. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, სომხეთ-თურქეთის და სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის გახსნის შემთხვევაში სომხეთში ექსპორტი გაიზრდება 269-342 მლნ. დოლარით. ამასთან სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრის გახსნა მკვეთრად გაზრდის თურქეთის სავაჭრო ბრუნვას შუა აზიის ქვეყნებთან, რითაც იგი შეამცირებს სატრანსპორტო დანახარჯებს 30-35%-ით. ვფიქრობ, ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერის ლოგიკა საბოლოო ჯამში მიგვიყვანს ერთის მხრივ, სომხეთისა და თურქეთის დაახლოებამდე, ხოლო მეორეს მხრივ, სომხეთისა და აზერბაიჯანის პოზიციების დაახლოებამდე ყარაბახის კონფლიქტის მოგვარების საქმეში. რასაც ჯერჯერობით ვერ ვიტყვი საქართველო-რუსეთის კონფლიქტის მიმართ, სადაც აშკარად გამოიკვეთა რუსეთის დაპირისპირება დასავლეთთან როგორც გეოეკონომიკურ ასევე გეოპოლიტიკურ ჭრილში.

15.4 სამხრეთი კავკასია- გეოპოლიტიკის ეკონომიზაცია თუ გეოეკონომიკის პოლიტიზაცია?

ცივი ომის შემდგომ პერიოდში შეიქმნა იმის პირობა, რომ ეს რეგიონი გადაიქცეს იმ ხიდად რომლის საშუალებითაც შეიძლება დასრულდეს გეოპოლიტიკური კარჩაკეტილობა და რეგიონის კომუნიკაციურმა პოტენციალმა შეიძინოს გეოეკონომიკური მნიშვნელობა, არა მხოლოდ ცენტრალური აზიის და კასპიისპირეთის რეგიონში, არამედ მთელ ევრაზიის მასშტაბით. აღნიშნულზე მეტყველებს ის გეოეკონომიკურ პროექტები და ის გეოეკონომიკური დოქტრინები ("აბრეშუმის გზის სტრატეგია"-1999; "შავი ზღვის ეკონომიკური თანამეგობრობა" - 1993; ე.წ "სერაჰის ხელშეკრულება" -1996).

ამავდროულად რეგიონში განხორციელდა გლობალური მნიშვნელობის რიგი კომუნიკაციური პროექტები, რომელთა შორის გამოყოფენ: ნავთობსადენს ბაქო-სუფსას; ტრანსკასპიური გაზსადენს-თურქმენეთი-აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი; გაზსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი; გარდა ამისა, პრესპექტივაში მოსალოდნელია მოთხოვნილების მნიშვნელოვანი ზრდა ენერგომატარებლებზე. უპირველეს ყოვლისა კი ნავთობზე. აღნიშნული კი აქტუალურს გახდის ნავთობის გლობალურ ბაზაზე უწყვეტი მიწოდების მიზნით, წყაროთა დივერსიფიკაციის საკითხს. თუ ასეთი წყარო არ მოიძებნა საერთაშორისო ბაზარზე კონიუქტურის დინამიკის დამოკიდებულება სპარსეთის ყურის რეგიონზე 80%-მდე გაიზრდება (ა. გეგეშიძე: 1997:246), რაც არ ჯდება დასავლეთის გეოეკონომიკურ ინტერესებში. დივერსიფიკაციის ვარიანტებში კი ცენტრალურ კავკასიაზე გამავალი საკომუნიკაციო სისტემის კონკურენტუნარიანობა ეჭვი არ იწვევს არც გეოეკონომიკურ და არც გეოპოლიტიკურ კონტექსტში. აღნიშნულის გეოეკონომიკური ასპექტი უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება კასპიის ზღვისა და ცენტრალური აზიის ენერგეტიკული პოტენციალის არსებობას. ამ რეგიონში არსებული ნავთობის და გაზის დიდი მარაგი აქტუალურს ხდის ეფექტურ საკომუნიკაციო სისტემის შექმნას, მათი მსოფლიო ბაზარზე ტრანსპორტირებისათვის.

ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ დასავლეთის მიზანია თავიდან აიცილოს მონოპოლიური კონტროლი ნავთობსადენზე, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი. ნავთობსადენი რომელიც გადის თურქეთზე აქტიურად იქნა მხარდაჭერილი აშშ ადმინისტრაციის, ისევე როგორც აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთის, ყაზახეთისა და უზბეკეთის მთავრობების მიერ. რაც იმითაა მოტივირებული, რომ ამ ქვეყნებისათვის მილსადენი, რომელიც არ გადის არც ირანის და არც რუსეთის ტერიტორიებზე, წარმოადგენს დასავლეთთან კავშირის მნიშვნელოვან სეგმენტს. მეორეს მხრივ, თავიდან არის აცილებული რუსეთსა და ირანზე დამოკიდებულება. გრძელვადიან პრესპექტივაში ტრანსკასპიური კომუნიკაციები რომლებიც გადის ცენტრალურ კავკასიაზე ყველაზე უფრო მისაღები იქნება როგორც ცენტრალური აზიის, ასევე ცენტრალური კავკასიის ქვეყნებისათვის. ევრაზიული კომუნიკაციის სისტემა ცენტრალურ კავკასიაზე გავლით, რომლითაც დასავლეთის პოსტინდუსტრიული ქვეყნები უკავშირდება ცენტრალურ კავკასიასა და ცენტრალური ევრაზიის ქვეყნებს ხელსაყრელი პირობებს ქმნის თანამშრომლობისათვის არა მხოლოდ ენერგეტიკულ, არამედ არანაკლებ მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ

სფეროებშიც. მხოლოდ დასავლეთი-აღმოსავლეთის საბაზო ხაზზე შექმნილი საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც გადის ცენტრალურ კავკასიაზე შეუწყობს ხელს ზემოთ აღნიშნული მიზნების რეალიზაციას. ნავთობისა და გაზის ათეულობით ტრანსნაციონალური კომპანიები დიდი ინვესტიციებს დებენ რეგიონში და აფართოებენ სატრანსპორტო-კომუნიკაციურ პოტენციალს, რომლებიც მხარდაჭერილია ევროკავშირისა და აშშ-ს მხრიდან, რათა შეიქმნას სატრანსპორტო დერეფანი დასავლეთ-აღმოსავლეთი. რაც შეეხება ცენტრალური კავკასიის გეოპოლიტიკურ ფუნქციის უნდა შევნიშნოთ, რომ გეოპოლიტიკური ურთიერთობების სისტემის კონტექსტში რეგიონი გარკვეულად განსაზღვრავს შესაბამის სიტუაციას ევრაზიაში, ხოლო მისი სატრანზიტო პოტენციალი აშკარა გამოკვეთილ გეოპოლიტიკურ ხასიათს ატარებს.

უპირველესი ინტერესი, რომელსაც ტრადიციულად იჩენდნენ დასავლეთის სახელმწიფოები (უპირველეს ყოვლისა აშშ) საზღვაო კომუნიკაციების მიმართ. შედეგად მათ მიერ შექმნილი კომუნიკაციის ეფექტური სისტემა როგორც ბლოკის შიგნით, ასევე გარე საზღვაო კომუნიკაციების კონტროლი, დასავლეთის ტრიუმფის ერთ-ერთი არსებითი ფაქტორი გახდა "ცივი ომის" პერიოდში. საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ-ერთი გეოპოლიტიკური შედეგი გახდა ის, რომ გეოპოლიტიკური დაპირისპირების არენამ გლობალური მასშტაბიდან გადაინაცვლა ევრაზიის კონტინენტზე. თუმცა ამ მასშტაბშიც დაპირისპირების გეოპოლიტიკური ხასიათი არ შეცვლილა. ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე დაიწყო ახალი გეოპოლიტიკური ბლოკების შექმნა, რომლის ძირითადი ინიციატორი იყო რესეთი. ერთ-ერთი ასეთი პოპულარული პროექტი იყო ე.წ. "პრიმაკოვის დოქტრინა". რომლის ძირითადი მიზანი იყო წამყვანი სლავური ქვეყნის, ყველაზე უფრო აგრესიული ისლამური სახელმწიფოს და მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი აზიური სახელმწიფოს გაერთიანებით მძლავრი კოალიციის შექმნა ღერძზე მოსკოვი-პეკინი-თეირანი. რაც უფრო ავტორის ფანტაზიის ნაყოფი იყო, ვიდრე რეალური პრესპექტივა. ამ ფონზე გაცილებით რეალისტურად მოჩანდა გეოპოლიტიკური ბლოკის შექმნა რუსეთი-ირანი-სომხეთის ღერძზე. ეს ღერძი დღესაც აქტუალურად განიხილება გეოპოლიტიკურ წრეებში. ვინაიდან იგი გადის ცენტრალურ კავკასიაზე მასზე შევჩერდები. იგი უპირველეს ყოვლისა შეეხო საქართველოს რომლის ნეგატიური შედეგები უკვე სახეზეა - მოხდა საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაცია.

რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირება ცენტრალურ კავკასიაში მიმდინარეობს იმ ფონზე, როცა რეგიონში არ არსებობს გამაერთიანებელი ძალა. რეგიონი მოქცეულია გარე გეოპოლიტიკური ინტერესების "ტყვეობაში". სწორედ გეოპოლიტიკური დაპირისპირება რჩება რეგიონის სახელმწიფოთა პოლიტიკური ურთიერთობების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. ამ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში გამოიყენება ისეთი მეთოდები როგორიცაა: იდეოლოგიური და კულტურული პროპაგანდა, სამხედრო-ეკონომიკური დახმარება კონფლიქტების გააქტიურების მიზნით "დე ფაქტო" ერთმანეთთან დაპირისპირებული ალიანსების შექმნა და ეთნიკური სეპარატიზმით მანიპულირება.

თანამედროვე რუსულ გეოპოლიტიკურ პროექტებს ცენტრალურ კავკასიაში, გარკვეული აზრით, შეიძლება ვუწოდოთ გეოეკონომიკურ-ფსიქოლოგიური პროექტი. ჩემს მიერ შემოთავაზებულ ტერმინში უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ სიტუაციას, როცა მინიმუმამდეა დაყვანილი რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანებისაკენ სწრაფვა და აქტიურდება პოლიტიკური სუვერენიტეტის ფაქტორი. მეორეს მხრივ, რუსეთმა ღია ეკონომიკური ომი გაუცხადა საქართველოსა და აზერბაიჯანის მიმართ, რითაც კარგად შეფუთა თავისი გეოპოლიტიკური მიზნები. ამ ორი ფაქტორის სიმბიოზით რუსეთმა გააქტიურა წარსულის "დამცირების" და "ჩამორჩენილობის" ფსიქოლოგიური კომპლექსი, განსაკუთრებით რეგიონში არსებული ავტონომიების დონეზე, რამაც შექმნა ეკონომიკური კავშირების დასუსტების პირობები რეგიონის შიგნით. ეს სიტუაცია აისახა რეგიონში არსებულ ეკონომიკურ ვითარებაზე. სომხეთი ეკონომიკურად ეხმარება ყარაბახს, რუსეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, თურქეთი აზერბაიჯანს. ამ სიტუაციით რუსეთი ცდილობს ეკონომიკურ-ინტეგრაციული პროცესები რეგიონის სახელმწიფოთა დონეზე, გადაიყვანოს გეოპოლიტიკური დეზინტეგრაციის რეჟიმში. ამით იგი ცდილობს გააქტიუროს ვერტიკალური კავშირები და ხელი შეუშალოს ჰორიზონტალური ეკონომიკური კავშირების გააქტიურებას. სწორედ ამას ემსახურება რუსეთის გეოპოლიტიკური პროექტი რომელიც "ნეოევრაზიანიზმის" სახელითაა ცნობილი. ამ პროექტის ძირითადი იდეაა რუსეთის გაფართოება სამხრეთით. რაც გულისხმობს ცენტრალურ კავკასიაზე კონტროლს, რითაც მათ გზა ეხსნებათ "თბილი ზღვებისკენ" და აქედან გამომდინარე რუსეთის საზღვრის უმნიშვნელო გადატანაც კი ამ მიმართულებით კონტინენტური ძალების მნიშვნელოვან წარმატებად მიიჩნევა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა ის, რომ ცენტრალურ კავკასიას "ნეოევრაზიანელები" რუსეთის შიდა გეოპოლიტიკურ ზონად თვლიან.

ამ პროექტის მიხედვით აუცილებელია ყველა ჰორიზონტალური კავშირის აღკვეთა ღერძზე აშშ-თურქეთი-აზერბაიჯანი-ცენტრალური აზია. ჰორიზონტალური კავშირების წყვეტა ხდება ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში შემავალი ავტონომიების დონეზეც. ინგუშეთი-ჩეჩნეთი-დაღესტანის ღერძზე. ამ შემთხვევაში, ჩეჩნეთ-ინგუშეთის სამხრეთით რჩება საქართველო, ამიტომ მათი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესები შეიძლება დაუკავშირდეს ჩვენს ქვეყანას.

"ნეოევრაზიანიზმი" გააფთრებით ებრძვის ცენტრალურ კავკასიაში ერის-სახელმწიფოს მოდელს, და მკაცრად ფიქსირებულ ადმინისტრაციულ წარმონაქმებს მუდმივი საზღვრებითა და სახელმწიფოებრივი სტრუქტურებით. კავკასიის ნეოევრაზიული პროექტით გათვალისწინებულია რეგიონის გადაყვანა ცენტრი-პერიფერიის მოდელზე, რომელშიც პერიფერიული სტრუქტურა დეტერმინირდება არა პოლიტიკურად, არამედ ეთნო-კულტურულად. ამ გეგმის განხორციელება შესაძლებელია "კავკასიის ფედერაციის" შექმნით, რომელიც გააერთიანებს არა მხოლოდ ცენტრალური კავკასიის სახელმწიფოებს, არამედ ოკუპირებულ ტერიტორიებს და რეგიონში არსებულ ავტონომიებს. ის ფაქტი რომ, ჯერ კიდევ 1996წ. რუსეთის ქალაქებისა და ოლქების ასოციაციათა ჩამონათვლაში შეყვანილი

იქნა სოხუმი და ცხინვალი. ზემოთ გამოთქმული მოსაზრებისათვის კიდევ ერთი არგუმენტია.

ცენტრალურ კავკასიაში განსაკუთრებული გეოპოლიტიკურ როლს ასრულებს სომხეთი, რომელიც რუსეთის გეოპოლიტიკური მოკავშირეა. ამიტომ, რუსეთი დაინტერესებულია სახმელეთო დერეფნის შექმნით, რომელიც საიმედოდ დააკავშირებს სომხეთს "ხაზარული სამკუთხეთთან" და ძირითადში დააკმაყოფილებს რუსეთის გეოპოლიტიკურ ამბიციებს ცენტრალურ კავკასიაში. ამდენად ის, რომ რუსეთი ებრძვის საქართველოს სახელმწიფოებრიობას, სრულიად აშკარაა.

არსებობს კი ამ პროექტის შემდგომი გაგრძელების რეალური პრესპექტივა? ვფიქრობ, რუსეთს მისი რეალიზაცია ძალიან გაუჭირდება შემდეგი მიზეზების გამო:

პირველი: ტერიტორიების ოკუპაციის მიუხედავად, რუსეთი ვერ ახორციელებს კონტროლს ცენტრალური კავკასიის ორ მთავარ გეოეკონომიკურ მოთამაშეზე (საქართველო-აზერბაიჯანი).

მეორე: ჩრდილოეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ მას უჭირს სრული კონტროლი დაამყაროს ამ რეგიონზე.

მესამე: რუსეთს არ გააჩნია სახმელეთო საზღვარი არც სომხეთთან და არც ირანთან. სომხეთსა და რუსეთს შორის სახმელეთო კომუნიკაცია გადის საქართველოზე, ხოლო რუსეთსა და ირანს შორის აზერბაიჯანზე. ერთადერთი ხელმოსაჭიდი რჩება რუსეთ-ირანის საზღვაო საზღვარი, რომლის პერსპექტივა საკმაოდ ბუნდოვანია, ვინაიდან ხუთი კასპიისპირა სახელმწიფო, საერთაშორისო ინსტიტუტების მონაწილეობით უკვე განიხილავენ კასპიის ზღვის სექტორალური დაყოფის საკითხებს. რითაც სერიოზულად შესუსტდება რუსეთისა და ირანის პოზიციები არა მარტო რეგიონში, არამედ მთელს ცენტრალურ აზიაში.

მეოთხე: საქართველო-აზერბაიჯანის ეკონომიკური განვითარება, ერთის მხრივ, და მეორეს მხრივ, ამ სახელმწიფოთა აქტიური მონაწილეობა გლობალურ გეოეკონომიკურ პროექტებში ხელსაყრელ პირობებს შეუქმნის დასავლეთს თვითონ გააკონტროლოს ეს გეოპოლიტიკური ღერძი. ამ შემთხვევაში სომხეთი პასიურ გეოპოლიტიკურ მოთამაშედ რჩება.

მეხუთე: რუსეთს ძალიან გაუჭირდება გაუძლოს დასავლეთის პოლიტიკურ ზეწოლას, რაც აშკარად კონფლიქტურ ხასიათს იძენს.

მეექვსე: რუსეთის ეკონომიკური რესურსები ამოუწურავი არაა. მას უკვე აღარ შესწევს უნარი ეკონომიკური ომი აწარმოოს ასევე ვთქვათ გაშლილ ფრონტზე. (მხედველობაში მაქვს ერთს მხრივ, გლობალური ეკონომიკური ინსტიტუტები, მეორეს მხრივ დასავლეთის ძლიერი ეკონომიკური ბლოკი).

აღნიშნულის მიუხედავად, რუსეთი ცდილობს "შემოვლითი გზებით" მოახერხოს თავისი გეოპოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილება. კერძოდ, იგი ცდილობდა "დე იურე"-დ არაკონტროლირებადი ტერიტორიები, "დე ფაქტო" კონტროლის მეთოდებით ჩაენაცვლებინა (ე.წ. მშვიდობისმყოფელთა სახით). ეს პროცესი რეალიზდებოდა რუსეთის გავლენის გაძლიერებით ეთნიკურად ჭრელ რეგიონებში (აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი), და რუსული სამხედრო ბაზების გამოყენებით რუსეთი – საქართველო - სომხეთის ღერძზე.

ანალოგიურად აკონტროლებდა იგი ირანთან სახმელეთო კავშირებს აზერბაიჯანის ტერიტორიის გამოყენებით. სომხეთ აზერბაიჯანის კონფლიქტის შედეგად აზერბაიჯანმა იგი გადაკეტა. თუმცა ამჟამად რუსეთი ცდილობს მის რეაბილიტაციას ყარაბახის კარტის გათამაშებით. რას მიიღებს რუსეთი ცენტრალური კავკასიის გაკონტროლებით, ძნელი წარმოსადგენი არაა. იგი უალტერნატივოდ გააკონტროლებს ჩრდილო-სამხრეთის სახმელეთო სივრცეს, ევრაზიის კომუნიკაციის ძირითად ხაზებს, რითაც იგი მონოპოლისტი ხდება კასპიის და ცენტრალურ აზიაში არსებული ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებაში. მეორეს მხრივ, იგი ტრადიციულ გეოპოლიტიკურ იზოლაციაში ტოვებს ცენტრალურ აზიას, რითაც შეინარჩუნებს კონტროლს ამ რეგიონზე და შექმნის შიდა ევრაზიულ ბუფერს, რომელიც დაუპირისპირდება დასავლური ბლოკის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული გავლენის გავრცელებას ევრაზიის სიღრმეში. მესამე მხრივ, უდიდესი ტერიტორია შავი ზღვიდან სამხრეთ კორეამდე პრაქტიკულად გაკონტროლდება რუსეთის მიერ.

ამდენად, გეოეკონომიკური რიტორიკის მიუხედავად, ცენტრალური კავკასია კვლავ რჩება გეოპოლიტიკური დაპირისპირების არენად კონტინენტალურ და ატლანტურ ძალებს შორის. გეოპოლიტიკური პროექტების უმეტესობა ჯერ კიდევ ეფუძნება "განაწილების" და "გავლენის სფეროების" ძველ კონცეპტუალურ ხედვებს. ამიტომ გაჩდა იმის აუცილებლობა, რომ ახლებურად იქნას გააზრებული ის პროექტები, რომელიც უკავშირდება რეგიონის გეოეკონომიკური განვითარების პერსპექტივებს. იმის მიუხედავად, რომ ჯერ კიდევ სუსტია რეგიონის ქვეყნების გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის ხარისხი და, მეორეს მხრივ, რეგიონის სახელმწიფოთა შორის, კლასიკური გაგებით, იგი პრაქტიკულად არ არსებობს, სრულად რეალურად მეჩვენება მათი გააქტიურების პრესპექტივა, რომელიც უნდა დაეფუძნოს ტრანსკომუნიკაციურ შესაძლებლობებს, გეოეკონომიკური პროექტების სტრატიფიკაციას და მძლავრი რეგიონული ფინანსური ცენტრების შექმნას. ასევე მნიშვნელოვანია კონფლიქტების ტრანსფორმაციის ახალი გეოეკონომიკური სტრატეგიების შემუშავება, რომელსაც არსებული კონფრონტაციული სიტუაციის შეცვლის დიდი პოტენციალი გააჩნია. რეგიონში არსებული ეკონომიკური ბაზრის უნიკალური სოციალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფერო და ეკონომიკური პრაგმატიზმი შეიძლება მოვიაზროთ მომავალი ერთიანი გეოეკონომიკური სივრცის ფორმირების საწყის მოდელად. სწორად ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მეზობელ სახელმწიფოთა ურთიერთობებში ტრანსკონტინენტურ ეკონომიკურ პროექტებთან ერთად უნდა მოხდეს ბიზნესის

გააქტიურება, სავაჭრო-სამეწარმეო საქმიანობისთვის ხელის შეწყობა. ამ მხრივ, გამოყენებული უნდა იქნას დასავლეთში კარგად აპრობირებული ტრანსასაზღვრო ვაჭრობა.

რეგიონი კვლავ ფუნქციონირებს ძველი რეგიონალიზმის პარამეტრები რეჟიმში და განიხილება როგორც პასიურ-დისოციალური, რომელიც ატარებს გეოეკონომიკური ფრაგმენტაციის ხასიათს, ხოლო გეოეკონომიკური სტრატეგია იგება არა თანამედროვე გეოეკონომიკური რეგიონალიზმის პრინციპებზე, არამედ ჩვეულებრივ მერკანტილიზმზე.

II ნაწილში გამოყენებული ლიტერატურა

ლიტერატურა VIII და IX ლექციისათვის:

Jenkins S. *How much hypocrisy can Britain get away with on this sordid deal? //* The Sunday Times, June 10, 2007. - http:// www.timesonline.co.uk/ tol/comment/ columnists/simonjenkins/ article"! 909823.ece.

Nose to nose - *Boeing v Airbus //* The Economist, 2005. - V. 375. - № 8432. - P. 77-79.

Luttwak E. (1999). *Turbo-Capitalism. Winners and Losers in the Global Economy*. NY.: HarperPerennial, P. 129-130.

Luttwak E. (1993). *The Endangered American Dream.* NY. Touchstone. 1993. - P. 136-137.

The Defense Production Act of 1950. Public Law 81-774, approved September 8,1950. (64 Stat. 798). details see: 50 U.S.C. App. 2061, et seq. - http://uscode.house.gov/ download/pls/50a.txt.

Governments Get Bolder in Buying Equity Stakes // Wall Street Journal, 2007, July 24. - http:// online.wsj.com/article/ SB118523825903875664.ritml?mod= rss_whats _news_us_business

The International Emergency Economic Powers Act (IEEPA) (Title II of Public Law 95-223, approved Dec. 28, 1977. 91 Stat. 1626). details see: 50 U.S.C. Sec. 1701-1707: http://uscode.house.gov/download/pls/50C35.txt

Evans-Pritchard A. China threatens 'nuclear option' of dollar sales // Daily Telegraph, 10/08/2007. - http:// www.telegraph.co.uk/ money/ main.jhtml?xml= /money/ 2007/08/07/ bcnchina107a.xml.

Sender H. How a Gulf Petro-State Invests Its Oil Riches // Wall Street Journal, 2007-08-24. http://money.aol.com/news/articles/_a/how-a-gulf-petro-state-invests-its-oil/n20070824132209990001

Farrell D. (2007) *Tremors shake global capital markets* // BusinessWeek, March 5. A lot of cities harbour the desire to become a financial centre. Nowhere, however, has been as bold as Dubai // The Economist, Dec 13th, 2006. http://www.economist.com/displaystory.cfm?story_id=8422344.

Robinson, Roger W. Jr (1999). *The National Security Dimensions of Global Capital Markets* // William J. Casey Institute of the Center for Security Policy, May

Steil B., Litan R. (2006) *Financial Statecraft: The role of financial markets in American foreign policy* / New Haven, Yale University Press, P. 149.

ლიტერატურა X ლექციისათვის:

კვინიკაძე გ. (2008). *გეოეკონომიკა.* სახელმძღვანელო. თბილისი: უნივერსალი. გვ.141-148

კვინკაძე გ. ღვინჯილია ნ. (2012). *„გლობალური გეოეკონომიკური სივრცის ასიმეტრიულობის გეოეკონომიკური მოდელები“.* პროფ. გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ტომი1.

Моро-Дефарж Ф. (1996). *Введение в геополитику*. — М.: Конкорд.

ლიტერატურა XI ლექციისათვის:

დავითაშვილი, ზ. (2003). *გლობალიზაცია და ნაციონალიზმი.* თბ: მეცნიერება.

კვინიკაძე, გ. (2014). *გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები.* თბ: თსუ გამომცემლობა.

Friedman, M. (1974). *Monetary Framework: A Debate with His Critics*. Edited by Robert J. Gordon. Chicago: University of Chicago Press,

Hayek, F. (1984). *Money, Capital & Fluctuations*. Chicago: University of Chicago Press.

Luttwak, E. (1987). *Strategy: The Logic of War and Peace*. Cambridge, Mass: BelknapIHarvard.

Luttwak, E. (1968). *Coup d Etat*: A *Practical Handbook*. Harvard University

Press.

Luttwak, E. (1993). *The Endangered American Dream*. New York: Simon and Schuster.

Luttwak, E. (1999). *Turbo capitalism: winners and loosers in the global economy*. New York: Harper and Collins.

Luttwak, E. (Summer, 1990). *From Geopolitics to Geo-Economics. Logic of Conflict, Grammar of Commerce.* The National Interest.
Luttwak, E. (1968). *Coup d'État: A Practical Handbook*. Cambridge: Harvard Universiti Press.
http://www.aaf.ge/index.php?menu=1&jurn=117&rubr=0&mas=316. ბოლო ნახვა 24.12.2015.

ლიტერატურა XII და XIII ლექციისათვის:

კვინიკაძე, გ. (2014). *გეოეკონომიკური ნარკვევები .* თბ: თსუ გამომცემლობა. გვ. 153-198
რონდელი, ა. (2015). რას ნიშნავს ძლიერი ქვეყანა. ჟურნალი „ჩემი სამყარო". N 7.

მორგენთაუ, ჰ. (2004). *პოლიტიკური რეალიზმის ექვსი პრინციპი.* საერთაშორისო ურთიერთობების თეორია. ქრესტომათია. თბ: სამოქალაქო ინიციატივების ინსტიტუტი.

Hufbauer,G., Jeffrey J., Schott, Kimberly Ann Elliott, K., & Oegg, B. (November, 2007). *Economic Sanctions Reconsidered, 3rd edition*. Washington: Peterson Institute.

Luttwak, E. (July, 1999). *Give War a Chance*. Foreign Affairs.
Luttwak, E. (March 21, 2011). *Libya: It's not our fight.* Los Angeles Times. http://articles.latimes.com/2011/mar/21/opinion/la-oe-luttwak-libya-20110321-31.
Luttwak, E. (Summer, 1990). *From Geopolitics to Geo-Economics. Logic of Conflict, Grammar of Commerce*. The National Interest. p. 17—23.
Luttwak, E. (1968). *Coup d'État: A Practical Handbook*. Cambridge: Harvard Universiti Press.
Luttwak, E. (1993). *The Endangered American Dream*. New York: Simon and Schuster. p.136-137.

Luttwak, E. (2001). *The Logic of War and Peace*. Cambridge, Ma: harvard University Press.

Luttwak, E. (1999). *Turbo capitalism: winners and loosers in the global economy*. New York: Harper and Collins. p. 129-130.
Rochas d'Aiglun A. (1910). *Vauban, Sa famille et ses ecrits*, 2 Vols. P., Vol. 2. p.137.

http://articles.latimes.com/2011/mar/21/opinion/la-oe-luttwak-libya-20110321-31.
http://m.amerikiskhma.com/a/brookings-annual-cuse-conference-2010-95523599/529772.html.

ლიტერატურა XIV ლექციისათვის:

კვინიკაძე, გ. (2008). *გეოეკონომიკა.* სახელმძღვანელო. თბ.: უნივერსალი. გვ. 338-368

რონდელი ა. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში.თბ.: მეცნიერება გვ.96-98

Kvinikadze G. & Pkhakadze K. (2011). *From the Ekonomikal security to the Geoekonomikal One (Conceptual Problems)".* **Economika"** Monthly International reviewed and refereed seientific jornal. # 5-6.p.p148-155

ლიტერატურა XV ლექციისათვის:

ისმაილოვი ე. პაპავა ვ. *ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები.* თბილისი: დიოგენე გვ. 170-176

იქვე გვ. 176-192

კვინიკაძე გ. (2014). *გეოეკონომიკისა და ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალური საკითხები.* თბ.: თსუ გამომცემლობა გვ. 58-81